

ავტორის სტილი დაცულია

იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პერძო სამართლის
მიმართულების
დოქტორანტ
გულიკო კაჯაშვილის
თემა:

საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც აღსრულებადი
გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა

ხელმძღვანელი:
სამართლის დოქტორი, პროფესორი - ზურაბ
ძლიერიშვილი

ნაშრომი წარდგენილია იგანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად



საქართველო, თბილისი
2018

შინაარსი	გვ.
<u>გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა</u>	9
<u>შესავალი</u>	10
1. <u>საპროცესო უზრუნველყოფა სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებთან მიმართებაში</u>	16
2. <u>სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები</u>	19
2.1 <u>სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით</u>	19
2.2 <u>სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით</u>	20
2.2.1 <u>დისპოზიციურობის პრინციპი</u>	20
2.2.2 <u>შეჯიბრებითობის პრინციპი</u>	22
2.3 <u>სამოქალაქო მართლმსაჯულებათა განხორციელების პრინციპები ტრანსნაციონალურ სამოქალაქო საპროცესო სამართლში</u>	24
2.3.1 <u>თანასწორობის პრინციპი და უკანონო დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი</u>	25
2.4 <u>სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები ათასიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და სასამართლო პრაქტიკაში</u>	26
3. <u>მტკიცებულებათა უზრუნველყოფა სამოქალაქო საპროცესო სამართლში</u>	30
3.1 <u>მტკიცებულებათა არსი</u>	30
3.2 <u>მტკიცებულებათა სამართლებრივი მნიშვნელობა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას</u>	31
3.3 <u>მტკიცებულებათა უზრუნველყოფის განსხვავება სარჩელის უზრუნველყოფისაგან</u>	32
3.4 <u>მტკიცებულებათა როლი სასამართლოსთვის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაში</u>	33
3.5 <u>შუამდგომლობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით</u>	34
3.6 <u>შუამდგომლობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში საქმის აღდგრამდე</u>	36

3.6.1	<u>შუამდგომლობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში საქმის აღძვრამდე საქართველოს მაგალითზე</u>	36
3.6.2	<u>შუამდგომლობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში საქმის აღძვრამდე ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე</u>	37
3.6.3	<u>შუამდგომლობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში საქმის აღძვრამდე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქავენების - მოლდავეთის, ყაზახეთის, ბელარუსის, უზბეკეთის მაგალითზე</u>	38
3.7	<u>მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განჩინება, განჩინების გასაჩივრება და გასაჩივრების ვადები</u>	39
3.8.	<u>მტკიცებულებათა დამატებითი/განმეორებითი უზრუნველყოფა</u>	40
3.9	<u>მტკიცებულებათა უზრუნველყოფა საარბიტრაჟო დავაში და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა</u>	41
3.10	<u>მტკიცებულებათა უზრუნველყოფის თავისებურება ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესების მიხედვით</u>	43
4.	<u>უზრუნველყოფის გარანტია და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა</u>	45
4.1	<u>უზრუნველყოფის გარანტიის არსი</u>	45
4.2	<u>მტკიცების ტვირთის განაწილება უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენებისას</u>	47
4.3	<u>უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება სასამართლოს ინიციატივით</u>	49
4.4	<u>უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება დაინტერესებული პირის ინიციატივით</u>	51
4.5	<u>უზრუნველყოფის გარანტიაში არსებული ვადები და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა</u>	54
4.6	<u>უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ განჩინების გასაჩივრების დაუშვებლობა</u>	58
5.	<u>სარჩევლის უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემატიკა</u>	60
5.1	<u>სარჩევლის უზრუნველყოფის სამართლებრივი არსი</u>	60
5.2	<u>სარჩევლის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შინაარსი</u>	61

<u>5.2.1</u>	<u>„დროებითი ბრძანების” შესახებ კანონპროექტის სამართლებრივი ანალიზი</u>	62
<u>5.2.2</u>	<u>საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედი შინაარსი</u>	63
<u>5.3</u>	<u>სარჩელის უზრუნველყოფით შეზღუდული უფლების აღკვატურობა სასარჩელო მოთხოვნის მოცულობასთან</u>	65
<u>5.4</u>	<u>სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართება ეროვნული კანონმდებლობით გარანტირებულ ადამიანის უფლებებთან</u>	67
<u>5.4.1</u>	<u>სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართება კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებთან საქართველოს მაგალითზე</u>	67
<u>5.4.1.1</u>	<u>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საკუთრების უფლებასთან მიმართებაში</u>	71
<u>5.4.1.2</u>	<u>საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საკუთრების უფლებასთან მიმართებაში</u>	73
<u>5.4.2</u>	<u>სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართება კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებთან ესპანეთის და გერმანიის მაგალითზე</u>	76
<u>5.5</u>	<u>სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარდგენისათვის დადგენილი წინაპირობები</u>	77
<u>5.5.1</u>	<u>სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარდგენისათვის დადგენილი წინაპირობები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით</u>	77
<u>5.5.2</u>	<u>სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარდგენისათვის დადგენილი წინაპირობები ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით</u>	80
<u>5.6</u>	<u>სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით</u>	81
<u>5.7</u>	<u>სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული პროცედურული პროცედურები</u>	85
<u>5.7.1</u>	<u>სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილების შესახებ განჩინების მიღების პროცედურა</u>	85
<u>5.7.2</u>	<u>სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობები და სასამართლოს პრაქტიკაში არსებული</u>	89

პრობლემატიკა

5.8	<u>სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტთან დაკავშირებული განჩინების გასაჩივრების სპეციფიკა და ვადა</u>	92
5.8.1	<u>სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრების გასაჩივრების ვადა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით</u>	92
5.8.2	<u>სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული განჩინების გასაჩივრების სხვა შემთხვევები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით</u>	93
5.8.3	<u>საჩივრის წარმოებაში მიღება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით</u>	94
5.8.4	<u>საჩივრის წარმოებაში მიღება გერმანიის და ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით</u>	96
5.8.5	<u>სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის სპეციფიკა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით</u>	96
5.8.6	<u>სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის სპეციფიკა ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით</u>	97
5.9	<u>სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრების სამართლებრივი შედეგები</u>	98
6.	<u>სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ჯერ არ აღმრულ სარჩელთან დაკავშირებით</u>	100
6.1	<u>ჯერ არ აღმრული სარჩელის უზრუნველყოფას სპეციფიკა საქართველოს მაგალითზე</u>	100
6.2	<u>ჯერ არ აღმრული სარჩელის უზრუნველყოფის სპეციფიკა გერმანიის და საბერძნეთის მაგალითზე</u>	103
7.	<u>სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ევროპის ქავენების მაგალითზე</u>	104
7.1	<u>სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სპეციფიკა ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით</u>	104
7.1.1	<u>აქტივების დაყადაღება</u>	104
7.1.2	<u>მოვალის ქონების მართვა</u>	105
7.1.3	<u>სასამართლოს მიერ ქონების ამოღება</u>	105
7.2	<u>სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სპეციფიკა გერმანიის</u>	107

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

7.2.1	<u>Arrest – ყადაღა</u>	107
7.2.2	<u>„einstweilige Verfigung“ - დავის საგნის დროებითი განკარგვა</u>	108
7.3	<u>ინგლისური სამართლისთვის დამახასიათებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება - Mareva Injunctions</u>	110
7.3.1	<u>Mareva Injunctions გამოყენების პრაქტიკა და მის აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურების უკროკაშირის სხვადასხვა წევრი ქვეყნების მაგალითზე</u>	111
8.	<u>ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებები სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა და აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ</u>	113
8.1	<u>ბრიუსელის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაცია №1215/2012 სამოქალაქო და კომერციული სასამართლო გადაწყვეტილებების იურისდიქციისა და ცნობა-აღსრულებაზე</u>	113
8.2	<u>ევროკავშირის წევრი ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყანაში აღსრულების პროცედურატიკა</u>	115
8.2.1	<u>რომელ სასამართლოს გააჩნია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უფლებამოსილება</u>	115
8.2.2	<u>რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაში უნდა მოხდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება</u>	117
8.2.3	<u>სამართლისარმოების რა ეტაპზე უნდა მოხდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება</u>	117
8.4	<u>სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება №1215/2012 დირექტივის მიხედვით</u>	118
9.	<u>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევები</u>	118
9.1	<u>სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პროცედურა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წესების მიხედვით</u>	118
9.2	<u>სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის და გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შემთხვევაში</u>	122
9.3	<u>სარჩელის უზრუნველყოფა როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების შემაღებელი ნაწილი</u>	124

10.	<u>სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით</u>	128
10.1	<u>ყადაღა როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და სასამართლოს პრაქტიკაში არსებული პრობლემატიკა</u>	131
10.1.1	<u>დაყადაღებული ქონების გამიჯვნა და მასთან დაკავშირებული პროცედურები</u>	133
10.1.2	<u>ყადაღის დადება იურიდიული პირის ანგარიშებზე და მასთან დაკავშირებული სპეციფიკა</u>	135
10.1.3	<u>საბანკო და სადაზღვევო დაწესებულებების მიმართ ყადაღის გამოყენების დაუშენებლობა</u>	138
10.2	<u>მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვის პრაქტიკული განსხვავება ყადაღისაგან</u>	144
10.3	<u>სეკვესტრი (ქონების იძულებითი მართვა) – მოპასუხისათვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახე</u>	146
10.3.1	<u>სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად სეკვესტრის გამოყენება და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა</u>	146
10.3.2	<u>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება სეკვესტრის – სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად გამოყენებასთან დაკავშირებით</u>	149
10.3.3	<u>სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) განსხვავება „მსგავსი“ ინსტიტუტებისგან</u>	150
10.4	<u>საბანკო გარანტიდან გამომდინარე სარჩელის უზრუნველყოფა</u>	153
10.5	<u>სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით იძულებითი აღსრულების პროცესის შეჩერება და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა</u>	155
10.5.1	<u>ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღმდეგის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება</u>	155
10.5.2	<u>ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება</u>	156
10.5.3	<u>სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღმრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ან რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ</u>	158
10.6	<u>სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის</u>	158

პირის სადაცო აქტის მოქმედების შეჩერება

11.	<u>სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სხვა ქვეყანის სასამართლოში/არბიტრაჟი მიმდინარე დავაზე</u>	160
11.1	<u>არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში</u>	161
11.2	<u>საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობა</u>	164
11.3	<u>საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-731 მუხლის ფართო განმარტება</u>	165
11.3.1	<u>საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფისას გამოსაყენებელი საპროცესო კანონმდებლობა</u>	166
11.3.2	<u>„საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის განმარტება საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე</u>	168
11.4	<u>„საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლით დადგენილი საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია საქართველოს ფარგლებს გარეთ სასამართლოში მიმდინარე დავაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას</u>	170
11.4.1	<u>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლთან დაკავშირებით დასკვნითი დებულებები</u>	173
	<u>ბიბლიოგრაფია</u>	177
		180

გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა

- გამომ. - გამომცემლობა
- გსსკ – გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
- ესსკ – ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
- ე.წ. – ეგრეთ წოდებული
- სკსკ – საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი
- სსკ – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- სსსკ – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
- იხ. – იხილეთ
- თბ. - თბილისი
- ქ.ერ. – ქურნალი
- ECJ – European Court of Justice
- ECHR – European Court of Human Rights
- eds - editors
- Prof. – Professor
- pp-page
- Dr. – Doctor
- UNCITRAL – United Nations Commission on International Trade Law
- UNIDROIT – International Institute for the Unification of Private Law
- IBA – International Bar Association
- ALI – American Law Institute
- Vol. – Volume
- Проф. – Профессор
- стр – страница

შესაგალი

საბჭოთა სამართლის სისტემის დაშლამ და თავისუფალ საბაზო ეკონომიკაზე გადასცლამ განსაკუთრებით ხელი შეუწყო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამის გამოხატულებაა სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო სამართლის კოდექსები, რომლებიც აგებულია მხარეთა თანასწორობის პრინციპზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისიდან, შედგენილია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების სრული გათვალისწინებით და შეიცავს ისეთ ნორმებსაც, რომლებიც აღრე მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან შედარებით განსხვავებულად აწესრიგებენ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებას, სამოქალაქო საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილ საპროცესო ურთიერთობებს.¹

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის დროს კულტურული პრობლემა აღმოჩნდა ეროვნულ დონეზე ლიტერატურის სიმცირე. მიუხედავად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის და საპროცესო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ესოდენ დიდი მნიშვნელობისა, აკადემიური წრის მიერ ეს სფერო სათანადოდ არ დამუშავებულა. სამწუხაროდ, სსსკ-ის ნორმების განმარტების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რომლებიც ხშირად შაბლონურია და რიგ შემთხვევებში ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები მხარეთა შორის ხელშეკრულების თავისუფლების უმნიშვნელოვანეს პრინციპს ემყარება. კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ გარიგებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლია დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომელიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. ² სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, საქართველოში დია და სამართლებრივი სამოქალაქო საზოგადოების შექმნისათვის საერთო სასამართლოებში კერძო დავების განხილვისას აუცილებელია ისეთი სამართლებრივი პროცედურის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს სასამართლოს მიერ მხარეთა შორის წარმოშობილი დავის სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტას და ამავდროულად, თანაბრად ხელმისაწვდომს გახდის საპროცესო საშუალებებს სამართალწარმოებაში მონაწილე სუბიექტებისათვის.³

¹ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, 5.

² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი.

³ გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური

საპროცესო უზრუნველყოფა თავის თავში მოიცავს მტკიცებულებების უზრუნველყოფის, უზრუნველყოფის გარანტიის და სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტებს.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს მტკიცებულებების როლი დიდია, ვინაიდან, სასამართლო, გადაწყვეტილების გამოტანისას, აფასებს მტკიცებულებებს, მათი საშუალებით ადგენს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის ქონე გარემოებებს. მართლმსაჯულების განხორციელებიდან გამომდინარე აუცილებელია მოხდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების შენარჩუნება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედი შეჯიბრებითობის პრინციპის მიუხედავად, კანონმდებელმა მტკიცებულების მნიშვნელობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩათვალა სასამართლოს დახმარება მტკიცებულებების შენარჩუნებაში და სსსკ-ის XIV თავით გაითვალისწინა მტკიცებულებების უზრუნველყოფის წესები.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არსებობს ყველა სამართლის სისტემაში. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანია პროცესის მიმდინარეობისას მოსარჩელის ინტერესების დაცვა. მათი გამოყენებით შეიძლება დაცული იქნას იმ მესამე პირის ინტერესებიც, რომელთაც ეხებათ სასამართლო წარმოება და ზოგადად სარჩელის უზრუნველყოფით ხდება მართლმსაჯულების ინტერესის დაცვა.⁴ ვინაიდან, ის ემსახურება მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

სსსკ-ის XXIII თავში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად ხარვეზები დღემდე მრავალია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უზრუნველყოფის გარანტიისთან, კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების ინსტიტუტს, დაგემდე ზიანის ფაქტის დადასტურების მკაცრი სტანდარტი, ხშირ შემთხვევაში იწვევს მოპასუხის უფლებების უხეშ დარღვევას.

სსსკ-ს 191-ე მუხლის პირველი ნაწილით მოსარჩელისათვის დადგენილია მოთხოვნა, სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებით მიმართვისას, მიუთითოს გარემოება, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთი ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით.

ხარისხის მოსაპოვებლად, 2012, 7.

<http://press.tsu.ge/data/db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf>.

⁴Rozalinova E. Angelov A., Georgiev, I., Jurisdiction, Recognition and Enforcement of Provisional and Protective Measures, International Cooperation in Civil Matter, Revista Forumul Judecătorilor, No. 4, 2012, 82. <<https://ssrn.com/abstract=2224223>>.

თუმცა, არცერთ განხილულ განჩინებაში სასამართლო არ მსჯელობს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანზე ან ისეთ ზიანზე, რომელიც კომპანიასირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, მაშინ როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებით გამოწვეული ზიანის უზრუნველყოფისათვის მოპასუხეს მკაცრად უდგენს პირდაპირი და არა ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე დაადასტუროს ზარალის ფაქტი.⁵

ნაშრომში წარმოჩენილია ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის უცნობი სარჩელის უზრუნველყოფის სახეები, რომლებსაც ითვალისწინებს ინგლისის, გერმანიის, ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, რაც საინტერესოა ქართული სამართლისათვის. ჩვენთვის უცხო ინსტიტუტების გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე, ისინი უპირველესად უნდა განვიხილოთ სამეცნიერო ნაშრომის ფურცლებზე, ვიდრე უშუალოდ აისახება კანონმდებლობაში.

ევროკავშირის დირექტივები მისი წევრი სახელმწიფოებისათვის სავალდებულოა შესასრულებლად. მათ აკისრიათ დირექტივებით შემოღებული რეგულაციების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის ვალდებულება.

საქართველომ არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადადგა ევროპის სამართლებრივ სივრცეში ინტეგრირებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. ნაშრომში ცალკე თავი აქვს დამობილი ევროკავშირის №1215/2012 დირექტივას, რომელიც ეხება სამოქალაქო და სამეწარმეო საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ცნობას და აღსრულებას ევროკავშირის ტერიტორიაზე.

საქართველოს საერთო სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის დადგენასთან დაკავშირებული პრობლემატიკა აფერხებს პირისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლების განხორციელებას. მნიშვნელოვანია მოხდეს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის გაზიარება, იმ დავებთან მიმართებაში, რომლის არსებითი განხილვა მიმდინარეობს სხვა ქვეყნის დავის განმხილველ ორგანოში და სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, სასამართლოს მიერ სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბება.

ნაშრომის მიზანია საპროცესო უზრუნველყოფის მიმართ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობითა თუ სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილი მირითადი საკითხების ანალიზი. შეფასებულია საქართველოს სასამართლოს

⁵ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 მაისის განჩინება, საქმე №010217716001258006

გადაწყვეტილებები უცხო ქვეყნის სასამართლოების, ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს და ეკროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკასთან მიმართებით. საერთაშორისო და ქართული პრაქტიკის ანალიზის შედეგად წარმოდგენილია რეკომენდაცია იმ პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ამ ინსტიტუტის არსებობას და არაერთგვაროვან მიღებომას უკავშირდება.

ნაშრომში მიმოხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას უკავშირდება.

სადისერტაციო ნაშრომის I თავი ეხება მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპების მიმართებას საპროცესო უზრუნველყოფასთან. საპროცესო უზრუნველყოფა სამოქალაქო სამართალწარმოების უმნიშვნელოვანების ნაწილია და მოისაზრებს მტკიცებულების უზრონველყოფას, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებსა და უზრუნველყოფის გარანტიას. პრინციპი, როგორც სახელმძღვანელო იდეა სამართლის ყველა დარგისთვისაა დამახასიათებელი. პრინციპი განსაზღვრავს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების არსეს. სამართლის ზოგადი პრინციპები ქვეყნის ძირითად კანონშია მოცემული.⁶

II თავი ეთმობა სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებს. გაანალიზებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპების განვითარების უტაკები. შედარებულია ერთმანეთთან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედ რედაქციაში არსებული პრინციპები და 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ძირითადი პრინციპები. წარმოჩენილია თანასწორობის, შეჯიბრებითობის და ღისპოზიციურობის პრინციპის მნიშვნელობა თანამედროვე სამოქალაქო საპროცესო სამართალში.

ნაშრომის III თავი მტკიცებულებების უზრუნველყოფას ეხება. განხილულია მტკიცებულების როლი მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაში. დეტალურად არის წარმოჩენილი მტკიცებულებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული განსახორცილებელი საპროცესო მოქმედებები. შედარებითი სამართლებრივი კვლევის მეთოდით ნაჩვენებია მტკიცებულების უზრუნველყოფის პრაქტიკა აშშ-ს, ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზე. ასევე საუბარია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და აღსრულებასთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე.

⁶ მაგ.: სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე – საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი; სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძვლზე – საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

IV თავში მოცემულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით გამოწვეული მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემატიკა. პრაქტიკაში იშვიათად ხდება ეგრეთ წოდებული კონტრუზრუნველყოფა, რისი მიზეზიც სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი მოსალოდნელი ზარალის უტყუარად დადასტურების აუცილებლობაა. დავის მონაწილის მიერ ვერ ხერხდება გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების მიერ მიყენებული (სავარაუდო) ზიანის უტყუარად დადასტურება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადაში მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფი თანხის შესაბამის სადეპოზიტო ანგარიშზე განუთავსებლობა იწვევს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას. დეტალურად არის განხილული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსეკის 197-ე მუხლით დადგენილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის დადგენილი 7 დღიანი ვადა.

ნაშრომის V თავი მოცელობითია და ეხება სარჩელის უზრუნველყოფას, მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ და პრაქტიკულ პრობლემატიკას. შედარებულია სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი და კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებთან მიმართებით. განხილულია ა) სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარდგენისათვის დადგენილი წინაპირობები; ბ) სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტთან დაკავშირებული განჩინებების გასაჩივრების საკანონმდებლო პრობლემატიკა; გ) სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრების სამართლებრივი შედეგები.

VI თავი ეხება მომავალი მოსარჩელის სამართლებრივ შესაძლებლობას მოახდინოს ჯერ არ აღმრული სარჩელის უზრუნველყოფა. შედარებითი ანალიზის საფუძველზე პარალელი გავლებული გერმანიისა და საბერძნეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ პროცედურებთან.

VII თავში განხილულია ინგლისის, გერმანიის და ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში არსებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცალკეული სახეები. წარმოჩენილია ინგლისის საპროცესო სამართლისთვის დამახასიათებელი Mareva Injunctions-ის აღსრულების პრობლემატიკა ევროკავშირის სხვადასხვა წევრი ქვეყნების მაგალითზე.

VIII თავი ეთმობა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებების მიმოხილვას, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემატიკის შესახებ. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებიდან და სავაჭრო ურთიერთობის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოხდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის აქტიური პარმონიზაცია ევროკავშირის სამოქალაქო საპროცესო სამართალთან.

XI თავი ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების, გამოყენებაზე უარის თქმის და გამოყენებული უზრუნველყოფის დონისძიების გაუქმების შემთხვევებს. განხილულია პრეცედენტული გადაწყვეტილებები და ცალკეული განმარტებები სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მოყვანილია სახელმწიფოს მიერ ცალმხრივი გამოუთხოვადი გარანტიის მაგალითები. სასამართლოს პრაქტიკაში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის როლი დიდია, ვინაიდან, აღსრულება არის სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი ნაწილი.

X თავში განხილულია სსსკ-ში მოცემული სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებები დამოსამართლის შესაძლებლობა, დონისძიება საქმის გარემოების გათვალისწინებით გამოიყენოს ისეთი უზრუნველყოფის დონისძიება, რომელიც სსსკ-ს 198-ე მუხლით არ არის გათვალისწინებული. ასევე, დეტალურად არის განხილული სასამართლო პრაქტიკაში არსებული პრობლემატიკა, რაც ხელს უშლის პირისათვის კონსტიტუციით მინიჭებული – სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებას.

XI თავში მოცემულია საქართველოს სასამართლოების მიერ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებას სხვა ქვეყანის სასამართლოში ანდა არბიტრაჟში მიმდინარე დავაზე. საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, საქართველოს სასამართლოებში იმატა „უცხო ელემენტი“-ით დატვირთულმა დავების რაოდენობამ. სხვადასხვა პროცედურული საკითხების დასარეგულირებლად, აუცილებელია მოხდეს ცალკეული კანონებით განსაზღვრული მსგავსი ურთიერთობის მომწერიგებელი ნორმების სწორი განმარტება. მათ შორის „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ, „არბიტრაჟის შესახებ“, და „საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონების ცალკეული ნორმების განმარტება საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შედარებით.

დასკვნით დებულებებში წარმოჩენილია საკითხების ურთიერთშეჯერების საფუძველზე გაანალიზებული სარჩელის უზრუნველყოფის, სარჩელის უზრუნველყოფის შედეგად მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებისა და მტკიცებულებებათა უზრუნველყოფის საკანონმდებლო და სასამართლოს პრაქტიკაში არსებული ხარვეზები. კვლევის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები და პრობლემის გადაჭრის რაციონალური გზები.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ზოგად სამეცნიერო და სპეციალური მეთოდები. ძირითადად არჩეული იქნა ისეთი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება როგორც თეორიული, ასევე, ემპირიული კვლევისთვის. კერძოდ: შედარების, ანალიზის, სინთეზის, ანალოგიის, ინდუქციის და დედუქციის მეთოდები.

შედარების მეთოდის გამოყენებით მოხდა შედარება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების მქონე ქვეყნების კანონმდებლობაში გათვალისწინებული საკვლევი საკითხის რეგულირების წესსა და საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ ანალოგიურ ინსტიტუტს შორის. ამ მეთოდის გამოყენებით გამოვლენილი სხვაობა და მსგავსება უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ საბერძნეთის, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის და სსკ-ის უზრუნველყოფის გარანტიის მომწესრიგებელ ნორმებს შორის.

შედარების მეთოდის გამოყენებით, ასევე, მოხდა ისტორიული პილევის მეთოდის გამოყენება, რის საფუძველზე განხილულია დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპების განვითარება სამოქალაქო საპროცესო სამართალში.

სინთეზის მეთოდით მოხდა კვლევის საკითხთან დაკავშირებით ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება. ანალიზის შედეგად მიღებული ცოდნა ამ მეთოდის გამოყენებით ერთ კონტექსტში მოთავსდა და მხოლოდ ამის შემდგომ გახდა შესაძლებელი ერთიანი სურათის მიღება.

ინდუქციის მეთოდმა უზრუნველყო ქართული ოუ სხვადასხვა ქვენის კანონმდებლობის, კანონქვემდებარე აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის შედეგად მიღებული ანალიზის შედეგად სხვადასხვაგარი დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. დედუქციის მეთოდით დადგინდა, კვლევის ყოველი კომპონენტი გამომდინარეობდა ოუ არა მთავარი აზრიდან.

ამ კვლევის მეთოდების გამოყენების შედეგად საერთაშორისო ხასიათის მომწესრიგებელი ნორმების ზოგადი დებულებებიდან, გამოკვლეული პრაქტიკიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან, კვლევისთვის საჭირო ნორმების განსჯის შედეგად მირითადი პრობლემების იდენტიფიცირება გახდა შესაძლებელი და მათი აღმოფხვრის წესი დადგინდა. ამ მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი გახდა საკვლევი საკითხის დეტალური და ამომწურავი გამოკვლევა და დასკვნების გაკეთება, რომლის პრაქტიკაში გამოყენება უკვე არსებული და ფესვგამდგარი მრავალრიცხვანი პრობლემის აღმოფხვრის წინაპირობაა.

1. საპროცესო უზრუნველყოფა სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებთან მიმართებაში

საპროცესო უზრუნველყოფა სამოქალაქო
მართლმსაჯულების ფუნდამენტური ნაწილია, რომლის განხორციელება, თავის მხრივ, საპროცესო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარეობს. საქმის განხილვის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, თანამედროვე მსოფლიოში საპროცესო უზრუნველყოფის საჭიროების საკითხი უფრო აქტუალური გახდა. სხვადასხვა სამართლებრივი მქანიზმები

არსებობს იმისთვის, რომ შემცირდეს იმ გველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის სიმძიმე, რაც დღევანდელ სამართალწარმოებაში არსებობს. ეს პრობლემა სამართალწარმოების ინერტულობაში გამოიხატება. ⁷ მათ მოსახსნელად სწრაფი რეაგირებაა საჭირო, რათა უკანასკნელს შეიძლება მოჰყვეს უარყოფითი შედეგები, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით.⁸

მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებაში ამ ინსტიტუტის როლი დიდია, რადგან უზრუნველყოფის დონისძიება უზრუნველყოფის, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებადობას, რაც თავის მხრივ, მართლმსაჯულების განუყოფელია ნაწილია.

სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეს დაეკისრება იმ ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება განიცადოს მოწინააღმდეგე მხარემ შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებით, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მან ასეთი უზრუნველყოფა უნდა განახორციელოს ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის გზით, რაც საქართველო სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მისაღებია გარანტიის უზრუნველსაყოფად.“. შესაბამისად, სასამართლო უზრუნველყოფის გარანტიას გამოიყენებს მხოლოდ მხარის ინიციატივით, მხოლოდ მხარის განცხადების საფუძველზე. საპროცესო მოქმედება შეიძლება გამოიხატოს სსსკ-ით დადგენილი სხვადასხვა მოქმედების განხორციელებისას, მათ შორის, მტკიცებულებების ანდა სარჩელის უზრუნველყოფისას. აღნიშნული ნორმის დებულება მოპასუხის ინტერესების დაცვას ემსახურება და მიმართულია იმისკენ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის უმართებულობის შემთხვევაში სათანადოდ იყოს უზრუნველყოფილი მოპასუხის უფლებები, რათა მას დაუსაბუთებლად არ მიადგეს ზარალი. ამ ნორმის მოქმედება ვრცელდება არა ნებისმიერ შემთხვევაში, არამედ მაშინ, როდესაც სასამართლოს ექმნება ვარაუდი შესაძლო ზიანის დადგომაზე. ზიანის დადგომის ალბათობა შეიძლება გამომდინარეობდეს, როგორც უშუალოდ საქმის მასალებიდან, ისე მოპასუხის მითითებით⁹ როდესაც მოპასუხე უთითებს ზიანის ალბათობის ფაქტზე, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, იგი ვალდებულია სათანადოდ დაასაბუთოს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურება.

⁷ De la Sierra S., Provisional Court Protection in Administrative Disputes in Europe: The Constitutional Status of Interim Measures Deriving from the Right to Effective Court Protection. A Comparative Approach. European Law Journal, Vol. 10, No. 1, 42, 2004. <<https://ssrn.com/abstract=513549>>

⁸ იქვე.

⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინება, საქმე №ას-832-884-2011.

სარჩელის უზრუნველყოფით ხდება მოსარჩელის ინტერესების დაცვა, ხოლო იმ ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებით, ხორციელდება მოპასუხის ინტერესების დაცვა¹⁰.

საპროცესო უზრუნველყოფის კუთხით გამოიკვეთა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პრინციპების მიმართება საპროცესო უზრუნველყოფის ინსტიტუტთან და მიზანშეწონილია მოხდეს სამოქალაქო საპროცესო სამართლის იმ ფუნდამენტური პრინციპების განხილვა, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება საპროცესო უზრუნველყოფას. ესენია: დისკოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპები.

“პრინციპი” ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დასაწყისს, დასაბამს. ტერმინი გამოიყენება რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ძირითადი ამოსავალი დებულების, სახელმძღვანელო იდეის, აგრეთვე, ქცევის ძირითადი წესის აღმნიშვნელად.¹¹

პრინციპი არის სახელმძღვანელო იდეა, რომელიც სამართლის ამა თუ იმ დარგის არსეს განსაზღვრავს. პრინციპებში აისახება სახელმწიფოს არსი, დემოკრატიულობის ხარისხი, სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი სტრუქტურის ბუნება. სამართლის პრინციპების თვისობრიობა სახელმწიფოს პოლიტიკასთან, მის ორგანიზაციულ მოწყობასთან არის დაკავშირებული და კონკრეტული სახელმწიფოს შინაარსით არის განპირობებული. სამართლებრივი სახელმწიფოს სამართალი დემოკრატიულ, მაღალი სამართლებრივი კულტურით გამსჭვალულ პრინციპებს ემყარება. სამართლის პრინციპები სათავეს ქვეყნის კონსტიტუციაში იღებენ და სამართლის ყველა დარგში აისახება.¹²

პრინციპებს დიდი ისტორია აქვს. მაგალითად, სამართალწარმოების ისეთი პრინციპები, როგორიცაა საქმის ზეპირობისა და დროის ეკონომიკურობის პრინციპი და რომელიც აქტიურად გამოიყენებოდა ძველ რომში, ¹³ დღესაც ამ დარგისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია.

პრინციპი ზოგადად ხსნის მოვლენას თუ რატომ უნდა მოხდეს ესა თუ ის ფაქტი.¹⁴ აქედან გამომდინარე სამართლის ყოველ დარგს გააჩნია ზოგადი, მთლიანად სახელმწიფოში არსებული სამართლისათვის დამახასიათებელი და ასევე,

¹⁰ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2005, 304.

¹¹ უცხო სიტყვათა დექსიკონი, თბ., 1973, 333.

¹² კობალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდაგა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, 2010, 19.

¹³ Metzger E., Roman Judges, Case Law, and Principles of Procedure (November 1, 2008).

Law and History Review, Vol. 22, pp. 243-75, 2004.<<https://ssrn.com/abstract=1293180>>.

¹⁴ Le Seuer A., Herberg J., English R., Principles of Public Law, First edition 1999, 6.

მხოლოდ კონკრეტული, ამა თუ იმ სამართლის დარგისათვის განკუთვნილი სპეციალური პრინციპები.¹⁵

იურიდიული ლიტერატურა სამართლებრივი პრინციპების ორ ძირითად სახეს განასხვავებს: ზოგად და სპეციალურ სამართლებრივ პრინციპებს. ზოგადი სახის პრინციპები ქვეყნის კონსტიტუციაშია განსაზღვრული. რამდენადაც კონსტიტუცია ქვეყნის ძირითადი კანონია და მას სამართლის ყველა სხვა დარღი უნდა შეესატყვისებოდეს, კონსტიტუციაში აღნიშნული პრინციპები ყველა სხვა სამართლებრივი დარგისათვის ზოგადი და სახელმძღვანელოა. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახად, სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწრობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.¹⁶ ამ პრინციპებზეა დაფუძნებული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. სპეციალური პრინციპები ზოგადი პრინციპების პარალელურად ქმნიან კონკრეტული სამართლებრივი დარგის შინაარსს. სპეციალური პრინციპები განსაზღვრავს სამართლის კონკრეტული დარგის განსაკუთრებულ თვისებებს და შეიცავს კონკრეტული სამართლის დარგისთვის სპეციფიკურ დებულებებს.¹⁷

2. სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები

2.1 სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებული იყო სამძებრო პრინციპზე. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები დეკლარირებული იყო ამ კოდექსით, მაგრამ ისინი პარალიზებული იყო ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპით. გარდა ამისა, სასამართლოს ევალებოდა მიეღო კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოერქვია საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი.¹⁸

1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავდა სპეციალურ მუხლს დისპოზიციურობის პრინციპის შესახებ, თუმცა მხარეებს მინიჭებული ჰქონდათ მთელი რიგი

¹⁵ კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, 2010, 19.

¹⁶

https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=30346&lang=ge

¹⁷ კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, 2010, 20.

¹⁸ ხოფერია ნ., შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში; შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა, თბ., 1999, 3.

უფლებები, რომლებიც მხოლოდ დისპოზიციურობის პრინციპით შეიძლებოდა ყოფილიყო განპირობებული.¹⁹ მხარეებს შეეძლოთ უარი ეთქვათ სარჩელზე, ეცნოთ სარჩელი, ან კიდევ, საქმე დაემთავრებინათ მორიგებით. მაგრამ, კოდექსის 34-ე მუხლი შეიცავდა ისეთ დათქმას, რომლის თანახმადაც სასამართლოს შეეძლო არ მიეღო მოსარჩელის უარი სარჩელზე, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა ან არ დაუმტკიცებინა მხარეთა მორიგება, თუ ასეთი ქმედება ეწინააღმდეგებოდა კანონს, ან არღვევდა ვისიმე უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს.

სასამართლოს მხრიდან ასეთ ჩარევასაც ჰქონდა შემდეგი გამართლება. კერძოდ, სასამართლოს ევალება იყოს აქტიური და დაადგინოს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება, გამოიტანოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება. ამაში ხედავდნენ დისპოზიციურობის სოციალისტური პრინციპის ძირეულ განსხვავებას დისპოზიციურობის ბურჟუაზიული პრინციპისაგან.²⁰

1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებულ ასეთ ნორმაში ცალსახად იკვეთება მხარეების მატერიალური და საპროცესო უფლებების თავისუფალი განკარგვის მთლიანი უგულებელყოფა არა მაგრამ, მნიშვნელოვანი შეზღუდვა. შესაძლებელია, კომუნისტური წყობის პერიოდში 34-ე მუხლის შინაარსის მსგავსი ნორმის არსებობაც დიდ მიღწევად ითვლებოდა, რადგან სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში ეტყოდა მხარეებს უარს სარჩელის ცნობაზე ან მორიგების დამტკიცებაზე, თუ ეს ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არღვევდა ვისიმე უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს.

2.2 სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

2.2.1 დისპოზიციურობის პრინციპი

დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო პროცესში, რომელიც სამოქალაქო მატერიალური სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის – ნების ავტონომიის ანარეგლია, ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას განკარგოს თავიანთი არამარტო მატერიალური, არამედ საპროცესო უფლებები. დისპოზიციურობის პრინციპზეა აგებული მთელი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. ამ პრინციპითაა განმსჭვალული მისი ყოველი ნორმა.²¹ სწორედ ამ პრინციპის მნიშვნელობიდან გამომდინარე საქართველოს 1997 წლის ახალმა საპროცესო კოდექსმა ამ პრინციპის მიმართ დამოკიდებულება გამოხატა იმით, რომ ნორმა სპეციალურ მუხლად იქნა ჩამოყალიბებული.²²

¹⁹ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2005, 77.

²⁰ იქვე.

²¹ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2005, 78.

²² ხოფერია ნ., შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში; შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა, თბ., 1999, 9.

სსსპ-ს ფუნდამენტური პრინციპის - დისპოზიციურობის პრინციპის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ,²³ ამდენად, როგორც სასამართლოში დავის დაწყება, ისე მოთხოვნის ჩამოყალიბება თუ დავის საგნის განსაზღვრა მხოლოდ მხარის პრეროგატივაა, სასამართლოს როლი, სამოქალაქო სამართლწარმოების ფარგლებში, განისაზღვრება მხარეთ მიერ განსაზღვრული მოთხოვნის საფუძვლიანობის მათ მიერვე წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში გამოკვლევასა და სამართლებრივ შეფასებაში. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, კიდრე ის მოითხოვდა.²⁴

საპროცესო კანონმდებლობით აღიარებულია რა მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპი – ადმრან სარჩელი, ან უარი თქვან სარჩელზე, სასამართლოს ვალდებულებაა ხელი შეუწყოს ამ პრინციპის რეალიზაციას იმგვარად, რომ მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა გააცნობიერონ ის სამართლებრივი შედეგები, რაც მოჰყვება მათ მიერ განხორციელებულ ქმედებას.²⁵ დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პრინციპებიც და პრაქტიკაც რადიკალურად შეიცვალა.

სასამართლო მხარეებს ანიჭებს სრულ თავისუფლებას, რათა თავად განსაზღვრონ თუ როდის და რა სახის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენოს, რათა მისი უფლებები ეფექტურად იქნება დაცული. სასამართლო გამორიცხავს ამ პრინციპის რაიმე ფორმით შეზღუდვას და მხოლოდ იტოვებს უფლებამოსილებას, მხარის მიერ წარმოდგენილი დასაბუთების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოიყენებაზე.

დისპოზიციურობის	პრინციპი	სამოქალაქო
სამართლწარმოებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია და შესაბამისი ადგილიც უკავია საპროცესო კანონმდებლობაში. ამ პრინციპზე დაყრდნობით სამოქალაქო სამართლწარმოების მხარეებს გააჩნიათ სრული თავისუფლება საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ თითოეული საპროცესო მოქმედება და ინტერესების უკეთ დასაცავად კანონის ფარგლებში ყველა ზომას მიმართონ.		

²³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი.

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 სექტემბრის განჩინება, საქმე №ას-395-374-2013.

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1-ლი ივლისი განჩინება, საქმე №ას-484-460-2013.

2.2.2 შეჯიბრებითობის პრინციპი

შეჯიბრებითობის პრინციპი მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად დამკვიდრებულია საქართველოს კონსტიტუციით, რისი წყალობითაც ამ პრინციპმა სახელმწიფო ებრივი სამართლებრივი, ანუ კონსტიტუციური მნიშვნელობა შეიძინა. კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, “სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე”.²⁶ ამ პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა ორივე ურთიერთდაპირისპირებული მხარის ინტერესების თანაბრად გათვალისწინება ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს.²⁷ ლიტერატურაში სწორედ შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომიდნარე ხსნიან მოსამართლეთა მცირე რაოდენობის არსებობას აშშ-ში, ვინაიდან, მხარეები და მათი ადგომატები ვალდებული არიან განახორციელონ ის მოქმედებები, რასაც გერმანიაში მოსამართლე თავად ახორციელებს.²⁸

სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპზე უნდა განხორციელდეს, რომლის თანახმადაც, თითოეული მხარე სარგებლობს თანაბარი შესაძლებლობით, რათა განკარგონ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები. სამოქალაქო სამართალწარმოებაში თითოეული მხარის უფლებრივი ტვირთია იმ ფაქტების მითითება და დამტკიცება, რომლითაც მხარეებს სურ დაასაბუთონ თავიანთი სასარჩევლო მოთხოვნები ან გაძარწყვლონ სასარჩევლო მოთხოვნათა დასასაბუთებლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.²⁹

შეჯიბრებითობის პრინციპზე საუბრისას აუცილებლად ყურადღება უნდა გავამახვილოთ ინკვიზიციურობის პრინციპზე, რომლის თანახმად სასამართლო ვერ დასჯერდება მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თვითონაა ვალდებული თავისი ინიციატივით შეკრიბოს მტკიცებულებები, განსაზღვროს მტკიცების საგანი, მიიღოს ყველა ზომა მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების დასადგენად. ეს მეთოდი დაედო საფუძვლად 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსს.³⁰

1997 წლის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი

²⁶ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2005, 85.

²⁷ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2007, 106.

²⁸ C.H. van Rhee and Remme Verkek, Civil Procedure, J.M. Smits (ed.), Elgar Encyclopedia of Comparative Law, Cheltenham etc., 2006, 121.

<<http://tcpbckup1.yolasite.com/resources/Elgar%20Encyclopedia%20of%20Comparative%20Law%20By%20Jan%20M%20Smits.pdf>>. 25.02.2018

²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-1673-1569-2012.

³⁰ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, 7.

ინიციატივით მიმართოს სსსკ-ში გათვალისწინებულ დონისძიებებს, მაგრამ სასამართლოს შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ამას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, გამოითხოვოს მტკიცებულებები მხარეთა შუამდგომლობით; ³¹ სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული რომელი მტკიცებულება მიიღოს და რომელი არ მიიღოს; ³² სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია დაადგინოს, აგრეთვე, ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება. ³³ ასევე, თუ სასამართლო მიიჩნევს რომ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიაღეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება, ასევე, გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.

შეჯიბრებითობის პრინციპის სასარგებლოდ მიუთითებს შემდეგი ფაქტები: უპირველეს ყოვლისა, საქმის ფაქტიური მხარე უკეთესად შეიძლება დადგენილ იქნეს მის მიერ, ვინც უფრო ახლოს იცნობს მას, იცის, თუ რა სახის მტკიცებულებებით შეიძლება მისი დამტკიცება და სად შეიძლება ეს მტკიცებულებანი მოძიებულ იქნეს. ზუსტად, ასევე, თვით მხარეები არიან ყველაზე მეტად დაინტერესებული საქმის გარემოებების მოკვლევით. ყოველი მხარე მიისწრაფვის, მოიგოს პროცესი და ამ მიზნით ცდილობს მოიძიოს და წარუდგინოს სასამართლოს ყველა ფაქტი, რაც მის სასარგებლოდ მიუთითებს და მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნების უპასუხებს. ³⁴ სასამართლო მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, არ არის დაინტერესებული იმით თუ რომელი მხარის სასარგებლო გადაწყვეტილება იქნება მიღებული. სასამართლოსთვის მთავარია, რომ მთელი პროცესი წარიმართოს პროცესუალურ ნორმების დარღვევის გარეშე, საპროცესო კანონმდებლობა, თავის მხრივ, დაინტერესებულია, სასამართლოს შინაგანი რწმენა ჩამოუყალიბდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად.

³¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103, 203-ე მუხლი.

³² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლი.

³³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლი.

³⁴ ხოვერია ნ., შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაო საპროცესო სამართალში; შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა, თბ., 1999, 12.

2.3 სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები ტრანსნაციონალურ სამოქალაქო საპროცესო სამართალში

საპროცესო სამართლის ნორმები არის თამაშის ის წესები, რომელთა საფუძველზეც მიღებულ უნდა იქნას სასამართლოს გადაწყვეტილება.³⁵ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ წამოჭრა დავები სხვადასხვა ქვეყნის კომპანიებს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღის წესრიგში დადგა ტრანსნაციონალური სამოქალაქო საპროცესო სამართლის ჩამოყალიბების საკითხი, მაგრამ როგორ უნდა იქნას მიღწეული ეს მიზანი და როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი წესები. მის ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება განვიხილოთ ერთიანი კოდექსის ჩამოყალიბება. მსგავსის მცდელობა იყო ლათინურ ამერიკაში, თუმცა ამ კოდექსს სავალდებულო ხასიათი არ გააჩნდა.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ საპროცესო კანონმდებლობის ჰარმონიზაციას უარყოფითი შედეგები ექნება, მაგალითად ქვეყანას, რომელსაც ეფექტური, ქმედითი საპროცესო კანონმდებლობა გააჩნია, მოუწევს საპროცესო ნორმების შეცვლა და საერთო სტანდარტებთან დაახლოება, რაც არახელსაყრელი შეიძლება იყოს კონკრეტული ქვეყნის სამართლის სისტემისთვის.³⁶ რა თქმა უნდა, უნიფიკაციის მომხრეებს რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება გააჩნიათ. მათი აზრით, საპროცესო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია რეალურად შესაძლებელია და ადვილად მიღწევადიცაა. უბრალოდ ჰარმონიზაციას ექნება ფრაგმენტული ხასიათი, მოხდება გარკვეული ნორმების და პროცედურების დაახლოება, ანუ სახეზე გვექნება ნაწილობრივი უნიფიკაცია. აღნიშნული უფრო რთულია მატერიალური სამართლის კუთხით, სადაც მიმდინარეობს სრული სტანდარტიზაცია.³⁷

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთიანი წესების ჩამოყალიბების არაერთი მცდელობა იყო. ყველაზე ახალი და მაშტაბური პროექტი იყო ამერიკის სამართლის ინსტიტუტისა³⁸ და კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის³⁹ ერთობლივი მცდელობა, “ტრანსნაციონალური სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები და წესები”⁴⁰ მიზნად ისახავს საერთო და სამოქალაქო სამართლის

³⁵ Rubenstein W. B., The Concept of Equality in Civil Procedure (August 2001). Cardozo Law Review, Vol., 2002, 23.

<<https://ssrn.com/abstract=281271>>,<<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.281271>>.25.02.2018

³⁶ Van Rhee C.H., Verkerk R., Civil Procedure in: J.M. Smits, Elgar encyclopedia of Comparative Law, Cheltenham etc., 2006, 124.

³⁷ იქვე.

³⁸ ALI - American Law Institute

³⁹ UNIDROIT - International Institute for the Unification of Private Law

⁴⁰ <<https://www.unidroit.org/instruments/transnational-civil-procedure>>

დაახლოებას/შეპირისპირებას კომუნიული დავების კუნით, ⁴¹ რომელიც დავების განხილვის პროცესს უფრო გამჭვირვალეს გახდის და ხელს შეუწყობს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას.⁴² სხვა უპირატესობა შეიძლება მდგომარეობდეს ზოგადად სამართლის სისტემების დაახლოებაში.⁴³ ამ პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ისაა, რომ მას გააჩნია დამატებითი და არასავალდებულო ხასიათი.⁴⁴

ავტორთა ნაწილი, ⁴⁵ მაგალითად ნეილ ანდრიუსი, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებს ორ ჯგუფად აერთიანებს. პირველი - ფუნდამეტური საპროცესო გარანტიები, რომელიც მოიცავს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: სასამართლოს კომპეტენცია, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, მხარეთა თანასწორობა და აშ. მეორე ჯგუფს პირობითად უწოდებს სამართალწარმოების წამყვან პრინციპებს და მასში მოიაზრებს: დისპოზიციურობის, განსჯადი სასამართლოს, მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპს და აშ.

2.3.1 თანასწორობის პრინციპი და უკანონო დისკრიმინაციის აქტმალვის პრინციპი

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ტრანსნაციონალური სამოქალაქო საპროცესო წესების მესამე მუხლზე, რომელიც შეეხება მხარეთა საპროცესო თანასწორობაზე. კერძოდ:

- სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორი მოპყრობა და მისცეს მათ ზომიერი შესაძლებლობა დაიცვან მათი უფლებები.
- თანასწორი მოპყრობის უფლება მოიცავს ყველანაირი უკანონო დისკრიმინაციის თავიდან აცილებას, განსაკუთრებით, საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით დისკრიმინაციის არიდებას.
- სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ყველა ის სირთული, რაც შეიძლება თან სდევდეს პროცესში უცხო ქვეყნის წარმომადგენლის მონაწილეობას.

⁴¹ Andrews N., Fundamental Principles of Civil Procedure: Order Out of Chaos, Civil litigation in a Globalising World, Editors: Kramer, X.E., van Rhee, C.H. (Eds.), 2012, 19

⁴² Gidi A., Notes on Criticizing the Proposed ALI/Unidroit Principles and Rules of Transnational Civil Procedure. Uniform Law Review, Vol. 6, No. 4, p. 820, 2001; U of Houston Law Center No. 2007-A-45., <<https://ssrn.com/abstract=1016886>>.

⁴³ Andrews N., Fundamental Principles of Civil Procedure: Order Out of Chaos, Civil litigation in a Globalising World, Editors: Kramer, X.E., van Rhee, C.H. (Eds.), 2012, 20

⁴⁴ Gidi, Antonio, Notes on Criticizing the Proposed ALI/Unidroit Principles and Rules of Transnational Civil Procedure. Uniform Law Review, Vol. 6, No. 4, p. 819, 2001; U of Houston Law Center No. 2007-A-45. <<https://ssrn.com/abstract=1016886>>.

⁴⁵ Andrews N., Fundamental Principles of Civil Procedure: Order Out of Chaos, Civil litigation in a Globalising World, Editors: Kramer, X.E., van Rhee, C.H. (Eds.), 2012, 20

- მხარემ არ უნდა გადაიხადოს თანხა იურიდიული დახმარებისთვის, ან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ არის საქმის განმხილველი ქვეყნის მოქალაქე ან/და მაცხოვრებელი.

ოფიციალური დოკუმენტი ინგლისურ ენაზეა შედგენილი, შესაბამისად თარგმანის დროს ხდება მისი არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია. ამიტომ ამ დოკუმენტზე მომუშავე ავტორები, ცდილობენ მის ამომწურავ განმარტებას. ამ დოკუმენტის მიზნებისთვის ზომიერი პრინციპი განიმარტება, როგორც თანაზომიერი, პროპორციული, მნიშვნელოვანი, გადაუჭარბებელი და სამართლიანი.

რაც შეეხება უკანონო დისკრიმინაციას, ავტორები მასზე ზოგადი ხასიათის განმარტებას იძლევიან და კრძალავენ დისკრიმინაციას ეროვნების, საცხოვრებელი ადგილის, სქესის, რასის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური კუთვნილების, სქესობრივი ორიენტაციის, ეროვნული უმცირესობის საფუძველზე. ტრანსნაციონალური საპროცესო სამართლის პრინციპებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე მხარის დისკრიმინაციის აკრძალვა მოქალაქეობის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საპროცესო უზრუნველყოფას ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ერთნაირი დოზით არ ითვალისწინებს, ამიტომ ტრანსნაციონალური სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპების განმარტებისას ავტორები მიუთითებენ, რომ საპროცესო უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნეს მსგავსი საკითხის ზოგადი სტანდარტები ⁴⁶ და არ უნდა შეიღაბოს პირის უფლება, მხოლოდ იმის გამო, რომ მისი ქვეყნის კანონმდებლობა სხვა ფორმით ითვალისწინებს საპროცესო უზრუნველყოფის საკითხს.

წესებზე მომუშავე ჯგუფი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უზრუნველყოფის საკითხს, რომ საერთო სისტემიდან ცალკე ნაწილად აქვს გამოყოფილი. ტრანსნაციონალური საპროცესო წესები არ გამორიცხავს უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის გარკვეული საფასურის დაწესებას, მაგრამ საფასური არ უნდა დაეცისროს მხარეს მხოლოდ იმის გამო, რომ იგი არ არის საქმის განმხილველი ქვეყნის მოქალაქე ან მცხოვრები.

2.4 სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და სასამართლო პრაქტიკაში

საპროცესო კანონმდებლობის ჰარმონიზაციამ გარკვეული პროგრესი განიცადა. ზოგიერთი კონვენცია, რომელიც

⁴⁶Hazard G. C. JR, Taruffo M., Sturmer R., Gidi A., ALI/UNIDROIT Principles and Rules of Transnational Civil Procedure, UNIDROIT 2005, Study LXXVI – Doc. 13, 1

სამოქალაქო და ადამიანის უფლებებს შეეხება შეიცავს საპროცესო კანონმდებლობის ფუნდამეტურ გარანტიებს, როგორიცაა სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, ეფექტური, საჯარო და ზეპირი მოსმენა, ასევე, სასამართლო განხილვა დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ.

- . . . ყველას აქვს მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-14(1) მუხლი.
- . . . ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-6(1) მუხლი.
- . . . ყველა პირს აქვს მისი საქმის განხილვის უფლება ჯეროვანი გარანტიების საფუძველზე ... ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-8 (1) მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე მხოლოდ სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოებისას. აღნიშნული უფლების დიდ მნიშვნელობასა და მის ფუნდამენტურობას ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა სწორედ სამართლიანი სასამართლო უფლების დაღვევას ეხება. კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიები უფრო ყოვლისმომცველია სისხლის, ვიდრე სამოქალაქო სამართალწარმოებისას.⁴⁷

ეს გარანტიები საერთო საერთაშორისო სტანდარტებია, რაც ცნობილია, როგორც საპროცესო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის უნივერსალური პრინციპები.⁴⁸

ბრიტანეთის 1998 წლის ადამიანის უფლებათა აქტით, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია პირდაპირი მოქმედი დოკუმენტი გახდა ინგლისელი იურისტებისთვის. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ⁴⁹ ეს ფორმულირება მოიცავს მხარის უფლებას: ისარგებლოს შეჯიბრებითობის, თანასწორობის პრინციპით, მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობით და

⁴⁷ ხუციშვილი ქ., ბოხაშვილი ბ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები სამართალი, 2004, 230.

⁴⁸ Hazard G. C. JR, Taruffo M., Sturmer R., Gidi A., ALI/UNIDROIT Principles and Rules of Transnational Civil Procedure, UNIDROIT 2005, Study LXXVI – Doc. 13, 1.

⁴⁹ Andrews N., Fundamental Principles of Civil Procedure: Order Out of Chaos, Civil litigation in a Globalising World, Editors: Kramer, X.E., van Rhee, C.H. (Eds.), 2012, 31.

მიუკერძოებელი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ურთიერთსაწინააღმდეგო კერძო ინტერესებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესში მხარეთა თანასწორუფლებიანობა გულისხმობს, რომ თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს საკუთარი პოზიციის, მათ შორის, მტკიცებულებების წარდგენის გონივრული შესაძლებლობა ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ ჩააყენებს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით.⁵⁰

ადამიანის უფლებათა ეკროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამართლებრივ საშუალებათა თანასწორობის დაცვა სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი მხარეა. სამართლებრივ საშუალებათა თანასწორობის პრინციპის თანახმად, სამართალწარმოების თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, რათა საქმესთან დაკავშირებით თავისი არგუმენტაცია წარმოადგინოს სასამართლოს წინაშე ისე, რომ არსებითი უთანასწორობა არ განიცადოს მეორე მხარესთან მიმართებით.

თანასწორობის პრინციპი, ასევე, გამოიყენება სამოქალაქო სამართალწარმოებასთან მიმართებით და დარღვეულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც, მაგალითად, განმცხადებლებს არ ეძლევათ საშუალება, პასუხი გასცენ წერილობით არგუმენტაციას, რომელიც წარმოდგენილია სასამართლოს წინაშე სახელმწიფო წარმომადგენლის - ადვოკატის მიერ. ⁵¹ საქმეში Ankerl v. Switzerland, ⁵² სასამართლომ არ დაადგინა თანასწორობის პრინციპის დარღვევა, როდესაც შევიცარიის სასამართლომ უარი განუცხადა განმცხადებლის მეუღლეს, ფიცის ქვეშ მიეცა ჩვენება სასამართლოსათვის განმცხადებლის საჩივრის მხარდასაჭერად.⁵³

სახელმწიფოებს მინიჭებული აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება სასამართლოზე ხელმისაწვდომობის საშუალებათა უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, დადგენილ იქნეს გარკვეული შეზღუდვები სასამართლოზე ხელმისაწვდომობასთან მიმართებით. თუმცა, აღნიშნული შეზღუდვები ზიანს არ უნდა აყენებდეს თვით ხელმისაწვდომობის უფლების ძირითად არსს, უნდა ემსახურებოდეს კონკრეტულ კანონიერ მიზანს და უნდა იყოს პროპორციული. სასამართლოს მიერ განხილული შეზღუდვები მათ შორის მოიცავს: სარჩელის უზრუნველყოფის დონისიძებების გადასახადებს, კონკრეტული კატეგორიის მოსარჩელეთა მიერ სამართალწარმოების აღმცრის შეზღუდვას და ხანდაზმულობის ვადებს.

⁵⁰ <<http://echr.ketse.com/doc/14448.88-en-19931027/view/>>.

⁵¹ Ruiz Mateos v. Spain. <<https://www.legal-tools.org/doc/1face9/pdf/>> 06.03.2018

⁵² <[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":"001-58067"}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{) 25.02.2018

⁵³ ხუციშვილი ქ., ბოხაშვილი ბ., ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004, 240.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზოგიერთ საქმეზე დასაშვებად მიიჩნია ფიზიკურ პირთაოვის სასამართლო ხელმისაწვდომობაზე გარკვეული სახის, მათ შორის, ფინანსური შეზღუდვის დაწესება. აღნიშნული შესაძლებლობა განსაკუთრებით იმ საქმეებს ეხება, სადაც საჩივრის დასაშვებობაზეა საუბარი ან სადაც მართლმსაჯულება მომჩივანისაგან იმ ხარჯების ანაზღაურებას ითხოვს, რომლებიც მეორე მხარემ გასწია.⁵⁴

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, იმისათვის, რათა სახელმწიფოებისათვის მინიჭებული დისკრეციის საფუძველზე სასამართლოზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით დადგენილი შეზღუდვები კონვენციის მე-6 მუხლთან შესაბამისად ჩაითვალოს, უნდა აქმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს;
- შესაბამისობაში უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპთან;
- ზიანს არ უნდა აყენებდეს თვით სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების არსეს.⁵⁵

საერთაშორისო კონვენციები, შეიცავენ ისეთ მუხლებს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ეხმიანებიან საპროცესო კანონმდებლობის ისეთ პრინციპებს, როგორიცაა შეჯიბრებითობის, დისპოვიზიურობის, მხარეთა თანასწორობის პრინციპს. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიაჩნია, რომ საპროცესო უზრუნველყოფის გამოყენებისათვის დაწესებული საკანონმდებლო მოთხოვნები, გარკვეულწილად ზღუდავს პირის სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, მაგრამ ეს შეზღუდვა გამართლებულია თუ ის ემსახურება კანონის მიზანს. ამასთან, შეზღუდვა ზიანს არ უნდა აყენებდეს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას. არ უნდა დაიღვეს პროპორციულობა ამ ინსტიტუტის მიზანსა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას შორის. პროპორციულობაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ მაგალითად: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განცხადების, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების/ გამოყენებაზე უარის თქმის განჩინების და ამ განჩინების გასაჩივრების ვადა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის დაწესებულ ბაჟს ცალსახად სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვად განიხილავს, თუმცა ამ შეზღუდვას ამართლებს თუ ის ემსახურება კანონის მიზანს.

⁵⁴ მესხიშვილი ქ., ბაჟი მაგისტრატი მოსამართლეების განსჯად საქმეებზე, ბაჟისაგან გათავისუფლებისა და ბაჟის ოდენობის შემცირების შიდასახლმწიფოებრივი და საერთაშორისო სტანდარტები, 9, <<http://library.court.ge/upload/64482012-07-05.pdf>> 03.03.2018.

⁵⁵ ხუციშვილი ქ., ბოხაშვილი ბ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლი, 2004, 236.

3. მტკიცებულებების უზრუნველყოფა სამოქალაქო საპროცესო სამართალში

3.1 მტკიცებულების არსი

მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტური წინაპირობაა. მართლმსაჯულების ეფექტურობა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და დროულ სამართალწარმოებაში ჰქოვებს თავის გამოხატულებას.⁵⁶

სასამართლო შემეცნების ფორმების თვალსაზრისით საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:

1. გარემოებები, რომლებიც განაგრძობენ არსებობას სასამართლოს მიერ საქმის განხილვა-გადაწყვეტისას (ე.ო. აწმყოს ფაქტები) და ამიტომ, შესაძლებელია მათი დადგენა განგრძობადი აღქმის გზით;
2. გარემოებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წარსულში და ამიტომ შეუძლებელია დადგინდეს მხოლოდ გაშუალებული გზით, მტკიცებულებების გამოყენებით.

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნულ ორივე სახის გარემოებათა დადგენის წესს.⁵⁷

სსსკ-ს შესაბამისად პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებულია უშუალოდ გამოიკვლიოს მტკიცებულებები. სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ უნდა მოისმინოს საქმის მონაწილის ახსნა-განმარტება, მოწმის ჩვენება, ექსპერტის დასკვნა, მოსამართლე უნდა გაეცნოს წერილობით მტკიცებულებებს, დაათვალიეროს ნივთიერი მტკიცებულებები. ამიტომ უშუალობის წესის დარღვევა, მისგან გადახვევა სასამართლო პრაქტიკაში კვალიფიცირდება, როგორც სასამართლოს შეცდომა.

ამასთან, კანონით დადგენილია ორი გამონაკლისი სასამართლოს ამ ვალდებულებიდან. ამ გამონაკლის შემთხვევაში სასამართლოს მიერ ხდება სამოქალაქო საქმის გარემოებათა გაშუალებული შემეცნება. საუბარია მტკიცებულებათა უზრუნველყოფასა და სასამართლო დავალებაზე.⁵⁸

⁵⁶დოქტ. შმიტი შ., რიპტერი პ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, 2013, 3.

⁵⁷ გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაბოვნებლად, 2012, 7.

<http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf>. 18.03.2018

⁵⁸ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2012, 237.

3.2 მტკიცებულებების სამართლებრივი მნიშვნელობა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას

მტკიცებულება ეს არის კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან და კანონიერი წესით მიღებული ცნობები, რომელთა საფუძველზე მხარეები იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.⁵⁹

შეუძლებელია მოიძებნოს იურისტი, რომელმაც უარყოს მტკიცებულებათა მნიშვნელობა სამოქალაქო, ადმინისტრაციული, საარბიტრაჟო, თუ სისხლის საპროცესო სამართალში. მტკიცებულებებს გააჩნიათ შინაარსი, ანუ სასარჩელო ფაქტების შესახებ ინფორმაცია; პროცესუალური ფორმა, რომელიც იწოდება მტკიცების კანონიერ ფორმად, დაბოლოს, მათ ახასიათებს მტკიცებულებითი ინფორმაციის მიღებისა და გამოკვლევის, და მტკიცების საშუალებების განსაზღვრული პროცესუალური წესრიგი. ეს სამი ნიშანი განსაზღვრავს სასამართლო მტკიცებულების სამართლებრივ ბუნებას. დასახელებული ნებისმიერი კომპონენტის არარსებობა განაპირობებს მთლიანად მტკიცებულების უკუგდებას. მტკიცებულება მოკლებულია თავის შემეცნებით შინაარსს და პროცესუალურ ფორმას. შესაბამისად, იგი არაა მტკიცებულება.⁶⁰

მტკიცებულების უზრუნველყოფა (მისი ფიქსაცია საქმის სასამართლო განხილვის დაწყებამდე) წარმოადგენს ფაქტობრივი მონაცემების კანონით დადგენილი წესით ოპერატიულად ფიქსირებას (განმტიცების) ხერხს, საშუალებას, რასაც ახდენს სასამართლო მტკიცებულებად მათი გამოყენების მიზნით. ეს საშუალება გამოიყენება სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევამდე. ⁶¹ სსსკ განსაზღვრავს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზანს, კერძოდ, ყოველთვის, როცა არსებობს საშიშროება, რომ საჭირო მტკიცებულების წარდგენა სასამართლოში შეუძლებელი ან მნელი იქნება, დაინტერესებულ პირს შეუძლია სთხოვოს სასამართლოს ამ მტკიცებულების უზრუნველყოფა.⁶²

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის აუცილებლობა შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს განპირობებული, როგორიცაა მაგ.: მოწმის ავადმყოფობა, მისი ხანგრძლივად წასვლა მივლინებაში, სამუშაოდ სხვა ქვეყანაში წასვლა, ნივთიერ მტკიცებულებათა მალფუჭებადობა და აშ. ⁶³

⁵⁹ არხოშაშვილი ლ., მტკიცებულებათა უზრუნველყოფა სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით, რობაქიძის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, <<http://library.court.ge/upload/78102015-07-28.pdf>>. 18.03.2018

⁶⁰ გაგუა ი. მტკიცების ტვირთი ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2013, 22.

⁶¹ ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2012, 237.

⁶² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლი 1-ლი ნაწილი.

⁶³ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2005, 266.

აუცილებლობა რა თქმა უნდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად ფასდება.

3.3 მტკიცებულების უზრუნველყოფის განსხვავება სარჩელის უზრუნველყოფისაგან

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა თვისობრივად განსხვავდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისაგან და სასამართლოს დავალებებისგან. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის მიზნით ხორციელდება, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება. ამდენად, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა და სარჩელის უზრუნველყოფა განსხვავებული ცნებებია, შესაბამისად, ორივე შემთხვევაში განსხვავებული საპროცესო მოქმედებებია შესასრულებელი. უზრუნველყოფის ამ ღონისძიებათა კანონში ნებისმიერი კონტექსტით მითითება პირდაპირი მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული და მათი განმარტება თვისობრივი ნიშნით იგივეობაზე, დაუშვებელია,⁶⁴ რაც შეეხება სასამართლო დავალებისგან მტკიცებულების უზრუნველყოფის განსხვავებას. სასამართლო დავალებით ხდება მტკიცებულებათა შეგროვება და შემოწმება იმ შემთხვევაში, როცა მათი წარდგენა და შემოწმება საქმის განმხილველ სასამართლოში ძნელია ან შეუძლებელია.⁶⁵ ლოგიკურია, რომ სწორედ მტკიცებულებათა მნიშვნელობა განაპირობებს მისდამი ეგოდენ სტაბილურ ყურადღებას დოქტრინასა და პრაქტიკაში., მეცნიერთა ნაწილისხვაობას ხედავს მტკიცებულებით სამართალსა და პროცესს შორის. კერძოდ, პროცესი ითვალისწინებს სასამართლოში საქმის განხილვის წესებს, რომლის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების მიღება, ხოლო მტკიცება – ეს არის მოსამართლის დარწმუნება, დაქვემდებარება ლოგიკის კანონებისადმი.⁶⁶

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა – ესაა საპროცესო მოქმედება, რომელსაც ასრულებს სასამართლო ან ერთპიროვნულად მოსამართლე იმ მიზნით, რათა კანონით დადგენილი წესით დაამაგროს მტკიცებულებები სამოქალაქო საქმის არსებითად განხილვის დროს მათი გამოყენებისათვის,⁶⁷ რომლის მიზანი საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, იგი უნდა განხორციელდეს საქმის წარმოების დამთავრებამდე, ხოლო როცა დავა არსებითად გადაწყვეტილია, მოცემული სადაცო სამართლებრივი ურთიერთობისათვის

⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის განჩინება, საქმე ას-827-1190-06.

⁶⁵ ლილუაშვილი თ., ხრუბალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომეტარი, 2007, 215.

⁶⁶ გაგუა ი. მტკიცების ტვირთი ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2013, 220.

⁶⁷ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2005, 266.

მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობს.⁶⁸

3.4 მტკიცებულების როლი სასამართლოსთვის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაში

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც, მხარეს ანიჭებს შესაძლებლობას, დაიცვას ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, და დავის განმხილველ ორგანოს აძლევს საშუალებას, დავა განიხილოს სწრაფად და დაადგინოს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება. ⁶⁹ მოსამართლემ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს საქმეში მონაწილე ორივე მხარის პოზიციიდან უნდა შეხედოს. საქმის ნამდვილი გარემოებების დანახვა და მხარეთა რეალური ურთიერთობების გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ ასეთ შემთხვევაში. ცხადია, ამ დროს მოსამართლეზე მოქმედებს ძლიერი ემოციური ფონი, მაგრამ მთავარი ამ ემოციის არსებობა როდია, მთავარი ისაა აქვს თუ არა ადგილი ამ ემოციის მართვას და საბოლოო ჯამში, ჩამოყალიბდება თუ არა ყოველგვარი ემოციისგან განთავისუფლებული შინაგანი რწმენა.⁷⁰

არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ⁷¹ სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არ არსებობოს შესახებ. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება შეიძლება საფუძლად დაედოს სასამართლო გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე დარწმუნდება ამ ფაქტობრივი გარემოების ნამდვილობაში. არ უნდა შეგვექმნეს შთაბეჭდილება, თითქოს მოსამართლე ინდივიდუალურად აფასებს წარდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ანუ მათი შეფასება არ ექვემდებარება კონტროლს. მოსამართლის წინაშე არსებული ამოცანა უფრო მეტია, ვიდრე წარდგენილი იურიდიული ფაქტების (მტკიცებულებების) სუბიექტური შეფასება. სწორედ ობიექტური გარემოებები წარმართავს მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას.

⁶⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აპრილის განჩინება, საქმე №ას-258-516-08.

⁶⁹ მაჩაიძე ო., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, წელიწელი 2015, 101.

⁷⁰ გაგუა ი., მტკიცების ტვირთი ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2013, 31.

⁷¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი.

მტკიცებულებების განსაზღვრა, შეგროვება და სასამართლოსთვის წარდგენა მტკიცების ტვირთის ძირითადი ნაწილია, რაც საბოლოოდ გავლენას ახდენს საქმის განმხილველი სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბება. “მტკიცების ტვირთი” უნდა განიმარტოს, როგორც მოდავე მხარეთა იმგვარი საპროცესო მოქმედება, რომლის შესრულებაზე ან პირიქით, შეუსრულებლობაზეა დამოკიდებული სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეზე მოდავე მხარეთათვის ხელსაყრელი, თუ არახელსაყრელი გადაწყვეტილების მიღება.⁷²

3.5 შუამდგომლობა მტკიცებულებების უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

პირს, რომელსაც საფუძველი აქვს იფიქროს, რომ მისთვის საჭირო მტკიცებულებათა წარდგენა შემდგომში შეუძლებელი ან ძნელი გახდება, შეუძლია, სთხოვოს სასამართლოს ამ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა. ⁷³ სსსკ-ს 112-ე მუხლის შესაბამისად, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განცხადებულ შუამდგომლობაში უნდა აისახოს მტკიცებულებანი, რომელთა უზრუნველყოფაც აუცილებელია, გარემოებანი, რომელთა დასადასტურებლად აუცილებელია, ეს მტკიცებულებანი და მიზეზები, რომელმაც აიძულა განცხადებელი მიემართა შუამდგომლობით მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ. ⁷⁴ თუ გავითვალისწინებთ მტკიცებულებათა მნიშვნელობას დავის ობიექტურად გადაწყვეტისათვის, შეგვიძლია თავისუფლად მივუთითოთ სამოქალაქო პროცესში უზრუნველყოფის დიდ მნიშვნელობაზე.⁷⁵

მტკიცებულებათა თეორიაში მტკიცების ქვეშ მოიაზრება სასამართლოსა და სხვა პირების მტკიცებითი საქმიანობა, რომელიც მოიცავს შემდეგ სტადიებს: მტკიცების საგნის განსაზღვრა, მტკიცებულებათა შეგროვება (მტკიცებულებათა გამოვლენა), მათი შეკრება და სასამართლოში წარდგენა), მტკიცებულებათა სასამართლოში გამოკვლევა, მტკიცებულებათა შეფასებას. ⁷⁶ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად საფრანგეთში, მტკიცებულებათა მოპოვების წესები გაწერილია როგორ

⁷² გაგუა ი., მტკიცების ტვირთი ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართლადში, 2013, 31.

⁷³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლი.

⁷⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 14 იანვრის განჩინება, საქმე №ას-3/884-01

⁷⁵ ლილუაშვილი ბ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოტორის აკადემიური ხარისხის მოსამავლებლად, 2009, 29

<http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/bakur_liliashvili.pdf> 21.02.2018

⁷⁶ გაგუა ი., მტკიცების ტვირთი ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართლადში, 2013, 25

სამოქალაქო, ისე სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში.⁷⁷

სსსკს თანახმად, იმ პირს, რომელსაც საფუძველი აქვს იფიქროს, რომ მისთვის საჭირო მტკიცებულებათა წარდგენა შემდგომში შეუძლებელი ან ძნელი გახდება, შეუძლია სთხოვოს სასამართლოს ამ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა დასაშვებია სასამართლოში საქმის აღმდეგ. ⁷⁸ საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს სასამართლო ისედაც ვალდებულია შეამოწმოს მხარის მიერ წარმოდგენილი და სასამართლოს მიერ შეკრებილი ყველა მტკიცებულება, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მთავარ სხდომაზე არ დაისვას უზრუნველყოფის საკითხი.⁷⁹

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე მტკიცებულებათა უზრუნველყოფა დასაშვებია, როგორც საქმის განხილვის დროს, ისე საქმის აღმდეგ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არ არის გათვალისწინებული მტკიცებულებათა უზრუნველყოფა საქმის განხილვის დასრულების შემდეგ. ⁸⁰ ვინაიდან, მტკიცებულების უზრუნველყოფის მიზანი აღარ არსებობს.

განცხადება მტკიცებულების უზრუნველყოფის შესახებ რა ფორმითაც არ უნდა იქნეს გაკეთებული, იქნება ეს წერილობითი თუ ზეპირი შუამდგომლობა, იგი უნდა იყოს მოტივირებული, რათა სასამართლოს შეეძლოს გადაწყვიტოს უზრუნველსაყოფი მტკიცებულების დასაშვებობისა და განკუთვნადობის საკითხი. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ ზეპირი განცხადებით აღმდგომლობა შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.⁸¹

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ მტკიცებულებით შეიძლება დადასტურდეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოება, ანუ, გარემოება, რომელიც ასაბუთებს მოსარჩევის მოთხოვნას ან მოპასუხის შესაგებელს.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით შესასრულებელი დონისძიების გასატარებლად არ კმარა მხოლოდ ის, რომ მტკიცებულებას მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. აუცილებელია, აგრეთვე, არსებობდეს რეალური

⁷⁷ van Rhee C.H., R. Verkerk, Civil Procedure in: J.M. Smits (ed.), Elgar encyclopedia of Comparative Law, Cheltenham etc., 2006, 121.

<<http://tcpbackup1.yolasite.com/resources/Elgar%20Encyclopedia%20of%20Comparative%20Law%20By%20Jan%20M%20Smits.pdf>> 15.02.2018

⁷⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აპრილის განჩინება, საქმე №ას-258-516-08.

⁷⁹ ლილუშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, 218.

⁸⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აპრილის განჩინება, საქმე №ას-258-516-08.

⁸¹ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2012, 238.

საშიშროება იმისა, რომ ამ მტკიცებულების მოგვიანებით წარდგენა ან გამოყენება ძნელი ან შეუძლებელი გახდება. თუ ასეთი საშიშროება არ არსებობს, სასამართლომ უარი უნდა თქვას მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე, ⁸² რადგან მტკიცებულებათა უზრუნველყოფა მათი დამაგრების ფორმაა. ეს ნიშნავს, რომ მათ უზრუნველსაყოფად შესაბამისი მოქმედებების შესრულების დროს არ ხდება მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად საჯმარისობის შეფასების საკითხის გადაწყვეტა. მაგრამ მათი შესახებობისა და დასაშვებობის საკითხი უნდა გადაწყვდეს მანამ, სანამ მოსამართლე შეასრულებს შესაბამის მოქმედებებს მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად.⁸³

3.6 შუამდომლობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში საქმის აღძვრამდე

3.6.1 შუამდომლობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში საქმის აღძვრამდე საქართველოს მაგალითზე

მტკიცებულებების მოძიება წარმოდგენა ეკისრებათ მხარეებს და არა სასამართლოს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მხარემ უკეთ იცის რა დაადასტურებს მათ მოთხოვნას. ანალოგიურად მეორე მხარემ იცის თუ რითი გააქარწყლოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაარწმუნოს სასამართლო მისი მოთხოვნის კანონიერებაში.⁸⁴ მითუმეტეს, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცების ტვირთი მოსარჩევესა და მოპასუხე მხარეს შორის თანაბრად არის გადანაწილებული.⁸⁵

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა დასაშვებია სასამართლოში საქმის განხილვამდეც.⁸⁶ თუ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სასამართლოში საქმის აღძვრამდე, მაშინ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს იმ რაიონის (ქალაქის) სასამართლოს ან ამ რაიონის (ქალაქის) მაგისტრატ მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს საპროცესო მოქმედების შესრულება (მაგ. მოწმის დაკითხვა, ადგილზე დათვალიერება და ა.შ.). სარჩელის აღძვრის შემდეგ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით შეკრებული მასალები გადაეგზავნება საქმის განმხილველ სასამართლოს,⁸⁷

⁸² ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, 219.

⁸³ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2012, 238.

⁸⁴ Leubsdorf J., Evidence Law as a System of Incentives, Research Papers Series No:065, 2, available at: <<http://ssrn.com/abstract=1566974>> 09.03.2018

⁸⁵ Allen R. J., Stein A., Evidence, Probability, and the Burden of Proof, Arizona Law Review, Vol. 54, pp 557-602 (2013), 558, <<http://ssrn.com/abstract=2245304>>

⁸⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი

⁸⁷ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, 217.

რაც შეიძლება მოხდეს, როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ასევე, სასამართლოს ინიციატივითა.

დიდი სიფრთხილე მართებთ მხარეებს სასამართლოს წინაშე ნებისმიერი საკითხის დასმისას, რადგან ყოველი საპროცესო მოქმედება საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადითა და წესით ხორციელდება. სასამართლოსადმი მიმართული მოთხოვნა მკაფიოდ და ნათლად უნდა იყოს ფორმულირებული. ერთ-ერთი დავის დროს მხარემ იშუამდგომლა სასამართლოს მეშვეობით მტკიცებულებების გამოთხოვაზე, რაც არსებითად განსხვავდება მტკიცებულებათა უზრუნველყოფისაგან. მტკიცებულებათა უზრუნველყოფისაგან განსხვავებით, მტკიცებულებათა გამოთხოვა დასაშვებია უკვე აღმრულ სარჩელზე, ანუ მოცემულ შემთხვევაში მითითებულ მტკიცებულებათა სასამართლოს მეშვეობით გამოთხოვა დასაშვები იქნებოდა, თუკი აპელაცის დადგენილი წესით შეტანილი ექნებოდა შეგებებული სარჩელი. ⁸⁸ შესაბამისად, მხარეს უარი ეთქვა მტკიცებულებების გამოთხოვაზე.

3.6.2 შუამდომლობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში საქმის აღმვრამდე ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე

პრაქტიკულად, მტკიცებულებების შეგროვებისაკენ მიმართული მოქმედება უნდა დაიწყოს ჯერ კიდევ საქმის აღმვრამდე, რაც ნიშნავს იმას, რომ სასარჩელო წარმოების დაწყებამდე მოსარჩელე ან მისიწარმომადგენელი უნდა დარწმუნდეს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობასა და სასარჩელო ფაქტების დასადასტურებლად შესაბამისი მტკიცებულებების არსებობაში.⁸⁹

აშშ-ში სასამართლო პირს ვალდებულებად ჩათვლის მტკიცებულებების უზრუნველყოფასთან მიმართებაში,⁹⁰ თუ იგი დავის დაწყებამდე მეორე მხარისაგან მიიღებს შეტყობინებას ურთიერთობის შეწყვეტის ან გაფრთხილების შესახებ. სწორედ ამ მომენტიდან წარმოიშობა საქმისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების შენახვის ვალდებულება. მტკიცებულებების

⁸⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 14 იანვრის განჩინება, საქმე №ას-3/884-01.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლოს მიღებით მტკიცებულებების უზრუნველყოფაზე უფრო სენსიტიურია. სასამართლოს განხინების არსებობის მიუხედავად მხარეს გვისრება მოახდინოს საქმესთან არსებითად დაკავშირებული დოკუმენტების შენახვა სათანადოდ, რათა შემდგომ მოხდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენა. დოკუმენტების შენახვის ვალდებულება წარმოიშობა მაშინ როდესაც მხარე მიიღებს გაფრთხილების წერილს. წერილში მითითებული უნდა იყოს დავის დაწყების შესაძლებლობა, მაგრამ სავალდებულო არ არის აპელირება კეთდებოდეს მტკიცებულებების შენახვაზე. იხ. Spencer B. A., The Preservation Obligation: Regulating and Sanctioning Pre-Litigation Spoliation in Federal Court, 79 Fordham L. Rev. 2005 (2011), 2009 <<http://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol79/iss5/7>> 25.12.2017.

უზრუნველყოფის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას კონკრეტული მარეგულირებელი, საკანონმდებლო და სასამართლოს განჩინებებიდან, რომელიც ითვალისწინებს საქმისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების თუ ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.⁹¹

ინგლისური კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს მტკიცებულებათა შეგროვებასა და გამოქვეყნებას ჯერ კიდევ, სასამართლოში საქმის წარმოების დაწყებამდე. მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთი დავის არსის დადგენაში, სხვა სიტყვებით, დავის შემადგენელი ძირითადი საკითხების გამოვლენაში მდგომარეობს. მოსამზადებელ სტადიაზე ხდება დავის საგნის დადგენა და შეჯიბრებითი ქაღალდების გაცვლა, რაც ხელს უწყობს მხარეთა ინფორმირებულობასა და სასამართლო სხდომაზე მოულოდნელობის ეფექტის თავიდან აცილებას. ⁹² აშშ ფედერალური კანონმდებლობის დონეზე არ არეგულირებს მტკიცებულებების წინასწარი უზრუნველყოფის ვალდებულებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნული ინსტიტუტს მაინც დიდი ადგილი უჭირავს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში და ის არის სამოსამართლო სამართლის შედეგი.

3.6.3 შუამდომლობა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში საქმის აღმვრამდე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების - მოლდავეთის, ყაზახეთის, ბელარუსის, უზბეკეთის მაგალითზე

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის უფლებამოსილება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს აქვს. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მხარე სასამართლოს წარუდგენს სანოტარო წესით დამოწმებულ ე.წ. მოწმეთა ჩვენებებს და ახსნა-განმარტებებს. ამგვარი დოკუმენტები არ მიეკუთვნება რაიმე სახის მტკიცებულებებს და მათზე დაყრდნობით დაუშვებელია გადაწყვეტილების მიღება. ⁹³ თუმცა არის ქვეყნები, სადაც სასამართლოში საქმის წარმოების დაწყებამდე მტკიცებულებების უზრუნველყოფას ახდენს ნოტარიუსი ან საკონსულო. ⁹⁴ მოლდავეთის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 127 მუხლის მეორე პარაგრაფის თანახმად,

⁹¹ Spencer B. A., The Preservation Obligation: Regulating and Sanctioning Pre-Litigation Spoliation in Federal Court, 79 Fordham L. Rev. 2005 (2011) <<http://ir.lawnet.fordham.edu/flr/vol79/iss5/7>> 25.12.2017.

⁹² გაგუა ი., მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით ჟურ. მართლმაჯულება და კანონი, (4) (27), 24.

⁹³ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2012, 238.

⁹⁴ ყირგიზეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის მუხლი 68.2, ყაზახეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 76.2, ტაჯიკეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 67.2 და რუსეთის ფედერაციის სანოტარო სამართლის ფუნდამეტური პრინციპების XX თავი.

სანოტარო ბიურო და დიპლომატიური წარმომადგენლოებია ის ორგანოები რომლებიც ახდენენ მტკიცებულებების უზრუნველყოფას სასამართლოში სარჩელის შეტანამდე.⁹⁵

ბელარუსსა და უზბეკეთში ნოტარიუსები მხოლოდ იმ შემთხვევაში ახდენენ მტკიცებულების უზრუნველყოფას, თუ ეს მოთხოვნილია სხვა ქვეყნისგან.⁹⁶

3.7 მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განჩინება, განჩინების გასაჩივრება და გასაჩივრების გადები

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის საკითხის განხილვას თან სდევს სასამართლოს შემდეგი მოქმედებები: სასამართლო მოახდენს მხარეთა ინფორმირებას მტკიცებულებათა უზრუნველყოფის დროისა და ადგილის შესახებ, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი საპროცესო მოქმედებების შესრულებას. გადაუდებელ შემთხვევაში მტკიცებულებათა უზრუნველყოფა შესაძლებელია მხარეთა შეუტყობინებლადაც.⁹⁷

სასამართლოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ გამოაქვს განჩინება, სადაც კონკრეტულად უთითებს იმ საპროცესო მოქმედებას, რომელიც უნდა შესრულდეს. მაგალითად დაიკითხოს მოწმე, ჩატარდეს დათვალიერება.

სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული განჩინების გასაჩივრებისაგან განსხვავებით, მტკიცებულების უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ, განჩინება საჩივრდება კერძო საჩივრით, რომელიც განიხილება სსსკ-ს 414-420 მუხლებით დადგენილი წესით.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოწინააღმდეგებ მხარეს არა აქვს უფლება კერძო საჩივრით გაასაჩივროს განჩინება. თუ სასამართლო უარს ეტყვის მხარეს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე, მას ეძლევა საშუალება კერძო საჩივრით გაასაჩიროს უარი, რომელიც განიხილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

საინტერესოა, როგორ საჩივრდება სარჩელის აღმერამდე მტკიცებულების უზრუნველყოფაზე უარი. მხარეს საჩივარი შეაქვს განჩინების გამომტან სასამართლოში და სასამართლო საქმის მასალებთან ერთად საერთო წესით აგზავნის ზემდგომ სასამართლოში, მაგრამ განსხვავებული სურათია თუ სასამართლო უარს იტყვის მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე მთავარ სხდომაზე იმ მოტივით, რომ მას სარჩელის აღმერამდე ან საქმის მოსამზადებელ სტადიაზე არასაპატიო მიზეზით არ

⁹⁵ Civil Procedure in Cross-Cultural Dialogue: Eurasia Context, Conference Book, Edited by Dmitry Maleshin, Moscow 2012, 352 <<http://ssrn.com/abstract=2280682>> 20.02.2018.

⁹⁶ ბელარუსის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 234.2, უზბეკეთის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 61.2.

⁹⁷ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლი, 2012, 239.

მოუთხოვია მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, მიუხედავად იმისა, რომ უარი საჩივრდება კერძო საჩივრით, ეს არ უნდა გახდეს საქმის გადადების საფუძველი და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ უნდა იქნეს განხილული გაწყვეტილებასთან ერთად. სამართლიანად ჩნდება კითხვა, აღნიშნული ხომ ჩვეულებრივ საჩივარს დაემსგავსება, რაც შეიტანება ისეთ განჩინებაზე, რაც საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად საჩივრდება. აღნიშნული მხოლოდ პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილებისა და დროის ეკონომიურობის პრინციპით ვერ გამართდება

სსსკს 104-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებათა გამოთხოვაზე უარის თქმის განჩინება ცალკე არ საჩივრდება, მაგრამ მისი გასაჩივრება დასაშვებია სასამართლო გადაწყვეტილებასთან ერთად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად. სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამის შესახებ მითითებულია საკასაციო საჩივარში და არსებობს მოთხოვნა ამ განჩინების გაუქმების შესახებ, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში.⁹⁸

3.8 მტკიცებულებათა უზრუნველყოფა

დამატებითი/განმეორებითი

მხარეებს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ პროცესის ნებისმიერ სტადიაზე გაეცნონ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით შეკრებილ მასალებს და გამოთქან თავიანთი მოსაზრებები ამ მასალებისა და საერთოდ, უზრუნველყოფის მიზნით შესრულებულ საპროცესო მოქმედებათა შესახებ.⁹⁹ მხარეებს, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდენ თუ არა ისინი მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში, უფლება აქვთ გამოთქან თავიანთი მოსაზრებები და მიუთითონ იმ ხარვეზებზე, რომლებსაც მათი აზრით, ადგილი ჰქონდა უზრუნველყოფის დროს.¹⁰⁰ თუ მხარეებს გააჩნიათ დასაბუთებული შენიშვნები იმ ხარვეზების შესახებ, რაც თან სდევდა მტკიცებულებების უზრუნველყოფას, საქმის

⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 14 იანვრის განჩინება, საქმე №ას-3/884-01.

⁹⁹ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, 224.

¹⁰⁰ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2012, 239.

განმხილველ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს
მტკიცებულებათა დამატებითი ან განმეორებითი
უზრუნველყოფა.

საქმის წარმოების რომელ ეტაპზეა შესაძლებელი
მტკიცებულებების დამატებითი/განმეორებითი უზრუნველყოფა.
ამასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ
გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ სსსკ-ს 117-ე მუხლის
შესაბამისად, მტკიცებულებათა დამატებითი და განმეორებითი
უზრუნველყოფა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საქმის
განხილვის დროს და არა საქმის წარმოების დასრულების
შემდეგ.¹⁰¹

3.9 მტკიცებულებების უზრუნველყოფა საარბიტრაჟო დავაში და მასთან დაკავშირებული პროცედურები

მტკიცებულებების უზრუნველყოფის მნიშვნელობიდან
გამომდინარე, თითქმის ყველა ადგილობრივი კანონმდებლობა და
საარბიტრაჟო წესები დავის განმხილელ არბიტრაჟს ანიჭებს
უფლებამოსილებას, მიიღოს გადაწყვეტილება მტკიცებულებათა
უზრუნველყოფის მიზნით. ქართული რეგულირება ეფუძნება
UNCITRAL-ის მოდელურ კანონს,¹⁰² თუმცა არსებობს გარკვეული
სხვაობა.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად,
უზრუნველყოფის საგანია ის მტკიცებულებები, რომლებიც
„შესაძლებელია“, უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავას და მის
გადაწყვეტას.¹⁰³ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის
მე-17 მუხლის პირველი ნაწილი საარბიტრაჟო განხილვის
დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს ანიჭებს
უფლებამოსილებას შუამდგომლობით მიმართონ არბიტრაჟს
საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების
გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო
შეთანხმებას. ამავე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის
თანახმად, არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარის მიმართვის
საფუძველზე, წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით,
გონივრულ ვადაში დაავალოს მხარეს იმ მტკიცებულებების
შენახვა და შენარჩუნება, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს
საარბიტრაჟო დავას და მის გადაწყვეტას.¹⁰⁴ თუ „არბიტრაჟის
შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის სათაურიდან
გამომდინარე ვისმჯელებთ, ეს მუხლი უნდა არეგულირებდეს

¹⁰¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და
გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აპრილის განჩინება, საქმე №ას-
258-516-08.

¹⁰² http://www.uncitral.org/uncitral/en/uncitral_texts/arbitration/1985Model_arbitration.html

29.03.2018

¹⁰³ მაჩაიძე ო. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები
ქართულ კანონმდებლობაში, წელიწელი 2015, თბილისი, 2015, 101.

¹⁰⁴ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი.

მხოლოდ არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საკითხებს. ამავე კანონის მე-18 მუხლთან სისტემური ანალიზის საფუძველზე მიზანშეწონილია ან „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის სახელწოდების გაფართოება, ან მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებების მომწერივებელი ნორმის ცალკეულ მუხლად ჩამოყალიბება.¹⁰⁵

მოდელური კანონის თანახმად, უზრუნველყოფას ექვემდებარება ის მტკიცებულებები, რომლებიც რელევანტურია (Relevant) და არსებითი (Material) დავის გადასაწყვეტად.¹⁰⁶ ამ ტერმინების დამკვიდრება მსჯელობის საგანი გახდა მოდელურ კანონში შესატანი ცვლილებების დროს: რამდენად მიზანშეწონილი იყო ტერმინების - „Relevant“ და „Material“ - კუმულაციური გამოყენება. როგორ უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი, თუ მტკიცებულება იყო რელევანტური (Relevant), მაგრამ არა არსებითი (Material) და პირიქით.¹⁰⁷ საბოლოო ჯამში მიღებული რეგულაციით მტკიცებულებათა უზრუნველყოფის დროს მტკიცებულება უნდა იყოს რელევანტური და არსებითი. სამუშაო ჯგუფის პოზიცია ემყარებოდა იმ დასაბუთებას, რომ მსგავსად აწესრიცხებდა ამ საკითხს საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის¹⁰⁸ წესები „საერთაშორისო კომიტეტი არბიტრაჟში მტკიცებულებათა მოპოვების შესახებ“. გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფის განმარტებით, რელევანტურობა (Relevant) მოითხოვს, რომ მტკიცებულება დაკავშირებული იყოს მიმდინარე საარბიტრაჟო დავასთან, ხოლო არსებითობა (Material) ადგენს, რომ მტკიცებულება უნდა იყოს მნიშვნელოვანი დავის გადასაწყვეტად.¹⁰⁹

არბიტრაჟის მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობა მტკიცებულებების დავის გადაწყვეტასთან კავშირის უფრო დაბალ სტანდარტს ადგენს, ვიდრე მოდელური კანონი, რაც განმცხადებელ მხარეს უმსუბუქებს მტკიცების ტვირთს. ვინაიდან, მხარისათვის უფრო ადვილია ამტკიცოს მტკიცებულებების „შესაძლო“ კავშირი, ვიდრე ის, რომ მტკიცებულებები კუმულაციურად მნიშვნელოვანი და არსებითია დავის გადასაწყვეტად. თუმცა, როგორც ქართული საარბიტრაჟო პრაქტიკან ირკვევა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მოთხოვნით არბიტრაჟს ნაკლებად მიმართავენ.¹¹⁰

¹⁰⁵ მაჩაიძე ო. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, წელიწდეული 2015, თბილისი, 2015, 100.

¹⁰⁶ UNCITRAL-ის მოდელურ კანონის მე-17.2 (დ) მუხლი.

<https://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998_Ebook.pdf>

24.02.2018.

¹⁰⁷ მაჩაიძე ო. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, წელიწდეული, თბ., 2015, 101.

¹⁰⁸ International Bar Association

¹⁰⁹ მაჩაიძე ო. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, წელიწდეული 2015, თბილისი, 2015, 101.

¹¹⁰ იქვე, 102.

3.10 მტკიცებულებების უზრუნველყოფის თავისებურება ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესების მიხედვით

აშშ-ს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა იცნობს მტკიცებულების ისეთ სახეს, როგორიცაა ფიცის ქვეშ ჩვენების მიცემა. მტკიცებულების ეს სახე სუბიექტური ხასიათის მატარებელია, ანუ ფაქტის დადასტურება ხდება ფიზიკური პირის მიერ. სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესების 27-ე მუხლი არეგულირებს ფიცის ქვეშ ჩვენების ჩაწერის საკითხს.¹¹¹ აღნიშნული მუხლის მიღებას წინ უსწრებდა, მთელი რიგი პროცესები. Hall v. Miller Stout ერთადერთი საქმეა, სადაც სასამართლო თეორიულად მსჯელობს მტკიცებულების უზრუნველყოფაზე. კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა (ფიცის ქვეშ ჩვენების ჩაწერა) საჭიროა არა იმიტომ რომ არსებობს მტკიცებულების განადგურების საშიშროება, არამედ გასათვალისწინებელია ის გარემოება რა მდგომარეობაშიც შეიძლება აღმოჩნდეს პირი გარკვეული დროის შემდეგ. შესაძლებელია ახალმა გარემოებამ აღარ მისცეს ჩვენების მიცემის საშუალება. აქედან, გამომდინარე უზრუნველყოფის საჭიროება დამოკიდებული არა პირის ფიზიკურ მდგომარეობაზე, არამედ მის უნარზე მომავალში შეძლებს თუ არა ის საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დადასტურებას.¹¹²

განსხვავებულ სურათს გხვდებით საქმეში Arizona v. California, ¹¹³ რომელიც აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ერთადერთი გადაწყვეტილებაა, სადაც სასამართლომ მხარის განცხადება, რომ მოწმე შესაძლოა საქმის დაწყების დროს ცოცხალი აღარ ყოფილიყო, საკმარისად მიიჩნია უზრუნველყოფის ბრძანების გამოსაცემად. Hall- ის საქმისგან განსხვავებით, Arizona – ას საქმეში სასამართლომ მნიშვნელობა მიანიჭა მოწმის ფიზიკურ მდგომარეობას, მაგრამ არცერთმა სასამართლომ არ მოთხოვა განმცხადებელს დასაბუთება იმისა, რომ მტკიცებულება დაიკარგებოდა.¹¹⁴ სსკ-საგან- განსხვავებით,

¹¹¹ პირს ვისაც სურს შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოახდინოს ფიცის ქვეშ ჩვენების მიცემის ჩაწერა, უნდა მიმართოს იმ რაიონის სასამართლოს სადაც ცხოვრობს დასაკითხი პირი. ბრძანების მისადებად წარდგენილ განცხადებაში უნდა მიუთითოს დასაკითხი პირის სახელები. ასევე უნდა დაასაბუთოს, რომ იგი იქნება შეერთებული შტატების სასამართლოს განსჯად საქმეში მხარე, მაგრამ ამ ეტაპზე ვერ ახერხებს სარჩევის შეტანას, დაასაბუთოს მისი ინტერესი, დაასახელოს ფაქტები რის გამოც სურს ჩვენების ჩაწერა. სხდომის ჩაწარებამდე 21 დღით ადრე განმცხადებელი უზრუნველყოფს ბრძანების ჩაბარებას დასაკითხი პირებისთვის. თუ საპატიო მიზეზით ვერ ხერხდება ჩაბარება, სასამართლომ შეიძლება მიიღოს გამოქვეყნების ვალდება.

<http://www.law.cornell.edu/rules/frcp/rule_27> 25.02.2018.

¹¹² Hall v. Miller Stout, 2:2004cv00184, January 24, 2004.

¹¹³ Arizona v. California 373 U.S. 546 (1963).

¹¹⁴ Kronfeld N.A., The Preservation and Discovery of Evidence Under Federal Rule of Civil Procedure 27, The Georgetown Law Journal, Vol. 78:593, 599.

სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესები ამერიკის შეერთებული შტატების მოსამართლებს საშუალებას აძლევს სანქციებიც დააწესონ იმ პირთა მიმართ, რომლებიც საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დამდგენ დოკუმენტებს თუ სხვა სახის მტკიცებულებებს სათანადოდ არ შეინახავენ.¹¹⁵ სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესების 37-ე (ბ) მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დააწესოს სანქცია იმ პირის მიმართ ვინც არ დაემორჩილება სასამართლოს ბრძანებას მტკიცებულებების წარმოდგენაზე ან გამოკვლევაზე.¹¹⁶ თუმცა ყველა ოლქის სასამართლოს ერთიანი დამოკიდებულება არ აქვს ამ მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით.¹¹⁷ მათი პოზიცია ცალსახაა, სანქცია უდავოდ უნდა დაწესდეს იმპირის მიმართ ვინც განზრას გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან დოკუმენტაციას, მაგრამ ზოგი მოსამართლე სანქციის დაწესებას სამოქალაქო საპროცესო წესების 37-ე (ბ) მუხლით ამართლებს, ზოგიც კი იმ განსაკუთრებული უფლებამოსილებით, რაც საქმის წარმოებას და კანონიერი, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას ემსახურება. მართალია, არცერთ მტკიცებულებას წინასწარ დადგენილი ძალა არ გააჩნია, მაგრამ მტკიცებულებების მიმართ მოსამართლეების დამოკიდებულება დელიკატურია, ვინაიდან, სწორედ მტკიცებულებების საშუალებით ამყარებენ მხარეები სარჩევში თუ შესაგებელში წარმოდგენილ გარემოებებს.

საქმეში Angell v. Angell მხარემ დაასაბუთა უზრუნველყოფის დონისძიების საჭიროება იმით, რომ დასაკითხი პირი მოხუცი იყო. აქაც სუბიექტურ მომენტს მიენიჭა უპირატესობა. სუბიექტური და ობიექტური გარემოებები ალტერნატიული ხასიათის მატარებელი უნდა იყოს და ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაშიც უნდა მოხდეს მტკიცებულებების უზრუნველყოფა.¹¹⁸

¹¹⁵ Koppel J. M., Federal Common Law and the Courts' Regulation of Pre-Litigation Preservation, 5, <<http://ssrn.com/abstract=2154484>>. 18.03.2018

¹¹⁶ <http://www.law.cornell.edu/rules/frcp/rule_37> 25.02.2018.

¹¹⁷ მოსამართლეთა დიდი ნაწილის მოსაზრებით, სანქციის გამოყენება იმ პირის მიმართ ვინც მტკიცებულებების სათანადო შენახვა არ უზრუნველყო სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესების 37 (ბ) მუხლით ვერ გამართლდება. საქმეში Capelluto v. FMC Corp ამერიკის შეერთებული შტატების ოლქის მოსამართლემ, კერძოდ მინესოტის ოლქის მოსამართლები საქმაოდ მკაცრი სანქცია დააწესა იმ პირისათვის რომელმაც განზრას გაანადგურა მტკიცებულებები, მაშინ როდესაც მას უკვე ქონდა შეტყობინება პოტენციური დავის შესახებ. აღნიშნული მოსამართლემ დაასაბუთა შემდეგით: “ვეყრდნობი რა იმ განსაკუთრებულ უფლებამოსილებას, რაც დავის რეგულირებაში, საქმის წარმოების დაწყვებამდე პროცესის შეუვალობის დაცვასა და უზრუნველყოფაში მდგრმარეობს, ვაწესებ სანქციას მხარის მიმართ”. იხ. Koppel J. M., Federal Common Law and the Courts' Regulation of Pre-Litigation Preservation, 7, <<http://ssrn.com/abstract=2154484>>

¹¹⁸ კავაშვილი გ., მტკიცებულების უზრუნველყოფისა და უზრუნველყოფის გარანტიის როლი საქმისწარმოებაში, სამართლის ქურნალი №1, 2016, 80.

4. უზრუნველყოფის გარანტია და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა

4.1 უზრუნველყოფის გარანტიის არსი

დღეს მოქმედი სსკ პირს სადაცოდ გამხდარი უფლების უფრო ეფექტურად დასაცავად აძლევს შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს და მოახდინოს, როგორც აღმრული, ასევე, ჯერ არ აღმრული სარჩელის უზრუნველყოფა.¹¹⁹ აგრეთვე, გამოიყენოს შესაძლებლობა და მოახდინოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. ¹²⁰ სსკ-ის 199-ე მუხლი ითვალისწინებს იმ ზარალის ანაზღაურების, რაც მხარემ შეიძლება განიცადოს უზრუნველყოფის დონისძიების გატარებით, მაგრამ ზიანის მიუენებამდე მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფაც გათვალისწინებულია საპროცესო კანონმდებლობით. უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების თაობაზე განცხადების საგანი არის განმცხადებლის მატერიალურ-სამართლბრივი მოთხოვნა მოწინააღმდეგებ მხარისადმი, რომელიც უნდა განიხილოს სასამართლომ და რომლის მიმართაც უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება (განჩინება), უფრო კონკრეტულად განცხადების საგანი არის მოთხოვნის შინაარსი და არა მისი მატერიალური ობიექტი; რაც შეეხება განცხადების საფუძველს, ეს არის გარემოებები, რომელზეც მხარე ამყარებს საკუთარ მოთხოვნებს და რომელთა დადასტურებაც სწორედ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ემსახურება მიზნად.¹²¹

სამოქალაქო საპროცესო უზრუნველყოფა თავისი შინაარსით ითვალისწინებს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფას.¹²² ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მოსარჩელე მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფას, მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფით მისთვის მოსალოდნელი ზარალის არა ანაზღაურება, არამედ ანაზღაურების უზრუნველყოფა. შეიძლება ასეთ ვითარებას ვუწოდოთ საპასუხო უზრუნველყოფა, ¹²³ რომელიც უნდა განხორციელდეს სსკ-ის 57-ე მუხლით დადგენილი წესით. ამ მუხლის თანახმად საპასუხო უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს მოსარჩელის მიერ ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდის დადგებით. ამასთან ერთად, სასამართლომ შეიძლება შეღავათიანი პირობებით დაუშვას სხვა საშუალებებიც, როგორიცაა მაგალითად, საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული თავდებობა¹²⁴.

შეჯიბრებითობის პრინციპის პარალელურად სასამართლოს გადაცემული აქვს პროცესის მატერიალური

¹¹⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 192-ე მუხლები.

¹²⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლი

¹²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 19 მაისის განჩინება, საქმე №ას-430-402-2017.

¹²² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი.

¹²³ პრაქტიკაში „კონტრ-უზრუნველყოფასაც“ უწოდებენ.

¹²⁴ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლი, 2005, 304.

ხელმძღვანელობის უფლებამოსილება. თუმცა, აქ დგება ამ ორი პრინციპის, მხარეთა შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პრინციპების პროპორციის საკითხი. რა დოზით უნდა მოხდეს ამ ორი პრინციპის შერწყმა და გამოყენება საქმის განხილვისას, ისე რომ არ დაირღვეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფუნდამენტური პრინციპები.

მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული უკიდურესი ფორმით და სასამართლომ ისე უნდა მიაღწიოს პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რომ არ გასცდეს დაინტერესებული პირის ნება-სურვილს, არ უნდა სცადოს პირთა იმ უფლებების რეალიზაცია, რაც არ ყოფილა მოთხოვილი.

ამასთან, შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სასამართლოს უკიდურესი პასიურობა, რადგან საპროცესო კანონმდებლობით სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით შეაგროვოს მტკიცებულებები, თუ ამას საქმის გარემოებები მოითხოვს ან მხარეები ამის თაობაზე შუამდგომლობენ.¹²⁵ შეჯიბრებითობის პრინციპის არსებობა თანასწორობის პრინციპისგან დამოუკიდებლად სამოქალაქო საპროცესო სამართალში დაუშვებელია. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპებია, რაც პირველ რიგში გულისხმობს მოსარჩევისა და მოპასუხისათვის თანბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას.¹²⁶ შეჯიბრებისთვის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით.¹²⁷

სარჩევის უზრუნველყოფის დონისძიება წარმოადგენს იმ დროებითი დონისძიების სახეს, რომელიც მიმართულია დავის საგნის დაცვისა და მართლმსაჯულების განხორციელების გზით მისაღები სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის დაცვისაკენ, მას გააჩნია სპეციალური მიზანი, ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილების რეალური აღსრულების შესაძლებლობა, შემდგომი გართულებების თავიდან აცილება. კანონმდებლობა ადგენს რა, დროებითი დონისძიების დასაბუთებულ ვარაუდზე დაყრდნობით გამოყენების შესაძლებლობას (სსსკ-ის 191-ე მუხლის), ამავდროულად, რადგანაც ეს ვარაუდი არ წარმოადგენს ძირითადი დავის გადაწყვეტილებისას

¹²⁵ გაგუა ი., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის ინოვაციური განაწილების თავისებურებათა ანალიზი, ურ. მართლმსაჯულება და კანონი, (1(24)10), 75.

¹²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746 შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1.2.3.1, 23.

¹²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/94 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შებითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27 იხ./შეად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746 შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1.2.3.1, 23.

გასათვალისწინებელ საკითხს, მხარეთა თანასწორობის დაბალანსებისათვის ადგენს ქმედით მექანიზმს, როგორიცაა გაუმართლებელი ღონისძიების შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურება (სსსკ-ის 199-ე მუხლი).¹²⁸ შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის, ერთი მხრივ, მოსარჩელის უფლებების დაცვის გარანტის, ხოლო მეორე მხრივ, მოპასუხის უფლების მზღვდავ საშუალებას. ზემოაღნიშნული ღონისძიების გამოყენებით მოსარჩელის ინტერესების დაცვამ შეიძლება გამოიწვიოს მოპასუხისათვის ქონებრივი ზარალის მიყენება. შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება წარმოიშვას მოპასუხის ინტერესების დაცვისათვის საჭირო მექანიზმების შექმნის აუცილებლობა. მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არის ხსენებული ინტერესების გონივრულად დაბალანსების მექანიზმს და ემსახურება მოპასუხის უფლებების დაცვას.¹²⁹

როგორც უკვე აღინიშნა, სსსკ-ს 191-ე მუხლის პირველი ნაწილი და 198-ე მუხლის მე-3 ნაწილი, სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის „უდგენს მხოლოდ „აუცილებლობის“ ტესტით ხელმძღვანელობის ვალდებულებას. ერთადერთი ნორმა, რომელიც მოპასუხის ინტერესების დაცვას ემსახურება, არის სსსკ-ს 199-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს უზრუნველყოფის ღონისძიების დაცვის შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსირების საკითხს.¹³⁰

4.2 მტკიცების ტვირთის განაწილება უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენებისას

მხარის უფლებას, გამოიყენოს სარჩელი უზრუნველყოფის ღონისძიება, უპირისპირდება მოპასუხის ინტერესი – თავი დაიცვას ზიანის მომტანი უზრუნველყოფის ღონისძიებისაგან. მოცემულ შემთხვევაში, ერთმანეთს უპირისპირდება მოსარჩელისა და მოპასუხის ლეგიტიმური ინტერესები, რომელთა გონივრული დაბალანსებაც კანონმდებლისადმი წაყენებული უპირველესი კონსტიტუციური მოთხოვნაა. დაგენილი შეზღუდვა უნდა ითვალისწინებდეს პროცესის მონაწილე ორივე მხარის ინტერესებს – მოპასუხებს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დააზღვიოს უზრუნველყოფის ღონისძიებიდან გამომდინარე ქონებრივი ზიანი, ხოლო მოსარჩელისათვის დადგენილი ვადა უნდა იყოს გონივრული და

¹²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-929-879-2015.

¹²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746 შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 12.3, 18.

¹³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-64.

მას აძლევდეს რეალურ შესაძლებლობას მოახდინოს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა.¹³¹

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, თუმცა საპროცესო მოქმედების გატარება უნდა განხორციელდეს სამოქალაქო სამართალწარმოების ერთ-ერთი მთავარი პრინციპის - მხარეთა თანაბრობის, მათ კანონიერ ინტერესებს შორის ბალანსის დაცვით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება თავისი არსით მოპასუხის შემზღვდავი ღონისძიებაა და მისი გატარება პოტენციურად მოპასუხისათვის ზიანის მიყენების მაღალი რისკის მატარებელია. შესაბამისად, საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვდეს საქმის გარემოებების გათვალისწინებით, უპირველესად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რამდენად დიდია გადაწყვეტილების აღუსრულებლობის საშიშროება, ასევე, მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიება არათხზომიერად ხომ არ შეზღუდავს მოპასუხის უფლებას.¹³²

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მოწინააღმდეგე მხარის შელახული ინტერესი ყოველთვის არ გამოითვლება ფულადი ფორმით, იგი შეუძლება უკავშირდებოდეს რეპუტაციულ რისკებს, მძიმე ფსიქოლოგიურ განცდებს და აშ.¹³³ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მომთხოვნმა მოპასუხებ უნდა დაასაბუთოს უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, დასაბუთება უნდა იყოს საფუძვლიანი, დასაბუთებული ვარაუდი გულისხმობის გადაწყვეტილების მიღებას არა მარტოდენ ეჭვის ან ფორმალური ანალიზის საფუძველზე, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ლოგიკურ დასკვნას მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ.¹³⁴

სსსკ-ს პრინციპებიდან გამომდინარე ის, ვინც ახორციელებს რომელიმე უფლებას, უნდა დაამტკიცოს ამ უფლების დამფუძნებელი ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო ის, ვინც თავს იცავს უფლების განხორციელებისაგან, ანუ ეწინააღმდეგება ამ უფლებას, უნდა დაამტკიცოს ამ უფლების

¹³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746 შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1.2.3.1, 23.

¹³² თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 ივლისის განჩინება, საქმე №2/3482-14.

¹³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-66.

¹³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-929-879-2015, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება, საქმე №2/ბ-209-16.

წარმოშობის ხელშემშლელი ფაქტობრივი გარემოებები. ¹³⁵ ვინაინდან, სასამართლო უფლებამოსილი არაა მხარეების მხოლოდ სიტყვიერ განმარტებებს ენდოს. მას არ შეუძლია დაკმაყოფილოს სასარჩელო მოთხოვნა მარტო იმ საფუძველზე მითითებით, რომ მოსარჩელეს თვლის პატიოსან ადამიანად, რომელსაც არ შეუძლია წარმოადგინოს (არაკანონიერი) მოთხოვნა და ასევე, არ შეუძლია უარი უთხრას სარჩელზე, იმის გამო რომ მოპასუხის უარი მისი მაღალი მორალური თვისებების გამო გამოიწვევს სრულ ნდობას. სასამართლო მხედველობაში დებულობს მხარეების შუამდგომლობებს და მტკიცებულებებს იმ ზომით, რითიც მტკიცდება მათი სიმართლე.¹³⁶

4.3 უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება სასამართლოს ინიციატივით

სსსკ-ს 199-ე მუხლი ითვალისწინებს მოპასუხის განცხადების საფუძველზე სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების შესაძლებლობას. ამავე ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი დასაბუთებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოსალოდნელი ზარალის არსებობის ფაქტს. ერთ-ერთ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო იმ გარემოებათა დამტკიცება, რომელიც დაასაბუთებდა უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების აუცილებლობას. კერძოდ, საჩივრის ავტორი ვერ ასაბუთებს, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით (მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვით) მას ადგება ზიანი, რისი მტკიცების ტვირთიც, სსსკ-ს 102.1 და 103.1 მუხლების შესაბამისად, სწორედ მას აკისრია.¹³⁷

სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა სპეციალურ მოწესრიგებას ექვემდებარება და, სსსკ-ს 199-ე მუხლის თანახმად, შეიძლება, როგორც უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამომტანი სასამართლოს, ისე მხარის შუამდგომლობით გადაწყდეს. ¹³⁸ აღნიშნული ნორმა ემსახურება პროცესის მონაწილის ინტერესების დაცვას.

პროცესის მონაწილის ქონებრივი თუ სხვა უფლებრივი ინტერესების დაცვა მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს, რომლის დასაცავადაც შესაძლოა სამართლიანი

¹³⁵ დოქტ. შმიტი შ., რიპტერი პ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართლში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) 2013, 25.

¹³⁶ Треушников М.К. проф., доктор юридических наук – Хрестоматия по гражданскому процессу/ москва – 1996, 94.

¹³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 დეკემბრის განჩინება, საქმე №ას-1561-1561-2011.

¹³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-929-879-2015.

სასამართლოს უფლება შეიზღუდოს.¹³⁹ თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. სასამართლო საკუთარი ინიციატივით აამოქმედებს აღნიშნულ მექანიზმს მხოლოდ მაშინ, თუ მოპასუხისათვის ზიანის მიუენების საფრთხე აშკარაა.¹⁴⁰ უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება, ასევე, გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.¹⁴¹ ამასთან, ორივე შემთხვევაში, მისი გამოყენება დამოკიდებულია მოსალოდნელ, შესაძლო ზიანის წარმოშობის საფრთხესთან. ასეთი საფრთხის ვარაუდს უნდა ქმნიდეს ისეთი ფაქტობრივი გარემობების არსებობა, რამაც შესაძლოა მხარეს მიაყენოს ზარალი.¹⁴² ნორმის მიზნებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო თავისი ინიციატივით დაავალებს პირს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფას, თუ ეს შედეგი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ცხადად იკვეთება ან არსებობს რეალური საფრთხე ზიანის დადგომისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხეს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. ასეთ შემთხვევაში, საგულისხმოა, რომ სსსკ-სს 191-ე მუხლისაგან განსხვავებით, 199-ე მუხლის პირველი ნაწილი არ შეიცავს მტკიცების განსხვავებულ სტანდარტს. შესაბამისად, მოსალოდნელი ზიანის სიცხადე მხარემ სსსკ-ს 102-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით უნდა ამტკიცოს.

პირს არ დაუკმაყოფილდა ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა, ვინაიდან, საჩივრის ავტორი ითხოვდა რა ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფას, მას არ მიუთითებია ის კონკრეტული და რეალური საფრთხე, რაც ზიანის დადგომის შესაძლებლობაზე მიუთითებს, შემოიფარგლა მხოლოდ საკუთარ უფლებაზე მითითებით, რომ შეეძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა, რაც ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. ამასთანავე, მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმა თავისთავად არ ართმევს უფლებას მოპასუხეს ზიანის დადგომის შემთხვევაში,

¹³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746 შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1.2.3, 19.

¹⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-958-923-2016.

¹⁴¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი.

¹⁴² ობილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოდეგის 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინება №2ბ/5599-14.

საერთო წესით მოახდინოს მისი დარღვეული უფლების რეალიზება.¹⁴³

უზრუნველყოფის გარანტია არ ნიშნავს მოპასუხისათვის სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ავტომატურად ანაზღაურებას, არამედ გულისხმობს მხოლოდ ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, მოპასუხებ სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს და დაამტკიცოს, როგორც ამგვარი ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე მიყენებული ზიანის ოდენობა. მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას ასეთ შემთხვევაში წარმოადგენს სსკ-ის 199-ე მუხლი თუ სსკ-ის 992-ე მუხლი, ამასთან დაკავშირებით პრაქტიკაში არ არის ერთგვაროვანი მიღობა.¹⁴⁴

4.4 უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება დაინტერესებული პირის ინიციატივით

სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს არა მარტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვისა და სხვა მრავალ უფლებას, არამედ, საქმის არსებითად გადაწყვეტამდე, მხარეთა უფლებრივი კონკურენციის დაბალანსებას. მიმართვის უფლება და სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულო აღსრულების პრინციპი, პრაქტიკაში სრულყოფილად რეალიზებისათვის დღის წესრიგში უდავოდ აყენებს მოპასუხის ნებაზე ზემოქმედებისა და მისი თვითნებობის გამორიცხვის საკითხს, თუმცა სარჩელის უზრუნველყოფის სამართლებრივი ინსტიტუტის არსებობა და ის მარეულირებელი თითოეული ნორმის არსებული რედაქცია მთლიანად მოტივირებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფაზე, მაგრამ, ბუნებრივია, რომ მისი გამოყენებით (საგამონაკლისო რეგულაცია) უსაფუძვლოდ არ უნდა იზღუდებოდეს სხვა პირთა ინტერესები.¹⁴⁵

კანონით დადგენილი ზარალის უზრუნველყოფის ინსტიტუტი მნიშვნელოვანი სამოქალაქო საპროცესო ინსტიტუტია და ხშირ შემთხვევაში იგი შესაძლებელია გახდეს კიდევ მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალება. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის განსახორციელებლად აუცილებელია იდენტიფიცირებულ იქნეს

¹⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-1338-1263-2012.

¹⁴⁴ ძლიერიშვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების ვალდებულება, სამართლის ქურნალი, №1, 2018

¹⁴⁵ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოდეგიის 2015 წლის 26 მარტის განჩინება №2/761-2015.

საკარაულოდ მოსალოდნელი ზარალის არსებობა, რომელიც რიგ შემთხვევებში შეუძლებელია.¹⁴⁶

ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი განმარტებას ვხვდებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში. საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის განჩინებით სს „ე-ის“ საჩივარი უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, სს „ე-ის“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს „ნ. ჯ-ას“ დაევალა, განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში განეხორციელებინა სარჩელის უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე 119 234 ლარის განთავსების გზით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აპრილის განჩინებით, მოსარჩელის მიერ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის განუხორციელებულობის გამო, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 14 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა სს „ე-ის“ საკუთრებაში არსებულ უძრავ და მოძრავ ქონებას.

აღნიშნულ განჩინებაზე საჩივარი წარადგინა შპს „ნ. ჯ-ამ“. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მხარისათვის უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის დაკისრება უნდა ეფუძნებოდეს მოსამართლის ვარაუდს, რომ სარჩელი მაღალი ალბათობით არ დაკმაყოფილდება და გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება უსაფუძვლოდ მიაყენებს ზიანს მოპასუხეს. ორივე პირობა წარმოადგენს კუმულაციურ ერთობლიობას და თუნდაც ერთ-ერთის არარსებობის შემთხვევაში განმცხადებლის მოთხოვნა მოსარჩელისათვის უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის დაკისრების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, წარმოდგენილი სარჩელი დასაბუთებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 მაისის განჩინებით შპს „ნ. ჯ-ას“ საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აპრილის განჩინებაზე, დაუსაბუთებლობის გამო, საქმის მასალებთან ერთად 5 დღის¹⁴⁷

¹⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-65.

¹⁴⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 197¹. სასამართლოს მიერ საჩივრის წარმოებაში მიღება და განხილვა, საჩივრისა და საქმის მასალების გადაგზავნა ზემდგომ სასამართლოში
1. სასამართლო საჩივარს წარმოებაში იდებს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული წესების თანახმად.

ვადაში გაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების რეალური გარანტიის შექმნა და, შესაბამისად, აღსრულების შესაძლო დაბრკოლების თავიდან აცილება. სარჩელის უზრუნველყოფის პროცესუალური ინსტიტუტის ზემოაღნიშნული ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას უნდა არსებობდეს სარჩელის დაკმაყოფილების ვარაუდი. ამასთან, პალატამ განმარტა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების ვარაუდი არის სარჩელის დაკმაყოფილების ალბათობის ვარაუდი და არა აღმრული სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2013 წლის 28 თებერვლის განჩინებით საჩივარი უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ნაწილში არ დააკმაყოფილა, ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 ნოემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე. შესაბამისად, პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრებები სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის პროცესუალური ინსტიტუტის მთავარი მიზნის, როგორც გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიის გაუთვალისწინებლობის თაობაზე და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებისას სასამართლოს მიერ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ორივე მხარის ინტერესები. ამდენად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით არ უნდა მოხდეს მოპასუხე მხარის ინტერესების გაუმართლებელი შელახვა. სწორედ, მოდავე მხარეთა თანაბარზომიერი ინტერესების დაცვის მიზნით, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, მაგრამ ამავდროულად, სავარაუდოა ღონისძიების გამოყენებით მოპასუხისათვის ზარალის მიყენების შესაძლებლობა, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას პროცესუალური კანონმდებლობა ითვალისწინებს უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენებას.¹⁴⁸

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება სარჩელის დაუკმაყოფილებლობის

2. თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინადაღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

3. საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი წარმოებაში მიღებიდან 20 დღეს.

4. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივრი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

¹⁴⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი.

ალბათობის ვარაუდზეა აგებული. ¹⁴⁹ უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება განპირობებულია ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს, სასამართლო პროცესის ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარის ინტერესების თანაბრად გათვალისწინებაზე.

4.5 უზრუნველყოფის გარანტიაში არსებული გადები და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა მოსარჩელე მხარეს უნდა მოეხდინა 7 დღის ვადაში.¹⁵⁰

მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის განსაზღვრული ვადა, გარდა, მოპასუხის ინტერესების დაცვისა, მიმართული უნდა იყოს, ასევე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნებისაკენ და მოსარჩელეს უნდა მიეცეს რეალური და არა ფორმალური შესაძლებლობა განახორციელოს მოსალოდნელი ზარალის უზრუნვესაყოფად განსაზღვრული სამართლებრივი მოქმედება, შეასრულოს სასამართლოს განჩინება და ამ გზით შეინარჩუნოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. სსსკ არ უშვებს კანონით განსაზღვრული ვადის გაგრძელების შესაძლებლობას, შესაბამისად, თუ მოსარჩელე ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლებს 7 დღის ვადაში მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფას, გაუქმდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. ვადის იმგარად განსაზღვრა, რომ მისი გაგრძელება ან აღდგენა არ მოხდეს, ემსახურება მოპასუხის ინტერესების დაცვას – დააზღვიოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებიდან გამომდინარე ზიანი, თუმცა ამ ინტერესის დაცვამ იღუზორული არ უნდა გახადოს მოსარჩელის უფლება, მოახდინოს სარჩელის უზრუნველყოფა და ამ გზით, საკუთარი უფლების მომავალში აღდგენის გარანტიება.¹⁵¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 11 აპრილს საკონსტიტუციო სარჩელით მიმართა შპს „ჯორჯიან მანგანეზმა“. ¹⁵² 2016 წლის 29 მარტს ბაზრის ოპერატორმა

¹⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1-ლი ივლისის განჩინება, საქმე №ას-499-475-2013.

¹⁵⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის რედაქცია, 2018 წლის 4 აპრილის N2115-III საქართველოს კანონით განხორციელებულ ცვლილებამდე. იხ.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4139203#DOCUMENT:1>>; 29.04.2018

¹⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746 შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1.2.3.1, 24.

¹⁵² №746 კონსტიტუციურ სარჩელის მიხედვით, მოსარჩელემ ვერ შეძლო გარანტირებული სიმძლავრის საფასურის გადახდა, რის გამოც ბაზრის ოპერატორმა მის წინააღმდეგ აღძრა სარჩელი და მოითხოვა შპს „ჯორჯიან მანგანეზისთვის“ გადასახდელი თანხის და პირგასამტებლოს დაკისრება.

განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად მოსარჩელისთვის საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე 5 047 936 ლარის შეტანის დავალდებულება, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს 2016 წლის 31 მარტის განჩინებით. აღნიშნული ვალდებულება შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ განსაზღვრულ ვადაში ერთ შესრულდა, რამაც გამოიწვია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება სადაცო ნორმის – სსსკ-ს 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

მოსარჩელის განმარტებით, სსსკ-ს 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ვადა - 7 დღე, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხების მობილიზებისთვის არაგონიულად მცირე დროა. ამასთანავე, სადაცო ნორმა ცალკე არ ითვალისწინებს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ მიღებული განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას.¹⁵³

სასამართლომ იმსჯელა ზარალის ანაზღაურებისათვის დადგენილ 7 დღიან ვადაზე და განმარტა: სადაცო ნორმა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ბლანკეტურად ადგენს 7 დღიან ვადას. უფლების ბლანკეტური შეზღუდვა, რომელიც არ იძლევა პირის ინდივიდუალური მდგომარეობის გათვალისწინების შესაძლებლობას ვერ ახდენს ნორმიდან გამომდინარე ეფექტის მინიმალიზებას.¹⁵⁴ სადაცო ნორმიდან გამომდინარე, მოსამართლეს არ გააჩნია შესაძლებლობა, საქმის ინდივიდუალურ მახასიათებლებზე დაყრდნობით, ფაქტობრივი გარემოებების ადეკვატურად შეფასების გზით გაზარდოს ან შეამციროს კანონით იმპერატიულად განსაზღვრული ვადა. საკითხის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტა წარმოადგენს უფლების უფრო ნაკლები ინტენსივობით შეზღუდვის მაგალითს, რამდენადაც იგი შესაძლებელს გახდის მოსარჩელის ინტერესების უკეთ დაცვას – მას მიეცემა ის გონივრული დრო, რაც საჭირო იქნება კონკრეტული ოდენობის ზარალის

მოსარჩელე მხარის განცხადებით, გარანტირებული სიმძლავრის გაზრდილი საფასურის გადაუხდელობის გამო, ბაზრის ოპერატორმა მიიღო გადაწყვეტილება შპს „ჯორჯიან მანგანეზისთვის“ ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის თაობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა, სავარაუდო, გამოიწვევდა საწარმოო პროცესის შეწყვეტას, დასაქმებულთა დათხოვნას, ტექნიკური მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლას, რაც შექმნიდა საფრთხეს ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 მარტის განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ბაზრის ოპერატორს აეკრძალა ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა მოსარჩელისთვის.

¹⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746 შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I, 6, 7, 8.

¹⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქადაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ანაზღაურების უზრუნველსაყოფად. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, ეს დადგებითად აისახება მოპასუხის ინტერესებზეც – დადგენილი რეგულირებით მოპასუხებს 7 დღის განმავლობაში ეზღუდება უფლებები, მიუხედავად იმისა, რამდენად აუცილებელია ეს ვადა მოსალოდნელი ზარალის უზრუნველსაყოფად. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა ზარალის უზრუნველყოფისათვის საჭირო იყოს 7 დღეზე ნაკლები დრო, შესაბამისად, შესაძლებელი არის უფრო ნაკლები ვადით შეიზღუდოს მოპასუხის უფლებები და შემცირდეს მისთვის ზიანის მიყენების რისკი.¹⁵⁵

საბერძნეთის სსკ სასამართლოს სრულ თავისუფლებას ანიჭებს უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებულ ვადებთან მიმართებით. კერძოდ, საბერძნეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 694-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს საკუთარი დისკრეციის ფარგლებში შეუძლია მოთხოვოს მოსარჩელეს უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა. უზრუნველყოფის გარანტიის წარმოუდგენლობა იწვევს სარჩელის უზრუნველყოფის ავტომატურ გაუქმებას. (საბერძნეთის სამოქალაქო საროცესო კოდექსის მუხლი 694 მეორე ნაწილი.)¹⁵⁶ ასევე, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო იყენებს უზრუნველყოფის გარანტიას და განუსაზღვრავს მხარეს კონკრეტულ ვადას დეპოზიტის განსათავსებლად.¹⁵⁷ მართალია, საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი იძლევა უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა აღნიშნული ღონისძიების გამოყენება პრაქტიკაში არც ისე ხშირია.¹⁵⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს პარლამენტის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლემ მოსალოდნელი ზარალის ოდენობის განსაზღვრისას უნდა გაითვალისწინოს 7 დღიანი ვადის არსებობა და მოსარჩელეს დაკისროს იმ ოდენობის თანხის გადახდა, რის უზრუნველყოფასაც ამ ვადაში მხარე მოახერხებს. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოპასუხის ინტერესების დაცვა. შესაბამისად, ზარალის ოდენობის განსაზღვრისას, ძირითადი კრიტერიუმია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებიდან გამომდინარე, ობიექტურად მოსალოდნელი ზიანი¹⁵⁹ და არა იმ შესაძლებლობების

¹⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746 შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1.2.3.1, 27.

¹⁵⁶ Berlingieri F., Berlingieri on Arrest of Ships Volume I, A Commentary on the 1952 Arrest Convention Sixth Edition, 2017, 389

¹⁵⁷ <<http://www2.ipr.uni-heidelberg.de/studie/National%20Reports/Greece/Report%20Greece%20Provisional%20Measures.pdf>>. 19, 18.03.2018

¹⁵⁸ International Enforcement of Foreign Judgement, By B International Business Law Consortium, 221.

¹⁵⁹ Rozalinova E. Angelov A., Georgiev, I., Jurisdiction, Recognition and Enforcement of Provisional and Protective Measures (International Cooperation in Civil Matters) (2012).

განსაზღვრა, რა ვადაში შეძლებს მოსარჩელე ზარალის უზრუნველყოფას. აღნიშნული ინსტიტუტის არსი არის მოპასუხისათვის სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების შედეგად მიღებული ზიანის მომავალში დაუბრკოლებლად ანაზღაურების შესაძლებლობა. ¹⁶⁰ სადაც ნორმის საქართველოს პარლამენტის მიერ შემოთავაზებული შინაარსით ინტერპრეტაცია ეწყინააღმდეგება ზარალის უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსს და ამ ინტერპრეტაციით მისი პრაქტიკაში გამოყენებაც შეუძლებელია, ვინაიდან სასამართლოს არ გააჩნია ინფორმაცია მოსარჩელის ფინანსურ მდგომარეობაზე. სასამართლოს აქვს მოპასუხე მხარის მიერ წარდგენილი განცხადება, რითიც ის ცდილობს დაარწმუნოს სასამართლო, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის დონისძიებით მას ადგება კონკრეტული ზიანი, რის უზრუნველყოფასაც ითხოვს მხარე. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედი შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარე სასამართლო მსჯელობს და გადაწყვეტილებას იღებს მოსალოდნელი, კონკრეტული ზიანის უზრუნველყოფაზე, რომელიც მოპასუხის მიერ კონკრეტული თანხით არის გამოხატული და არა იმ თანხაზე, რომლის აკუმულირებასაც მოსარჩელე მხარე შეძლებს კანონმდებლის მიერ დადგენილ 7 დღის ვადაში.

სამართლებრივი დავებისა და სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებათა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა შეიძლება იყოს მათი გამოყენებიდან გამომდინარე ქონებრივი ზიანის ოდენობა. რიგ შემთხვევებში, მხარეს შეიძლება ჰქონდეს მისი უზრვნელყოფის საშუალება კანონით განსაზღვრულ 7 დღეში, თუმცა, სხვა შემთხვევებში შესაძლოა არსებობდეს ვითარება, როდესაც საჭირო იყოს უფრო მეტი ან ნაკლები ვადის დაწესება. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ იურიდიული პირის შემთხვევაში სხვა და სხვაგვარი შეიძლება იყოს მისი მართვის ორგანოების მიერ ფინანსური რესურსების განკარგვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, რომლის განხორციელებასაც რეალურად სჭირდებოდეს გარკვეული, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით დადგენილი დრო.¹⁶¹

დოქტრინაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ ფაქტიურად, მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა – ესაა იმ სარჩელის უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება აღმრას მოპასუხებ

Revista Forumul Judecătorilor, No. 4, 2012, 83. < <https://ssrn.com/abstract=2224223> >
18.03.2018.

¹⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746 შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1.2.3.1, 25.

¹⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746 შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1.2.3.1, 26.

მოსარჩელის წინააღმდეგ, რომლის სარჩელის უზრუნველყოფის გამო მას მიადგა ზიანი.¹⁶²

2018 წლის 4 აპრილის საქართველოს კანონით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, დავის სასამართლოს მიენიჭა დისკრეცია, შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, თავად განსაზღვროს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ვადა გონივრული, დროით, შემდეგი შეზღუდვის გათვალისწინებით, სსკ-ის 199 მუხლის მეორე ნაწილით სასამართლოსადმი მინიჭებული დისკრეცია შემოსაზღვრულია 30 დღიანი ე.წ. „ზედა ზღვრით”, რაც სწრაფი მართლმსაჯულების უფლებას შეესაბამება.¹⁶³

4.6 უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ განჩინების გასაჩივრების დაუშვებლობა

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რამდენად არის შესაძლებელი, ერთი მხრივ, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის დაკისრების შესახებ განჩინების გასაჩივრება და მეორე მხრივ, სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრება, რადგან მოსარჩელე მხარემ კანონით დადგენილ ვადაში არ მოახდინა მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას ახდენს – საკუთარი ან მხარის ინიციატივით. სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება ხდება სარჩელის უზრუნველოფის დონისძიების გამოყენების ეტაპზე. სასამართლო ერთი განჩინებით ახდენს, როგორც სარჩელის უზრუნველყოფას, ასევე, სთხოვს მოსარჩელეს მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფას. რაც შეეხება მხარის ინიციატივით მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფას, კანონმდებლობით არ არის მისი გამოყენებისათვის ვადა დადგენილი, რა ვადაშიც უნდა მიმართოს საპროცესო მოპასუხებ ზარალის უზრუნველყოფის მოთხოვნით. ეს ვადა უნდა იყოს გონივრული და გარემოების ადეკვატური. არაგონივრული იქნება თუ სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფას მხარე მოითხოვს კონკრეტული დავის დასასრულს, თუმცა უკელა გარემოება აქაც ინდივიდუალურადაა შესაფასებელი.

¹⁶² ლილუაშვილი თ., ხრუსტალი გ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, 355.

¹⁶³ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით - „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ”, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/175341>> 29.04.2018

კითხვაზე უნდა ითვალისწინებდეს თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების შესახებ განჩინების გასაჩივრებას, უნდა გაეცეს უარყოფითი პასუხი. ვინაიდან, მსგავსი განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში თვითონ ზარალის ანაზღაურების ინსტიტუტი დაკარგავდა აზრს, სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების აღსრულების დროებითი შეჩერების გასაჩივრების მსგავსად.

სსსკ-ის 199-ე, ისევე როგორც 197-ე მუხლში არ არის მითითება სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების წესზე. თავის მხრივ, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მარეგულირებელი არც ერთი საპროცესო წესი¹⁶⁴ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე უარის თქმის განჩინების დამოუკიდებლად, კერძო საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობას არ ითვალისწინებას.¹⁶⁵

კერძო საჩივრის დასაშვებობის კუთხით, საპროცესო კოდექსი ადგენს გარევეულ შეზღუდვებს, რომელთა რიცხვს 414-ე მუხლის პირველი ნაწილის¹⁶⁶ დათქმა წარმოადგენს. წინამდებარე მუხლების ურთიერთშეჯერებისა და სსსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილში მოცემული ანალოგიის პრინციპიდან გამომდინარე, კერძოდ, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირების სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იურიბს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას. მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე უარის თქმის განჩინება მსგავსად, სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებაზე მიღებული ნებისმიერი განჩინებება უნდა გასაჩივრდეს საჩივრით.

თუ სასამართლო გამოიტანს განჩინებას მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ, მოსარჩელეს საქმის ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით ეძლევა ვადა, მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს.¹⁶⁷ თუ მოსარჩელე სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ მოახდენს მოპასუხისათვის სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფას, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გაუქმების შესახებ, რაც გასაჩივრდება საჩივრით. განჩინების გასაჩივრების

¹⁶⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე-199¹-ე მუხლები.

¹⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-929-879-2015.

¹⁶⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლი.

¹⁶⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი.

ვადაა 5 დღე.¹⁶⁸ მითითებული ნორმის პირველი წინადადგება ადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც პირმა უნდა განახორციელოს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა, ხოლო მეორე წინადადება განსაზღვავს ამ ვადაში შესაბამისი მოქმედების განუხორციელებლობის შედეგს, აგრეთვე, ამ შედეგის გასაჩივრების შესაძლებლობას. სსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადება მიუთითებს სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გაუქმების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოწესრიგების საგანს არ წარმოადგენს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ განჩინების გასაჩივრებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება. ამდენად, სადაც ნორმას არ აქვს ის შინაარსი, რომელიც მოსარჩელეს მიანიჭებდა ან შეუზრუდავდა მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას. უფრო მეტიც, სადაც ნორმა ასევე არ წარმოადგენს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის თაობაზე განჩინების ინსტიტუტის ან/და მისი გამოყენების უფლებამოსილების განმსაზღვრელ წეს.¹⁶⁹

5. სარჩელის უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული სამართლებირი და პრაქტიკული პრობლემატიკა

5.1 სარჩელის უზრუნველყოფის სამართლებრივი არსი

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო იძლევა მხარეთა უფლებების დაცვის გარანტიებს, კანონმა უნდა უზრუნველყოს დაცვის უფრო სწრაფი და მოქნილი საშუალება, რომელიც პროცესის მიმდინარეობისას მხარეთა კანონიერი ინტერესების შელახვის რისკს მაქსიმალურად შეამცირებს¹⁷⁰. ამისათვის, მხარეს აქვს უფლებამოსილება სასამართლოში შეიტანოს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე. სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებები არსებობს ყველა განვითარებული ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობაში. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მან პირის მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერ ინტერესების რეალური განხორციელების სამართლებრივი გარანტიები შექმნას,

¹⁶⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

¹⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746 შას „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2, 34.

¹⁷⁰ de la Sierra, Susana, Provisional Court Protection in Administrative Disputes in Europe: The Constitutional Status of Interim Measures Deriving from the Right to Effective Court Protection. A Comparative Approach. European Law Journal, Vol. 10, No. 1, 42, 2004. <<https://ssrn.com/abstract=513549>>. 18.03.2018

ვინაიდან, სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებად საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე არის ლეგიტიმური მოლოდინის შემცველი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილებას ექნება გარკვეული შედეგი მათთვის და მოხდება მხარეთა ეფექტიანი დაცვა.¹⁷¹

სარჩელის უზრუნველყოფა კანონმდებლობით დაშვებული (აუკრძალავი) იძულებითი ხასიათის იმ ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელსაც სასამართლო იყენებს მოსარჩელის შუამდგომლობით და რომელიც მიმართული არა მოსარჩელისათვის სასურველი გადაწყვეტილების გამოტანისაკენ, არამედ, ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, მისი აღსრულებისაკენ. სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება არის მოსარჩელის იტერესების დამცავი მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც მას აკისრია მტკიცების ტვირთი, რომ უზრუნველყოფის დონისძიების გამოუყენებლობა საფრთხეს შეუქმნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.¹⁷² კანონი ითვალისწინებს უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების შესაძლებლობას გადაწყვეტილების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მიიჩნევს, რომ ეს არის მხოლოდ ხსენებული ინსტიტუტის მიზანი (დანიშნულება) და არა მისი გამოყენების წინაპირობა. კანონი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ზოგად საფუძველს, ხოლო სასამართლო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა ამგვარი საფუძველი განსახილველ საქმესთან დაგავშირებით და სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებას იყენებს იმ შემთხვევაში, თუ მის გამოყენებას მიზანშეწონილად ჩათვლის. შესაბამისად, საპროცესო კანონმდებლობაში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება გულისხმოს, აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების დაწესებას ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც მას განმცხადებელი დასაბუთებულად წარმოადგენს, ანუ, განმცხადებელი შესძლებს დაამტკიცოს კონკრეტული უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების აუცილებლობა.¹⁷³

5.2 სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შინაარსი

სარჩელის არსებობა თავის თავად არის დავის წინაპირობა, რომელიც გარკვეული შედეგით სრულდება. ცხადია, მოსარჩელეს უმეტეს შემთხვევებში აქვს ვარაუდი რომ დავა მის

¹⁷¹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინება, საქმე ს/უზრ – 34/15.

¹⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის №1/22/781 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13.

¹⁷³ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 მარტის განჩინება, საქმე №2/761-2015.

სასარგებლოდ დასრულდება და სურს დააზღვიოს მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება. სსკ-ს მიღებულ იქნა 1997 წლის 14 ნოემბერს, როდესაც საქართველოში არც თუ სახარბიელო ეკონომიკური ვითარება არსებობდა. ეკონომიკური წინსვლისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარების მიუხედავად, სარჩელის შეტანასთან ერთად მოსარჩელე ითხოვს მისთვის მისაღებ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას. მიკუთვნებითი სარჩელის პირობებში სარჩელის უზრუნველყოფის როლი დიდია, რადგან თუ მიკუთვნებითი სარჩელის დროს, რომელსაც აღსრულებით სარჩელებს უწოდებენ, სარჩელი დაკმაყოფილდება და სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომელიც შევა კანონიერ ძალაში, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს ამ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება და სააღსრულებო ფურცლის გამოწერა¹⁷⁴.

სსსკ-ს მიღებიდან დღემდე არაერთი ცვლილება განიცადა 191-ე მუხლმა. შესული ცვლილებების განპირობებული იურ მუხლში არსებული ხარვეზებით. რიგ შემთხვევებში უზრუნველყოფის გამოყენება სარჩელის აღმდეგ ხდება ისე, რომ მოსარჩელეს არ აქვს სათანადო დასაბუთებული აუცილებლობა და ხშირ შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ხდება იმ შემთხვევებშიც, როდესაც ამის რეალური აუცილებლობა არ არსებობს, რასაც¹⁷⁵ შედეგად მოჰყვება მოპასუხის ქონებრივი უფლებების სულ მცირე რამდენი თვით შეზღუდვა.

5.2.1 „დროებითი ბრძანების“ შემოღების შესახებ კანონპროექტის სამართლებრივი ანალიზი

ბოლო არსებითი ცვლილება სსსკ-ის 191-ე მუხლმა განიცადა 2016 წლის 16 ივნისის კანონის პროექტით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“. კანონპროექტის¹⁷⁶ პირველად ვერსიაში გათვალისწინებული იყო ე.წ „დროებითი ბრძანების“¹⁷⁷ ინსტიტუტის შემოღება.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2016 წლის 21 ივნისის დასკვნის თანახმად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოსარჩელის განცხადებით, სასარჩელო მოთხოვნის აღსრულების უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს დროებითი შეზღუდვის, ისე დავის დასრულებამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები.¹⁷⁸ დროებითი შეზღუდვის ბრძანება ძალაში დარჩება არაუმეტეს 10 დღის ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოსარჩელე, რომელმაც

¹⁷⁴ ლილეაშვილი ო., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2005, 280.

¹⁷⁵ <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/123544>?

¹⁷⁶ <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/123193>?

¹⁷⁷ Temporary injunction.

¹⁷⁸ <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/123541>?

მოიპოვა დროებითი შეზღუდვის ბრძანება, 10 დღის ვადაში მიმართავს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, დროებითი შეზღუდვის ბრძანების მოქმედება გაგრძელდება, სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების გამოტანამდე. ნებისმიერ შემთხვევაში, დროებითი შეზღუდვის ბრძანების მოქმედება არ უნდა აღემატებოდეს 28 კალენდარულ დღეს.¹⁷⁹ მისასალმებელია საკანონმდებლო ინიციატივა, მაგრამ დროებითი შეზღუდვის დონისძიებები არ განსხვავდება სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებებისგან.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს დროებითი შეზღუდვის ბრძანების გამოცემის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც დროებითი შეზღუდვის ბრძანების გამოცემის გარეშე გამნელდება ან შეუძლებელი გახდება შესაძლო დარღვეული ოუ სადაცო უფლების განხორციელება ან გადაწყვეტილების აღსრულება. მოსარჩელე განცხადებაში მიუთითებს იმ გამოუსწორებელი და პირდაპირი ზიანის, დამადასტურებელ გარემოებებს, რომელიც განმცხადებელს მიადგება ოუ სასამართლო, ბრძანების გამოცემამდე აცნობებს მეორე მხარეს და გამართავს ზეპირ მოსმენას. ამავე განცხადებაში, მოსარჩელე მიუთითებს შესაბამის დასაბუთებას, ოუ დროებითი შეზღუდვის რომელი დონისძიების გატარება მიაჩნია მას აუცილებლად.¹⁸⁰ კანონპროექტის საკომიტეტო განხილვის ეტაპზე მივიღნენ დასკვნამდე, რომ კანონის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები არ განსხვავდებოდა სარჩელის უზრუნველყოფის მარეგულირებელი მოქმედი ნორმებისაგან და შესაბამისად არ მოხდა დროებითი შეზღუდვის ბრძანების შემოღება.

სასამართლოში არსებული დავის სიმრავლიდან გამომდინარე საპროცესო ვადების დაცვა არც სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებებთან მიმართებით ხდება. ხშირია შემთხვევები, როდესაც უზრუნველყოფის განჩინებისა და სააღსრულებო ფურცლის ჩაბარებამდე დასაყადაღებელი ქონება სხვისდება. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებების სიმრავლეს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაც უწყობს ხელს. მცირე თანხიან დავებზე მოსარჩელე იძულებულია მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენება. რიგ შემთხვევებში უზრუნველყოფის საგნად გამოიყენება მოპასუხის ის ქონება, რომლის დირებულება მნიშვნელოვნად აღემატება სარჩელის ფასს, რაც შეუქცევად ზიანს აყენებს მესაკუთრეს.

5.2.2 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედი შინაარსი

¹⁷⁹ იქვე.

¹⁸⁰ <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/123193>?

სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედი რედაქციით მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადაც უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ, ზიანს რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება, ასევე, უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას, რომელიც დაარწმუნებს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროებაში. ¹⁸¹ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.¹⁸²

განხორციელებული ცვლილებით მოსარჩელის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში, გარემოებებზე მხოლოდ ზოგადი მითითება საკმარისი აღარაა. მოსარჩელე ვალდებულია მიუთითოს სამომავლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელებაზე ან აღუსრულებლობაზე და დასაბუთოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში მისთვის გამოწვეული პირდაპირი ან არაკომპენსირებადი ზიანის არსებობა. ყოველივე ამის გათვალისწინებით მოსამართლეს უნდა შეექმნას ვარაუდი, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს, რაც ცალსახად გავლენას არ მოახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე წარდგენილი განცხადების დასაბუთებისადმი არსებული მოთხოვნა იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მომთხოვნი პირი ვალდებულია, უტყუარი მტკიცებულების წარდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული მოთხოვნა არ გამომდინარეობს, არც სსსკ-ის 191-ე მუხლიდან და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია, ალბათობის მაღალი ხარისხით, იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც ემყარება მოსარჩელის

¹⁸¹ ძლიერიშვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების ვალდებულება, სამართლის უკრნალი, №1, 2018.

¹⁸² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი.

მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების
აუცილებლობის შესახებ.¹⁸³

5.3 სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებით შეზღუდული უფლების ადეკვატურობა სასარჩელო მოთხოვნის მოცულობასთან

სსსკ აგებულია მხარეთა თანასწორობის პრინციპზე. ამ პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა ორი ურთიერთდაპირისპირებული ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს მხარის ინტერესების თანაბრად გათვალისწინება. კანონი ყოველთვის არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსამართლემ შეძლოს ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც დაცული იქნება ორივე მხარის, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესები.¹⁸⁴ სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემობასაც, რომ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება არ შეიძლება იქცეს მხარის დასჯის მექანიზმად და იგი ემსახურება კანონით ზუსტად გათვალისწინებულ შემთხვევებს. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის დონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან გამომდინარე. უზრუნველყოფის დონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის ადეკვატური. დაუშვებელია უზრუნველყოფის დონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამ კუთხით მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება.¹⁸⁵

სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოს სასამართლო წესით სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის დონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის.

ამასთან, უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენება უნდა იყოს განპირობებული იმ ვარაუდით, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ამასთან, უფლების დროებით შეზღუდვის დროს მნიშვნელოვანია გონიერი ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის.¹⁸⁶

¹⁸³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-901-851-2015.

¹⁸⁴ ძლიერიშვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების ვალდებულება, სამართლის ქურნალი, №1, 2018.

¹⁸⁵ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 მარტის განჩინება, საქმე №2/761-2015.

¹⁸⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განჩინება, საქმე №2ბ/906-15.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტის, მთავარი პრინციპი – აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება განპირობებული უნდა იყოს იმ ვარაუდით, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.¹⁸⁷

მხარეთა შორის ინტერესთა ბალანსის დაცვისა და უზრუნველყოფის ღონისძიების შერჩევის მიზნით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დავის საგნის მოცულობაზე, სასარჩელო მოთხოვნაზე და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე გამოყენებულია საგადასახადო გირავნობა, პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება განცხადებაში მითითებულ ყველა ქონების მიმართ. ამასთან, მოპასუხის საკუთრების უფლების გაუმართლებლად შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ღონისძიებისა ყადაღის ნაცვლად, ¹⁸⁸ სასამართლომ საკმარისად მიიჩნია ქონების გასხვისებისა და იპოთეკით (გირავნობით) დატვირთვის მოპასუხეთათვის აკრძალვის გამოყენება.¹⁸⁹

მხარეთა უფლებების დაბალანსებას ემსახურება სსსკ-ის 196-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის თანახმად, მხარეთა თხოვნით, დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე, რაც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტს კიდევ უფრო მოქნილს ხდის.

დასახელებული ნორმა ადგენს საპროცესო სუბიექტთა უფლებას, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მიმართონ სასამართლოს შუამდგომლობით და მოთხოვონ უკვე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების შეცვლა სხვა ღონისძიებით.

ასეთი ცვლილების სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ინტერესების სრულყოფილად დაცვასა და მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებაში მდგომარეობს. უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა საქმის

¹⁸⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-901-851-2015.

¹⁸⁸ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების, ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების აკრძალვას. რეგისტრაციას დაქვემდებარებულ ქონებაზე ყადაღის დადება – ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტის საფუძველზე. იხ. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონი, მუხლი 63¹.

¹⁸⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინება №2ბ/5599-14.

განხილვის ნებისმიერ ეტაპზეა დასაშვები, რადგან სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებიდან გამომდინარე, კანონმდებლი გონივრულად ვარაუდობს, რომ უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შესაძლო უარყოფითი შედეგები დასაშვებია გამოვლინდეს საქმის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე. ამასთან, სსსკ-ს მე-3 მუხლით განმტკიცებული დისპოზიციურობის პრინციპის მსგავსად, მხარე თავად წყვეტს, თუ როდის მოსთხოვოს აღნიშნული ცვლილების განხორციელება სასამართლოს მიერ. მიუხედავად იმისა, ადგება თუ არა მას ზიანი უზრუნველყოფის თავდაპირველი ღონისძიების დაწესების ეტაპზე. მას ამ ღონისძიების შეცვლის მოთხოვნის უფლება ენიჭება საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლის.¹⁹⁰

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დაცულია მოპასუხის უფლება. კერძოდ, მას მინიჭებული აქვს გასაჩივრების უფლება. აგრეთვე, გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების შესაძლებლობა, რომლის თანახმადაც, აღსრულებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის, საქმისწარმოების შეწყვეტის ან სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოპასუხეს მოსარჩელემ უნდა დაუბრუნოს ყოველივე, რაც მან მოსარჩელის სასარგებლოდ გადაიხადა გაუქმებული გადაწყვეტილებით.¹⁹¹

5.4 სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართება ეროვნული კანონმდებლობით გარანტირებულ ადამიანის უფლებებთან უფლებებთან

5.4.1 სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართება კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებთან საქართველოს მაგალითზე

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი საშუალებით ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ მოპასუხე არაკეთილსინდისიერად იმოქმედებს და ამ ღონისძიებათა მიუღებლობა შეუძლებელს გახდის სასამართლო აქტის აღსრულებას. ნორმის გამოყენება პირველ რიგში, წარმოშობს კითხვებს ნორმისა და კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთმიმართების კუთხით.

¹⁹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-5-5-2015.

¹⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I-33.

მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის (სარჩელის საგნის) პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს.¹⁹² ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იდენს ნორმის განმარტება ზოგადი სამართლებრივი პრინციპების მხედველობაში მიღებით, რომლის დროსაც მოსამართლებმ უთუოდ უნდა გაითვალისწინოს კანონმდებლის სულისკვეთება, რომელიც მან სსსკ-ს მეორე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსში ჩადო: „სამოქალაქო კოდექსი, კერძო სამართლის სხვა კანონები და მათი განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას“. წინააღმდეგ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს.

სსსკ-ს 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუწნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის, მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა არის ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტი, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის

¹⁹² ქლიერიშვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების ვალდებულება, სამართლის ქურნალი, №1, 2018.

უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე თბიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება, ¹⁹³ დარღვეული ან სადაც უფლების განხორციელება, გამოწვეული იქნება გამოუსწორებელი და პირდაპირი ზიანი ან ისეთი ზიანი, რომელიც ვერ იქნება კომპენსირებული მოპასუხისათვის ზიანის დაკისრებით.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთიანად იცავს, როგორც მოსარჩელის ისე – მოპასუხის ინტერესებს, ანუ მოსარჩელის ინტერესების უზრუნველყოფა არ ხდება მოპასუხის ინტერესების გაუთვალისწინებლად. სწორედ აღნიშნული პრინციპი უდევს საფუძვლად იმ გარემოებას, რომ კანონმდებელი უშვებს სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას და არა მის სავალდებულობას.¹⁹⁴

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონდებელი, ასევე, უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ შედეგზე გავლენას ვერ მოახდენს. აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალურია, როდესაც საუბარია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაზე. ¹⁹⁵ ამასთან, გადაწყვეტილების აღუსრულებლობის საფრთხეებ შესაძლოა მოგებული მხარისათვის აზრი დაუკარგოს დავას.¹⁹⁶

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით სრულიად შესაძლებელია შეიზღუდოს მხარის ინტერესი, მაგრამ ეს შეზღუდვა უფრო დიდ ინტერესს ემსახურება.

სარჩელის უზრუნველყოფის ზოგიერთი ღონისძიების გამოყენება უშუალოდ უკავშირდება მოპასუხის მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლების, კერძოდ – საკუთრების უფლების შეზღუდვას. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს, “საკუთრების საყოველთაო უფლებას და მას ხელშეუვალ უფლებად აცხადებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი ითვალისწინებს საკუთრების უფლების შეზღუდვის

¹⁹³ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 მარტის განჩინება №2/761-2015.

¹⁹⁴ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ოქტომბრის განჩინება №2/ბ-985.

¹⁹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივნისის განჩინება, საქმე №ას-829-775-2017.

¹⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 1/2/411, შპს "რუსენერგოსერვისი", შპს "პატარა კახი", სს "გორგობა", გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო "ფერმერი" და შპს "ენერგია" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ.

კონსტიტუციურსამართლებრივ საფუძველს და ადგენს, რომ შეზღუდა დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.¹⁹⁷

ზოგადად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ხშირ შემთხვევაში თავის თავში მოიაზრებს საკუთრების უფლების შეზღუდვას.¹⁹⁸ საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად.¹⁹⁹ საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა.²⁰⁰

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, ერთი მხრივ, ადგენს კერძო საკუთრების ინსტიტუტის კონსტიტუციურსამართლებრივ გარანტიას, ხოლო მეორე მხრივ, განამტკიცებს ძირითად უფლებას.²⁰¹ აღნიშნული ნორმით დეკლარირებულია საკუთრების ინსტიტუტის როგორც დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლად არსებული დირექტულების კონსტიტუციური მნიშვნელობა, რომელიც დამკაიდრებული მართლწესრიგის ფარგლებში პირის მოქმედების თავისუფლებისა და ინდივიდუალური თვითრევალიზების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.²⁰²

საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი

¹⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის №1/12/781 გადაწყვეტილება საქმე „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, I-4.

¹⁹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2” და „შპს ტელეკომპანია საქართველო” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II-4.

¹⁹⁹ ობილისი სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის განჩინება, საქმე №2ბ/5599-14.

²⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე პეტრი ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II-32.

²⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის №1/12/781 გადაწყვეტილება საქმე „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II-1.

²⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის №1/6/666 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ჯიბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”. II-1.

მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას.²⁰³

5.4.1.1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საქუთრების უფლებასთან მიმართებაში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძვლები ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ არ უთითებს მოპასუხის ან სხვა კერძო ან საჯარო ინტერესების გათვალისწინებაზე. კერძოდ, სსსკ ემყარება ვარაუდს, რომ თუკი არსებობს გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან შეუძლებლად გახდომის, ან შეუქცევადი ზიანის საფრთხე, მოსარჩელის დაცვის ინტერესი ყოველთვის აღემატება მოპასუხის საკუთრების უფლების დაცვის ინტერესებს ან სხვა კერძო თუ საჯარო ინტერესებს, რომლებიც შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ამდენად, სადაცო ნორმები 204 ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებს.²⁰⁵

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სსსკის 191-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ხელმძღვანელობს საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით. საჯარო ინტერესია ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობა. გარდა ამისა, მოსარჩელე არის პირი, რომელსაც მატერიალური სამართლით მინიჭებული უფლება დაერღვა და რომელმაც ამ უფლების დასაცავად მიმართა სასამართლოს.

მოპასუხების, რომლის უფლებებიც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით „ილახება”, ამავე კოდექსით უფლება აქვს გაასაჩივროს სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მიღებული განჩინება,²⁰⁶ მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის შეცვლა მეორეთი,²⁰⁷ მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლა და

²⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვერბაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-5.

²⁰⁴ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეწუნქტის, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინააღმდების და 271-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

²⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-67.

²⁰⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 194-ე მუხლის, ნაწილი მე-3.

²⁰⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 196-ე მუხლი

დაყადაღებული ქონების გამიჯვნა²⁰⁸ ანდა მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება.²⁰⁹

სამოქალაქო საპროცესო სამართალში დამკვიდრებული შეჯიბრებითობის პრინციპიდან და სსსკ-ის 191 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესიდან გამომდინარე სასამართლო სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებისას ხელმძღვანელობს მოსარჩელის მიერ წარდგენილი განცხადებით და გადაწყვეტილებას იღებს, მოპასუხისათვის შეუტყობინებლად, განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში.²¹⁰ შესაბამისად, სასამართლო შებოჭილია კანონით დადგენილი ვადით და შეჯიბრებითობის პრინციპით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოითხოვს იმგვარი სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს პირის უფლებებისა და ინტერესების სწრაფად და ეფექტურად დაცვას.²¹¹

სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონიერულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე. ვინაიდან, მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას.²¹²

კონსტიტუციური უფლებების პრაქტიკაში რეალიზების, მათი დაცვის შესაძლებლობას სწორედ სამართალშემფარდებელი უზრუნველყოფს. კერძოსამართლებრივი დავების განხილვისას და სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკანონმდებლო ნორმების ინტერპრეტირებისას სამართალშემფარდებელმა უნდა გაითვალისწინოს ის შედეგი, რომელიც გადაწყვეტილებამ შეიძლება იქონიოს კონსტიტუციური უფლებების რეალიზებაზე და არ უნდა დაუშვას სამართალწარმოების ერთი მხარისთვის სარგებლის მინიჭება სხვა პირთა კონსტიტუციური უფლების, გაუმართლებელი შეზღუდვის ხარჯზე.²¹³

²⁰⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 196^{1-ა} მუხლი

²⁰⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 199.-ე მუხლი

²¹⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი – მუხლი 193.

²¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746 შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1.2.11.

²¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის 3/2/577გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვაჟუშტი მენაბეგ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

²¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-82.

საკუთრების უფლების შეზღუდვის გამართლების შეფასების სტანდარტის პროპორციულობის ტესტია. აღნიშნული ტესტის თანახმად, საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს დირექტული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.²¹⁴ აღნიშნულიდან გამომდინარე, ლეგიტიმური საჯარო მიზნის მისაღწევად დონისძიების გამოყენების აუცილებლობა ყოველთვის საქმარისი არ არის საკუთრების უფლების შეზღუდვის გასამართლებლად, კონსტიტუცია მოითხოვს, რომ შეზღუდვა იყოს ვიწროდ პროპორციული, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა არ განხორციელდეს უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე, უფლებისათვის მიუენებული ზიანი არ უნდა აღემატებოდეს იმ ინტერესს, რომლის დაცვისათვისაც ის იზღუდება.²¹⁵

კანონის ნორმა, რომელიც მოსამართლეს ავალდებულებს, გამოიყენოს უზრუნველყოფის დონისძიება, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც მოწინააღმდეგე მხარისათვის მიყენებული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება უზრუნველყოფის დონისძიებით დაცულ სიკეთეს, ეწინააღმდეგება საქართვლოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.²¹⁶

5.4.1.2 საქართველოს უზენაესი სარჩელის უზრუნველყოფის უფლებასთან მიმართებაში სასამართლოს დონისძიების საკუთრების განმარტება

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მის გადაწყვეტილებებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს.²¹⁷

²¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე პეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60.

²¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-82.

²¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-62.

²¹⁷ საქართველოს სამოქალაქო საპრცესო კოდექსის მუხლი 391-ე ნაწილი მე-5: საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დაგაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პროცესუალურ გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე საგარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხე

თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის განჩინებით ყადაღა დაედო დ.ა-ძეს სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებას. 2011 წლის 31 იანვარს თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას საჩივრით მიმართა დ.ა-ძემ და მოითხოვა 2011 წლის 31 იანვრის განჩინების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც ყადაღა დაედო მის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებას.

საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ მის საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადგება არ არის ადეკვატური აღსასრულებელი გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად და ზღუდავს მესაკუთრის კანონიერ ინტერესს. მისი ოქმით მოსარჩელისთვის გადასახდელი არის 53 887.50 აშშ დოლარი, რაც უზრუნველყოფილია სხვა უძრავი ქონებით, ხოლო მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება შეფასებულია 71 850 აშშ დოლარად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 მაისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

აღნიშნულთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ განმარტა, “სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენება მართლაც უკავშირდება მოპასუხის მნიშვნელოვან კონსტიტუციურ უფლებას, კერძოდ, – საკუთრების უფლებას. ყადაღის დაწესება არის კანონმდებლის ჩარევა ადამიანის ძირითადი უფლების კონსტიტუციით დაცულ სფეროში, ხოლო ამგვარი ჩარევის (შეზღუდვის) გამართლება უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის საჯარო მიზნისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კერძო ინტერესების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ყადაღის დაწესებით კანონმდებელმა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია მოსარჩელის მატერიალურ უფლებათა რეალური განხორციელების უზრუნველყოფა სასამართლო პროცესის დასრულებამდე, რაც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა უფექტური და დაუბრკოლებელი აღსრულების საჯარო ინტერესის დაცვის მიზანს ემსახურება. ეს უდაოდ მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის და დემოკრატიული ინსტიტუტების ქმედითობას უწყობს ხელს. შესაბამისად, საკუთრების უფლების შეზღუდვისას ამგვარი მიზნის მითითება ლეგიტიმურია.”²¹⁸

საქასაციო სასამართლოს მსჯელობიდან გამომდინარე ნათელია, რომ კერძო პირის (მოპასუხის) ინტერესს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

²¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, საქმე ას-1188-1117-2011.

უპირისპირდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადობა, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და დემოკრატიულობის ხარისხის ერთ-ერთი მაჩვენებელიცაა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსჯელობას ეხმაურება საკუთრების უფლების არსი. ”საკუთრების უფლების აბსოლუტურობა არ გულისხმობს, რომ საკუთრება აბსოლუტურად ”ლაგამმიშვებული” ფასეულობაა.”²¹⁹ სსკს 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილის პირველივე წინადადებაში მოცემულია ფორმულირება ”მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კეძოდ სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით). . .” გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით. ”კანონისმიერი ბოჭვის ფარგლები” გულისხმობს საკუთრების უფლების შებოჭვას, როგორც მატერიალური, ისე საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სწორედ, საკუთრების უფლების კანონისმიერი ბოჭვაა.

ზემოაღნიშნული არგუმენტაციის გარდა, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მოცემული სარჩელი მიკუთვნებითი ხასიათის სარჩელს წარმოადგენდა, რაზეც სააპელაციო სასამართლომ მართებულად გაამახვილა უურადღება და უზენაესი სასამართლოც მის მსჯელობას დაეთანხმა. მიკუთვნებითი სარჩელის დროს, გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებულია არა მხოლოდ გადაწყვეტილების ძალაში შესვლაზე (როგორც ეს აღიარებითი სარჩელების შემთხვევაში), არამედ სამართლებრივი შედეგის დადგომა, ასევე, დამოკიდებულია მოპასუხის ნებაზე. მოპასუხემ უნდა განახორციელოს გარკვეული მოქმედება თანხის გადახდაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა დამოკიდებულია იძულებით აღსრულებაზე. იძულებითი აღსრულების ფარგლებში უნდა არსებობდეს საშუალება, რითაც მოხდება გადაწყვეტილების აღსრულება და კრედიტორის მოთხოვნის დაქმაყოფილება. ”სწორედ ამ საშუალების არსებობისა და შენარჩუნების გარანტიებს ქმნის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელსაც სასამართლო მიმართავს მოსარჩელის განცხადების საფუძველზე.” ის ფაქტი, რომ მხარე იძენს გარკვეული მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას, აძლევს მხარეს პატივსადებ მიზეზს, რომ სასამართლოს თავისი სამომავლო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა მოთხოვოს.²²⁰

²¹⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, 1999, 84.

²²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოს მოსამართლეთათვის, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, დეკემბერი, 2010, 157.

მართალია, პირს ეზღუდება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით მინიჭებული - საკუთრების უფლება, მაგრამ ეს შეზღუდვა ემსახურება კონსტიტუციით მინიჭებულ სხვა სამართლიანი სასამართლოს უფლებას. გერმანიაში უზრუნველყოფის დონისძიების არსებობა სორედ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ჩამოყალიბებას, კერძოდ, ეფექტური სასამართლოს უფლების განმარტებას უკავშირდება.²²¹ ესპანეთსა და გერმანიაში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და განვითარების კატალიზატორად სწორედ ადამიანის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას - სამართლიანი სასამართლოს უფლებას ასახელებენ.²²²

5.4.2 სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების მიმართება კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებთან ესპანეთის და გერმანის მაგალითზე

ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციის 117.3 მუხლის თანახმად „კანონის ფარგლებში განხორციელებული საპროცესო გადაწყვეტილების მიღების და გადაწყვეტილების აღსრულების უფლებამოსილება ექსკლუზიურად ეკუთვნის სასამართლოს და კანონით განსაზღვრულ ტრიბუნალებს.“ ამ მუხლის თანახმად, ესპანეთში არსებობს ორი ტიპის (სახის) პროცესი, პირველი უკავშირდება გადაწყვეტილების მიღებას ანუ დეკლარაციული პროცესი,²²³ ხოლო მეორე აღსრულების პროცესი,²²⁴ რომელიც მიზნად ისახავს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. მიუხედავად ამისა, ესპანეთის საპროცესო სამართლის კოდექსის ავტორები ასახელებელ მესამე სახის პროცესს, რომელსაც პირობითად გამაფრთხილებელი პროცესს²²⁵ უწოდებენ. „გამაფრთხილებელი პროცესის“ ფუნქციაა პროცესში არსებული შესაძლო დაბრკოლებების მიხედავად, უზრუნველყოს ორივე დეკლარაციული და აღსრულების პროცესის საბოლოო მიზნის მიღწევა, რათა სასამართლოს თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალს პქონდეს შესაძლებლობა მოახდინოს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების ეფექტიანი აღსრულება. მაშასადამე, ეს არის დამხმარე ფუნქციის მატარებელი პროცესი, რომელიც დაკლარაციულია და აღსრულების პროცესის წარმატებით დასრულებას უწყობს ხელს.²²⁶

²²¹ ძლიერი შვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების ვალდებულება, სამართლის ჟურნალი, №1, 2018.

²²² De la Sierra, Susana, Provisional Court Protection in Administrative Disputes in Europe: The Constitutional Status of Interim Measures Deriving from the Right to Effective Court Protection. A Comparative Approach. European Law Journal, Vol. 10, No. 1, 44, 2004. <<https://ssrn.com/abstract=513549>> 02.03.2018.

²²³ ინგლისურ ენაზე - Declaration process.

²²⁴ ინგლისურ ენაზე - Enforcement process.

²²⁵ ინგლისურ ენაზე - Precautionary process.

²²⁶ Mota C. E., Provisional Measures in Spanish Civil Procedure, University of Valencia - Faculty of Law November 1, 2011 COMPARATIVE STUDIES ON ENFORCEMENT AND PROVISIONAL MEASURES, R. Stürner and M. Kawano, eds., Mohr Siebeck, 2011, 208.

ფართო განმარტებით, უზრუნველყოფის დონისძიებები უზრუნველყოფებ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანობას. უფრო კონკრეტულად, ესპანეთის საპროცესო კანონმდებლობა გამოყოფს სარჩელის უზრუნველყოფის სამ განსხვავებულ მიზანს, რომელიც შესაძლოა ამა თუ იმ დონისძიებას გააჩნდეს. ესენია:

1. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა;
2. არსებული მდგომარეობის, ე.წ. - status quo –ს შენარჩუნება ან გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილება;
3. ზოგიერთი საგამონაკლისო დონისძიებები მიზნად ისახავენ თავად პროცესის საბოლოო შედეგის განსაზღვრას.

გერმანიაში, ისევე როგორც უმეტეს ქვეყნებში, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა ან არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების მიზანს ემსახურება.

5.5 სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარდგენისათვის დადგენილი წინაპირობები

5.5.1 სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარდგენისათვის დადგენილი წინაპირობები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით სასამართლოსადმი მიმართვამდე სახეზე უნდა იყოს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წინაპირობები, მათ შორის:

1. დავა უწყებრივად უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოს;²²⁷
2. სარჩელი იმ სასამართლოს განსჯადი უნდა იყოს, სადაც შეაქვს მოსარჩელეს განცხადება;²²⁸
3. სარჩელი უნდა აქმაყოფილებდეს სსსკ-ის 178-179 მუხლების მოთხოვნებს და წარდგენილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ, ანუ არ უნდა არსებობდეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის წინაპირობები;²²⁹
4. სასარჩელო მოთხოვნა მიგუთვნებითი ან აღიარებითი ხასიათის უნდა იყოს.

სარჩელების კლასიფიკაცია შესაძლებელია მატერიალურსამართლებრივი²³⁰ და პროცესუალური ნიშნით.

პროცესუალური ნიშნით კლასიფიკაციის დროს მხედველობაში მიიღება სარჩელის შინაარსი. კერძოდ, პირველ ჯგუფს ქმნიან ის სარჩელები, რომლებიც მიმართულნი არიან სუბიექტური (სამოქალაქო) უფლების იძულებით განხორციელებისაკენ, ანუ იმ მოთხოვნების დადგენისაკენ,

²²⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი მე-10 და მე-11.

²²⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი მე-10 და 23-ე.

²²⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 186-ე.

²³⁰ ვინდიკაციური, პოსესურული, პეტიტორული, ნეგატორული, სახელშეკრულებო, დელიქტური, კონდიქციური და ა.შ.

რომლებიც დაავალდებულებენ მოპასუხეს შესრულებას, ან შესრულებისაგან თავის შეკავებას. მაგ.: ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა, ვალის გადახდა, ზიანის ანაზღაურება, სამუშაოს შესრულება და ა.შ. როგორც წესი, ამ სახის სარჩელებზე მიღებულ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებზე²³¹ სასამართლო გასცემს საადსრულებო ფურცელს და ამიტომ ამ ტიპის სარჩელებს აღსრულებად სარჩელებადაც მოიხსენიებენ. პროცესუალური თვალსაზრისით ამ სახის სარჩელი წარმოადგენს სარჩელის ყველაზე მნიშვნელოვან სახეს. მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით მოსამართლისათვის სწორედ მოთხოვნის საფუძველია კანონის უმნიშვნელოვანების სახე ნორმათა სხვა სახეებს შორის (მოთხოვნის გამომრიცხავი, მოთხოვნის შემწყები, მოთხოვნის განხორციელების ხელისშემშლელი და დამხმარე ნორმები). მეორე ჯგუფს ქმნიან აღიარებითი სარჩელები. ისინი მიმართული არიან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა ან არ არსებობის აღიარებისაკენ.²³² მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და აშ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის ლიკვიდაცია. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომ ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისაგან განსხვავებით, ამ ტიპის სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა. თუმცა ამ სახის სარჩელის დაკმაყოფილებას მომავალში შეიძლება მოპვეს მიკუთვნებითი სარჩელის წარდგენაც. მაგ.: პირის მამობის დადგენის შემდეგ, მას შეიძლება მოეთხოვოს ალიმენტის გადახდა.

აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუკი მოსარჩელე უფლებამოსილია სამართლებრივი ურთიერთობის დადგენის ნაცვლად მოითხოვოს შესრულება, ე. ი. გამოიყენოს მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი.²³³ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება აღიარებითი სარჩელის დროს, ისევე შესაძლებელია როგორც მიკუთვნებითი სარჩელის არსებობის პირობებში. აღიარებითი სარჩელის დროს სამართალურთიერთობის აქტიური ცენტრი გადატანილია უფლებაზე, მხარე ითხოვს უფლების

²³¹ გამონაკლისია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლი.

²³² სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელე აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

²³³ ბოელინგი პ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, 2004, 37.

დაცვას, რათა მომავალში ის. არ დაირღვეს იმ ადიარებითი გადაწყვეტილებით, რომლითაც მხარე იძენს გარკვეულ მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობას. ამდენად, მას აქვს პატივსადები მიზეზი, რომ სასამართლოს თავისი სამომავლო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა მოთხოვოს.

ასევე გამოყოფენ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის გარდამქმნელ სარჩელებს. ამ ტიპის სარჩელი მიმართულია მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობის წარმოშობის (შექმნის), შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეები იურიდიული ურთიერთობის შეცვლას, გარდაქმნას სხვა ურთიერთობაში და მის შეწყვეტას ახდენენ ურთიერთშეთანხმებით, ანუ სასამართლოს გარეშე. ოუმცა ზოგჯერ ეს მათ არ შეუძლიათ განახორციელონ სასამართლო კონტროლის გარეშე.²³⁴

წარმოდგენილი სარჩელის შინაარსი მაღალი ალბათობით უნდა იძლეოდეს იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნას გააჩნია პერსპექტივა და მასში მითითებული ფაქტობრივი წინაპირობების განხორციელების შემთხვევაში, სწორედ ის სამართლებრივი შედეგი დადგება, რისი ინტერესიც გააჩნია მოსარჩელეს, ანუ მოთხოვნა იურიდიულად უნდა ამართლებდეს სარჩელს.

მოთხოვნა ეს არის – კრედიტორის უფლებამოსილება კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ვალდებულების საფუძველზე მოსთხოვოს მოვალეს შესრულება, ან შესრულებისაგან თავის შეკავება. ამასთან, იმისათვის რომ კრედიტორმა მიაღწიოს მიზანს, საჭიროა:

1. სახეზე იყოს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმით გათვალისწინებული ის სამართლებრივი წინაპირობა (ფაქტობრივი გარემოება), რომელსაც კანონმდებელი უკავშირებს სამართლებრივ შედეგს, ანუ მოთხოვნა წარმოშობილი უნდა იყოს;²³⁵
2. არ უნდა არსებობდეს მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი (გამომრიცხავი) კანონისმიერი საფუძვლები;
3. არ უნდა არსებობდეს მოთხოვნის შეწყვეტის გარემოებები;
4. მოთხოვნა განხორციელებადი უნდა იყოს, რაც იმას გულისხმობს, რომ მოვალეს არ უნდა შეეძლოს დროებითი ან მუდმივი შესაგებლის წარდგენა.

²³⁴ მაგ.: ხელშეკრულების ბათილობა. უძრავი ქონების გასხვისება მოხდა წარმომდაგენლის შეშვეობით. მოგვიანებით გაირკვა რომ მინდობილობით პირს არ ქონდა უძრავი ქონების გასხვისების უფელბამოსილება. მხარეები თანხმდებიან რომ ხელშეკრულება ბათილია ვინაიდან იგი დადებულია არაუფლებამოსილი პირის მიერ, თუმცა საჯარო რეესტრში ჩანაწერების ცვლილება განხორციელება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

²³⁵ მაგ.: სახესხო ურთიერთობიდან გამომდინარე თანხის დაბრუნების ვადა დამდგარი უნდა იყოს.

რასაკვირველია, მოსამართლეს ყოველთვის არ შეუძლია მოთხოვნის ნამდვილობის ყველა დასახელებული გარემოების შემოწმება სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების ეტაპზე, რადგან კანონმდებლის მიზანია მასთან დაკავშირებული წარმოების განსაკუთრებით დროულად და სწრაფად წარმართვა, ²³⁶ მაგრამ პირველი და მეორე საკითხის შემოწმება სარჩელსა ან განცხადებაში მითითებული გარემოებების გაანალიზებით სრულიად შესაძლებელია და აუცილებელიც არის. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებას არა საქმის წარმოების საწყის ეტაპზე, არამედ მოგვიანებით, მაგ.: მას შემდეგ, რაც მოპასუხებ შესაგებელი უკვე წარადგინა, მოსამართლემ ყველა ზემოაღნიშნული გარემოების შემოწმების შემდეგ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. თუ მოთხოვნა ნამდვილი არ არის მაშინ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების საფუძველიც არ იარსებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ განცხადება დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება და მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას უზრუნველყოფის გამოყენებაზე.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, სასამართლოს განმცხადებლის მითითების საფუძველზე უნდა შეექმნას მყარი შინაგანი რწმენა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული დონისძიების გამოუყენებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. თავის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს სახელით გამოტანილ მართლმსაჯულების აქტს, რომელიც მოდავე მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აწესრიგებს და მიმართულია სამომავლოდ (კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის) დაცული და აღიარებული უფლების რეალიზებისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის აღმოჩნდება, რომ შეუძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგის განხორციელება, მართლმსაჯულება რეალურ მიზანს დაკარგავს.

5.5.2 სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარდგენისათვის დადგენილი წინაპირობები ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 723.1 მუხლის თანახმად, საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე.²³⁷ სსსკ-ს მსგავსად, ესპანეთში მხარე

²³⁶ განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისათვის შეუტყობინებლად.

²³⁷ Mota C. E., Provisional Measures in Spanish Civil Procedure, University of Valencia - Faculty of Law November 1, 2011 COMPARATIVE STUDIES ON ENFORCEMENT AND PROVISIONAL MEASURES, R. Stürner and M. Kawano, eds., Mohr Siebeck, 2011, 209.

არ იზღუდება უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნის დროით. მოსარჩევეს შეუძლია მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფა სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე ან სარჩელთან ერთად წარადგინოს მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფაზე ანდა მოითხოვოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სასამართლოში სარჩელით მიმართვის შემდომ. როდესაც მხარე სარჩელის წარდგენასთან ერთად წარადგენს მოთხოვნას სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, ამ დროს სარჩელი შეიცავს ორ განსხვავებულ მოთხოვნას, პირველს რომელიც შეეხება ძირითად სასარჩელო მოთხოვნას და მეორეს მოთხოვნას სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე. სასამართლო ორივე მოთხოვნას განიხილავს ერთდროულად.

5.6 სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით

სამოქალაქო სამართალწარმოების ეტაპზე გარკვეული საპაროცესო მოქმედებების განხორციელების ერთ-ერთი წინაპირობაა კანონით დადგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდა. პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები.²³⁸ სასამართლო ხარჯები, თავის მხრივ, შედგება სახელმწიფო ბაჟისაგან და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან.²³⁹ სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის.²⁴⁰ ამ განმარტების შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში – ესაა მხარეების, მესამე პირების დამოუკიდებელი მოთხოვნით, განმცხადებლის შენატანები, რასაც ისინი იხდიან სასამრთლოში საქმის განხილვისათვის, კანონით განსაზღვრული ოდენობითა და წესით.²⁴¹ სახელმწიფო ბაჟის გადამხდელებად ითვლებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა ინტერესებიდან გამომდინარეც სპეციალურად რწმუნებული დაწესებულებები ასრულებენ იურიდიულ მოქმედებებს და გასცემენ შესაბამის საბუთებს.²⁴² სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება საერთო სასამართლოებში განსახილვებით სასარჩელო ან სხვა განცხადებებზე და საჩივრებზე.²⁴³

²³⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი

²³⁹ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, 70.

²⁴⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ 1-ლი მუხლი.

²⁴¹ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, 70.

²⁴² „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი.

²⁴³ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს: სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე, აგრეთვე, საჩივარზე – თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია 50 ლარს, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია 150 ლარს. ²⁴⁴ შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონ“-მა № 623-ე სარჩელით სადაცოდ გახადა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სსკ-ითი განსხვავებულად განსაზღვრული ბაჟის ოდენობა. ვინაიდან, იურიდიული პირებისათვის დაწესებული უფრო მაღალი სახელმწიფო ბაჟი, იწვევს ამ უკანსკნელთა მიმართ დიფერენცირებულ მიღომას.²⁴⁵

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლზე დაყრდნობით კონსტიტუციის მე-14 მუხლით განმტკიცებული თანასწორობის პრინციპი ვრცელდება იურიდიულ პირებზეც, თუ უფლების ბუნებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება გააჩნიათ, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს. შესაბამისად, ეს უფლება თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა პირისთვის და იურიდიულ პირს არ უნდა ეკისრებოდეს გაზრდილი ბაჟის გადახდის ტვირთი.²⁴⁶

კანონის წინაშე თანასწორობის უფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით, რომლის თანახმად: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“ კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა ადგენს კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს. მისი მიზანია არ დაუშვას არსებითად თანასწორის უთანასწოროდ მოპყრობა და პირიქით.²⁴⁷

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი არის თანასწორობის იდეის ნორმატიული გამოხატულება – კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც ზოგადად გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირება.²⁴⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიზანი არისარა პირთა აბსოლუტური თანასწორობის

²⁴⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე” ქვეპუნქტი.

²⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/6/623 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონ“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I-6.

²⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/6/623 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონ“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I-7.

²⁴⁷ იქვე II-1.

²⁴⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1493 გადაწყვეტილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

მიღწევა, არამედ არსებითად თანასწორი პირებისადმი თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა.²⁴⁹

კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობების განურჩევლად, უვალა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად თანასწორო შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწოროებს - პირიქით.²⁵⁰

სადაც ნორმების კონსტიტუციის მე-14 მუხლთან შესაბამისობაზე მსჯელობისას, აუცილებელია, გამოიკვეთოს შესაძარებელი ჯგუფები და განისაზღვროს, რამდენად წარმოადგენენ ისინი არსებითად თანასწორ სუბიექტებს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით. მოცემულ შემთხვევაში ხდება ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურდიული პირების დიფერენცირება, რაც გამოიხატება რიგ სასამართლო მოქმედებებზე განსხვავებული ოდენობის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაწესებაში. ზოგადად, ფიზიკურ და იურდიდიულ პირებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა მათი ბუნებისა და უფლებრივი სტატუსიდან გამომდინარე. თუმცა, ამ ორ პირს შორის არსებული განსხვავება ყოველთვის ვერ განაპირობებს მათ არსებითად უთანასწორო პირებად მიჩნევას.²⁵¹ გარკვეულ შემთხვევებში ფიზიკური და იურდიდიული პირები არსებითად თანასწორ სუბიექტებად შეიძლება იქნეს განხილული.²⁵²

ბაჟის დაწესებას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში გააჩნია ლეგიტიმური მიზანი. სახელმწიფო ბაჟის დაწესებით ამცირებს დაუსაბუთებელი, უმიზნო სარჩელების წარდგენის ალბათობას. სახელმწიფო ბაჟის დაწესება ხელს უწყობს მხარეების მიერ სარჩელის მხოლოდ რეალური საჭიროების პირობებში წარდგენას, მაშინ, როდესაც მხარე მიიჩნევს, რომ მეორე მხარის მიმართ მას რეალური სამართლებრივი მოთხოვნა გააჩნია. ბაჟის დაწესებით სახელმწიფო ახალისებს სამოქალაქო სამართალწამოების

²⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 14 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გორა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-8.

²⁵⁰ საქონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II-2.

²⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/6/623 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „სადაზღვეფო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-5.

²⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522,553 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

მხარეებს, იდავონ მხოლოდ მაშინ, როდესაც სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება რეალურად სჭირდებათ.²⁵³

„სასამართლოს უფლება” არ არის აბსოლუტური უფლება, იგი შეიძლება სახელმწიფოს მიერ შეიზღუდოს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი აძლევს მხარეებს თავიანთ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად „სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლებას”. ამასთან, სახელმწიფოს აღნიშნული უფლების შეზღუდვის იმ საშუალებათა თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ანიჭებს, რომელთა მეშვეობითაც „სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება” შეიძლება შეიზღუდოს. ამავე დროს სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის.²⁵⁴

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის უფლებას სასამართლო წესით დაიცვას თავისი უფლებები და მოვალეობები. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება „სასამართლოს უფლების” მხოლოდ ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. თუმცადა, აღნიშნული კომპონენტი კონვენციის ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებული სხვა უფლებებით სარგებლობის გარანტია.²⁵⁵

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ-ს 39-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო მოქმედებების უმრავლესობაზე ფიზიკური და იურიდიული პირები ერთი და იმავე მოცულობის სახელმწიფო ბაჟს იხდიან. აღნიშნული სავარაუდო მიანიშნებს, რომ კანონმდებელი დაუსაბუთებელი სარჩელებისა თუ განცხადებებისაგან პრევენციის თვალსაზრისით სახელმწიფო ბაჟის დაწესებას, ბაჟის მოცულობას თანაბრად ეფექტურ მექანიზმად მიიჩნევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებით. ამავე დროს, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების, საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების ან ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადების, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვისას,

²⁵³ საქართველოს საქონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/623 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-15.

²⁵⁴ მესხიშვილი ქ., ბაჟი მაგისტრატი მოსამართლეების განსჯად საქმეებზე, ბაჟისაგან გათავისუფლებისა და ბაჟის ოდენობის შემცირების შიდასახლმწიფოებრივი და საერთაშორისო სტანდარტები (სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა), 9, იხ. <<http://library.court.ge/upload/64482012-07-05.pdf>> 03.03.2018.

²⁵⁵ იქვე.

კანონმდებლი მათთვის ბაჟის განსხვავებულ ოდენობას ადგენს.²⁵⁶

გონივრულია არგუმენტი, რომლის თანახმადაც, რაც უფრო მეტი ფინანსური რესურსი აქვს ამა თუ იმ პირს, მის მიმართ სახელმწიფო ბაჟს შეიძლება ნაკლებად ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი დაუსაბუთებელი სარჩელის წარდგენაზე. თუმცა აშკარაა, რომ პირის ფინანსური შესაძლებლობა არ არის დაკავშირებული მის სტატუსთან (ფიზიკურ ან იურიდიულ), ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფიზიკური პირი შეიძლება გაცილებით მეტ ფინანსურს რესურსს ფლობდეს იურიდიულ პირთან შედარებით ან/და პირიქით. ამავე დროს, ფიზიკურმა პირმა იმავე წარმატებით შეიძლება წარადგინოს თვითმიზნური, დაუსაბუთებელი სარჩელები, როგორც იურიდიულმა პირმა და არც ამ თვალსაზრისით არსებობს ამ ორი პირის დიფერენცირების ხელშესახები საფუძველი.²⁵⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/6/623 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებასთან დაკავშირებული გადასახადელი ბაჟების განსხვავებული ოდენობები. შესაბამისად, 2017 წლის 12 იანვრიდან, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებებთან დაკავშირებით იხდიან ერთი და იგივე თანხის ოდენობის ბაჟს.

5.7 სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების შესახებ განჩინება და მისი მიღების წესი

5.7.1 სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების შესახებ განჩინების მიღების პროცედურა

სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება უნდა გადაწყვდეს ინდივიდუალურად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი კონცენტრირებულია სსსკ-ს 191-ე მუხლში. კერძოდ, იმ წინადაღებებში, სადაც წერია რომ „სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ, ზიანს რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით”. 2015 წლის

²⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/6/623 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „სადაზღვეო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-17.

²⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/6/623 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „სადაზღვეო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-18.

11 დეკემბრის კანონის პროექტით განხორციელებული ცვლილებით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სტანდარტი აიწია. ობიექტურ კატეგორიას დაემატა სუბიექტური გარემოება. კერძოდ, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობამ უნდა გამოიწვიოს გამოუსწორებელი და პირდაპირი ზიანი ან ისეთი, ზიანი რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით.²⁵⁸

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსის 285-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომელშიც უნდა მიეთითოს, უზრუნველყოფის რომელი კონკრეტული ღონისძიება შეარჩია სასამართლომ.

ამავე კოდექსის 285-ე მუხლით, მართალია, განსაზღვრულია ის კონკრეტული მოთხოვნები, თუ რას უნდა აქმაყოფილებდეს განჩინება, თუმცა უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე შემაჯამებელ სასამართლო აქტს წარმოადგენს სწორედ განჩინება და მისი აღსრულება ხდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით.²⁵⁹

სსსკს 285-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „განჩინებაში უნდა აღინიშნოს მოტივები, რომლებითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე და კანონები, რომელებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.“ ამრიგად, სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს. აღნიშნულის პირდაპირი ვალდებულება გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან. სასამართლო აქტის დასაბუთებულობა გულისხმობს ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილ გამოკვლევას და შესაბამის სამართლებრივ კვალიფიკაციას. ამდენად, სასამართლო, ზოგადად, ვალდებულია, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთებას რაიმე დოკუმენტის გამოკვლევა სჭირდება და მისი გამოკვლევის საშუალებას საპროცესო კოდექსის ნორმები არ იძლევა, ეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველი უნდა გახდეს.²⁶⁰

ყველა საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე. კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან

²⁵⁸ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/78075>? 30.03.2018

²⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-1087-1037-2013.

²⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის №1/22/781 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ჟიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-13.

აღუსრულებლობის შეუძლებლობის საშიშროებაზე. ასევე, მხედველობაში უნდა იღებდეს იმას, თუ რამდენად აუცილებელია ესა თუ ის სამართლებრივი მქანიზმი სარჩელის უზრუნველსაყოფად და თუ დაადგენს მის აუცილებლობას, იგი ვალდებულია, მოახდინოს სარჩელის უზრუნველყოფა²⁶¹ და მიიღოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების თაობაზე.

ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და დასაბუთებული ეჭვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის აღმოჩინის საფუძველია, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამდღვრები გადაწყვეტილების აღუსრულებობის ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს.²⁶² უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების აუცილებლობა დამოკიდებულია სასარჩელო მოთხოვნის შინაარსზე, რამდენადაც სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ხდება დავის დაცვის აუცილებლობის შეფასება.²⁶³

სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა არის სარჩელის დაქმაყოფილების ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების მისაღებად. არ არის გამართლებული იმ უფლების უზრუნველყოფა, რომელიც არ არსებობს და იმთავითვე ნათელია სასამართლოსთვის. თუ არ არსებობს უფლება, არც იმის საშიშროებაა, რომ იგი დაირღვევა სარჩელის უზრუნველყოფის მიუღებლობით, ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებისადმი, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტისადმი, ფორმალური მიდგომა დაუშვებელია და იგი უმეტესწილად სასარჩელო მოთხოვნის დაქმაყოფილების მიზანშეწონილობაზეა დამოკიდებული.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო – სამართლებრივ გარანტიას. აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურება ისაა, რომ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა წინასწარი და დროებითი ხასიათის დონისძიებაა და გამოიყენება დარღვეული ან სადაცო უფლების შესახებ, სასამართლოს არსებითი მსჯელობისაგან დამოუკიდებლად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. უზრუნველყოფის დონისძიებაზე მსჯელობისას, ყველა საქმეზე, სასამართლომ პირველ რიგში, ყურადღება უნდა

²⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-54.

²⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განჩინება, საქმე ასN-214-201-2015.

²⁶³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 სექტემბრის განჩინება, საქმე N2ბ/3425-14.

გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე. მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმ კონკრეტული გარემოებების არსებობა, რომელიც ადასტურებენ ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის დონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.²⁶⁴

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფა.²⁶⁵

რამდენად გამართლებულია მატერიალურსამართლებრივ სიკრცეში შპვე უზრუნველყოფილი მოთხოვნის საპროცესოსამართლებრივი უზრუნველყოფა. აღნიშნული გაუმართლებელია, ვინაიდან მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა უკვე უზრუნველყოფილია, მაგალითად, იპოთეკით ან გირავნობით, ანუ როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობა უზრუნველყოფილია სანივთო სამართლებრივი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებით, რომლებსაც გააჩნიათ აქცესორული²⁶⁶ ხასიათი. იპოთეკის უფლებისა და გირავნობის უფლების აქცესორული ხასიათი ვლინდება იმაში, რომ მათი წარმოშობა დამუკიდებლად არ ხდება. კერძოდ, თუ არ არსებობს ძირითადი ვალდებულება, მოვალის ქონებაზე არც გირავნობის ან იპოთეკის წარმოშობის აუცილებლობა არ არსებობს. ძირითად ვალდებულებასა და აქცესორულ უფლებას შორის კავშირი ვლინდება იმაში, რომ აქცესორული უფლება ემსახურება ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილებას. აქცესორული უფლებებს აერთიანებს საერთო ნიშანი - უზრუნველყოს კრედიტორის მოთხოვნის უფლება.²⁶⁷ შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იმ სასარჩელო მოთხოვნაზე, რომელიც უკვე უზრუნველყოფილია სანივთო სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალებით გაუმართლებელია. ვინაიდან მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გახსვისების შემთხვევაშიც, რომელიც მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკითაა დატვირთული, მოსარჩელის უფლება დაცულია, ვინაიდან, იპოთეკა და მის საფუძვლად არსებული მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ ერთდროულად და ერთობლივად იქნეს სხვა პირისათვის გადაცემული.²⁶⁸

²⁶⁴ საქრთველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-901-851-2015, პუნქტი 8.

²⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინება, საქმე №ას-59-54-2015.

²⁶⁶ აქცესორულია უფლება, რომელიც ისეა დატავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 153-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

²⁶⁷ შოთაძე თ., სანივთო სამართალი, 2014, 40.

²⁶⁸ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, 2003, 53.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მხარეს, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, თუ იქმნება ვარაუდი, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შემდგომში გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება საჭიროა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და მის აღსრულებამდე. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.²⁶⁹

5.7.2 სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობები და სასამართლოს პრაქტიკაში არსებული პრობლემატიკა

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება თავის თავში არ გულისხმობს მოპასუხის რეაგირების შეჩერებას ან არევას, ის გულისხმობს პროცესის მიმდინარეობისას მოპასუხის თავისუფალი მოქმედებებისათვის საზღვრების დაწესებას.²⁷⁰

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსიდან გამომდინარე დაუშვებელია განცხადებელს უარი ეთქვას სარჩელის უზრუნველყოფაზე, ვინაიდან, რიგ შემთხვევებში ფაქტობრივი ან სამართლებრივი სირთულის გამო, საქმის განხილვა დაკავშირებული არის გარკვეულ დროსთან. ²⁷¹ სასამართლოს განმარტებით, თუ დავუშვებო, რომ მოელი ამ დროის განმავლობაში ნებისმიერ სარჩელზე (კონკრეტული გარემოებების შეფასების გარეშე) გატარებული იქნება უზრუნველყოფის ღონისძიება და მოპასუხეს დაუყადაღდება არსებული ან დავის განმავლობაში შეძენილი ქონება, შეეზღუდება ჩვეულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული ტრანზაქციების განხორციელება, აღნიშნული უდავოდ გამოიწვევს მოპასუხე მხარის არათანაზომიერ შეზღუდვას, რაც დაუშვებელია. ²⁷² თუმცა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმამდე სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს რას ემსახურება სარჩელის უზრუნველყოფის

²⁶⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-617-587-2013; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-1215-1140-2015.

²⁷⁰ Westberg P., Interim Measures and Civil Litigation, Scandinavian Studies in Law, 539 <<http://www.scandinavianlaw.se/pdf/51-25.pdf>> 14.02.2018

²⁷¹ ობილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოდეგის 2016 წლის 5 ივლისის განჩინება, საქმე №2/3482-14.

²⁷² ობილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოდეგის 2016 წლის 30 აგვისტოს განჩინება, საქმე №2/25508-16.

დონისძიება, რამ განაპირობა სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნა და ასევე, სსსკ-თი რა ბერკეტები გააჩნია მოპასუხე მხარეს, თუ მას ხელი შეეშლება ჩვეულებრივი საქმიანობის განხორციელებაში.

სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებაზე, იმ მოტივით, რომ ფიზიკური პირისათვის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება გაუმართლებელია. ვინაიდან, იგი ფიზიკური პირისათვის შეუქცევად ეკონომიკურ შედეგთან არის დაკავშირებული. მათ შორის, საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან. აღნიშნული დონისძიების გამოყენება, მით უფრო მიზანშეუწონელია მაშინ, როდესაც საქმე ეხება სახელშეკრულებო ურთიერთობას, რა დროსაც მხარეებს არაუზრუნველყოფილი სამოქალაქო ურთიერთობები აქვთ, რითაც იმთავითვე იკისრეს არაუზრუნველყოფილი სამართლადურთიერთობის რისკები. ²⁷³ აღნიშნული მიღგომა ცალსახად ეწინააღმდეგება სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსეს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მან, პირის მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სამართლებრივი გარანტიები უნდა შექმნას.²⁷⁴

სსსკ-ს 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება პირდაპირ კავშირში უნდა იყოს აღძრულ თუ აღსაძრავ სარჩელთან.²⁷⁵ ასევე, სასამართლოს უნდა შექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ თუკი არ იქნება გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება, საქმეზე სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილების აღსრულება დაბრკოლდება.²⁷⁶ დასახელებული ნორმის საპირისპირო შინაარსით განმარტება დაუშვებელია და ეწინააღმდეგება არათუ დადგენილ პრაქტიკას, არამედ ზოგადად საპროცესო კანონმდებლობას. დასახელებული მუხლის თანახმად, სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

სასამართლოს პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო არც მსჯელობს უზრუნველყოფის გამოყენების საჭიროებაზე და მოსარჩელეს უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებაზე უარს ეუბნება, რადგან „სასამართლოს

²⁷³ ობილისი სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 აპრილის განჩინება, საქმე №2ბ/6144-15.

²⁷⁴ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება, საქმე №2/ბ-209-16.

²⁷⁵ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინება, საქმე №2/ბ-1037-2016.

²⁷⁶ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 მარტის განჩინება, საქმე №2/ბ-123, საქმე №030217716001216750.

განცხადების განხილვისას არ გასჩენია სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ვარაუდი”²⁷⁷ ან საქმის მასალების და ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, მოპასუხეს საკუთრებაში გააჩნია არაერთი უძრავი ქონება და აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გატარების წინაპირობები არ არსებობს.²⁷⁸

მსგავსი მიდგომა ძირს უთხრის და ეწინააღმდეგება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის და უზრუნველყოფის გარანტიის ინსტიტუტს, ასევე, სასამართლო გადაწყვეტილებისათვის სსსკ-ით დადგენილ მოთხოვნებს. სასამართლომ წინასწარ, მტკიცებულებების შეფასების, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების დადგენის და კანონმდებლობის გამოყენების გარეშე, გამოთქვა აზრი, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდება. სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების მიზანი არ არის მხარეთა შორის მიმდინარე არსებითი დავის საბოლოო გადაწყვეტის შესაძლო სურათის ჩვენება. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განხინების მიზანია, უზრუნველყოფს მოპასუხის ისეთი ქმედებების არიდება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.²⁷⁹

უზრუნველყოფის დონისძიება გამოიყენება მაშინ, როდესაც სასამართლოს ჩამოუყალიბდება დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ მისი გამოუყენებლობა გადაწყვეტილების აღსრულებას საფრთხის ქვეშ დააყენებს. სარჩელის უზრუნველყოფის საჭიროების მტკიცების ტვირთი ეკისრება განმცხადებელს, ანუ განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობა, ხოლო სასამართლოს შეუძლია, გაიზიაროს დასაბუთების მართებულობა. ამასთან, დასაბუთება უნდა იყოს საფუძვლიანი. განმცხადებელმა უნდა ჩამოუყალიბოს არა უბრალო ვარაუდი, არამედ სარჩელის უზრუნველყოფის საჭიროების დასაბუთებული ვარაუდი. ა.²⁸⁰ რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას არა მარტოდენ ეჭვის ან ფორმალური ანალიზის საფუძველზე, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობილ და ლოგიკურ დასკნას მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ.²⁸¹

სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებაზე უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ სასამართლოს არ ექმნება სარჩელის დაკმაყოფილების ვარაუდი, წარმოადგენს

²⁷⁷ ობილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2018 წლის 1 თებერვალის განხინება, საქმე №2/2910-18.

²⁷⁸ ობილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 აგვისტოს განხინება, საქმე №2/25508-16.

²⁷⁹ Westberg P., Interim Measures and Civil Litigation, Scandinavian Studies in Law, 539 <<http://www.scandinavianlaw.se/pdf/51-25.pdf>> 14.02.2018.

²⁸⁰ და არა სარჩელის დაკმაყოფილებისა.

²⁸¹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 მაისის განხინება, საქმე №010217716001258006.

მხარისათვის სამართლიანი სასამართლოს უფლების
შეზღუდვას.

**5.8 სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტთან
დაკავშირებული განჩინების გასაჩივრების სპეციფიკა და გადა**

**5.8.1 სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების
გასაჩივრების სპეციფიკა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო
კოდექსის მიხედვით**

სსსკს 194-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 197-ე მუხლში
მოცემულია ის დანაწესები, რომლებიც იძლევა სარჩელის
უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე სასამართლოს მიერ
მიღებული განჩინებების გასაჩივრების შესაძლებლობას. 194-ე
მუხლის მე-2 ნაწილი ეხება შემთხვევას, როდესაც მოსარჩელის
განცხადება დაკმაყოფილდა და სარჩელის უზრუნველყოფის
ღონისძიება გამოყენებული იქნა მოპასუხის მიმართ. ამ
შემთხვევაში მოპასუხეს სარჩელის უზრუნველსაყოფად
გამოტანილ განჩინებაზე შეუძლია შეიტანოს საჩივარი,
რომელიც უნდა შეიცავდეს:

- ა) სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილი განჩინების
ზუსტ დასახელებას;
- ბ) მითითებას, თუ რა ზომით უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს
განჩინება უზრუნველყოფის შესახებ;
- გ) გარემოებებს, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს ან
შეიცვალოს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ.

დასახელებული ნორმის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად,
საჩივარში უნდა ადინიშნოს გარემოებები, რომელთა გამოც
უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება უზრუნველყოფის
შესახებ. აღნიშნული თავისთვად ნიშნავს არამხოლოდ ზეპირ
მითითებას, არამედ მხარის მიერ არგუმენტირებული პოზიციის
ჩამოყალიბებას, რომლითაც უტყუარად და უალტერნატივოდ
უნდა დასტურდებოდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების
გაუქმების მართებულობა. ²⁸² გასაჩივრებული განჩინების
გაუქმების საფუძველი ვერ გახდება საჩივარში მითითებული
გარემოება. ვინაიდან, განმცხადებლის მიერ წარდგენილი არ
ყოფილა შესაბამისი მტკიცებულებები მოპასუხეების მიერ
კუთვნილი ქონების გასხვისების განზრახვის თაობაზე, არ
არსებობდა უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობა.²⁸³

²⁸² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივნისის განჩინება, საქმე №ას-829-775-2017.

²⁸³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინება, საქმე №2ბ/5599-14.

5.8.2 სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული განჩინების გასაჩივრების სხვა შემთხვევები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის ან ყადაღადადებული ქონების გამიჯვნაზე თანხმობის შესახებ განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა.²⁸⁴ საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 5 დღეს, რომლის დენაც იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან.²⁸⁵

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით უმჯობესი იქნება სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის დაკავშირებული ნებისმიერი განჩინების გასაჩივრება ერთ მუხლში იყოს თავმოყრილი. იმ საკანონმდებლო რეალობის გათვალისწინებით, როდესაც ყველა სახის განჩინების გასაჩივრება, რაც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტს უკავშირდება დასაშვებია მხოლოდ საჩივრით. გაურკვეველია რატომ მოხვდა მოპასუხის უფლება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ განჩინების გასაჩივრების თაობაზე სსსკ-ს 194-ე მუხლში. ამავე კოდექსის 197-ე მუხლში გაწერილ განჩინებებზეც აქვს მოპასუხეს საჩივრის შეტანის უფლება. მაგ.: სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის თაობაზე მიღებულ განჩინებებზე.

პრაქტიკაში პრობლემატურია საკითხი, როდესაც მოსარჩელე მიმართავს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების მოთხოვნით. სასამართლომ, როგორც მოსარჩელეს, ისე მოპასუხეს უნდა ჩააბაროს უზრუნველყოფის დონისძიების გაუქმების შესახებ განჩინება და მხოლოდ გასაჩივრებისათვის დადგენილი 5 დღიანი ვადის გასვლის ან გასაჩივრებაზე უარის თქმის შემთხვევაში ახდენს კანონიერ ძალაში შესული განჩინების ჩაბარებას. აღნიშნული პრაქტიკა იწვევს, როგორც დროის, ასევე ადამიანური რესურსის ხარჯვას. სასამართლო უფლებამოსილი უნდა იყოს გასცეს კანონიერ ძალაში შესული განჩინება, მოსარჩელის მიერ გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გასვლის ან გასაჩივრებაზე უარის თქმის შემთხვევაში. ვინაიდან, უზრუნველყოფის დონისძიების გაუქმება ემსახურება მოპასუხის ინტერესს.

²⁸⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

²⁸⁵ ლილუაშვილი თ., ხრუსტალის ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, 344.

5.8.3 საჩივრის წარმოებაში მიღება სპეციფიკა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

პროცესის მონაწილე ორივე მხარე და მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, უფლებამოსილია გაასაჩივროს სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტთან დაკავშირებით მიღებული განჩინება. განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს 5 დღეს. ვადის ათვლა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან. პროცესუალური მოქმედების განხორციელებისათვის ვადა ან კანონით არის დადგენილი ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ვადას განსაზღვრავს სასამართლო. ვადის გასვლა, იწვევს საპროცესო მოქმედების განხორციელების უფლების გაქარწყლებას. თუ მხარე განჩინებას არ გაასაჩივრებს 5 დღის ვადაში, შესაბამისად, ის დაკარგავს ამავე კოდექსის 197-ე მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას.

უზრუნველყოფის შესახებ მიღებული განჩინება საჩივრდება ერთჯერადად ზემდგომ სასამართლოში. კონკრეტულ საქმეში -საკასაციო პალატა უურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებების კანონიერებაზე საჩივრის ფარგლებში იმსჯელა სააპელაციო სასამართლომ, როგორც ზემოდგომი ინსტანციის სასამართლომ და მიიღო საჩივრის/განცხადების დაკამაყოფილების შესახებ განჩინება. შესაბამისად, აღნიშნული განჩინება წარმოადგენს სსსკ-ს 419-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ, ზემდგომი სასამართლოს განჩინებას, რომლის კანონიერების შემოწმების საკითხი მეტჯერ ვეღარ დაისმება.²⁸⁶

სსსკ-ს 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსთვის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც გასაჩივრდება საჩივრით.²⁸⁷

²⁸⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ივნისის განჩინება, საქმე №ას-638-637-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 აპრილის განჩინება, საქმე №ას-471-439-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-976-940-2016.

²⁸⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-738-306-2014.

5.8.4 საჩივრის წარმოებაში მიღება გერმანიის და ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

გერმანული სამართლისთვის მნიშვნელოვან მახასიათებლად სახელდება უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების თაობაზე განჩინების მიღება *ex parte*. ამ შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია წამოაყენოს წინააღმდეგობა, ხოლო თუ განჩინება მიღებულია ორივე მხარის თანდასწრებით, მხარე წარადგენს ჩვეულებრივ საჩივარს.²⁸⁸ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მხარეს უფლებამოსილია გაასაჩივროს სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ სარჩელის დირექტულება ადგმატებოდეს 600 ევროს.²⁸⁹ ამ დროს უნდა მოხდეს საჩივრის ზეპირი განხილვა და მხარეს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა დააფიქსირონ მათი პოზიცია. იმ შემთხვევაში თუ გაუქმდება სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება, მოსარჩელეს უფლება აქვს გაასაჩივროს სასამართლოს განკარგულება, რომლითაც მოხდა უზრუნველყოფის დონისძიების გაუქმება. ასევე, მოპასუხე უფლებამოსილია მოითხოვოს უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების ანულირება, თუ კრედიტორი განსაზღვრულ ვადაში²⁹⁰ ვერ შეიტანს სარჩელს სასამართლოში ან თუ საქმის გარემოებები შეიცვლება.²⁹¹ გერმანიასა და საქართველოში უზრუნველყოფის დონისძიებაზე მიღებულ სასამართლო განჩინება/განკარგულებას ერთსაფეხურიანი გასაჩივრება ახასიათებს. გერმანიაში კასაციის წესით ხსენებულის გასაჩივრება დაუშვებელია.²⁹²

ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარეს აძლევს უზრუნველყოფის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. საჩივარი, რომლითაც მოხდა უზრუნველყოფის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება, არ აჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას ანუ მას სუსპენზიური ეფექტი არ გააჩნია. საჩივარს განიხილავს ზემომი სასამართლო. ასევე, შესაძლებელია მოხდეს

²⁸⁸ Kramer X. E., The Dutch Kort Geding Procedure in an International Perspective: A Comparative View on Provisional Measures and Private International Law. 336, 2001.: <<https://ssrn.com/abstract=1122344>>

²⁸⁹ <http://ec.europa.eu/civiljustice/interim_measures/interim_measures_ger_en.htm>

2.02.2018

²⁹⁰ §926, Гражданский Процессуальный Кодекс ФРГ, Авторские права: Германский фонд международного правового сотрудничества, Бонн, ФРГ Переводчик: Александр Королков Бонн, ноябрь 1996.

²⁹¹ §927, Гражданский Процессуальный Кодекс ФРГ, Авторские права: Германский фонд международного правового сотрудничества, Бонн, ФРГ Переводчик: Александр Королков Бонн, ноябрь 1996.

²⁹² Kramer, X. E., The Dutch Kort Geding Procedure in an International Perspective: A Comparative View on Provisional Measures and Private International Law, 2001, 336: <<https://ssrn.com/abstract=1122344>> 2.02.2018

უზრუნველყოფის ღონისძიებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება.²⁹³

მოპასუხე უფლებამოსილია გაასაჩივროს ასეთი გადაწყვეტილება, თუმცა მის საჩივარს სუსპენზიური უფასტი არ ექნება. სსსკ-საგან განსხვავებით, ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ეს. “გასაჩივრების შესახებ განზრახვის შეტყობინებას.” გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი ფორმით უნდა მოხდეს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოსთვის მიმართვა. თუ სახეზეა რამდენიმე აპელაცი ამ დროს გასაჩივრების ვადების შემოწმება ხდება ინდივიდუალურად. საჩივრის მიღების შემდეგ მოსამართლე ამოწმებს გასაჩივრების ვადებს და საჩივრის დასაშვებობას. თუ ზემოაღნიშნულ პირობები სახეზეა, მოსამართლე ატყობინებს აპელაცის, რომ მან 20 დღის ვადაში უნდა შეიტანოს სასამართლოში განაცხადი, რათა მოახდინოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გასაჩივრება. ამ განცხადებაში მან უნდა დაასაბუთოს, თუ რა ფორმით შეზღუდა სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ მისი უფლებები. სასამართლო მიღებულ განაცხადს უგზავნის მეორე მხარეს და აძლევს 10 დღის ვადას განაცხადის წარმოსადგენად. ორივე შემთხვევაში განაცხადი უნდა იყოს წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული და უნდა შეცვდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი გარემოებების დასაბუთებას.

5.8.5 სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის სპეციფიკა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

სსსკ-ის 197¹ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილები ადგენენ საჩივრის განხილვის წესს იმ სასამართლოში, რომელმაც მიიღო სსსკ-ის 194.2 და 197.1 მუხლებით გათვალისწინებულ განჩინებათაგან ერთ-ერთი, ხოლო, სსსკ-ის 197¹ მუხლის მეოთხე ნაწილი კი, განსაზღვრავს საჩივრის განხილვის წესს ზემდგომ სასამართლოში. მითითებული ნორმის მიხედვით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.²⁹⁴

თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულ მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს, განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. ²⁹⁵ ზემდგომი ინსტანციისათვის საჩივრის განხილვის ვადა არ უნდა

²⁹³ <https://e-justice.europa.eu/content_interim_and_preliminary_measures-78-es-en.do#toc_1> 20.02.2018

²⁹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მარტის განჩინება, საქმე №ას-57-53-2017

²⁹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-976-940-2016

ადემატებოდეს 20 დღეს.²⁹⁶ სსსკ-ს 377-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო, უზრუნველყოფის დონისძიებასთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნით.

სსსკ-ს 385-ე, 386-ე და 394-ე მუხლის ე¹ ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებას და იღებს ახალ განჩინებას, თუ განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შეფასება შეუძლებელია და თავისი განჩინებით უარს ამბობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული განჩინების შეცვლით იღებს ახალ განჩინებას საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტაციის მიერ მიღებული განჩინება სარჩელის აღმოჩენამდე სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ. ვინაიდან, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა განმცხადებლის მოთხოვნას, სარჩელის შინაარსის მიხედვით არ მიუთითა, თუ რაში მდგომარეობდა დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ სარჩელი დაკმაყოფილდებოდა ან თუნდაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების გარეშე, რატომ გამნელდებოდა ან შეუძლებელი გახდებოდა გადაწყვეტილების აღსრულება ან ამ დონისძიების გამოყენების გარეშე, რა სახის ზიანი წარმოიშობოდა, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნებოდა მოპასუხის მიერ.²⁹⁷

ამდენად, დასახელებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების თაობაზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაზე შეტანილ საჩივრზე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს განჩინება საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ დაიშვება.²⁹⁸

5.8.6 სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის სპეციფიკა ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

ესპანეთში საქმის განმხილველი სასამართლო არ განიხილავს საჩივარს სარჩელის უზრუნველყოფაზე. ესპანეთის

²⁹⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლი.

²⁹⁷ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება, საქმე №2/ბ-209-16^၃.

²⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-713-683-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 მარტის განჩინება, საქმე №ას-19-17-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 აპრილის განჩინება, საქმე №ას-471-439-2017

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად სასამართლო განცხადების მიღებისთვის განცხადებას გადაუგზავნის ზემდგომ სასამართლოს და მხარეთა გამოცხადებაც შესაბამისად ხდება საჩივრის განმხილველ სასამართლოში.

ზემდგომი ინსტანცია საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს დროის უმოკლეს პერიოდში.²⁹⁹

5.9 სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრების სამართლებრივი შედეგები

სსსკ-ის 195-ე მუხლის თანახმად სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ ხორციელდება, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით. სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც დროებითი ღონისძიება, თვისობრივად განსხვავდება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული შემაჯამებელი აქტის – გადაწყვეტილებისაგან, რომელიც ხასიათდება მუდმივობის პრინციპით, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადაც გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები. სასამართლოს შემაჯამებელი აქტის ამგვარი განსაკუთრებული თვისებიდან გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობაში სპეციალური ნორმის 263-ე მუხლის შემოღების აუცილებლობა, რომლითაც განსაზღვრულია გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ან განაწილვადება, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა. დასახელებული ნორმის მოქმდების არეალი მხოლოდ შემაჯამებელი გადაწყვეტილებით შემოიფარგლება და მისი დროებითი, შუალედური სასამართლო აქტების მიმართ გამოყენება ეწინააღმდეგება თავად ნორმით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს.³⁰⁰

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს ამ განჩინების აღსრულებას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია გარკვეული დროით შეაჩეროს აღსრულება ან გააუქმოს უზრუნველყოფისათვის უკვე მიღებული ღონისძიება. დასახელებული საპროცესო შესაძლებლობა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს მიერ სადაც უზრუნველყოფის ღონისძიების განხილვების დადგენის

²⁹⁹< https://e-justice.europa.eu/content_interim_and_precautionary_measures-78-es-en.do >

20.02.2018

³⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-929-879-2015.

შემდეგ გამოვლინდება ობიექტური გარემოება, რომელიც ქმნის ამგვარი განჩინების აღსრულების გარკვეული ვადით შეჩერების ან გამოყენებული დონისძიების გაუქმების საფუძველს. ასეთი გარემოების არსებობის მტკიცება, საპროცესო სამართალში მოქმედი მტკიცების სტანდარტის მიხედვით, მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენს.³⁰¹

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე შეტანილი საჩივრის განხილვის 20 დღიან პერიოდში უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულების შეჩერების შემთხვევაში დასაშვებია თუ არა ამ განჩინების საჩივრით გასახივრება ანუ ასეთი განჩინების გამოტანისთანავე უნდა გაიცეს თუ არა სააღსრულებო ფურცელი უზრუნველყოფის შესახებ განჩინების ანალოგიურად. აღნიშნული საკითხი ეხება მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპს, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების შემთხვევაში კანონმდებელი იცავს მეორე მხარის, ამ შემთხვევაში მოპასუხის ინტერესებს და აძლევს აღნიშნული დონისძიების გამოყენების გასახივრების შესაძლებლობას. საჩივრის ავტორმა შეიძლება სარწმუნოდ დაადასტუროს აღნიშნული დონისძიების გამოყენების შედეგად გამოუსწორებელი შედეგის დადგომის შესაძლებლობა, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს მიერ თავისივე მიღებული უზრუნველყოფის დონისძიების შეჩერების თაობაზე განჩინების გამოტანას. მოსამართლე აღნიშნულ მექანიზმს გამოუსწორებელი ზიანის დადგომის თავიდან ასაცილებლად იყენებს. ამიტომ სარჩელის უზრუნველყოფის აღსრულების შესახებ განჩინების დროებით შეჩერების თაობაზე გამოტანილი განჩინების საჩივრით გასახივრება დაუშვებელია.

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების დროებით შეჩერების გასახივრების შესაძლებლობა ეწინააღმდეგება თვითონ სარჩელის უზრუნველყოფის სამოქალაქო საპროცესოსამართლებრივი ინსტიტუტის არსეს, მითუმეტეს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულების შეჩერების თაობაზე გამოტანილი განჩინების გასახივრებას არ ითვალისწინებს. ასევე, ყურადღება გასამახვილებელია მეტად ამ მნიშვნელოვან საკითხზე. კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება უშუალოდ მატერიალურსამართლებრივი უფლების დაცვისკენ არის მიმართული. ამიტომ სასამართლო პირველ რიგში მატერიალურსამართლებრივ სივრცეში ამოწმებს უფლების უზრუნველყოფის საკითხს. სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება მატერიალურსამართლებრივი უფლების მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად დაცის უზრუნველყოფას ემსახურება. სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცულ ამა თუ იმ პირის

³⁰¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-937-902-2016, §42

უფლებებისა და კანონინერი ინტერესების რეალური გახორციელების საპროცესო სამართლებრივ გარანტიას, თუ სადაცოდ ქცეული უფლების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე.³⁰²

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს მართლმსაჯულების ეფექტურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს, კერძოდ კი, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღრულებას, სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება გამოაქვს, ამიტომ, თუ სასამართლო პრაქტიკა უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების დროებითი შეჩერების გასაჩივრებას დაუშვებს, ამით უგულებელყოფს სარჩელის უზრუნველყოფის უმთავრეს პრინციპს, კერძოდ, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპს.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების დროებით შეჩერების თაობაზე მიღებულ განჩინებაზე დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს საადსრულებო ფურცელი, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული შეჩერება აზრს დაკარგავს.

6. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ჯერ არ აღმრულ სარჩელთან დაკავშირებით

6.1 ჯერ არ აღმრული სარჩელის უზრუნველყოფა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

საბაზრო ეკონომიკის განვითარებას თან სდევს არაერთი ხელშეკრულების დადება პირებსა თუ ორგანიზაციებს შორის. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედიან როგორც ზეპირი ასევე წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულებით. მონაწილისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და მისი უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინება და დაცვა მთელი კერძოსამართლებრივი ბრუნვის ქვაკუთხედია.³⁰³ მხარეთა მიზეზით, ან მათგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო ზოგიერთი მათგანი სადაც ხდება, რასაც თან ახლავს საქმის განხილვა სასამართლოში. არის შემთხვევები, როდესაც მხარე ვერ ახერხებს სარჩელის შეტანას სასამართლოში, თუმცა მისი ვარაუდიდან გამომდინარე მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას საფრთხე ემუქმრება.

სარჩელის აღძვრამდე სასამართლოში სარჩელის უზრუნველყოფა, ანუ ჯერ არ აღმრული სარჩელის

³⁰² ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოდეგის 2015 წლის 26 მარტის განჩინება, საქმე №2/761-2015.

³⁰³ ბურდული ი., ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბით საკორპორაციო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, №4(35)'12

უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი და არსებითი ხასიათის სიახლეა ქართულ კანონმდებლობაში.³⁰⁴

სსსკს 192-ე მუხლი კრედიტორს ანიჭებს უფლებამოსილებას სასამართლოში წარადგინოს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სარჩელის აღმოჩენის გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღმოჩენის გადაუდებელ შემთხვევაში შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღმოჩენის განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას ან გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი დონისძიება მიაჩნია მას აუცილებლად-განცხადებელმა უნდა მიუთითოს სამომავლო სარჩელის საგანი, საფუძველი, შესაბლო მისაღები გადაწყვეტილება და დაასაბუთოს, თუ რა გარდაუვალი აუცილებლობა განაპირობებს სასამართლოსათვის სარჩელის აღმოჩენის მისი უზრუნველყოფის დონისძიების მიზნით განცხადებით მიმართვას.³⁰⁵

სასამართლო განმცხადებელს უარს ეტყვის სამომავლოდ აღსაძრავი სარჩელის უზრუნველყოფაზე, თუ სასამართლოს, განცხადებლის მიერ მითითებული სამომავლოდ აღსაძრავი სასარჩელო მოთხოვნის და გამოსაყენებელი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნის გათვალისწინებით არ ჩამოუყალიბდა დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფის დონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში გართულდება ან შეუძლებელი გახდება მომავალში აღსაძრავ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.³⁰⁶

სარჩელის შეტანამდე სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების მოთხოვნა არსებითად განსხვავდება სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების შესახებ შეამდგომლობისაგან, რომელიც სარჩელთან ერთად არის წარდგენილი. როდესაც მხარე ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებას უკვე წარდგენილ სარჩელთან ერთად, მოსამართლეს აქვს შესაძლებლობა სარჩელთან ერთად წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ივარაუდოს სარჩელი დაკმაყოფილდება თუ არა, თუმცა აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას იმავდროულად იმსჯელოს მოთხოვნის დასაბუთებულობაზე. მან უნდა გადაწყვიტოს, დააკმაყოფილებს თუ არა სარჩელს მომავალში, მაგრამ სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის

³⁰⁴ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2005, 302.

³⁰⁵ ობილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 სექტემბრის საქმე №28/4610-14.

³⁰⁶ ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 აპრილის განჩინება, საქმე №1903-14.

შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რას ექვარება მისი ვარაუდი, ხომ არ არის გამოკვეთილი სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობა.³⁰⁷

სარჩელის წარდგენამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, არგამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ვერ ამოწმებს, რამდენად დასაბუთებულია სარჩელი, რამდენად გამომდინარეობს მის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან, ანუ დასაკმაყოფილებელია თუ არა სარჩელი, სასამართლო ამოწმებს მხოლოდ, რამდენად შეუწყობს ხელს უზრუნველყოფის ღონისძიება მომავალი სარჩელისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების დაცვას შესაძლო დაბრკოლებისაგან აღსრულების ეტაპზე.³⁰⁸

სსსკს 192 მუხლის ფორმულირებიდან ნათელია, რომ განცხადების შეტანა ხდება თუ სახეზეა ”გადაუდებელი შემთხვევა.” გადაუდებელი შემთხვევა შეიძლება სხვადასხვა გარემოებებით იყოს გამოწვეული, როგორიცაა მაგ.: ქონების მოსალოდნელი გაყიდვა, გაჩუქება, ხშირად ფიქციური გასხვისება, გადამალვა და აშ. მაგრამ, რა გარემოებებითაც არ უნდა იყოს გამოწვეული, განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის გადაუდებლობა.³⁰⁹ მითითებული ნორმა ითვალისწინებს ისეთ საგამონაკლისო შემთხვევას, როდესაც დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შეტანა სარჩელის აღმცრამდე. აღნიშნული შესაძლებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ზოგადი წანამდვრების არსებობისას, თუმცა საგულისხმოა, რომ კანონის იმპერატიული ხასიათის დანაწესი ადგენს ამგვარი საპროცესო ღონისძიების გატარების შემდეგ სარჩელის მაქსიმალურად უმოკლეს ვადაში აღმცრას, რათა არ დაირღვეს ბალანსი გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების საჭიროებასა და იმ მხარის უფლებებს შორის, რომლის წინააღმდეგაც იქნა ის გამოყენებული, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას.³¹⁰

განცხადების დაკაყოფილების შემთხვევაში, მხარე ვალდებულია სასამართლოს მიერ განჩინების მიღებიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს სარჩელი, რომლის წინასწარი უზრუნველყოფაც მოხდა. სასამართლო თავისი ან მოწინააღმდეგე მხარის ინიციატივით, მიიღებს განჩინებას გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების

³⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინება, საქმე №ას-59-54-2015.

³⁰⁸ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინება, საქმე ს/უზრ – 34/15.

³⁰⁹ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლი, 2005, 302.

³¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1-ლი თებერვლის განჩინება, საქმე №ას-108-101-2017, §35.

გაუქმების თაობაზე, თუ მხარე კანონით განსაზღვრულ ვადაში არ წარადგენს სარჩელს.

სასამართლოს მიერ დასადგენი ვადებისაგან განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით იმპერატიულად განსაზღვრული ვადები. ძირითადი განსხვავება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კანონით დადგენილი ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. შესაბამისად, საპროცესო მოქმედება უნდა შესრულდეს მკაცრად მითითებულ დროის პერიოდში. წინააღმდეგ შემთხვევაში მის შეუსრულებლობას ნორმის აღრესატი მხარისათვის არახელსაყრელი სამართლებრივი შედეგი მოჰყვება. ასეთ ვადათა რიცხვს განეკუთვნება სსსკ-ის 192-ე მუხლით დადგენილი 10-დღიანი ვადა.³¹¹

სარჩელის უზრუნველყოფის საპროცესო მიზანს წარმოადგენს იმ სარჩელის დაცვა, რომელიც აღძრულია მოსარჩელის მიერ კონკრეტული მოთხოვნის დასაქმაყოფილებლად. სარჩელის აღძრამდე მისი უზრუნველყოფის დონისძიება წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოყენებული დროებითი დონისძიების ისეთ სახეს, რომლის მიზანია გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება და მისი აღსრულების ხელშეწყობა. ამ თვალსაზრისით ის მოპასუხის უფლებებისა თუ ინტერესების შევიწროებას გულისხმობას, თუმცა იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც მოპასუხის უფლებების უპირობოდ შემზღვდებელი დონისძიება, ამის გამო სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველთა შეჯერების შედეგად უნდა იმსჯელოს გამოიყენოს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება, რომლითაც შესაძლოა ერთი მხარის მდგომარეობა გაუმჯობესდეს, მეორის - პირიქით. აღნიშნულის გამო სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ზომა, ადეკვატური უნდა იყოს დავის საგანზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.³¹²

6.2 ჯერ არ არღმატული სარჩელის უზრუნველყოფის სპეციფიკა გერმანიის და საბერძნეთის მაგალითზე

თუ მხარემ გამოიყენა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და სარჩელის შეტანამდე გამოიყენა ყადაღა როგორც უზრუნველყოფის დონისძიება, მას სასამართლო განუსაზღვრავს ვადას სარჩელის შეტანის თაობაზე. სასამართლო გამოსცემს დადგენილებას სარჩელის შეტანის თაობაზე.³¹³ თუ მხარე არ შეიტანს სარჩელს

³¹¹ იქვე, §40

³¹² ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოდეგის 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინება, საქმე ს/უზრ – 34/15.

³¹³ §926, Гражданский Процессуальный Кодекс ФРГ, Авторские права: Германский фонд международного правового сотрудничества, Бонн, ФРГ Переводчик: Александр Королков Бонн, ноябрь 1996.

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, მაშინ სასამართლო გააუქმებს მოვალის ქონებაზე ყადაღის დადების განჩინებას.³¹⁴

საბერძნეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს ჯერ არ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო ძირითადი სარჩელის შესატანად განუსაზღვრავს მხარეს ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები. თუ კრედიტორი არ წარადგენს სარჩელს, სასამართლო გამოცემს აქტს რითიც აუქმებს გამოყენებულ დონისძიებას და შემდგომში სარჩელის შეტანის შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას მოითხოვოს იგივე დონისძიების გამოყენება.³¹⁵

7. სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებები ევროპის ქაყნების მაგალითზე

7.1 სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებების სპეციფიკა ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

ისევე როგორც, ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებში, უზრუნველყოფის დონისძიებებმა მეცნიერთა ყურადღება 1980-იანი წლების მეორე ნახევარში მიიქცია³¹⁶. ეს მოვლენა გარკვეული ფაქტორებით აიხსნება რომელთა შორისაა დიქტატურის რეჟიმის დასრულება, დემოკრატიისკენ ტრანზიცია, შედარებით სამართლებრივი კანონმდებლობისკენ სწრაფვა.³¹⁷

7.1.1 აქტივების დაყადაღება

ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განსაზღვრულ უზრუნველყოფის დონისძიებათა შორის, აქტივების დაყადაღება ყველაზე გავრცელებულ უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს.³¹⁸ აღნიშნული დონისძიება გამოიყენება ისეთ დავებზე, რომელთა საგანს

³¹⁴ ოქვე.

³¹⁵ Trivoureas K., Questionnaire concerning provisional measures, National Report Greece, Athens,

18

<<http://www2.ipr.uniheidelberg.de/studie/National%20Reports/Greece/Report%20Greece%20Provisional%20Measures.pdf>> 10.03.2018

³¹⁶ De la Sierra, S., Provisional Court Protection in Administrative Disputes in Europe: The Constitutional Status of Interim Measures Deriving from the Right to Effective Court Protection. A Comparative Approach. European Law Journal, Vol. 10, No. 1, pp. 42-60, January 2004. <<https://ssrn.com/abstract=513549>>

³¹⁷ ოქვე.

³¹⁸ Mota C. E., Provisional Measures in Spanish Civil Procedure, University of Valencia - Faculty of Law November 1, 2011 COMPARATIVE STUDIES ON ENFORCEMENT AND PROVISIONAL MEASURES, p. 207, R. Stürner and M. Kawano, eds., Mohr Siebeck, 2011, 212.

წამოადგენს მხარისათვის თანხის გადახდევინების დაკისრება, შემოსავლის ან ისეთი საგნების გადაცემა, რომელთა დირებულების თანხაში გამოსახვაა შესაძლებელი. ესესკის 727 მუხლის „ა” პარაგრაფის მიხედვით, ამ დონისძიების ხასიათიდან გამომდინარე, მისი გამოყენება შესაძლებელია, თუ მისი ჩანაცვლება ვერ ხერხდება, სხვა საშუალებით სარჩელის უზრუნველყოფა შეუძლებელია და ამ უკანასკნელის გამოყენებით დიდი ზიანი არ აღიძება მოპასუხეს.

7.1.2 მოგალის ქონების მართვა

ეს დონისძიება გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსარჩელის მოთხოვნაა მისთვის დავის საგნის გადაცემა და ამ საგანის ძირითადი დირებულება მისი პროდუქტიულობიდან გამომდინარეობს.³¹⁹ სასამართლო იყენებს ამ დონისძიებას, თუ მხარე ითხოვს მისთვის დავის საგნის საკუთრების, უზუფრუქტის ან სხვა მსგავსი შინაარსის მატარებელი უფლებით გადაცემას. მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესი უნდა მდგომარეობდეს საგნის გაუმჯობესებაში, მისი პროდუქტიულობის შენარჩუნებაში. აღნიშნული დონისძიების გამოყენებამ შეიძლება დააჩქაროს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება. ³²⁰ თუ სასამართლომ გადაწყვიტა ესესკის 727 მუხლის „გ” პარაგრაფით განსაზღვრული დონისძიების გამოყენება, ამ უკანასკნელმა შეიძლება მოახდინოს მოვალის ქონების ადმინისტრირების კონტროლი³²¹ ან თავად დანიშნოს სასამართლო ადმინისტრატორი,³²² რომელიც უშუალოდ მოახდენს მოვალის ქონების მართვას.³²³

7.1.3 სასამართლოს მიერ ქონების ამოღება

უზრუნველყოფის ეს დონისძიება გამოიყენება მოძრავი ნივთების მიმართ, ამ შემთხვევაში ხდება სასამართლოს მიერ ნივთების ამოღება და დეპონირება.³²⁴ სასამართლომ რომ გამოიყენოს ესესკის 727-ე მუხლის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული დონისძიება ამისათვის სახეზე უნდა იყოს შემდეგი პირობები: უზრუნველყოფის საგანი უნდა იყოს მოძრავი

³¹⁹ Mota C. E., Provisional Measures in Spanish Civil Procedure, University of Valencia - Faculty of Law November 1, 2011 COMPARATIVE STUDIES ON ENFORCEMENT AND PROVISIONAL MEASURES, p. 207, R. Stürner and M. Kawano, eds., Mohr Siebeck, 2011, 212.

³²⁰ ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 727.

³²¹ ინგლისურ ენაზე - Judicial Administration.

³²² ინგლისურ ენაზე - Judicial Administrator.

³²³ Mota C. E., Provisional Measures in Spanish Civil Procedure, University of Valencia - Faculty of Law November 1, 2011 COMPARATIVE STUDIES ON ENFORCEMENT AND PROVISIONAL MEASURES, p. 207, R. Stürner and M. Kawano, eds., Mohr Siebeck, 2011, 212.

³²⁴ იქვე.

ნივთი, ეს მოძრავი ნივთი ამავე დროს უნდა წარმოადგენდეს დავის საგანს და უნდა იმყოფებოდეს მოპასუხის საკუთრებაში.³²⁵

არც საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა გამორიცხავს დავის საგნის და უზრუნველყოფის საგნის იდენტურობას. სარჩელის უზრუნველყოფის საგანი და სარჩელის საგანი საგსებით შესაძლებელია ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე, ვინაიდან მათ აბსოლუტურად სხვადასხვა სამართლებრივი წინაპირობები გააჩნიათ, რასაც მხარე სარჩელის უზრუნველყოფით ითხოვს, იმას ვერ მოითხოვს სარჩელით, ვინაიდან, ერთი ემსახურება მეორის განხორციელებას. ოუმცა, მოთხოვნების თანხვედრა შესაძლებელია. სარჩელის უზრუნველყოფა დროებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო წარმოების წესით დადგენილი უფლების რეალიზებას უწყობს ხელს, იგი სასარჩელო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას ისახავს მიზნად. ოუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლო იყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, იმ შემთხვევაშიც ოუ უზრუნველყოფის საგანი და სარჩელის საგანი ემთხვევა ერთმანეთს და ეს არ გულისხმობს წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანას.³²⁶

ესპანეთის საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უზრუნველყოფის საგნისა და დავის საგნის თანთხვევის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა საგანი მოძრავია ოუ უძრავი არ გამორიცხავს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას. ამ შემთხვევის თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანოთ მაგალითი: მშენებლობის აკრძალვა, როდესაც მშენებლობის აკრძალვა წარმოადგენს მხარის როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, ისე სასარჩელო მოთხოვნის საგანს. ოუ არ დაკმაყოფილდება მხარის მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიებად მშენებლობის აკრძალვის გამოყენებასთან დაკავშირებით, მაშინ სარჩელის დაკმაყოფიელების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება გაძნელდება, ვინაიდან აღნიშნული შენობის დემონტაჟი სერიოზულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.³²⁷

ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ აქვთებს უზრუნველყოფის ღონისძიების სახეების სრულ დეკლარირებას და მათი მოძიება სხვა საკანონმდებლო აქტებშიცაა შესაძლებელი, მაგრამ ამის საპირისპიროდ და საქართველო/გერმანიის სამოქალაქო საპროცესო

³²⁵ ესპანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 727.

³²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოს მოსამართლეთათვის, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, დეკემბერი, 2010, 157.

³²⁷ იქვე.

კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ესსკ თითოეულ მუხლში უთითებს რა შემთხვევაში და რა პირობების არსებობისას შეიძლება უზრუნველყოფის ამა თუ იმ ღონისძიების გამოყენება.

აღნიშნული საკანონმდებლო ტექნიკის საკითხია. ერთ შემთხვევაში მხარე თავის შეხედულებისამებრ წყვეტს ღონისძიების სახეობის არჩევის საკითხს, მეორე შემთხვევაში კანონი პირდაპირ უთითებს უზრუნველყოფის საგანზე და მის გამოყენების წინაპირობებზე.

7.2 სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სპეციფიკა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

7.2.1 Arrest – ყადაფა

გსსკ-ის თანახმად, უზრუნველყოფის თითოეული ღონისძიების გამოყენებისათვისა საჭიროა მხარემ მიმართოს სასამართლოს შესაბამისი განცხადებით. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას გარემოებებზე, რომელთა გამოც საჭიროა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, მითითებას კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების სახეზე, ასევე, უზრუნველსაყოფი მოთხოვნის ღირებულებას.³²⁸ სასამართლო ამოწმებს მხოლოდ, რამდენად შეუწყობს ხელს უზრუნველყოფის ღონისძიება (ყადაფა) მომავალი, მოსარჩ ლისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების დაცვას შესაძლო დაბრკოლებებისაგან აღსრულების ეტაპზე.³²⁹

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც კრედიტორს (ან კრედიტორის სასარგებლოდ აღმასრულებელს) შეუძლია იმოქმედოს სასამართლოსთვის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადებით მიმართვამდე არის წინასწარი ამოღება. ამ შემთხვევაში სასამართლომ ერთ თვეში უნდა გამოსცეს სააღსრულებო ფურცელი, რათა გამოყენებულ ღონისძიებას პქონდეს მოქმედების ძალა იმ პერიოდით, რა პერიოდითაცაა იგი გაცემული. ამ ღონისძიების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მის გამოსაყენებლად არ არის საჭირო სასამართლოს განჩინება.³³⁰

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §916-ის მიხედვით ვულადი ვალდებულებებიდან გამომდინარე დავაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას წარმოადგენს „Arrest”,³³¹ რომელიც ექვემდებარება სავალდებულო აღსრულებას.³³² სარჩელის უზრუნველყოფის ეს ღონისძიება

³²⁸ §920, Гражданский Процессуальный Кодекс ФРГ, Авторские права: Германский фонд международного правового сотрудничества, Бонн, ФРГ Переводчик: Александр Королков Бонн, ноябрь 1996.

³²⁹ ძლიერი შეიდილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების ვალდებულება, სამართლის უერნალი, №1, 2018

³³⁰ <https://e-justice.europa.eu/content_interim_and_precautionary_measures-78-de-en.do>22.03.2018

³³¹ ჩამორთმევა, ინგლისურად - Seizure

³³² <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html#p3425>22.03.2018

შეიძლება გამოყენებული იქნეს დავათა იმ კატეგორიის მიმართაც, რომელიც ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე დავაში შეიძლება გადაიზარდოს.³³³ უზრუნველყოფის ღონისძიების §917 მიხედვით, "Arrest" შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში თუ არის შესაძლებლობა რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ აღსრულდეს ან არსებითად გართულდეს მისი აღსრულება. უზრუნველყოფის ღონისძიებაზე დადგენილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია როგორც საქმის მწარმოებელ სასამართლოს, ასევე იმ ადმინისტრაციული ერთეულის სასამართლოს სადაც მდებარეობს უძრავი ქონება ან პიროვნება რომლის თავისუფლებაც უნდა შეიზღუდოს.³³⁴

7.2.2 „einstweilige Verfigung“ - დავის საგნის დროებითი განკარგვა

„einstweilige Verfigung“³³⁵ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაა, რომელიც გამოიყენება იმგვარ დავებზე, რომელიც არ უკავშირდება ფულად გადახდას §935 – 945. აღნიშნული სახის უზრუნველყოფის ღონისძიება დაკავშირებულია დავის საგანთან და გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც *status quo*-ს ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მხარისათვის მინიჭებული უფლების განუხორციელებლობა ან დაბრკოლება შეუქმნას მის განხორციელებას.³³⁶

კანონი გამოყოფს ორი სახის აკრძალვას „Regelungsverfügung“³³⁷ და „Sicherungsverfügung“³³⁸. თუმცა, პრაქტიკაში ამ ორ ღონისძიებას შორის დიდი სხვაობა არ არის.³³⁹ გსესპ-ის 940-ე პარაგრაფში არსებული ჩანაწერი „to avert significant disadvantages“,³⁴⁰ ინოვაციურ ხედვას ანიჭებს, რომელიც გულისხმობს ვითარებას, რომ მხარეთა მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილება შეიძლება მოხდეს საბოლოო

³³³ Miles, C. (2017) Provisional Measures before International Courts and Tribunals (Cambridge Studies in International and Comparative Law). Cambridge: Cambridge University Press, 28

³³⁴ §197, Гражданский Процессуальный Кодекс ФРГ, Авторские права: Германский фонд международного правового сотрудничества, Бонн, ФРГ Переводчик: Александр Королков Бонн, ноябрь, 1996.

³³⁵ დროებითი განკარგულება.

³³⁶ Miles, C. (2017) Provisional Measures before International Courts and Tribunals (Cambridge Studies in International and Comparative Law). Cambridge: Cambridge University Press, 28.

³³⁷ მომწერიგებელი განკარგულება. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 935.

³³⁸ დროებითი განკარგულება სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 940.

³³⁹ Kramer, X. E., The Dutch Kort Geding Procedure in an International Perspective: A Comparative View on Provisional Measures and Private International Law, 2001, 365; <<https://ssrn.com/abstract=1122344>> 15.03.2018

³⁴⁰ თავიდან იქნას აცილებული მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარე.

გადაწყვეტილების მიღებამდე ზიანის თანხის გადახდით, რომლის უკან დაბრუნება, დავის საპირისპირო შედეგით დასრულების შემთხვევაში, თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი გარანტიით.³⁴¹ მოცემული უზრუნველყოფის ღონისძიებები აქტიურად გამოიყენება საოჯახო დავებში. გამოყენების შემთხვევაში ძალაშია მანამ სანამ სასამართლო არ გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას განქორწინების თაობაზე. “einstweilige Verfigung” ემსახურება მოსარჩევის უფლებების დაცვას და მოპასუხეს უკრძალავს რაიმე სახით მოსარჩევის უფლებების დარღვევას.³⁴² მოსამართლე ე.წ. “გაფართოებული კომპეტენციის ფარგლებში”³⁴³ იყენებს “einstweilige Verfigung”-ს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უზრუნველყოფის ღონისძიებით არეგულირებს მხარეთა შორის წარმოშობილ დავას. გსსკ-ის 935-ე და 940-ე პარაგრაფებით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენებისათვის საჭირო არაა ძირითადი/მთავარი პროცესის დაწყება. ხშირ შემთხვევაში, “einstweilige Verfigung”-ის ფარგლებში, სასამართლოს მიერ მიღებულ განკარგულებას მხარეები სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებად მიიჩნევენ, რითაც შესაბამისად გამოირიცხება მთავარი პროცესის დაწყება.³⁴⁴ ამასთან, პირს რომლის წინააღმდეგაც სასამართლომ მიიღო განკარგულება, შეუძლია მიმართოს სასამართლოს რათა განუსაზღვროს ძირითადი პროცესის დაწყების ვადა.³⁴⁵ ყადაღის მარეგულირებელი ნორმები ანალოგიურად გამოიყენება უზრუნველყოფის ამ ღონისძიებასთან მიმართებაში. გსსკ-ის §935 – 945 გათვალისწინებული სარჩევის უზრუნველყოფის ღონისძიება ასევე გამოიყენება ინტელექტუალურ სამართლებრივ დავებში.³⁴⁶

განხილული უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს დავის განმხილველ სასამართლოს. გსსკ-ის 937-ე პარაგრაფის მეორე ნაწილის თანახმად გადაუდებელ შემთხვევებში შესაძლებელია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ზეპირი განხილვის

³⁴¹ Miles, C. (2017) Provisional Measures before International Courts and Tribunals (Cambridge Studies in International and Comparative Law). Cambridge: Cambridge University Press., 28.

³⁴² Kramer X. E., Provisional and Protective Measures: Article 24 Brussels Convention (= Article 31 Brussels Regulation) The Application in the Netherlands, Germany and England (May 20, 2000). 5:<<https://ssrn.com/abstract=1129709>> or <<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1129709>>

³⁴³ გერმანულ ენაზე – Leistungsverfügung.

³⁴⁴ Kramer X. E., The Dutch Kort Geding Procedure in an International Perspective: A Comparative View on Provisional Measures and Private International Law, 366.<<https://ssrn.com/abstract=1122344>>

³⁴⁵ იქვე.

³⁴⁶ Kramer X. E., Provisional and Protective Measures: Article 24 Brussels Convention (= Article 31 Brussels Regulation) The Application in the Netherlands, Germany and England (May 20, 2000). 5 <<https://ssrn.com/abstract=1129709>> or <<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1129709>> 17.01.2018

გარეშე. ³⁴⁷ სასამართლო თავისი შეხედულებით, არსებული გარემოებების გათვალისწინებით თავად განსაზღვრავს განკარგის რა სახე უნდა იქნას გამოყენებული. ეს შეიძლება იყოს სეკვესტრი, მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების აკრძალვა და აშ.

7.3 ინგლისური სამართლისთვის დამახასიათებელი სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება - Mareva Injunctions

მარევას აკრძალვის სახელით ცნობილი დონისძიება, როგორც „ატომური იარაღი“ კომერციულ და საარბიტრაჟო დავებში ხშირად გამოიყენება უზრუნველყოფის დონისძიების სახით საერთო სამართლის ოჯახის ქვეყნების მიერ. ³⁴⁸ ამ დონისძიების ადსრულება შეიძლება არ მოახდინოს ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა, საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის გამო. ³⁴⁹ ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში მარევას აკრძალვის სახელით ცნობილი დონისძიება გამოყენებული იქნა ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეში Mareva Compania Naviera S.a. v International Bulkcarriers S.A. მოსარჩელის საკუთრებაში იყო ხომალდი „Mareva“, რომელიც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულ ჰქონდა მოპასუხების. ქვეიჯარის ხელშეკრულებით მოპასუხებეს ხომალდი გადაცემული ჰქონდა ინდოეთის მთავრობისათვის. ქვემოიჯარისაგან თანხის მიღების მიუხედავად, მოპასუხე მხარე თავს არიდებდა საიჯარო ქირის გადახდას მოსარჩელისათვის. სარჩელის წარდგენის შემდგომ მოსარჩელებ მოითხოვა მოპასუხებისათვის გადაცემული თანხების განკარგვის აკრძალვა. მოსამართლებ მიუთითა, რომ ცხადად დასტურდებოდა ვალდებულების არსებობა და საფრთხე იმისა, რომ მოპასუხე განკარგავდა ფინანსურ აქტივებს მხარეთა შორის მიმდინარე დავის დასრულებამდე. ³⁵⁰

სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ და მიუთითა, რომ ამგვარი

³⁴⁷ <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html#p3425>

22.03.2018

³⁴⁸ Dr Nadelhofer S., Giroud S., Enforcement of Worldwide Freezing Orders in Switzerland, 44, available at http://www.lalive.ch/data/publications/SGI+SNA-IBA-Enforcement_of_WFO_in_Switzerland_Int_Litigation.pdf 26.02.2018

³⁴⁹ Rozalinova E. Angelov A., Georgiev, I., Jurisdiction, Recognition and Enforcement of Provisional and Protective Measures (International Cooperation in Civil Matters) (2012). Revista Forumul Judecătorilor, No. 4, 2012, 93. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2224223>

³⁵⁰ ლიბარტია ნინო, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, ნაშრომი წარდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2018, 205.

გადაწყვეტილების მიუღებლობა მოსარჩელის ინტერესების აშკარა შელახვას გამოიწვევდა.³⁵¹

7.3.1 Mareva Injunctions გამოყენების პრაქტიკა და მის აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცედურატიკა ევროკავშირის სხვა და სხვა წევრი ქვეყნების მაგალითზე

მარევას აკრძალვის ღონისძიებები, ასე ცნობილია როგორც ყადაღა, ³⁵² რომელიც მოპასუხის საკუთრებაში არსებულ ყველა აქტივს აყადაღებს მთელს მსოფლიოში. ეს ღონისძიება აშკარად ემსახურება მოსარჩელის ინტერესს – უზრუნველყოფს მის სასარგებლოდ მიღებული სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულებას. მარევას აკრძალვის ღონისძიებები არ წარმოშობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების სასამართლოსათვის რაიმე სახის აკრძალვას და შესაბამისად არ ეწინააღმდეგება ბრიუსელის I დირექტივას.³⁵³

ეროვნული საპროცესო კანონმდებლობა ინგლისის სასამართლოს ანიჭებს უფლებას, საერთაშორისო დავაში მონაწილე მხარისათვის გასცეს უზრუნველყოფის ღონისძიება (ინგ. “Freezing Injunction”, “Mareva Injunction”)³⁵⁴ ინგლისის გარეთ ნებისმიერ ქვეყანაში მიმდინარე პროცესის უზრუნველყოფისათვის. ³⁵⁵ ეს შეიძლება იყოს ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ლუგანოს კონვენციის ³⁵⁶ ხელშემკვრელი სახელმწიფო, ან სხვა ნებისმიერი ქვეყანა და ამგვარი თავდაცვის ღონისძიების გაცემისათვის მნიშვნელობა არ აქვს უცხო ქვეყნის სასამართლოში განსახილველი საკითხი ხვდება თუ არა ბრიუსელის რეგულაციის ან ლუგანოს კონვენციის მოქმედების სფეროში. ამასთან, ბრიტანეთის კანონმდებლობის მიხედვით, არ არსებობს დამატებითი მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო დავის მონაწილე, რომელიმე

³⁵¹ P. S. O'Driscoll, Performance Bonds, Bankers' Guarantees, and the Mareva Injunction, 1985, 400.

³⁵² Freezing order

³⁵³ Rozalinova E., Angelov A., Georgiev, I., Jurisdiction, Recognition and Enforcement of Provisional and Protective Measures (International Cooperation in Civil Matters) (2012). Revista Forumul Judecătorilor, No. 4, 2012, 94. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2224223>

³⁵⁴ Civil Jurisdiction and judgments Act 1982, s.25. available at <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1982/27/section/25> 26.02.2018

³⁵⁵ Olivier K., Harvey A., Granting Interim Relief in Support of Foreign Proceedings: The Far-Reaching Powers of English Court, The Turkish Commercial Law Review, 2015, 136

³⁵⁶ 1988 წლის 12 სექტემბრის ლუგანოს კონვენცია სამოქალაქო და კომერციული გადაწყვეტილებების იურისდიქციასა და აღსრულებაზე, რომელიც დაიდო ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, პოლონეთსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას შორის.

[https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/6-501-0897?transitionType=Default&contextData=\(sc.Default\)&firstPage=true&bhcp=1](https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/6-501-0897?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true&bhcp=1)

მხარეს ინგლისში პქრნდეს ადგილსამყოფელი ან იუს ინგლისის რეზიდენტი.³⁵⁷

შვეიცარიაში მარევას აკრძალვის დონისძიების აღსრულება დამოკიდებულია იმაზე, ეს დონისძიება ევროკავშირის წევრი ქვეყნის სასამართლომ მიიღო თუ არაწევრი ქვეყნის სასამართლოს მიერ მოხდა მისი გამოყენება. თუ მარევას აკრძალვის დონისძიება მიღებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნის სასამართლოს მიერ, მაშინ მისი აღსრულება ხორციელდება ლუგანოს კონვენციის 38-ე მუხლის შესაბამისად, ³⁵⁸ ხოლო თუ უზრუნველყოფის დონისძიება გამოყენებულია ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის სასამართლოს მიერ, მისი აღსრულება რეგულირდება საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ შვეიცარიის კანონით.³⁵⁹

შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ 2011 წლის 31 ოქტომბრის №4A-366/2011 წლის გადაწყვეტილებით განმარტა ლონდონის უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებული მარევას აკრძალვის დონისძიების გამოყენების საკითხი. კერძოდ, თუ პირი ითხოვს მარევას აკრძალვის დონისძიების ცნობას შვეიცარიის სასამართლოს მიერ, შვეიცარიის სასამართლომ 1988 წლის ლუგანოს კონვენციის ³⁶⁰ შესაბამისად უნდა ცნოს უზრუნველყოფის დონისძიება, იმისდა მიუხედავად ითხოვს თუ არა მოსარჩელე მის აღსრულებას. ³⁶¹ მანამდე არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მარევას აკრძალვის დონისძიების ცნობა/აღსრულებამდე მოპასუხეს უნდა მიცემოდა ვადა პოზიციის წარმოსადგენად, რომელიც არ უნდა ყოფილიყო 5 სამუშაო დღეზე ნაკლები.³⁶²

³⁵⁷ Olivier K., Harvey A., Granting Interim Relief in Support of Foreign Proceedings: The Far-Reaching Powers of English Court, The Turkish Commercial Law Review, 2015, 136

³⁵⁸ Dr Nadelhofer S., Giroud S., Enforcement of Worldwide Freezing Orders in Switzerland, 44, available at http://www.lalive.ch/data/publications/SGI+SNA-IBA-Enforcement_of_WFO_in_Switzerland_Int_Litigation.pdf 26.02.2018

³⁵⁹ Swiss Private International Law Act (PILA). კერძო სამართლის შესახებ შვეიცარიის კანონის 25-ე მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარე შვეიცარიაში აღსრულებას თუ: 1. გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს თუ ადმინისტრაციას გააჩნია შესაბამისი იურისდიქცია; არც აღსახრულებელი და არც საბოლოო გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება; 2. არ არის წინამდებარე კანონში ჩამოთვლილი აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები (წინამდებარება შვეიცარიის საჯარო წესრიგთან ან საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ). უმეტეს შემთხვევაში ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შვეიცარიაში ცნობა/აღსრულებას არ ექვემდებარება. ი. ი. Dr Nadelhofer S., Giroud S., Enforcement of Worldwide Freezing Orders in Switzerland, 46, [http://www.lalive.ch/data/publications/SGI+SNA-IBA-Enforcement_of_WFO_in_Switzerland_Int_LitIGATION.pdf](http://www.lalive.ch/data/publications/SGI+SNA-IBA-Enforcement_of_WFO_in_Switzerland_Int_Litigation.pdf) 26.02.2018

³⁶⁰ 1988 წლის ლუგანოს კონვენცია არის 2007 წლის ლუგანოს კონვენციის წინამორბედი და 2007 წლის ლუგანოს კონვენცია შეიცავს იგივე შინაარსის დებულებებს.

³⁶¹ Dr Simone Nadelhofer, Sandrine Giroud, Enforcement of Worldwide Freezing Orders in Switzerland, 45, <http://www.lalive.ch/data/publications/SGI+SNA-IBA-Enforcement_of_WFO_in_Switzerland_Int_LitIGATION.pdf> 26.02.2018

³⁶² იქვე 44

მარეგის აკრძალვის დონისძიებები ცალსახად ეწინააღმდეგება ბულგარეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პრინციპებს, შესაბამისად, მათი აღსრულება ვერ განხორციელდება ბულგარეთში საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის გამო.³⁶³

8. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებები სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების ცნობა და აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემატიკის შესახებ

8.1 ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაცია № 1215/2012 სამოქალაქო და კომერციული სასამართლო გადაწყვეტილებების იურისდიქციასა და ცნობა-აღსრულებაზე

ეროვნული სამართლის გადმოსახედიდან „სამოქალაქო პროცესი“-ს განმარტება არც ისე დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. სამოქალაქო საპროცესო სამართალი აწესრიგებს სასამართლოში საქმის განხილვის პროცედურებს, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში „სამოქალაქოს პროცესი“ შეიძლება უფრო ფართო ან ვიწრო მნიშვნელობის მატარებელი იყოს.³⁶⁴

ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირის დირექტივები საგადაებულოა შესასრულებლად წევრი სახელმწიფოებისათვის. მათ აკისრიათ დირექტივებით შემოღებული რეგულაციების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის ვალდებულება.³⁶⁵

1968 წლის ბრიუსელის კონვენცია რომელიც ეხება სამოქალაქო და სამეწარმეო სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების იურისდიქციას და აღსრულებას, ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია. კონვენცია ვრცელდებოდა მხოლოდ დამფუძნებელი 6 წევრი ქვეყნის³⁶⁶ სამართლებრივ სისტემაზე. ევროკავშირის წევრი ქვეყნების გაზრდასთან ერთად ბრიუსელის კონვენციის გავლენაც გაიზარდა, რომელიც დანიის გარდა

³⁶³ Rozalinova E. Angelov A., Georgiev, I., Jurisdiction, Recognition and Enforcement of Provisional and Protective Measures (International Cooperation in Civil Matters) (2012). Revista Forumul Judecătorilor, No. 4, 2012, 94, <<https://ssrn.com/abstract=2224223>> 22.03.2018

³⁶⁴ Prof. Dr.. van Rhee C.H, Civil Procedure, J.M. Smits (ed.), Elgar Encyclopedia of Comparative Law, Cheltenham etc., 2006, 120 <<http://tcpbckup1.yolasite.com/resources/Elgar%20Encyclopedia%20of%20Comparative%20Law%20By%20Jan%20M%20Smits.pdf>> 22.03.2018

³⁶⁵ ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპივებლად, 2016, 9 თხ. თბ.

<http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/tamar_lakerbaia.pdf>

22.03.2018

³⁶⁶ ბელგია, საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და დასავლეთ გერმანია.

ყველა წევრი ქვეყნის სამართლის სისტემას მოიცავს. ³⁶⁷ ბრიუსელის დირექტივასთან ერთად მოქმედებს 1988 წლის ლუგანოს კონვენცია, რომელიც ევროპავშირის წევრ ქვეყნებთან ერთად მოიცავს ევროპის თავისუფალი სავაჭრო ასოციაციის წევრ ქვეყნებს.³⁶⁸

ევროპავშირის სამართლი დღითი დღე ახდენს საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის წესების უნიფიკაციას. ევროკავშირს მიღებული აქვს დირექტივები: სამოქალაქო და სამეწარმეო სამართლის გადაწყვეტილებების იურისდიქციაზე, ცნობაზე და აღსრულებაზე,³⁶⁹ ქორწინებასთან დაკავშირებით,³⁷⁰ დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებით,³⁷¹ მტიცებულებების შეგროვებასთან დაკავშირებით,³⁷² საერთაშორისო გადახდისუუნარობასთან დაკავშირებით.³⁷³

საქართველომ არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადადგა ევროპის სამართლებრივ სივრცეში ინტეგრაციისთვის.³⁷⁴ განსაკუთრებული ყურადღების დირსია 2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება, რომლის საფუძველზეც საქართველოს მიეცა საშუალება მიაღწიოს ევროკავშირის შიდა ბაზართან ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნის გზით. თავის მხრივ, ასეთი დაშვების წინაპირობაა მდგრადი და

³⁶⁷ Prof. Dr. van Rhee C.H., Civil Procedure, J.M. Smits (ed.), Elgar Encyclopedia of Comparative Law, Cheltenham etc., 2006, 121 <<http://tcpbkup1.yolasite.com/resources/Elgar%20Encyclopedia%20of%20Comparative%20Law%20By%20Jan%20M%20Smits.pdf>> 22.03.2018

³⁶⁸ იქვე.

³⁶⁹ Council Regulation (EC) No 44/2001 of 22 December 2000 on Jurisdiction and the recognition and enforcement of judgements in civil and commercial matters.

³⁷⁰ Council Regulation (EC) No 2201/2003 of 27 December 2003 on Jurisdiction and the recognition and enforcement of judgements in matrimonial matters and the matters of parental responsibility.

³⁷¹ Council Regulation (EC) No 1393/2007 of the European Parliament and of the Council of 13 November 2007 on the service in the Member States of judicial and extrajudicial documents in civil and commercial matters (service of documents).

³⁷² Council Regulation (EC) No 1206/2001 of 28 May 2001 on cooperation between the courts of the Member States in the taking of evidences in civil and commercial matters.

³⁷³ Regulation (EC) No 1346/2000 on insolvency proceedings.

³⁷⁴ საგულისმოა, რომ ევროპის სამართლებრივ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება პრიორიტეტად გამოცხადდა ჯერ კიდევ 1997 წელს, რაც აისახა კიდევაც საქარტველოს პარლამენტის მიერ 997 წლის 2 სექტემბრის 828-IIს დადგენილებაში, რომლის მიხედვით, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებს და ნორმებს. იხ. ლაპერბაია ომარი, ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ონალიზი, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპივებლად, 2016,

<http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/tamar_lakerbaia.pdf>

21.03.2018

უოგლის მომცველი რეგულაციური დაახლოება ევროპის სამართლებრივ მექანიზმებთან.³⁷⁵

სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებების ცნობასა და აღსრულებაზე ევროკავშირის კანონმდებლობა დეტალური არ არის, მაგრამ ევროკავშირის სასამართლომ ³⁷⁶ პრაქტიკით ჩამოაყალიბა გარკვეული სახის ჩარჩო სახელმძღვანელოები, თუმცა გარკვეული ასპექტები დღემდე განხილვის საგნად რჩება. ³⁷⁷ 2013 წლის 9 იანვარს ძალაში შევიდა 1215/2012 დირექტივა, ³⁷⁸ რომლითაც ჩანაცვლდა მანამდე მოქმედი 44/2001 დირექტივა. №1215/2012 დირექტივაში 2015 წლის 10 იანვარს განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით გამარტივდა უცხო ქვეყნის სასამართლოს იურისდიქციის, გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხი. დირექტორივის 35-ე მუხლის თანახმად, განცხადება უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების თაობაზე შიეძლება წარდგენილი იქნეს წევრ სახელმწიფოში, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიუხედავად იმისა რომ მირითად დავაზე იურისდიქცია სხვა სახელმწიფოს გააჩნია.³⁷⁹

8.2 ევროკავშირის წევრი ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყანაში აღსრულების პროცესი

8.2.1 რომელ სასამართლოს გააჩნია სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების უფლებამოსილება

განვიხილოთ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებები სხვადასხვა საქმეებზე, სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებასა და საქმის არსებით განხილვასთან დაკავშირებით.

სახელშეკრულებო დავიდან გამომდინარე ერთმა მხარემ ნიდერლანდების სასამართლოს მიმართა უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების მოთხოვნით, მაშინ როდესაც მხარეებს

³⁷⁵ ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2016, 9 იხ

<http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/tamar_lakerbaia.pdf>

21.03.2018

³⁷⁶ ECJ – European Court of Justice.

³⁷⁷ Rozalinova E. Angelov A., Georgiev, I., Jurisdiction, Recognition and Enforcement of Provisional and Protective Measures (International Cooperation in Civil Matters) (2012). Revista Forumul Judecătorilor, No. 4, 2012, 84.< <https://ssrn.com/abstract=2224223>> 12.03.2018

³⁷⁸ <<http://www.wipo.int/wipolex/en/details.jsp?id=15134>> 26.02.2018

³⁷⁹ Regulation (EU) No 1215/2012 of the European Parliament and of the Council of 12 December 2012 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgements in civil and commercial matters, article 35.

დავის გადაწყვეტის საშუალებად მითითებული ქონდათ არბიტრაჟი. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ მოახდინა განსხვავება საქმის არსებით განხილვასა და უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებას შორის. საარბიტრაჟო შეთანხმებიდან გამომდინარე დავა არსებითად უნდა გადაწყდეს შეთანხმებული სამართლის მიხედვით, მაშინ როდესაც უზრუნველყოფის დონისძიება შეიძლება მიღებულ იქნეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმებით სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილება იმსჯელოს უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებაზე, თუმცა ეროვნული კანონმდებლობით აღნიშნული დასაშვებია და ნიდერლანდების სასამართლოს შეუძლია მიიღოს სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება საქმეზე არსებითი მსჯელობის გარეშე.³⁸⁰

დავა გამომდინარეობდა ევროპული საპატენტო ურთიერთობიდან. მხარემ სარჩელით მიმართა ნიდერლანდების სასამართლოს და ამავე დროს მოითხოვა უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენება. მოპასუხემ სადავოდ გახადა ხელშეკრულების კანონიერება და შესაბამისად სასამართლოს უფლებამოსილება დავის განხილვაზე. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენება არ არის კავშირში დავის არსებით გადაწყვეტასთან და შესაბამისად გამოყენებული უზრუნველყოფის დონისძიება ძალაში დატოვა.³⁸¹

დავა ეხებოდა სავაჭრო ურთიერთობას. გამყიდველი იყო იურიდიული კომპანია, ხოლო მყიდველი იყო ფიზიკური პირი მყიდველმა არ შეასრულა ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულება, ნიდერლანდების სასამართლომ გამოიყენა უზრუნველყოფის დონისძიება, რის აღსრულებაზეც გერმანიამ უარი თქვა, იმ მიზეზით რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა მიმდინარეობდა გერმანიაში და მხოლოდ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა განხორციელდა ნიდერლანდებში. ამ საქმეშიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმის არსებით განხილვაზე იურისდიქციის არარსებობს მიუხედავად, უზრუნველყოფის დონისძიების მიღების უფლება გააჩნია წევრი ქვეყნის სასამართლოს.³⁸²

³⁸⁰ ECJ, Judgment of the 17 November 1998, Van Uden Maritime BV, trading as Van Uden Africa Line v Kommanditgesellschaft in Firma Deco-Line and Another, Case C-391/95. ECLI identifier: ECLI:EU:C:1998:543.

³⁸¹ ECJ, Judgement of 12 July 2012, Solvay SA v Honeywell Flourine Products Europe BV, Honeywell Belgium NV, Honeywell Europe NV, c-616/10.

³⁸² ECJ, Judgment of the Court of 27 April 1999. - Hans-Hermann Mietz v Intership Yachting Sneek BV, Case C-99/96, ECLI identifier: ECLI:EU:C:1999:202

8.2.2 რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაში უნდა მოხდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

ორ ბელგიელს შორის მიმდინარეობდა დავა ბელგიის სასამართლოში. ერთმა მხარემ მოითხოვა მოწმის დაკითხვა პოლანდიის სასამართლოს მიერ. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ მსგავსი ხასიათის საპროცესო მოქმედება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად არ მიიჩნია და უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე³⁸³

ფულადი თანხის გადახდა, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე მხარე საპასუხოდ წარმოადგენს შესაბამის გარანტიას, რათა სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში არ მოხდეს მოპასუხის უფლებების დარღვევა. ასევე აღნიშნა, რომ 1215/2012 რეგულაციის 35-ე მუხლით სასამართლოსთვის მინიჭებული განხილვის უფლებამოსილების მიზანს წარმოადგენს, რომ გადაწყვეტილება აღსრულებადი იყოს იმ ქვეყანაში, სადაც თავდაცვის ღონისძიება გამოიყენება და მისი გამოყენება, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რეალური დამაკავშირებელი ფაქტორი უზრუნველყოფის ღონისძიების საგანსა და განცხადების განმხილველ სასამართლოს ტერიტორიას შორის.³⁸⁴

განქორწინების დავა მიმდინარეობდა საფრანგეთში. ქმარმა მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განხინების აღსრულება გერმანიაში. გერმანიის სასამართლომ უარი უთხრა იმ მოტივით რომ შესაბამისი დოკუმენტები არ იყო წარდგენილი. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა საჩივარი, ვინაიდან მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ცდებოდა № 44/2001 დირექტივის ფარგლებს.³⁸⁵

8.2.3 სამართალწარმოების რა ეტაპზე უნდა მოხდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე თუ საქმის ვითარებიდან გამომდინარე ამის საჭიროება დადგება.³⁸⁶

³⁸³ ECJ Judgment of 28 April 2005 St. Paul Dairy Industries NV vs. Unibel Exser BVBA, Case C-104/03, ECLI identifier: ECLI:EU:C:2005:255

³⁸⁴ JUDr. Kolban P., Mgr. Babickova K., Mgr. Potucky J., Selected problems related to provisional measures within Brussels I bis regulation and European Court on Human Rights, THEMIS competition – 2017, 8, <<http://www.ejtn.eu/Documents/Team%20CZ%20semi%20final%20C.pdf>> 24.03.2018

³⁸⁵ ECJ, Judgment of 27 March 1979 Jacques de Cavel vs. Luise de Cavel, Case 143/78, ECLI identifier: ECLI:EU:C:1979:83

³⁸⁶ JUDR. Kolban P., Mgr. Babickova K., Mgr. Potucky J., Selected problems related to provisional measures within Brussels I bis regulation and European Court on Human Rights,

8.4 სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება №1215/2012 დირექტივის მიხედვით

ევროპავშირის წევრი ქვეყნის სასამართლოს მიერ
მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება სხვა წევრ ქვეყანაში
ხორციელდება ყოველგვარი სპეციალური პროცედურის
გარეშე.³⁸⁷ აღსრულების პროცედურის დაწყებამდე საჭიროა
მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა იმ ქვეყნის სასამართლოს
მიერ, სადაც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების აღსრულება.³⁸⁸
ამისათვის უნდა მოხდეს გადაწყვეტილებისა და შესაბამისი
სერთიფიკატის წარდგენა სასამართლოში.³⁸⁹ თუ სახეზე არ არის
დირექტივის 45-ე მუხლით დადგენილი გარემოებები,
სასამართლო ცნობს წარდგენილ გადაწყვეტილებას.
სასამართლო უარს იტყვის გადაწყვეტილების ცნობასა და
აღსრულებაზე შემდეგ შემთხვევებში: თუ გადაწყვეტილება
ეწინააღმდეგება იმ ქვეყნის საჯარო წესრიგს, სადაც უნდა
აღსრულდეს გადაწყვეტილება; სახეზეა სერიოზული
პროცედურული დარღვევები;³⁹⁰ თუ დავა იმავე მხარეებს შორის
უკვე გადაწყვეტილია იმ ქვეყნის სასამართლოს მიერ, სადაც
წარდგენილია გადაწყვეტილება აღსასრულებლად;³⁹¹ თუ დაგა
წინააღმდეგება დირექტივით დადგენილ წესებს.

9. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების შემთხვევები

9.1. სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების პროცედურა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წესების³⁹² მიხედვით

ადამიანის უფლებათა ყველა საერთაშორისო
ორგანიზაცია იყენებს უზრუნველყოფის დონისძიებებს, რათა

THEMIS competition – 2017, 8,
<<http://www.ejtn.eu/Documents/Team%20CZ%20semi%20final%20C.pdf>> 21.03.2018

³⁸⁷ Regulation (EU) No 1215/2012 of the European Parliament and of the Council of 12 December 2012 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgements in civil and commercial matters, article 39

³⁸⁸ Regulation (EU) No 1215/2012 of the European Parliament and of the Council of 12 December 2012 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgements in civil and commercial matters, article 36

³⁸⁹ Regulation (EU) No 1215/2012 of the European Parliament and of the Council of 12 December 2012 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgements in civil and commercial matters, article 37

³⁹⁰ JUDr. Kolban P., Mgr. Babickova K., Mgr. Potucky J., Selected problems related to provisional measures within Brussels I bis regulation and European Court on Human Rights, THEMIS competition – 2017, 15, <<http://www.ejtn.eu/Documents/Team%20CZ%20semi%20final%20C.pdf>> 21.02.2018

³⁹¹ Regulation (EU) No 1215/2012 of the European Parliament and of the Council of 12 December 2012 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgements in civil and commercial matters, article 45.1.c

³⁹² Rules of Court

მოხდეს მათი სადამფუძნებლო დოკუმენტით გარანტირებული უფლებების დაცვა. ³⁹³ უზრუნველყოფის ღონისძიებები არის გადაუდებელი ღონისძიებები, რომლებიც ეფუძნება სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას და იყენებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში სადაც არის გამოუსწორებელი ზიანის გარდაუგალი რისკი. ³⁹⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წესების 39-ე მუხლი დეტალურად აღწერს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პროცედურას.³⁹⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და საერთაშორისო სასამართლო, რიგ შემთხვევებში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს ანაცვლებენ სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ცალმხრივი გარანტით. უზრუნველყოფის ღონისძიება თავისი სამართლებრივი ბუნებით არის მბოჭავი ხასიათის მატარებელი, თუმცა სახელმწიფოს მიერ ცალმხრივი გარანტით წარმოდგენის პრაქტიკა გამომდინარეობს სახელმწიფოს სტატუსიდან, კერძოდ, სახელმწიფოს, როგორც სუვერენულ სუბიექტს შეუძლია თავის თავზე აიღოს გარკვეული სახის ვალდებულებები.³⁹⁶

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიებებს თვითონ იყენებს, რათა მოახდინოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2, ³⁹⁷ მე-5, ³⁹⁸ მე-6, ³⁹⁹ მე-8⁴⁰⁰ და მე-11⁴⁰¹ მუხლებით გარანტირებული უფლებების დაცვა პროცესის მიმდინარეობისას.⁴⁰² სასამართლოს ოეგლამენტის 39-ე მუხლი არეგულირებს სასამართლოში წარდგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წესს. 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად – პალატა, სექციის თავმჯდომარე ან მორიგე მოსამართლე, რომელიც დანიშნულია, ამავე მუხლის

³⁹³ Comparative Analysis of the Practice and Precautionary Measures Among International Human Rights Bodies, Submitted to Special Meeting of the Permanent Council of the Organization of American States by the Center for Justice and International Law (CEJIL) and Intranational Human Rights Law Clinic, University of California, Berkeley, School of Law, Berkeley, California, United States of America, December 2012, 2 <[https://www.law.berkeley.edu/files/IHRLC/Precautionary Measures Research Paper \(FINAL\) 121210.pdf](https://www.law.berkeley.edu/files/IHRLC/Precautionary%20Measures%20Research%20Paper%20(FINAL)%20121210.pdf)> 12.02.2018

³⁹⁴ <http://www.echr.coe.int/Documents/FS_Interim_measures_ENG.pdf>, 1, 12.02.2018

³⁹⁵ <http://www.echr.coe.int/Documents/Rules_Court_ENG.pdf> 12.02.2018

³⁹⁶ Worster W. Th., Unilateral Diplomatic Assurances as an Alternative to Provisional Measures (July 17, 2015). Law and Practice of International Courts and Tribunals, Vol. 15, No. 3, 2016, 1

<<https://ssrn.com/abstract=2632159>> or <<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2632159>>

12.02.2018

³⁹⁷ სიცოცხლის უფლება

³⁹⁸ თავისუფლებისა და სელშეუხებლობის უფლება

³⁹⁹ სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლება

⁴⁰⁰ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

⁴⁰¹ შექრებისა და გაერთიანების თავისუფლება

⁴⁰² <https://www.ecre.org/wp-content/uploads/2016/05/RULE-39-RESEARCH_FINAL.pdf> 12.02.2018

მეოთხე პარაგრაფის⁴⁰³ შესაბამისად, მხარის ან სხვა შესაბამისი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ან საკუთარი გადაწყვეტილებით იყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, რომელიც ემსახურება მხარის ინტერესს ან პროცესის დაუბრკოლებლად წარმართვას.⁴⁰⁴ უზრუნველყოფის ღონისძიებები არის გადაუდებელი სახის ღონისძიებები, რომელსაც სასამართლო იყენებს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, სადაც ხედავს გამოუსწორებელი ზოანის გარდაუვალ რისკს.⁴⁰⁵ უზრუნველყოფის ღონისძიების კონკრეტული სახეების ჩამონათვალი არ არის მოცემული სასამართლოს რეგლამენტში, რაც გარკვეულ ეტაპზე უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების პრობლემას ქმნიდა.

სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც არის აპლიკანტის გაძევების ან ექსტრადიციის რისკი. საქმეში მამათკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ,⁴⁰⁶ სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით. საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: მამათკულოვი და ასკაროვი იყვნენ უზბეკეთის მოქალაქეები და ამავე დროს ოპოზიციური პარტიის წევრები. ისინი დაკავებული იქნენ თურქეთში მკვლელობისა და აფეთქების მცდელობის ბრალდებით. მიუხედავად სექციის თავმჯდომარის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებისა, რომლითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კრძალავდა დაკავებულების უზბეკეთში ექსტრადიციას, თურქეთმა მოახდინა მათი ექსტრადირება უზბეკეთში და თურქეთი ცნობილი იქნა ევროპული კონვენციის დარღვევაში.⁴⁰⁷ სასამართლომ პირველად თქვა, რომ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად, მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეუსრულებლობა ნიშნავს, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის⁴⁰⁸ 34-ე მუხლით⁴⁰⁹ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას.⁴¹⁰

⁴⁰³ სასამართლოს თავმჯდომარებ შეიძლება დანიშნოს თავმჯდომარის მოადგილე მორიგე მოსამართლედ უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხების გადასაწყვეტად. იხ. <http://www.echr.coe.int/Documents/Rules_Court_ENG.pdf> 25.02.2018

⁴⁰⁴ <http://www.echr.coe.int/Documents/Rules_Court_ENG.pdf> 25.02.2018

⁴⁰⁵ <http://www.echr.coe.int/Documents/FS_Interim_measures_ENG.pdf>, p. 1, 25.02.2018

⁴⁰⁶ Mamatkulov and Askarov v. Turkey <[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid": "001-68183"}> 25.02.2018](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

⁴⁰⁷ Naldi G. J, INTERIM MEASURES IN THE UN HUMAN RIGHTS COMMITTEE. (2004). International and Comparative Law Quarterly, 53(2), 445-454. doi:10.1093/icql/53.2.445, 452

⁴⁰⁸ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია იხ. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi5.pdf>> 25.02.2018

⁴⁰⁹ სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი ფიზიკური პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისაგან ან ცალკე პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არაფრით შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან

ნებისმიერი სახელმწიფო, რომლის მიმართაც გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიება, ვალდებულია, განუხრელად დაიცვას ეს ღონისძიება და თავი შეიკავოს ნებისმიერი მოქმედებისა თუ უმოქმედობისგან, რომელიც ძირს გამოუთხრის საბოლოოდ მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების ავტორიტეტსა და ეფექტურობას.⁴¹¹

კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებები გამუდმებით გამოიყენება პრაქტიკაში, დიდ როლს თამაშობს გამოუსწორებელი სიტუაციების თავიდან არიდების მიზნით, რაც ცალსახად ხელს უწყობს სასამართლოს, გამოიკვლიოს საქმის გარემოებები და ეფექტურად განახორციელოს კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვა.⁴¹² ამ განმარტებით შეიცვალა ათი წელზე მეტი ხნის მანძილზე კრუზ ვარასი შევდეთის წინააღმდეგ⁴¹³ საქმეში დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, სასამართლოს მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას არ პქონდა სახელმწიფოსთვის მბოჭავი ძალა, ვინაიდან, სასამართლოს რეგლამენტის 36-ე მუხლი (მოქმედი რედაქციის 39-ე მუხლი) არ შეიცავდა უზრუნველყოფის ღონისძიებების კონკრეტულ ჩამონათვალს.⁴¹⁴

საქმეთა უმრავლესობაში, განმცხადებლები ითხოვენ გაძევების ან ექსტრადიციის შეჩერებას. სასამართლო იყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებას მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში, კერძოდ, როდესაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში განმცხადებელი იქნება სერიოზული და გამოუსწორებელი ზიანის წინაშე.⁴¹⁵ სასამართლო არ ახდენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებას, მხოლოდ მოკლედ უთითებს გამოსაყენებელ ღონისძიებაზე. მაგალითად: მოხდეს ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება,⁴¹⁶ ან მოხდეს გამოსახლების შეჩერება, ვიდრე უზრუნველყოფილი არ იქნება ბავშვებისთვის, მოხუცებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის შესაბამისი საცხოვრებელი სადგომით უზრუნველყოფა.⁴¹⁷

განხორციელებას. ინდივიდუალური განაცხადი, მუხლი 34 ი. ა. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi5.pdf> 25.02.2018

⁴¹⁰ <http://www.echr.coe.int/Documents/FS_Interim_measures_ENG.pdf>, p.10, 25.02.2018

⁴¹¹ Naldi G. J, INTERIM MEASURES IN THE UN HUMAN RIGHTS COMMITTEE. (2004). International and Comparative Law Quarterly, 53(2), 445-454. doi:10.1093/iclq/53.2.445, 452

⁴¹² <http://www.echr.coe.int/Documents/FS_Interim_measures_ENG.pdf>, p.10, 25.02.2018

⁴¹³ <http://www.refworld.org/cases/ECHR_3ae6b6fe14.html> 25.02.2018

⁴¹⁴ <http://www.pict-pcti.org/matrix/discussion/echr/echr_interim.htm> 25.02.2018

⁴¹⁵ <http://www.echr.coe.int/Documents/FS_Interim_measures_ENG.pdf>, p.1, 25.02.2018

⁴¹⁶ Rustavi 2 Broadcasting Company Ltd v. Georgia, Application no. 16812/17

⁴¹⁷ Remiche A., Yordanova and Others v. Bulgaria: The Influence of the Social Right to Adequate Housing on the Interpretation of the Civil Right to Respect for One's Home (December 22, 2012). Human Rights Law Review, 2012, vol. 12 (4), pp. 792, <<https://ssrn.com/abstract=2705714>> 25.02.2018

9.2. სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის და გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შემთხვევაში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგლამენტი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ჩამონათვალს არ მოიცავს. ასევე, არ ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება. განმცხადებლის მიერ წერილობით წარდგენილი განცხადების საფუძველზე სასამართლო იყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებას. ოუმცა ასევე შეიძლება სასამართლომ არ დააკმაყოფილოს განმცხადებლის შუამდგომლობა და უარი უთხრას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე. სასამართლოს ასეთი უარი არ საჩივრდება.⁴¹⁸

ადამიანის უფლება ორგანიზაციები სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში ძირითადად გამჭვირვალოვაზე წინ ეფექტურობას აყენებენ, კერძოდ, მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოქვეყნების ნაცვლად ისინი სახელმწიფოს ატყობინებენ წერილობით ან ზეპირად⁴¹⁹ (დიპლომატიური კომუნიკაციების საშუალებით, რომელიც უფრო ნაკლებად ფორმალურია ვიდრე წერილობითი შეტყობინება). ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები არ აქვეყნებენ კომუნიკაციის შინაარსს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჯაროვდეს, მხოლოდ მხარის სურვილის შემთხვევაში.⁴²⁰

პრაქტიკაში, ასევე დამკვიდრებულია გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება სასამართლოს მხრიდან, როდესაც სახელმწიფო წარადგენს გარანტიას. გარანტიასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დამცველები გამოდიან დიპლომატიური გარანტიების გამოყენების წინააღმდეგ, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს წამების აკრძალვის ნორმების დარღვევა. ⁴²¹ საერთაშორისო ორგანიზაციათა ერთი ნაწილი მიიჩნევს რომ გარანტიას აქვს იურიდიული ძალა, რადგან

⁴¹⁸ <http://www.echr.coe.int/Documents/FS_Interim_measures_ENG.pdf>, p.1, 25.02.2018

⁴¹⁹ Note Verbale

⁴²⁰ Comparative Analysis of the Practice and Precautionary Measures Among International Human Rights Bodies, Submitted to Special Meeting of the Permanent Council of the Organization of American States by the Center for Justice and International Law (CEJIL) and Intranational Human Rights Law Clinic, University of California, Berkeley, School of Law, Berkeley, California, United States of America, December 2012, 10 <[https://www.law.berkeley.edu/files/IHRLC/Precautionary_Measures_Research_Paper_\(FINAL\)_121210.pdf](https://www.law.berkeley.edu/files/IHRLC/Precautionary_Measures_Research_Paper_(FINAL)_121210.pdf)> 25.02.2018

⁴²¹ ბურდული ნ., წარმოადგენს თუ არა დიპლომატიური გარანტიები ეფექტურ ზომების წინააღმდეგ?, სამართლის უურნალი, №2, 2014, 333.

გარანტია არის „ფორმალური”⁴²² „გამოუთხოვადი”⁴²³ და „სამართლებრიდავ მბოჭავი”,⁴²⁴ მე-2 ნაწილის მოსაზრების თანახმად, სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ გარანტიას იურიდიული ძალა არ აქვს.⁴²⁵ თუმცა ორგანიზაციათა ნაწილი შეთანხმდა, რომ გარანტია არ არის მხოლოდ ფურცელი,⁴²⁶ თუმცა მისი იურიდიული ძალა უჩვეულო რჩება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იორდანოვას საქმეში პირველად დაუშვა სახელმწიფოს მხრიდან გარანტიის წარდგენა სარჩელის უზრუნველყოფის გასაუქმებლად⁴²⁷ და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებიდან რამოდენიმე კვირაში ბულგარეთის მიერ წარდგენილი გარანტია საკმარისად ჩათვალა უზრუნველყოფის ღონისძიების გასაუქმებლად.⁴²⁸

მნიშვნელოვანია ადინიშნოს, რომ გარანტიის წარდგენა უნდა მოხდეს უშუალოდ სასამართლოს წინაშე და არა იმ განმცხადებლის წინაშე, ვინც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითხოვს.⁴²⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ იყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებებს ისეთ საქმეებზე, რომლებიც უკავშირდება: საკუთრების გარდაუვალ განადგურებას, გარდაუვალ გადახდისუნარობას ან სამხედრო სავალდებულო სამსახურის გამოხდას, დაკავებული ადამიანის ციხიდან გამოშვებას, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება, ან რეფერენდუმის ჩატარების დავალდებულებას, ან პოლიტიკური პარტიის დაშლის შეჩერებას.⁴³⁰ 2007 წლის 21 დეკემბერს ევროპულმა სასამართლომ საეციალური განცხადებაც გაავრცელა და განმარტა, რომ სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიებას იყენებს მხოლოდ მაშინ თუ

⁴²² Othman (2007) S.I.A.C. No. SC/15/2005 para. 283. <http://siac.decisions.tribunals.gov.uk/Documents/QATADA_FINAL_7FEB2007.pdf>

25.02.2018

⁴²³ Alzery v. Sweden, Comm. No. 1416/2005, para. 3.12, UN Doc.CCPR/C/88/D/1416/2005 available at <<http://hrlibrary.umn.edu/undocs/1416-2005.html>> 25.02.2018

⁴²⁴ Worster W. Th., Unilateral Diplomatic Assurances as an Alternative to Provisional Measures (July 17, 2015). Law and Practice of International Courts and Tribunals, II B, Vol. 15, No. 3, 2016.

<<https://ssrn.com/abstract=2632159> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2632159>> 25.02.2018

⁴²⁵ Alzery v. Sweden, Comm. No. 1416/2005, para. 4.11, UN Doc.CCPR/C/88/D/1416/2005 available at <http://hrlibrary.umn.edu/undocs/1416-2005.html> 25.02.2018

⁴²⁶ Othman (2007) S.I.A.C. No. SC/15/2005 para. 501 <http://siac.decisions.tribunals.gov.uk/Documents/QATADA_FINAL_7FEB2007.pdf>

25.02.2018

⁴²⁷ Worster W. Th., Unilateral Diplomatic Assurances as an Alternative to Provisional Measures (July 17, 2015). Law and Practice of International Courts and Tribunals, IV , Vol. 15, No. 3, 2016. <<https://ssrn.com/abstract=2632159> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2632159>> 25.02.2018

⁴²⁸ Yordanova v Bulgaria appl. no. 25446/06, judgement, para 4. <[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid": "002-2155"}> 25.02.2018](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

⁴²⁹ Worster W. Th., Unilateral Diplomatic Assurances as an Alternative to Provisional Measures (July 17, 2015). Law and Practice of International Courts and Tribunals, V , Vol. 15, No. 3, 2016. <<https://ssrn.com/abstract=2632159> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2632159>>

⁴³⁰<http://www.echr.coe.int/Documents/FS_Interim_measures_ENG.pdf>, p.2, 25.02.2018

სახეზეა განმცხადებლისათვის გარდაუვალი და გამოუსწორებელი ზიანის მიენების საშიშროება. ⁴³¹ სასამართლოს არასოდეს გამოუყენებია უზრუნველყოფის ღონისძიება ისეთ გარემოებაზე, რომელიც გულისხმობს მთავრობისათვის რეფერენციულის ჩატარების დავალდებულებას. სასამართლოს განმარტებით, სასამართლოში ერთდრულად ერთი და იგივე შინაარსის მოთხოვნის შესვლა ნაწილია მართული კამპანიის, რომელსაც დადებითად გადაწყვეტის შესაძლებლობა არ გააჩნია და იწვევს მხოლოდ სასამართლოს რესურსის ხარჯვას, რომელიც უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე გადანაწილდეს.⁴³²

9.3. სარჩელის უზრუნველყოფა როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ნაწილი

ყოველგვარი აზრი ეკარგება უფლების, მით უფრო დარღვეული უფლების ნებისმიერ დონეზე აღიარებას, თუკი არ მოხდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.⁴³³ სსსკ-ს 2.1 მუხლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. კანონის ეს ჩანაწერი თავისთავად გულისხმობის იმ სამართლებრივი შედეგი მიღწევას (სათანადო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში), რასაც მოსარჩელე მოითხოვს. სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. ⁴³⁴ წინააღმდეგ შემთხვევაში კანონის სხვაგვარი განმარტება საფრთხის ქვეშ დააყენებს მოსარჩელის უფლებებს, რომელიც მიუხედავად მართლმსაჯულების განხორციელებისა, ვერ მიაღწევს გადაწყვეტილების აღსრულებასა და თავის კანონიერი უფლებებსა და ინტერესებში აღდგენას, რაც თავის მხრივ, ხელყოფს საქართველოს კონტიტუციით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ ფუნდამეტურ უფლებას საქმის სამართლიანი სასამართლოზე მოსმენაზე.⁴³⁵

სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფა წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების მნიშვნელოვან ინსტიტუტს და ემსახურება სასამართლო გადაწყვეტილების

⁴³¹ < [25.02.2018](https://hudoc.echr.coe.int/eng-press#{)

⁴³² იქვე

⁴³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივნისის №1/14/184,228 გადაწყვეტილება საქმეზე „სააქციო საზოგადოებები – „საქბაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოაპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

⁴³⁴ ქუთაისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება, საქმე №2/ბ-209-16.

⁴³⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოდეგის 2016 წლის 9 მარტის განჩინება, საქმე №1272780-16.

ადსრულების უზრუნველყოფას. სამოქალაქო
სამართლწარმოებაში უზრუნველყოფის ღონისძიების
გამოყენება ძირითადად დაკავშირებულია ორ ფაქტორთან.
კერძოდ, სასამართლო პროცესების გაჭიანურებასთან და
მოსარჩელის არაკეთილსინდისიერ ქმედებასთან⁴³⁶ იმის
გათვალისწინებით, რომ ხშირად სამოქალაქო პროცესი საკმაოდ
ხანგრძლივ პროცედურებთან არის დაკავშირებული, არსებობს
რისკი, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დავის
საგანი განადგურდეს, გასხვისდეს, უფლებრივად დაიტვირთოს
ან სხვაგვარად შეეშალოს ხელი საბოლოო გადაწყვეტილების
ადსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ხწორედ
ამ საფრთხეების პრევენციას ემსახურება. სამოქალაქო საქმეზე
მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელება მნიშვნელოვან
საჯარო ინტერესს წარმოადგენს, ამავე დროს,
მართლმსაჯულების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის
დამოკიდებული სასამართლოს მიერ მიღებული
გადაწყვეტილების ადსრულებაზე, შესაბამისად, კანონით
გათვალისწინებული მექანიზმები, რომლებიც ემსახურება
სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების
უზრუნველყოფას, ემსახურება უმნიშვნელოვანების ლეგიტიმურ
მიზანს – მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების
უზრუნველყოფას.⁴³⁷

სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს არა მარტო
სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი
განხილვის და სხვა მარავალ უფლებას, არამედ
გადაწყვეტილების ადსრულების უფლებასაც. სასამართლო
გადაწყვეტილების აღუსრულებლობა უთანაბრდება
სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არცნობას იმდენად,
რამდენადაც იგი მოჩვენებითს ხდის სასამართლოსადმი
ხელმისაწვდომობას და პირს ართმევს ამ უფლებით
სარგებლობის ყველანაირ პრაქტიკულ საშუალებას.
სასამართლო გადაწყვეტილების ადსრულების უფლება, როგორც
ზემოთხსნებული /სამართლიანი სასამართლოს/ უფლების
ელემენტი, დაცული და აღიარებულია საქართველოს
კონსტიტუციით, რომლის მიხედვით „სასამართლოს აქტები
სავალებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის
ქვეყნის მტელ ტერიტორიაზე“⁴³⁸ კონსტიტუციის აღნიშნული
დანაწესი კი იმპლენტირებულია „საერთო სასამართლოების
შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებში.⁴³⁹

⁴³⁶ Westberg P., Interim Measures and Civil Litigation, Scandinavian Studies in Law, 538 <<http://www.scandinavianlaw.se/pdf/51-25.pdf>> 21.03.2018

⁴³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-52.

⁴³⁸ საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლი

⁴³⁹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოდექსის 2015 წლის 26 მარტის განჩინება, საქმე №2/761-2015 §2.5

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას.⁴⁴⁰ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას.⁴⁴¹ პირს, რომელსაც გააჩნია სასამართლოს მიერ, მის სასარგებლოდ, სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც საგადებულო აღსრულებას ექვემდებარება, არ შეიძლება დაეკისროს მოთხოვნათა იძულებით დაკმაყოფილება ან სხვა მსგავსი მოქმედებები გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. მოსარჩელე მხარის ეფექტური დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას აღასრულონ შიდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.⁴⁴² შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოს ვალდებულებას კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტის აღსრულების ნაწილში უფრო აძლიერებს, როდესაც თავად გადაწყვეტილება მიღებულია სახელმწიფოს წინააღმდეგ. სახელმწიფო პასუხისმგებელია საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებაზე, როდესაც ფაქტორები, რომლებიც აფერხებს ან ხელს უშლის მათ სრულ და დროულ აღსრულებას, არის შესაბამისი ორგანოების კონტროლის ქვეშ.⁴⁴³ ამავე დროს, მოგებული მხარის მიმართ შეიძლება არსებობდეს გარკვეული პროცედურული ზომების მიღების მოთხოვნა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილების აღსრულება, იმ პირობით, რომ მოთხოვნილი ფორმალობები არსებითად არ ზღუდავს ან არ ამცირებს აღსრულების პროცედურისადმი მხარის ხელმისაწვდომობას.⁴⁴⁴ ნებისმიერ შემთხვევაში, ზეამოღნიშნული მოთხოვნები სახელმწიფო ორგანოებს არ უნდა ათავისუფლებდეს კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებებისგან, დროულად და საკუთარი ინიციატივით მიიღონ ზომები მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, რათა აღასრულონ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილები.⁴⁴⁵ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების

⁴⁴⁰ ქლიერიშვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების ვალდებულება, სამართლის უურნალი, №1, 2018

⁴⁴¹ შპ იზა და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2010, 57, იხ. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/krebuli-saqartvelos-saqmeebze.pdf>> 21.03.2018

⁴⁴² დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ განაცდას ნომერი 8252/08, 2012 წლის 12 სექტემბერი, §44, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/dadiani.machabeli.pdf>> 21.03.2018

⁴⁴³ Sokur v. Ukraine, no. 29439/02, 26 April 2005, and Kryshchuk v. Ukraine no. 1811/06, 19 February 2009

⁴⁴⁴ Kosmidis and Kosmidou v. Greece, no. 32141/04, §24, 8 November 2007; Rompoti and Rompotis v. Greece, no. 14263/04, §26, 25 January 2007; აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ საჩივარი no 40765/02 § 64;

⁴⁴⁵ Akashv v. Russia, no 30616/05, §22, 1 June 2008

უზრუნველყოფის ვალდებულება, უპირველესად სახელმწიფო სტრუქტურებს ეკისრებათ იმ მომენტიდან, როცა გადაწყვეტილება სავალდებულო და აღსრულებადი ხდება.⁴⁴⁶ შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული ორგანოები უარს აცხადებენ, ვერ ახერხებენ ან აჭიანურებენ ამ ვალდებულებების შესრულებას, მოსარჩევე მხარისათვის სამართალწარმოების პროცესში მე-6 მუხლით მინიჭებული გარანტია აზრს კარგავს.⁴⁴⁷

ადამიანის უფლებათა ეკროპული კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს ყველა პირის სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებას. აღნიშნული უფლება ილუზორული იქნებოდა, თუკი კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა ხელს შეუწყობდა იმას, რომ სასამართლოს საბოლოო, სავალდებულო გადაწყვეტილება დარჩებოდა აღუსრულებელი ერთი მხარის საზიანოდ.⁴⁴⁸ ეკროპულმა სასამართლომ თავად გამოიყენა უზრუნველყოფის ღონისძიება და აუკრძალა გაერთიანებული სამეცოს მთავრობას განმცხადებლის⁴⁴⁹ დეპორტაცია. აბუ ქაბადას საქმეში⁴⁵⁰ სასამართლომ პირველად განმარტა, რომ განმცხადებლის გაძევება სასამართლოს განხილვის დასრულებამდე გამოიწვევდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას საქართველოს შიდა ეროვნული სასამართლოები აქტიურად იყენებენ ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს ამა თუ იმ პოზიციის დასასაბუთებლად. სასამართლოს სისტემის მაღალ კვალიფიკაციაზე მიუთითებს ყველა ინსტანციის მიერ ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოყენება ეროვნული გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის.⁴⁵¹

⁴⁴⁶ იქვე §45

⁴⁴⁷ Antonetto v. Italy, no. 15918/89, §28, 20 July 2000

⁴⁴⁸ Hornsby v Greece, no. 18357/91, §40, 19 March 1997

⁴⁴⁹ განმცხადებელი იყო იორდანის მოქალაქე აბუ ქაბადა, რომელიც ეჭვმიგანილი იყო აღ-ქაიდასთან კავშირში. აბუ ქაბადას განცხადებით, მისი დეპორტაცია გამოიწვევდა სამართლიანი სასამართლოს განხილვაზე უარს. ის <[https://hudoc.echr.coe.int/fre#{"itemid": "003-3808707-4365533"}](https://hudoc.echr.coe.int/fre#{)>25.02.2018

⁴⁵⁰ Othman (Abu Qatada) v. The United Kingdom, §287, no. 8139/09, 09 May 2012

⁴⁵¹ სასამართლო იმურებს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა თუ მაღალი ხელშემქვრელი მხარის ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუშოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს. ის საქმე №1272780-16, 9 მარტი 2016 წელი, ქ. თბილისი

10. სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართლის ტრადიციის
მიხედვით, ფულადი გალდებულების შესრულებასთან
დაკავშირებით სარჩელის უზრუნველყოფის ყველაზე
გავრცელებული სახეებია აქტივების დაყადაღება, ან მოძრავი
ქონების ჩამორთმევა. თუმცა ძირითადად ყველა სამოქალაქო
საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს, ისეთი
უზრუნველყოფის დონისძიებების გამოყენებას, რომელიც
არსებული მდგომარეობის⁴⁵² შენარჩუნებას ემსახურება.⁴⁵³

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასარჩელო წარმოება
არ არის სამოქალაქო ბრუნვის დამაბრკოლებელი ან
შემზღვეველი ფაქტორი. სარჩელის სასამართლო წარმოებაში
მიღების შემდეგაც მხარეებს არ ერთმევათ უფლება გაყიდონ ან
სხვა გზით გაასხვისონ დავის საგანი,⁴⁵⁴ ანდა დათმონ თავიანთი
მოთხოვნა. ამასთან, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში,
სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების კონსტიტუციური
პრინციპის რეალიზების მიზნით, კანონმდებელი უშვებს საერთო
წესიდან გადახვევის შესაძლებლობას და ადგენს სარჩელის
უზრუნველყოფის სახით დროებითი დონისძიების გამოყენების
წესს⁴⁵⁵ გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობის
კონკრეტულ მექანიზმს, რომლის გამოყენება პოტენციურად
აღსრულებადს ხდის გადაწყვეტილებას და მოწინააღმდეგა
მხარის არაკეთილსიდისიერი ქმედებებით განპირობებული
დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. უზრუნველყოფის
აღნიშნული ბერკეტების გამოყენებით მოსარჩელე დაცულია
გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მის აღსრულებაზე მოქმედი
ობიექტური რისკფაქტორებისაგან.⁴⁵⁶

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არ
არის მითითება იმის თაობაზე თუ კონკრეტულად რომელი
დონისძიება და რომელ სასარჩელო მოთხოვნასთან
დაკავშირებით შეიძლება იქნეს გამოყენებული. როდესაც
სასამართლო წყვეტს საკითხს, არსებობს თუ არა სარჩელის
უზრუნველყოფის დონისძიებათა გამოყენების საფუძველი და თუ
არსებობს, რომელი დონისძიება უნდა იქნეს შერჩეული
აუცილებლად მოცემულ შემთხვევაში, ყოველთვის
ითვალისწინებს საქმის კონკრეტულ გარემოებებს. მაგალითად:
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის II ნაწილის
„ე” ქვეპუნქტის დანაწესიდან გამომდინარე სარჩელის

⁴⁵² *status quo*

⁴⁵³ Miles, C. (2017) Provisional Measures before International Courts and Tribunals (Cambridge Studies in International and Comparative Law). Cambridge: Cambridge University Press., 25

⁴⁵⁴ არამარტო დავის საგანი, არამედ მათ საცუთრებაში რიცხული ან/და
მფლობელობაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონება.

⁴⁵⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი.

⁴⁵⁶ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015
წლის 26 მარტის განჩინება, საქმე №2/761-2015, §2.6.

უზრუნველყოფის დონისძიება შეიძლება იყოს ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელის ადგრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება. ამდენად დასახლებული უზრუნველყოფის დონისძიება განხილულ უნდა იქნეს, როგორც საგამონაკლისო იმ კატეგორიის სარჩელთა უზრუნველყოფისათვის, რომლებიც გამომდინარეობენ გარკვეული სახის დავებიდან.⁴⁵⁷

სამოქალაქო ურთიერთობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, არაგონივრულია, კანონმდებელს მოვთხოვოთ, წინასწარ მოახდინოს უზრუნველყოფის თითოეული შემთხვევის იდენტიფიცირება, მათი დეტალური გაწერა. საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა გააჩნდეს გარკვეული თავისუფლება, რათა თავად განსაზღვროს, რა დონისძიება შეიძლება გახდეს საჭირო ამა თუ იმ სამოქალაქო საქმეზე. უზრუნველყოფის დონისძიებების წინასწარ ამომწურავად განსაზღვრა წაართმევდა მოსამართლეს შესაძლებლობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაეწყვიტა უზრუნველყოფის აუცილებლობა და შესაძლოა წარმოიშვას სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საფრთხე. ვინაიდან, მოსამართლეს არ ექნებოდა შესაძლებლობა, გამოეყენებინა სარჩელის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ესა თუ ის დონისძიება.⁴⁵⁸

უზრუნველყოფის დონისძიებებს სასამართლო იყენებს ჯერ კიდევ საქმის არსებითად განხილვამდე. ამიტომ ყოველთვის არსებობს მოპასუხისათვის ზარალის მიუენების რისკი იმის გამო, რომ თვითონ სარჩელი (განცხადება) და უზრუნველყოფის დონისძიებები შეიძლება დაუსაბუთებელი აღნოჩნდეს. ეს გარემოება უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ და იგი ვალდებულია აღძრული მოთხოვნების თანაზომიერი უზრუნველყოფის დონისძიებები გამოიყენოს, მით უმეტეს, რომ სასამართლომ უზრუნველყოფის დონისძიებათა შეჩვისას არ არის შებოჭიდი განმცხადებლის ინიციატივით, ⁴⁵⁹ რადგან სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების არჩევა დამოკიდებულია არა მხოლოდ მხარეზე, რომლის როლი აღნიშნულ პროცესში შემოიფარგლება დისპოზიციურობის დაცვით სასამართლოსათვის იმ სახის დონისძიების გამოყენებაზე მითითებით, რომლითაც თავად სურს სარჩელის უზრუნველყოფა, არამედ საბოლოოდ გადამწყვეტია სასამართლოს შეფასება, მისი არჩევანი, თუ რომელი დონისძიებითაა შესაძლებელი სასურველი შედეგის მიღწევა – სამომავლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გარანტირება. სასამართლოს ამგვარი უპირატესობა

⁴⁵⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განხინება, საქმე №2ბ/2567-09

⁴⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2” და „შპს ტელეკომპანია საქართველო” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-55

⁴⁵⁹ ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, 2006, 530.

განპირობებულია იმით, რომ უზრუნველყოფის დონისძიებით არ დაირღვეს სამართლიანი ბალანსი მხარეთა ინტერესების დაცვას, ასევე, დასაცავ სიკეთესა და უზრუნველყოფის შედეგად მხარის უფლების შეზღუდვას შორის.⁴⁶⁰

დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად სრულიად შესაძლებელია, რომ სარჩელის საგანი და სარჩელის უზრუნველყოფის საგანი ერთმანეთს ემთხვეოდეს. მაგ.: პირი სარჩელით ითხოვს აეკრძალოს პირს გარკვეული პროდუქციის გამოშვება, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფით კი ითხოვს იმავეს, ოღონდ სარჩელის განხილვის დასრულებამდე ან პირის სარჩელით ითხოვს აუცილებელი გზით სარგებლობის ხელშეშლის აკრძალვას, უზრუნველყოფით კი ითხოვს იმავეს სარჩელის განხილვის დასრულებამდე. ასეთი მოცემულობის შემთხვევაში ფაქტობრივად ვიღებთ შედეგს, როცა სარჩელი დროებით, მაგრამ კმაყოფილდება, უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებით. სარჩელის უზრუნველყოფის საგანი და სარჩელის საგანი სავსებით შესაძლებელია ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე, ვინაიდან, მათ აბსოლუტურად სხვადასხვა სამართლებრივი წინაპირობები გააჩნიათ, რასაც მხარე სარჩელის უზრუნველყოფით ითხოვს, იმას ვერ მოითხოვს სარჩელით, ვინაიდან, ერთი ემსახურება მეორის განხორციელებას. სარჩელის უზრუნველყოფა დროებითი ხასიათის დონისძიებაა, რომელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალწარმოების წესით დადგენილი უფლების რეალიზებას უწყობს ხელს, იგი სასარჩელო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას ისახავს მიზნად. თუ სასამართლო მიიჩნევს რომ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადაც უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დასკირებით სასამართლო იყენებს უზრუნველყოფის დონისძიებას, იმ შემთხვევაშიც კი თუ უზრუნველყოფის საგანი და სარჩელის საგანი ემთხვევა ერთმანეთს და ეს არ ნიშნავს გადაწყვეტილების წინასწარ გამოტანას.

სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების საფუძველს და ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს დავის საგნის დაცვის საჭიროება, თუმცა აღნიშნული წინაპირობა არ არის საკმარისი სარჩელის უზრუნველყოფის განხორციელებისათვის. მნიშვნელოვანია ასევე, თავად განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის დონისძიების მიმართება დავის საგნის დაცვის ადეკვატურობისა და მხარეთა, ასევე, მესამე პირთა ინტერესების ბალანსირებისა და თანაბარზომიერების პრინციპის დაცულობისაკენ. ყოველ

⁴⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-958-923-2016, §40.

კონკრეტულ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფა და შესაბამისად, დავის საგნის დაცვა უნდა განხოციელდეს ადეკვატური ღონისძიების გამოყენებით, რომელითაც არ განხორციელდება მხარეთა, ასევე, მესამე პირთა ინტერესების თანაბარზომიერების პრინციპის დარღვევა.⁴⁶¹

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას სასამართლო დისკრეცია ვერ იქნება უსაზღვრო. სასამართლო შებოჭილია, ერთი მხრივ, კონსტიტუციური უფლებებითა და პრინციპებით, ხოლო მეორე მხრივ, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესუალური ნორმებით. სამოქალაქო ურთიერთობების მრავალფეროვნების მიუხედავად, კანონმდებლმა მკაფიოდ და ამომწურავად განსაზღვრა საფუძვლები და კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოსაყენებლად. ეს აუცილებელია იმისთვის, რათა შეცდომისა თუ თვითნებობის შედეგად არ მოხდეს საკუთრების უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა. სამოქალაქო ურთიერთობების მრავალფეროვნება არ ათავისუფლებს კანონმდებლს ვალდებულებისაგან, აღჭურვოს დავის განმხილველი სასამართლო შეძლებისდაგვარად მკაფიოდ გაწერილი სამართლებრივი ნორმებითა და განჭვრეტადი კრიტერიუმებით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს სწორად შეარჩიოს, ხოლო მხარემ შუამდგომლობის საფუძველზე მოითხოვოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.⁴⁶²

10.1. ყადაღა როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და სასამართლოს პრაქტიკაში არსებული პრობლემატიკა

„საადსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 40-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63¹-ე მუხლების თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს მოვალის ქონების აღწერას, მესაკუთრისათვის ქონების განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირაცების, (უძრავ ნივთებთან მიმართებით იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის), მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების, თხოვების აქრძალვის გამოცხადებას ან/და ქონების შესანახად გადაცემას.⁴⁶³

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არჩევისას მნიშვნელოვანია დავის საგნის თავისებულებებათა განსაზღვრა. ფულადი ვალდებულებების შესრულების შესახებ სარჩელებზე

⁴⁶¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება, საქმე №2ბ/2567-09.

⁴⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-56

⁴⁶³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინება, საქმე №2ბ/5599-14.

მეტად ეფექტურია უზრუნველყოფის სახით ქონებაზე ყადაღის დადების ან მისი გასხვისების სხვაგვარი აკრძალვის გამოყენება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მატერიალური სიკეთის განკარგვა და ამ გზით ვალდებულებების შესრულებისაგან თავის არიდება.⁴⁶⁴

ქონებაზე ყადაღის დადების მიზანია, რომ სარჩელის განხილვის პერიოდში არ გასხვისდეს (არ განიკარგოს მოვალის მიერ) და არ დაზიანდეს დავის საგანი, რაც არ ნიშნავს, რომ მოპასუხეს ეკრძალება ქონებით სარგებლობა.⁴⁶⁵ სსსკ – ის 191 მუხლის მეორე ნაწილის „ა” ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდსა და ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან. მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, ყადაღის საგანი შეიძლება იყოს ქონება, ფასიანი ქაღალდი და ფულადი სახსრები. სასამართლომ რომ ეს უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენოს საჭიროა ყადაღის საგანი აუცილებლად მოპასუხის საქუთრებას წარმოადგენდეს, თუმცა მნიშვნელოვანი არ არის ვის მფლობელობაში იმყოფება ესა თუ ის ფულადი საშუალება. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, განმცხადებელი (მოსარჩელე) ვალდებულია ამტკიცოს, რომ დასაყადაღებელი ქონება მე-2 მხარის საკუთრებაა, ვინაიდან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდენელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალება. იგი წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიას და ემსახურება ამ უკანასკნელთა დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას, ანუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი იცავს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს მოპასუხის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში.⁴⁶⁶

სსსკ-ს 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლო საკითხის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით წყვეტს იმის მიხედვით, თუ როგორია სასარჩელო მოთხოვნის ხასიათი და შინაარსი. ვინაიდან, შეუზღუდავია მესაკუთრის ნება, განხაორციელოს საკუთარი ქონების მიმართ სამართლებრივი შედეგის მქონე მოქმედებები, მაგალითად, გაყიდვა, გაჩუქრება და სხვა, შესაბამისად, უძრავი ქონება შესაძლებელია აღმოჩნდეს მესამე პირთა, შესაძლო კეთილსინდისიერ პირთა მფლობელობაში.⁴⁶⁷ ასეთ შემთხვევაში თუკი გადაწყვეტილების

⁴⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-958-923-2016, §42

⁴⁶⁵ ქურდაბე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, 2006, 538.

⁴⁶⁶ ობილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინება, საქმე №2ბ/5599-14.

⁴⁶⁷ საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად მართლზომიერი მფლობელი არის დაინტერესებული

კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის არ იარსებებს ქონება, რომზედაც შესაძლოა მიქცეული იქნეს იძულებითი აღსრულება, გადაწყვეტილება იქცევა აღუსრულებელ გადაწყვეტილებას, ხოლო სარჩელის მიზანი მიღწეული ვერ იქნება.⁴⁶⁸

სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოს სასამართლო წესით სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის დონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის. სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების, როგორც საპროცესოსამართლებრივი ინსტიტუტის მთავარი პრინციპი – აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება. დავის საგანს წარმოადგენდა მოპასუხისათვის ი/მ ვ.მ-სთვის 161,56 ლარის ოდენობით პირგასამტებლოს დაკისრება. აღნიშვნული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მოსარჩელემ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მოპასუხის კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებასა და სს „პ. . ბ-ში” მის სახელზე არსებული საბანკო ანგარიშების დაყადაღებას ითხოვდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, უზრუნველყოფის დონისძიების შესაზღუდი უფლება არ არის სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნის ღირებულების გათვალისწინებით, არ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი გადაწყვეტილების აღუსრულებლობის ან მისი აღსრულების გაძნელების თაობაზე. ამგვარი ეჭვის არარსებობა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მიზანშეწონილობას იმთავითვე გამორიცხავს.⁴⁶⁹

10.1.1 დაყადაღებული ქონების გამიჯვნა და მასთან დაკავშირებული პროცედურები

უზრუნველყოფის დონისძიებების გამოყენების ფარგლები შეზღუდულია დონისძიებით, რაც დაკავშირებულია დავის

პირი, რომლის სარეგისტრაციო დოკუმენტი, რომელიც წარმოშობს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას, გამოცემული, მიღებული ან შედგენილი იქნე სარეგისტრაციო ობიექტზე ყადაღის, განკარგვის აკრძალვის წარმოშობის რეგისტრაციამდე, ამასთანავე, სარეგისტრაციო დოკუმენტი გამოცემული, მიღებული ან შედგენილი იქნა ამ კანონის ამოქმედებამდე, ან ყადაღის, განკარგვის აკრძალვის მიუხედავად სარეგისტრაციო დოკუმენტის გამოცემა, მიღება ან შედგენა უშუალოდ არის განსაზღვრული საქართველოს კანონმდებლობით, ასევე პირი, რომელიც არის ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის საგნის მესაკუთრის უფლებამოწაცელქ.

⁴⁶⁸ ობილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 9 მარტის განჩინება, საქმე №1272780-16.

⁴⁶⁹ ობილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 მაისის განჩინება, საქმე №28/2074-15.

საგანთან. შეზღუდვა უნდა იყოს ფართოდ ინტერპრეტირებული ანუ შეზღუდვა უნდა უკავშირდებოდეს დავის საგანს.⁴⁷⁰

მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა 2016 წლის 24 ივნისს და სსკ-ს დაქმატა 196¹-ე მუხლი, რომელიც იძლევა სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლას და დაყადაღებული ქონების გამიჯვნის შესაძლებლობას, რაც უმსუბუქებს მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით გამოწვეული ზიანის რისკს. აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე მოპასუხეს შეეძლო მოეთხოვა უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლა,⁴⁷¹ რაც წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას, რომელიც განპირობებული უნდა იყოს მნიშვნელოვად შეცვლილი გარემოებებით და მიზანშეწონილობით.⁴⁷² ხოლო, ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას⁴⁷³ მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად, მოპასუხე უფლებამოსილი იყო მოეხდინა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის შეტანა სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე.⁴⁷⁴ მოპასუხეს არ შეეძლო მოეთხოვა უზრუნველყოფის საგნის შეცვლა.

მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობების მრავალფეროვნება განაპირობებს საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობას. უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად მოპასუხის დაყადაღებული ქონების ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მოსარჩელის მოთხოვნის ღირებულებას⁴⁷⁵ და არსებითად არ უნდა აღემატებოდეს სარჩელის ფასს.⁴⁷⁶ აღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხის სახელზე მხოლოდ ერთი ქონება ირიცხება. ამ შემთხვევაში, მოპასუხე უფლებამოსილია, მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოს წარუდგინოს, სარჩელის ფასის ტოლფასი სხვა ქონება⁴⁷⁷ ან მიმართოს სასამართლოს განცხადებით

⁴⁷⁰ ცატუროვა ნ., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, I საეციალური გამოშვება, 2012, 31, <http://nccl.ge/m/u/ck/files/Commercial_Law_Review2012.pdf> 20.02.2018

⁴⁷¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁴⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-1165-1095-2015.

⁴⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 იანვრის განჩინება, საქმე №ას-908-874-2016.

⁴⁷⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁴⁷⁵ განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/123193>> 24.02.2018

⁴⁷⁶ ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოდექსის 2016 წლის 16 օგვისტოს განჩინება, საქმე №030210016001225833.

⁴⁷⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196¹ - მუხლის პირველი ნაწილი.

დაყადაღებული ან სხვაგვარადუზრუნველყოფის სახით
გამოსაყენებელი ქონების გამიჯვნაზე თანხმობის გაცემის
შესახებ.⁴⁷⁸

სსსკ-ში 196¹-ე მუხლის დამატებამდე, ხშირი იყო
შემთხვევები, როდესაც სასამართლო აყადაღებდა სასარჩელო
მოთხოვნის ღირებულებაზე მეტ ქონებას. ფულადი მოთხოვნის
არსებობის პირობებში, ქონების ღირებულება ფულად
მოთხოვნას უნდა აღემატებოდეს, რადგან სწორედაც, რომ
აუქციონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ქონება აუქციონზე
დაბალ ფასად რეალიზდება, კერძოდ კი, განახევრებულ,
გამეოთხედებულ და ნულოვანი შეთავაზების პირობებში
გადის.⁴⁷⁹ ასეთი პრაქტიკის არსებობა ცალსახად ხელყოფს
მოპასუხის ინტერესებს.

სსსკ-ს 196¹ მუხლის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია
განიმარტოს განსხვავება სარჩელის ფასსა და სასარჩელო
მოთხოვნას შორის. ვინაიდან, დასახელებული მუხლის 1-ლი
ნაწილის თანახმად, დაყადაღებული ქონების ღირებულება
არსებითად არ უნდა აღემატებოდეს სარჩელის ფასს.
ლიტერატურაში და სასამართლოს პრაქტიკაში⁴⁸⁰ ვხვდებით
სხვაგვარ ინტერპრეტაციას, კერძოდ, გამოყენებული სარჩელის
უზრუნველყოფის ფარგლები უნდა უკავშირდებოდეს დავის
საგანს. სარჩელის ფასი არის იგივე დავის საგნის ფასი და
წარმოადგენს იმ თანხას, რომლის მიხედვითაც ხორციელდება
სახელმწიფო ბაჟის გადახდა. სარჩელის ფასსა და სასარჩელო
მოთხოვნას შორის არსებითი სხვაობაა მაგ., ვადიანი გასაცემის
ან გადასახდელის შესახებ სარჩელის არსებობის დროს,
როდესაც სარჩელის ფასი გამოითვლება არა უმეტეს სამი წლის
განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების
ერთობლიობით.⁴⁸¹

10.1.2 ყადაღის დადება იურიდიული პირის ანგარიშებზე და მასთან დაკავშირებული სპეციფიკა

სასამართლოს ვალდებულებაა არა მხოლოდ სწორად და
ობიექტურად გადაწყვიტოს დავა მხარეებს შორის, არამედ

⁴⁷⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196¹ - მუხლის მეორე ნაწილი.

⁴⁷⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 იანვრის განჩინება, საქმე №2ბ/4752-15.

⁴⁸⁰ ცატუროვა ნ., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები
საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის
მიმოხილვა, I სპეციალური გამოშვება, 2012, 31,

<http://nccl.ge/m/u/ck/files/Commercial_Law_Review2012.pdf>20.02.2018 შეადრ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 იანვრის განჩინება, საქმე №2ბ/4752-15.

⁴⁸¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ”
ქვეუნდები.

უზრუნველყოს სამომავლო **გადაწყვეტილების**
აღუსრულებლობისაგან დაცვა.⁴⁸²

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება-
არგამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ამოწმებს
რამდენად შეუწყობს ხელს უზრუნველყოფის ღონისძიება
მოსარჩელისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების დაცვას
შესაძლო დაბრკოლებისაგან აღსრულების ეტაპზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის ქონების მიმართ
ხორციელდება უზრუნველყოფის ღონისძიება, ასეთ ვითარებაში,
ქონების დირექტულება ტოლი ან მეტი შეიძლება იყოს
სასარჩელო მოთხოვნის მოცულობისა, ხოლო იმ შემთხვევაში,
როდესაც უზრუნველყოფის ღონისძიება საბანკო ანგარიშებზე
ყადაღას ეხება, ასეთ ვითარებაში ანგარიშების დაყადაღებამ
სასარჩელო მოთხოვნის სრული მოცულობით კომპანიის
პარალიზება შეიძლება გამოიწვიოს, ვინაიდან, მას საბანკო
ანგარიშების სრულად დაყადაღებით თავისუფალი ოპერირება
ერთმევა.⁴⁸³

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იყოს
გონივრული, ემსახურებოდეს სამართლებრივი ურთიერთობიდან
გამომდინარე, როგორც პირველადი, ასევე, მეორადი
მოთხოვნების შესრულებისათვის გარანტიების შექმნას. მეწარმე
სუბიექტისა თუ ამხანაგობის ანგარიშებზე ყადაღის დადებით,
შეიძლება ხელი შეეშალოს მოვალის, როგორც მეწარმე
სუბიექტისა, თუ ამხანაგობის გადახდისუნარიანობასა და მის
ფინანსურ შესაძლებლობას, შეასრულოს სასამართლოს
კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული
ვალდებულებები. ამდენად, იურიდიული პირის პირად
ანგარიშებზე ყადაღის დადებით კრედიტორი შეიძლება
აღმოჩნდეს ისეთ სამართლებრივ ვითარებაში, როდესაც
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების
საფუძველზე მეწარმე სუბიექტისა, თუ ამხანაგობის სამეწარმეო
საქმიანობის შეფერხების შედეგად მოვალემ ვერც
ნებაყოფლობით და ვედარც „სააღსრულებო წარმოებათა
შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული
მექანიზმების გამოყენებით ვედარ შეძლოს კრედიტორის წინაშე
ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. თუმცა აღნიშული არ
ნიშნავს იმას, რომ სხვა საპროცესო უზრუნველყოფის
გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში ანგარიშზე ყადაღის
დადება დაუშვებელია. მოსარჩელისა და მოპასუხის უფლებების
თანაბარზომიერად დაცვის მიზნით, მოსარჩელემ ყველა ზომა
უნდა მიიღოს მოპასუხის ქონების მოსაძიებლად, ხოლო იმ
შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ მოპასუხეს ქონება არ გააჩნია,
სწორედ ასეთ ვითარებაში შეიძლება დადგეს მეწარმე
სუბიექტის ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღის სახით,
უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა,

⁴⁸² ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016
წლის 6 იანვრის განჩინება, საქმე 3-01/2016.

⁴⁸³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016
წლის 20 აპრილის განჩინება, საქმე №2ბ/6144-15.

თუმცა, რაღა თქმა უნდა, უზურნველყოფის მოთხოვნის ოდენობის გათვალისწინებით და არა ანგარიშზე არსებულ მთლიან თანხაზე.⁴⁸⁴

მრავალკრედიტორიანი სუბიექტების, უმეტესად იურიდიული პირების, ქონებისა და პირადი ანგარიშების დაყადაღებისას, მხედველობაშია მისაღები ამ უკანასკნელთა საქმიანობა, უძრავი ქონების, როგორც შემოსავლის ერთ-ერთი წყაროს უფლებრივი შეზღუდვის ფაქტობრივი შედეგები და სხვა კრედიტორების ინტერესები.⁴⁸⁵

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირები წარმოადგენენ მეწარმე სუბიექტებს, რომლებიც ეწევიან სხვადასხვა სახის სამეწარმეო საქმიანობას, გააჩნიათ გარკვეული უფლება-მოვალეობანი. ანგარიშსწორებას ისინი ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორებით (საბანკო გადარიცხვებით). ფულად სახსრებზე ყადაღის დადებით მათ ეკრძალებათ ამ სახსრების გამოყენება და ნებისმიერი ფორმით განკარგვა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას და დაბრკოლოს სამეწარმეო საქმიანობა.⁴⁸⁶

თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზნით, ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღის დადებით მას ზიანი აღგება და აღნიშნული ზიანი მტკიცებულებებით დასტურდება, ასეთ ვითარებაში, სსკ შესაბამის საპროცესოსამართლებრივ ბერკეტებს ითვალისწინებს, მათ შორისაა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა, უზრუნველყოფის საგნის ჩანაცვლება და აშ. ამდენად, თუ მოპასუხე მიიჩნევს, რომ აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებლად ხელყოფს მის უფლებას, იგი უფლებამოსილია ნაცვლად გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებისა, შესთავაზოს სასამართლოს უზრუნველყოფის სხვა საშუალება და მოითხოვოს ფულად სახსრებზე ყადაღის სახით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა სხვა, მისთვის უფრო მისაღები უზრუნველყოფის ღონისძიებით, რომელიც ერთი მხრივ, მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, ხოლო მეორე მხრივ, მოსარჩელეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების რეალურ ბერკეტს შეუქმნის, მაგალითისათვის, უფლებრივად დაუტვირთავი ქონების შეთავაზება, თანხის დეპოზიტზე განთავსება და აშ.⁴⁸⁷ შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა გადაწყვდეს ინდივიდუალურად – ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივი და სამართლებრივ საფუძველთა

⁴⁸⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განჩინება, საქმე №2ბ/906-15.

⁴⁸⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინება, საქმე №2ბ/5224-14.

⁴⁸⁶ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ოქტომბრის განჩინება, საქმე №2/ბ-985

⁴⁸⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განჩინება, საქმე №2ბ/906-15

შეჯერების შედაგად, იქნეს თუ არა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიება.⁴⁸⁸

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოს სასამართლო წესით სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტის მთავარი პრინციპი – აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება.⁴⁸⁹

ქვეყანაში სააქციო საზოგადოებების მომეტებული არსებობა საშუალო სოციალური ფენის სიძლიერის განმსაზღვრელიცა. რაც უფრო მეტი კაპიტალი აქვს სააქციო საზოგადოებას (იგი კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში, როგორც წესი, ყველაზე უფრო დიდი ქონების მქონე წარმონაქმნია) და რაც უფრო მდგრადია მისი ქონება (საზოგადოების კაპიტალი), მით უფრო მეტი ადამიანია მასში დასაქმებული, რაც, თავისთავად, ეკონომიკური მდგრადირეობის თვალსაზრისით, დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.⁴⁹⁰

საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება უნდა განხორციელდეს გამონაკლის და უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც იურიდიულ პირს არ გააჩნია უძრავ-მოძრავი ქონება და აშკარაა, რომ აღნიშნულის გარეშე შეუძლებელია გადაწყვეტილების აღსრულება. ამასთან, მხოლოდ მოთხოვნის ფარგლებში და იმ ოდენობით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებამ არ მიაყენოს გამოუსწორებელი ზიანი მოპასუხის ან სხვა პირთა უფლებებს.⁴⁹¹

10.1.3 საბანკო და სადაზღვევო დაწესებულებების მიმართ ყადაღის გამოყენების დაუშვებლობა

სადაზღვევო კომპანიებისა და საბანკო დაწესებულების მიმართ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება პრობლემურ საკითხად რჩება. სადაზღვევო კომპანიები და საბანკო დაწესებულებები სააქციო საზოგადოების ფორმით ყალიბდებიან. სს ისეთი იურიდიული პირია, სადაც კაპიტალით მონაწილეობა მის, როგორც იურიდიულ „კონსტრუქციის

⁴⁸⁸ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ოქტომბრის განჩინება, საქმე №2/ბ-985

⁴⁸⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 მაისის განჩინება, საქმე №2ბ/2074-15

⁴⁹⁰ ბურდული ი., ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროცესში) ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე, თბილისის უნივერსიტეტის გამოშვერებულობა, თბ. 2008, 16

⁴⁹¹ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 მარტის განჩინება, საქმე №2/ბ-123;

ელემენტად” განიხილება, ხოლო მისი, როგორც სამართლებრივი ფორმის არსებობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა.⁴⁹²

ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციებია საფინანსო სექტორის ზედამხედველობის განხორციელება. ⁴⁹³ ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას წარმოადგენს ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საქმიანობას. ზედამხედველობა ითვალისწინებს ლიცენზიების გაცემასა და გაუქმებას, შემოწმებასა და რეგულირებას, წერილობითი მითითებების გაცემას, დამატებითი მოთხოვნების, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას; ⁴⁹⁴ ზედამხედველობა გაუწიოს და შეამოწმოს კომერციული ბანკი და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, შეამოწმოს მათი შვილობილი საწარმოები, განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებისა და სხვა მასალების აუდიტი და თავის მიერ განსაზღვრული ფორმით მიიღოს მათგან ნებისმიერი ინფორმაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში. შემოწმების შედეგად დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში მასალები შესაბამის ორგანოებს გადაეცემა; ⁴⁹⁵ კომერციულ ბანკსა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებას გაუზარდოს სავალდებულო რეზერვების ნორმები, შეუწყვიტოს აქტიური ოპერაციები, აუკრძალოს მოგების განაწილება, დივიდენდების დარიცხვა და გაცემა, შრომის ანაზღაურების გაზრდა, პრემიებისა და სხვა, მსგავსი ანაზღაურების გაცემა, მოსთხოვოს დამატებითი კაპიტალის მოზიდვა, გაუზარდოს აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ნორმები;⁴⁹⁶ კომერციული ბანკისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებისათვის ნორმატიული აქტით დაადგინოს შესაბამისი ლიცენზიის გაცემისა და გაუქმების წესები, განსაზღვროს ფულადი ჯარიმის ოდენობა და დაკისრების წესი. ფულადი ჯარიმის თანხა მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში; ⁴⁹⁷ დროებითი აღმინისტრატორის ან ლიკვიდატორის მეშვეობით ხელი შეუწყოს გადახდისუფარო კომერციული ბანკის აქტივებისა და

⁴⁹² ბუღდული ი., შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი: უტოპიური შესედულება სს-იდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ, სამართლის უურნალი № 1-2, 2010, 52.

⁴⁹³ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

⁴⁹⁴ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის 1 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

⁴⁹⁵ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის 1 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁴⁹⁶ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის 1 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

⁴⁹⁷ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის 1 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი.

ვალდებულებების ან მათი ნაწილის თავის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით გადაცემას.⁴⁹⁸

ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს პერიოდულად განუსაზღვრავს რეზერვების, ⁴⁹⁹ განალდებული საწესდებო კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ ოდენობებს და მათი შექმნის წესებს. კომერციულ ბანკს ეკრძალება საწესდებო კაპიტალის არაფულადი ფორმით შევსება/ფორმირება. ⁵⁰⁰ კომერციულ ბანკს არა აქვს უფლება, შეამციროს თავისი საწესდებო კაპიტალი ⁵⁰¹ აქციების გამოსყიდვით ან შეამციროს საზედამხედველო კაპიტალი ⁵⁰² რეზერვების გამოყენებით ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე და საწესდებო კაპიტალის

⁴⁹⁸ „საქართველოს ეროვნული ბანკის” შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის 1 ნაწილის „ი” ქვეუნქტი

⁴⁹⁹ რეზერვების სახეობების შექმნისა და გამოყენების წესი დადგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებით „კომერციული ბანკების აქტივების კლასიფიკირებისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ”. ამ ბრძანების შესაბამისად განმარტებულია:

„დარეზერვება“ – ამ წესიდან გამომდინარე, საერთო ან სპეციალური რეზერვების შექმნა კომერციული ბანკის მიერ კლასიფიკირებულ აქტივებთან დაკავშირებული მოსალოდნებლი დანაკარგების დაფარვის მიზნით.

„აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი“ – კომერციული ბანკის აქტივებისათვის შექმნილი რეზერვის ანგარიში, რომელიც წარმოადგენს სასესხო და არასასესხო აქტივების და პირობითი ვალდებულებების შესაძლო დანაკარგების დასაფარავად გათვალისწინებულ თანხას. ეს რეზერვი მოიცავს როგორც სპეციალურ, ისე საერთო რეზერვებს.

„სპეციალური რეზერვი“ – რეზერვი, რომელიც შექმნილია რაიმე სპეციალური აქტივის შესაძლო დანაკარგების დასაფარავად, კომერციული ბანკის ბალანსზე აქტივში ნაჩვენები ლირებულების შემცირების მიზნით. ეს რეზერვი პირდაპირ არის მიბმული ან შეესაბამება კონკრეტულ, განსაზღვრულ აქტივს.

„საერთო რეზერვი“ – რეზერვი, რომელიც შექმნილია აქტივების შესაძლო დანაკარგების დასაფარავად, მათ დაუკონკრეტებლად.

⁵⁰⁰ „კომერციული ბანკების საქმიანობის” შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი

⁵⁰¹ „კომერციული ბანკების საქმიანობის” შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის ყ) ქვეუნქტის თანახმად - განცხადებული საწესდებო კაპიტალი – საზოგადოების აქციონერთა მიერ დათქმული და წესდებით გათვალისწინებული საწესდებო კაპიტალი;

ყ) განალდებული საწესდებო კაპიტალი – განცხადებული საწესდებო კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი;

⁵⁰² „კომერციული ბანკების საქმიანობის” შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ქ” ქვეუნქტის თანახმად - საზედამხედველო კაპიტალი – კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნებლი თუ მოულოდნებლი ფინანსური დანაკარგების/ზარალის განეიტრალებისათვის და სხვადასხვა სახის რისკისაგან დასაცავად;

ღ) სააქციო კაპიტალი – კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა ბანკის მოლიან აქტივებსა და მოლიან ვალდებულებებს შორის;

ყ) განცხადებული საწესდებო კაპიტალი – საზოგადოების აქციონერთა მიერ დათქმული და წესდებით გათვალისწინებული საწესდებო კაპიტალი;

შ) განალდებული საწესდებო კაპიტალი – განცხადებული საწესდებო კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი;

ცვლილების შესახებ წესდებაში სათანადო შესწორების შეუტანლად.⁵⁰³

საბანკო დაწესებულება ვალდებულია ლიცენზიის მიღების დღიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე მუდმივად გააჩნდეს დადგენილი საწესდებო კაპიტალისა და რეზერვის ოდენობა. იგივე ვალდებულება ვრცელდება სადაზღვევო კომპანიის მიმართ. მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის საფუძველია მისი კაპიტალის, სადაზღვევო რეზერვებისა და გადაზღვევის სისტემის არსებობა.⁵⁰⁴ მზღვეველი ვალდებულია დაიცვას: სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობა და გაანგარიშებული გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობა; სადაზღვევო რეზერვების ოდენობა სახეობათა მიხედვით; სადაზღვევო რეზერვების დასაფარავად დასაშვები აქტივების ზღვრული თანაფარდობა სადაზღვევო რეზერვებთან; კაპიტალსა და ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა; საზედამხედველო კაპიტალის ოდენობასა და გაანგარიშებული გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობას შორის თანაფარდობა.⁵⁰⁵ მზღვეველი თავისი გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ვალდებულია დაიცვას ამ კანონით განსაზღვრული ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები, რომელთა თანაფარდობის მეთოდიკასა და ნორმატიულ მოცულობას აღგენს სამსახური.⁵⁰⁶

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილია⁵⁰⁷ საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობა, რომლის შევსება უნდა განახორციელოს სადაზღვევო კომპანიამ ლიცენზიის მინიჭებისას და შეინარჩუნოს სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე. ბრძანების შესაბამისად სადაზღვევო კომპანია უფლებამოსილია მიიღოს სიცოცხლის, დაზღვევის (გარდა სიცოცხლისა) და გადაზღვევის ლიცენზია. ლიცენზიის მიღებისთვის მას უნდა გააჩნდეს საწესდებო კაპიტალი შემდეგი ოდენობით:

- სიცოცხლის დაზღვევისათვის: 2 200 000 ლარს – 2018 წლის 31 დეკემბრამდე; 4 200 000 არს – 2018 წლის 31 დეკემბრიდან; 7 200 000 ლარს – 2020 წლის 31 დეკემბრიდან;
- დაზღვევა (არა სიცოცხლისათვის) – გარდა სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევისა, ვალდებულებათა

⁵⁰³ „კომერციული ბანკების საქმიანობის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი.

⁵⁰⁴ „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილი

⁵⁰⁵ „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი ნაწილი

⁵⁰⁶ „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილი

⁵⁰⁷ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 25 დეკემბრის №27 ბრძანება „ საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“

- შესრულების დაზღვევის და საკრედიტო გალდებულებების დაზღვევისა: 2 000 000 ლარს – 2018 წლის 31 დეკემბრამდე; 3 400 000 ლარს – 2018 წლის 31 დეკემბრიდან; 4 800 000 ლარს – 2020 წლის 31 დეკემბრიდან;
- გ) დაზღვევა (არა სიცოცხლისთვის) – სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევისა, გალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო გალდებულებების დაზღვევის ჩათვლით: 2 000 000 ლარს – 2018 წლის 31 დეკემბრამდე; 4 200 000 ლარის – 2018 წლის 31 დეკემბრიდან; 7 200 000 ლარს – 2020 წლის 31 დეკემბრიდან;
- დ) გადაზღვევისთვის: 2 200 000 ლარს – 2018 წლის 31 დეკემბრამდე; 4 200 000 ლარს – 2018 წლის 31 დეკემბრიდან; 7 200 000 ლარი – 2020 წლის 31 დეკემბრიდან.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ასევე დადგენილია⁵⁰⁸ სადაზღვევო რეზერვების სახეობები და მათი შექმნის წესი. სადაზღვევო რეზერვების შექმნის მიზანია მზღვეველისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის (შემდგომში – საპენსიო სქემის დამფუძნებელი) ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფა და მათ მიერ აღებული სადაზღვევო და/ან საპენსიო გალდებულებების ჯეროვნად შესრულება. ⁵⁰⁹ მზღვეველი და საპენსიო სქემის დამფუძნებელი გალდებული არიან დაიცვან წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისი საქმიანობის განსაზღვრულების ყველა ეტაპზე და ლიცენზიის ან/და/რეგისტრაციის გაუქმების შემდგომაც, სანამ სრულად არ იქნება გასტუმრებული სადაზღვევო ან/და/ საპენსიო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გალდებულებანი კანონმდებლობის შესაბამისად.⁵¹⁰

სადაზღვევო რეზერვების სახეობებია: ა) არასიცოცხლისა და სიცოცხლის დაზღვევის სახეობებისათვის (გარდა სიცოცხლის დაზღვევის მაგროვებადი და დაბრუნებადი სახეობებისა და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა); ა.ა) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი; ა.ბ) განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი; ა.გ) მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი. ბ) სადაზღვევო რეზერვი სიცოცხლის დაზღვევის მაგროვებადი და დაბრუნებადი სახეობებისათვის (სიცოცხლის დაზღვევის რეზერვი); გ)

⁵⁰⁸ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის №01 ბრძანება „სადაზღვევო რეზერვების სახეობათა განსაზღვრისა და შექმნის წესის დამტკიცების თაობაზე“.

⁵⁰⁹ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის №01 ბრძანების 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი

⁵¹⁰ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის №01 ბრძანების „სადაზღვევო რეზერვების სახეობათა განსაზღვრისა და შექმნის წესის დამტკიცების თაობაზე“ 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი

არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის რეზერვი – საპენსიო ვალდებულებები.⁵¹¹

ფინანსური სიმყარის ამგვარი გარანტიების არსებობის გამო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის დადებასა და გასხვისების აკრძალვის გამოყენებას სადაზღვევო ორგანიზაციების მიმართ.⁵¹²

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს მოპასუხის საქმიანობის საგანი, მისი სამართლებრივი სტატუსი, არსებული ფინანსური მდგომარეობა და ისე გადაწყვიტოს ღონისძიების გამოყენების მიზანშეწინოლობის საკითხი.

ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობა და მისი გალდებულების შესრულება გარანტირებულია ერთი მხრივ კომპანიის საკუთარი კაპიტალისა და რეზერვის მიმართ, ასევე სავალდებული გადაზღვევის თაობაზე კანონისმიერი მოთხოვნებით, ხოლო მეორეს მხრივ, ამ მოთხოვნების შესრულებაზე პერმანენტული სახელმწიფო ზედამხედველობით. ⁵¹³ სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, სადაზღვევო ბაზრის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი ინდიკატორია, შესაბამისად, სასამართლო წესით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად სადაზღვევო კომპანიას არ უნდა შეექმნას საქმიანობის საფრთხე. ⁵¹⁴

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით სადაზღვევო კომპანიას არ უნდა შეექმნას საქმიანობის საფრთხე, რითაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფინანსური ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებას შეეშლება ხელი, მოსარჩელემ ყველა ზომა უნდა მიიღოს მოპასუხის ქონების მოსაძიებლად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მოპასუხეს არ აღმოაჩნდება ქონება, სწორედ ასეთ ვითარებაში

⁵¹¹ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის №01 ბრძანების „სადაზღვევო რეზერვების სახეობათა განსაზღვრისა და შექმნის წესის დამტკიცების თაობაზე” მე-4 მუხლი

⁵¹² თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 იანვრის განჩინება, საქმე №2/36114-16, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 სექტემბრის განჩინება, საქმე №2ბ/2780-15, საქმე №330210114641437, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის განჩინება, საქმე №2ბ/4062-16, საქმე №330210117001962569, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 თებერვლის განჩინება, საქმე №2ბ/7216-14, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 თებერვლის განჩინება, საქმე №2ბ/60-15, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 აპრილის განჩინება, საქმე №2/19497-14

⁵¹³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 სექტემბრის განჩინება, საქმე №2ბ/2780-15, საქმე №330210114641437

⁵¹⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 თებერვლის განჩინება, საქმე №2ბ/60-15.

შეიძლება მოხდეს მეწარმე სუბიექტის ანგარიშზე არსებულ თანხაზე ყადაღის სახით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. ანგარიშების დაყადაღებით ისეთ ფინანსური ინსტიტუტის მიმართ, როგორც სადაზღვევო კომპანიაა, საქმიანობის თვალსაზრისით შეიძლება შეექმნას დაბრკოლება, რაც საბოლოო ჯამში შეიძლება აისახოს მის მომხმარებელებზეც, რომელიც სადაზღვევო ბაზრის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი ინდიკატორია.⁵¹⁵

არსებული საკანონმდებლო რეგულაციებისა და სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიუხედავად, ცალკეულ შემთხვევებში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ხდება სადაზღვევო ორგანიზაციის მიმართ სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რაც მას ხელს უშლის საქმიანობის განხორციელებებაში. კერძოდ, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემდგე ყადაღადადებული აქტივი ამოვარდება ბრუნვიდან და ის ვერ იქნება გამოყენებული სამოქალაქო ბრუნვაში უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებამდე. სადაზღვევო კომპანია ვალდებულია დავის დაწყების შემთხვევაში მოთხოვნის 100% სადაზღვევო რეზერვად მიიჩნიოს და დავის დასრულებამდე მოახდინოს მისი რეზერვირება. ⁵¹⁶ შესაბამისად, ხდება ერთი ურთიერთობიდან წამოშობილი დავის ორი ან მეტმაგი უზრუნველყოფა.

10.2 მოპასუხისათვის გარკეული მოქმედების შესრულების აკრძალვის პრაქტიკული განსხვავება ყადაღისაგან

სსსკ, ასევე, ითვალისწინებს უზრუნველყოფის ისეთ ღონისძიებას, რომლის გამოყენების შემთხვევაში მოპასუხეს ეკრძალება გარკეული მოქმედების შესრულება. დასახელებული ნორმა ცალსახად ადგენს უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების მხოლოდ მოპასუხის მიმართ გამოყენების შესაძლებლობას.⁵¹⁷

ერთი შეხედვით შეიძლება გაჩნდეს აზრი რომ 198-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები ერთმანეთის მომცველია. მაგალითად, თუ შესაძლებელია სსსკ-ის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით პირის საცხოვრებელ სახლს დაედოს ყადაღა, რაც გულისხმობს ამ სახლის გასხვისების შეუძლებლობას, ხომ შესაძლებელია იგივე შედეგი იქნეს მიღწეული ამავე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, პირს აეკრძალოს საცხოვრებელი სახლის

⁵¹⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 სექტემბრის განჩინება, საქმე №2ბ/2780-15, საქმე №330210114641437.

⁵¹⁶ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის ბრძანება №04 „სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშვები აქტივებისა და მათი სტრუქტურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“

⁵¹⁷ <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq-2009-12.pdf>> 25.02.2018

გასხვისება. რა საჭიროა ამ თითქოსდა ერთიდაიგივე შინაარსის დონისძიების არსებობა. მიუხედავად ამ მსგავსებისა, ამ ორ დონისძიებას შორის არის არსებითი სხვაობა. პირველი განსხვავება მდგომარეობს საგანში. ყადაღის საგანი შეიძლება იყოს ქონება, ფასიანი ქაღალდები ან ფულადი სახსრები. სსკებად აღიარებს არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებს.⁵¹⁸ სსკ-ის 147 მუხლის თანახმად, ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით და არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ წესრიგს. სსსკ-ს 198-ე მუხლის “გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული დონისძიების საგანი არის მოპასუხისათვის, გარკვეული მოქმედების განხორციელების აკრძალვა, მაგ.: უძრავი ქონების გასხვისება, იჯარით გაცემა. მეორე განსხვავება მდგომარეობს უზრუნველყოფის დონისძიების ფარგლებში. თუ სასამართლო პირის მიმართ გამოიყენებს სსსკ-ის 198-ე მუხლის “გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული დონისძიებას მას მხოლოდ კონკრეტული მოქმედების განხორციელება აეკრძალება (ბინის გაყიდვა), რაც არ გამორიცხავს სხვა მოქმედების განხორციელებას (ბინის გაქირავება). ყადაღის გამოყენების შემთხვევაში კი პირს ერთმევა ამ ქონების ნებისმიერი სახით გამოყენება.

გემთფლობელს ყადაღა დაედო და აეკრძლა მის საკუთრებაში არსებული თევზსაჭერი გემის ფოთის პორტიდან გაყვანა, ასევე, მოხდა მისი განთავსება ფოთის ე.წ. ყოფილი გემთხაშენი (201) ქარხნის ტერიტორიაზე. სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა არის სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, რომელიც დამოკიდებულია ვარაუდზე, რომ შესაძლოა მოპასუხებ სასარჩელო მოთხოვნისაგან თავის დაღწევის მიზნით განახორციელოს ისეთი მოქმედება, რომელიც საბოლოოდ შეუძლებელს გახდის მოპასუხის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.⁵¹⁹ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სსსკ-ს 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, უზრუნველყოფის საგნის თვისებებიდან გამომდინარე მიზანმიმართულად მოხდა, როგორც ყადაღის, ასევე, აკრძალვის დონისძიების გამოყენება, რათა მოწინააღმდეგებები მხარეს არ მოეხდინა გემის ვალდებულებით დატვირთვა, საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილება და საქართველოს ტერიტორიული წყლებიდან გაყვანა.

10.3 სეპენტრი (ქონების იძულებითი მართვა) – მოპასუხისათვის სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების ყველაზე მკაცრი სახე

⁵¹⁸ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, 2003, 26.

⁵¹⁹ ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლგიის 2016 წლის 15 იანვრის განჩინება, საქმე №030217716001216750

10.3.1 სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებად სეკვესტრის გამოყენება და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა

კერძო სამართლში დამკვიდრებული ნების ავტონომიის პრინციპიდან და კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე შეუძლებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებების ზუსტ ჩამონათვალს შეიცავდეს. ასევე სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე შესაძლებელია საჭირო იყოს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე დონისძიებს ერთდროულად გამოყენება, რათა არ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება. შესაბამისად, სსსკ-ის 198-ე მუხლის მესამე ნაწილი ანიჭებს სასამართლოს უფლებამოსილებას გამოიყენოს სხვა დონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე⁵²⁰ სწორედ დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, მე-3 ნაწილის პირველი წინადაღება და ამავე კოდექსის 271-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა შპს „ტელეკომპანია საქართველო“-მ №681-ე კონსტიტუციური სარჩელით საქართველის კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 24-ე მუხლის პირველ, მე-2 და მე-4 პუნქტებთან მიმართებით. კონსტიტუციური სარჩელის არსი მდგომარეობდა შემდეგში: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია, მოპასუხე მხარე დაავალდებულოს, გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელს სეკვესტრის სახით. აღნიშნული ნორმა შესაძლებლობას იძლევა, მოსამართლემ მესაკუთრეს ჩამოართვას ქონებაზე მფლობელობა დავის დასრულებამდე, იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ძალაში არ შესულა სასამართლოს გადაწყვეტილება.⁵²¹

№681-ე კონსტიტუციური სარჩელის ავტორი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი არ ითვალისწინებს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რა შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული აღნიშნული უზრუნველყოფის დონისძიება და მესაკუთრიდან ნივთზე მფლობელობა გადაუცეს სახელმწიფოს

⁵²⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁵²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I-17.

წარმომადგენელს – აღმასრულებელს. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ნივთზე მფლობელობის ჩამორთმევა გულისხმობს, როგორც ფიზიკური მფლობელობის, ასევე ქონების მართვის უფლებამოსილების ჩამორთმევასაც. მოსარჩელის განმარტებით სადაცო ნორმა არ აკმაყოფილებს სამართლებრივი უსაფრთხოების, სამართლის უზენაესობისა და კანონის განსაზღვრულობის პრინციპებს. კერძოდ, სადაცო ნორმა, ერთი მხრივ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს უამრავი სხვადასხვა შინაარსით, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ბუნდოვანია.⁵²²

მოსარჩელის მითითებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ტერმინ „ნივთის“ განმარტების მიუხედავად, მოსამართლე არ არის შეზღუდული კოდექსისეული განმარტებით. კერძოდ, მოსამართლემ უძრავი და მოძრავი ნივთების გარდა, სადაცო ნორმა შეიძლება გამოყენოს საწარმოს წილებისა და სხვა სახის ქონების მიმართ⁵²³. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადაცო ნორმა ურთიერთწინააღმდეგობრივია, რადგან, თუ ნორმის ერთ ნაწილში საუბარია მხოლოდ ნივთზე, იმავე ნორმაში მითითება ხდება ქონებაზეც.⁵²⁴ როდესაც საუბარია სეკვესტრზე როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე, სეკვესტრი უნდა განვმარტოთ როგორც ქონების იძულებითი მართვა, სადაც ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეიძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და, რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.⁵²⁵ დაუშვებელია სეკვესტრის საგანი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნისთვის იყოს მხოლოდ ნივთი⁵²⁶. ნივთი მხოლოდ მაშინ არის სეკვესტრის საგანი როდესაც საუბარია საქართველოს

⁵²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I-18.

⁵²³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადაღების თანახმად ერთი და იმავე ღონის სამართლის ნორმათა კოდიჩიის ღროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. შესაბამისად როდესაც საუბარია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოცემული მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული მუხლის კონკურენციაზე და ამასთან დასარეგულირებელია საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა, ეს ურთიერთობა უნდა დარეგულირდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. ურთიერთობის დარეგულირება არ უნდა ვეძოთ სხვა სამართლის ნორმაში, მითუმეტეს იმ პირობებში როდესაც ერთი და იგივე სახელის მატარებელი ინსტიტუტი სხვა და სხვა შინაარსის შეინება.

⁵²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I-19.

⁵²⁵ შოთაძე თ. სანივთო სამართალი, 2014, 59

⁵²⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 148-ე მუხლის თანახმად ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი

სამოქალაქო კოდექსის 310-ე მუხლით გათვალისწინებულ ნივთის იძულებით მართვაზე, სადაც ადგილი აქვს სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ რეალობას.⁵²⁷

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფის დონისძიების სახით სეკვესტრის, ქონების იძულებით მართვის გამოყენება სარედაქციო დამოუკიდებლობისათვის წარმოადგენს რისკს. ამასთან, იურიდიული პირების წილებთან მიმართებით სადაც ნორმამ შეიძლება გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგები. მოსარჩელე შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის შემთხვევაში, სადაც ნორმის საფუძველზე, მოსამართლემ პარტნიორის მიერ დანიშნულ პირებს შეუჩერა უფლებამოსილება და კომპანიის მართვა გადაეცა დროებით მმართველებს. მოსარჩელე მიუთითებს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს დროებითი მმართველის ინსტიტუტს და არც მისი მოვალეობებია გაწერილი რომელიმე ნორმატიულ აქტში.⁵²⁸

მოსარჩელის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან არ ირკვევა ლეგიტიმური მიზანი და პროპორციულ დონისძიებად ვერ ჩაითვლება აღმასრულებლის მიერ ქონების მართვა, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე, რაც ზღუდავს მესაკუთრის საკუთრების უფლებას.⁵²⁹

უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ შესაძლო რისკონივრულ დასაბუთებაზე, ამ დონისძიების გაუტარებლობა თუ რამდენად შეუშლის ხელს მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებას – ქვეყნის სახელით მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას, ამასთანავე, სავალდებულოა წინაპირობის დასაბუთების პარალელურად მოთხოვნილი უზრუნველყოფის სახე დადგენილი მართლწესრიგის, გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთის თანაზომიერი იყოს. სასამართლოს როლი უზრუნველყოფის, მათ შორის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ საკითხის კვლევისას

⁵²⁷ სეკვესტრის ინსტიტუტი იპოთეკის საგნის რეალიზაციის იძულებით ფორმას მიეკუთვნება. მართალია სეკვესტრის წარმოშობის საფუძველი მსგავსია იპოთეკის საგნის იძულებითი გასხვისებისა, კერძოდ, უზრუნველყოფილი გალდებულების შესრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების საფუძველზე კრედიტორს უფლება აქვს იპოთეკის საგნის აუქციონზე იძულებითი გასხვისების ნაცვლად, მოითხოვოს ნივთის იძულებითი მართვა (სეკვესტრი), თუმცა განსხვავება იპოთეკის საგნის იძულებითი რეალიზაციის ფორმებს შორის მდგრმარეობს იმაში, რომ იძულებითი რეალიზაციისგან განსხვავებით სეკვესტრის შემთხვევაში უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე არ იცვლება, არამედ ხდება მოთხოვნის დაკმაყოფილება უზრუნველყოფის საგნის იძულებითი მართვის – უფლებრივი დატვირთვიდან მიღებული შემოსავლიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების გზით. იხ. შოთაძე თ. სანივთო სამართალი, 2014, 401.

⁵²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I-20.

⁵²⁹ იქვე I-21.

შემოიფარგლება მხარის მიერ უზრუნველყოფის დონისძიების აუცილებლობის დასაბუთებისა და მოთხოვნილი დონისძიების მართებულობის კვლევით.⁵³⁰

10.3.2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება სეკვესტრის - სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებად გამოყენებასთან დაკავშირებით

ნივთის (ქონების) სეკვესტრით გადაცემა სწორედ სამოქალაქო სამართლწარმოების ფარგლებში სათანადო წინაპირობების არსებობისას, დასაშვებია მისი, როგორც უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენება.⁵³¹

საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების ამ კონკრეტულ სახესთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლოს სადაოდ არ გაუხდია სეკვესტრის როგორც სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების არსებობის ფაქტი და აღნიშნა, რომ დროებითი მმართველის დანიშვნა წარმოადგენს უზრუნველყოფის დონისძიებათა კომპლექსს, რომლის გამოყენების შემთხვევაში კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, დარწმუნდეს თითოეული მათგანის გამოყენების კანონიერებაში და მის აუცილებლობაში. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდა, რომ მას კანონი უფლებამოსილებას ანიჭებს, დანიშნოს დროებითი მმართველი, ის ასევე ვალდებულია დროებით მმართველს განუსაზღვროს მხოლოდ ის უფლებამოსილებები, რომლებიც აუცილებელია უზრუნველყოფის დონისძიების მიზნებისათვის. შესაბამისად, დავის განმხილველი მოსამართლის შეხედულების ფარგლებში ექცევა იმის განსაზღვრა, თუ რა უფლებამოსილებებით შეიძლება იყოს აღჭურვილი დროებითი მმართველი.⁵³²

კერძო საკუთრების იძულებით წესით სხვა პირისთვის გადაცემა წარმოადგენს საკუთრების უფლებაში ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ ჩარევას. სწორედ ამიტომ, კანონმდებლელი ვალდებულია, მკაფიოდ განსაზღვროს ჩარევის როგორც საფუძვლები, ასევე, ჩარევის ფორმები. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების საგანს არ წარმოადგენს სადავო ნორმის განმარტება, ის მოცემულობად იღებს საერთო სასამართლოების მიერ 198-ე მუხლის მე-3 ნაიწილის იმგვარ ინტერპეტირებას, რომელიც დროებითი მმართველის დანიშვნის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. ამავე დროს, მხედველობაშია

⁵³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება საქმე №ას-442-418-2013.

⁵³¹ იქვე.

⁵³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-58

მისაღები ის გარემოებაც, რომ საკუთრების უფლებაში მსგავსი სიმწვავის ჩარევის შემთხვევაში კანონმდებლობა ბევრად უფრო დეტალურ და განჭვრებად წესს ადგენს. საყურადღებოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლი ჩამოთვლის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, თუმცა პირდაპირ არ მიუთითებს სასამართლოს უფლებამოსილებაზე, დანიშნოს დროებითი მმართველი. ასე აღსანიშნავია, რომ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ისევე როგორც „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“, კანონი ითვალისწინებს სკეციალურ ღონისძიებებს, დროებითი ადმინისტრაციის ან მეურვის დანიშვნის სახით, რომლის მიზანს წარმოადგენს მეანაბრეთა ან/და კრედიტორთა ინტერესების დაცვა. ამდენად, გაუგებარია, რატომ არ მოახდინა კანონმდებლებმა მსგავსად ზემოთ დასახელებული საკანონმდებლო აქტებისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც ესოდენ მნიშვნელოვანი უზრუნველყოფის ღონისძიების უფრო დეტალურად აღწერა. სულ მცირე, დისკრეცია არ შეიძლება გულისხმობდეს იმაზე უფრო ინტენსიური ჩარევის შესაძლებლობას, ვიდრე ეს სახელდებულია კანონში.⁵³³

10.3.3 სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) განსხვავება „მსგავსი“ ინსტიტუტებისგან

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სეკვესტრი – ქონების იძულებითი მართვის გამოყენების შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დეტალურად უნდა მოხდეს დროებითი მმართველის უფლება-მოვალეობების განსაზღვრა. აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელია ნორმატიული აქტის სამართლებრივი ხასიათიდან გამომდინარე.

ზოგადად კოდექსი, როგორც კანონის ძალის ქონე სამართლებრივი აქტი არის სისტემური და ყოვლისმომცველი კრებული კანონების, წესებისა და რეგულაციების შესახებ, რომლებიც კონსოლიდირებული და კლასიფიცირებულია საგნით. ⁵³⁴ კოდექსი არის კანონების კრებული, რომელიც მოიცავს მეცნიერული თვალსაზრისით დალაგებულ პოზიტიური სამართლის კონკრეტულ სისტემას და პრომულგირებულია საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ. ⁵³⁵ ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება მატერიალური და საპროცესო სამართალი. მატერიალური სამართალი *inter alia* განმარტავს, არეგულირებს და ქმნის უფლებებსა და მოვალეობებს, ხოლო საპროცესო სამართალი სამართლებრივ პროცედურებს ამ უფლებებიდან და მოვალეობებიდან გამომდინარე დავის არსებობის შემთხვევაში.⁵³⁶

⁵³³ იქვე, II-59

⁵³⁴ <<https://legal-dictionary.thefreedictionary.com/code>> 24.02.2018

⁵³⁵ <<https://thelawdictionary.org/letter/c/page/92/>> 24.02.2018

⁵³⁶ Prof. Dr. van Rhee C.H., Civil Procedure, J.M. Smits (ed.), Elgar Encyclopedia of Comparative Law, Cheltenham etc., 2006, 120 available at:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის ცილკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს.⁵³⁷ არ არის გამორიცხული, რომ სამოქალაქო საქმეთა განხილვის ესა თუ ის წესი განსაზღვროს სხვა რომელიმე კანონმა, მათ შორის სამოქალაქო კოდექსმა, საგადასახადო კოდექსმა, შრომის კოდექსმა და აშ. თუ ეს წესები არ შეესაბამება ან ეწინადამდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, ან იმ პრინციპებს, რომლებზეც ეს კოდექსია აგებული, მაშინ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული წესები.⁵³⁸ წინამდებარე ნაშრომში არაერთხელ განხილულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების არსი და მნიშვნელობა. სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება წარმოადგენს დონებითი ხასიათის საპროცესო სამართლებრივ დონისძიებას რომლის მიზანია შექმნას ქვეყნის სახელით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გარანტია. ქონების იძულებითი მართვა ნიშნავს სასამართლოს მიერ კონკრეტულ ორგანიზაციაში იძულებითი მმართველის დანიშვნას, რომელიც ადჭურვილია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით. სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება ამ გზით იცავს მოსარჩელეს მოპასუხის არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისგან. იძულებითი მმართველის დანიშვნის შემთხვევაში საწარმო/ორგანიზაცია არ იცვლის მუშაობის რეჟიმს, შესაბამისად ორგანიზაციის მართვა იძულებითმა მმართველმა უნდა განახორციელოს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით დადგენილი წესით.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ისევე როგორც „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“, კანონი ითვალისწინებს სპეციალურ დონისძიებებს, დროებითი ადმინისტრაციის ან მეურვის დანიშვნის სახით, რომლის მიზანს წარმოადგენს მეანაბრეთა ან/და კრედიტორთა ინტერესების დაცვა და პარალელს ავლებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმასთან.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების“ საქართველოს კანონს გააჩნია კონკრეტული მიზანი, კერძოდ, მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიძნელეების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების

<<http://tcpbackup1.yolasite.com/resources/Elgar%20Encyclopedia%20of%20Comparative%20Law%20By%20Jan%20M%20Smits.pdf>> 23.03.2018

⁵³⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁵³⁸ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, 1.

დაკმაყოფილება ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.⁵³⁹

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინებით საწარმო წყვეტს ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას და გადადის საქმიანობის განსხვავებულ რეჟიმზე, რომლის მიზანი განსაზღვრულია „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით. ამავე განჩინებით განისაზღვრება, რიგი საკითხებისა⁵⁴⁰ რომლის

⁵³⁹ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი.

⁵⁴⁰ 1. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინებით:

ა) ინიშნება მეურვე; ბ) განისაზღვრება კრედიტორთა კრების დღე (განჩინების გამოქვეყნებიდან კრედიტორთა კრების დღემდე შეალენდი უნდა იყოს არანაკლებ 30 დღისა და არა უმეტეს 40 დღისა).

2. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან:

ა) მოვალეს ეკრალება ნებისმიერი გარიგების დადება ან/და დადებული გარიგების შეწყვეტა მეურვის თანხმობის გარეშე, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობის გარეშე; ბ) ნებისმიერი კრედიტორი უფლებამოსილია კანონით განსაზღვრულ ვადაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარუდგინოს სასამართლოს თავისი მოთხოვნები ვალის წარმოშობის საფუძვლის მითითებით; გ) ჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღსრულება მალტუჭებადი ნივთის მიმართ ხორციელდება) და არ დაიშვება იძულებითი აღსრულების ახალი ღონისძიებების დაწყება. აღსრულების შედეგად ამოღებული თანხა სამეურვეო ქონებაში მიიმართება; დ) იკრალება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების უზრუნველყოფა, ჩერდება ვალების გადახდა და პროცენტების, პირგასამტებლოს, საურავების (მათ შორის, საგადასახადოსი) დარიცხვა/გადახდა; ე) საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით საწარმო უფლებამოსილია მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით იყისროს ახალი სახელშეკრულებო ვალდებულებები; ვ) მიმდინარე სესხის ხელშეკრულების ფარგლებში სასესხო ვალდებულების აღება შესაძლებელია მხარეთა მიერ დამატებითი ნების გამოვლენის საფუძველზე, მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით; ზ) გრძელდება მოვალის საქმიანობის უწყვეტობისათვის არსებითი საქონლის/მომსახურების მიწოდება და ამ საქონლის/მომსახურების მოვალისთვის მიმწოდებელ პირს ეკრალება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის საფუძვლით იმ ხელშეკრულების შეწყვეტა, რომელიც ითვალისწინებს მოვალის სასარგებლოდ მისი საქმიანობის უწყვეტობისათვის არსებითი საქონლის/მომსახურების მიწოდების დაწყებას ან/და გაგრძელებას, თუ მოვალე ასრულებს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ წარმოშობილ ვალდებულებებს. აღნიშნულ პირს ხელშეკრულების ან საქონლის/მომსახურების მიწოდების შეწყვეტა შეუძლია მნიშვნელოვანი გარემოების არსებობისას, მეურვის თანხმობით, ხოლო მეურვესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში – სასამართლოს თანხმობით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოვალემ ამ პირის მიმართ არ შეასრულა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ წარმოშობილი ვალდებულება და მისი შეუსრულებლობიდან გასულია 14 სამუშაო დღეზე მეტი.

განუხელად დაცვა საგალდებულოა. ამავე კანონით დეტალურად არის გაწერილი რეაბილიტაციისა და გაკოტრების მმართველის უფლება მოვალეობები, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს კანონი მოიცავს კონკრეტული სფეროს რეგულირებას, რომლის მიზანი და მოქმედების სფერო რადიკალურად განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დარეგულირებული ურთიერთობებისა და პრინციპებისგან.

კანონი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ზოგად საფუძველს, ხოლო სასამართლო განსახლვრავს, არსებობს თუ არა ამგვარი საფუძველი განსახილველ საქმეთან დაკავშირებით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას იყენებს იმ შემთხვევაში, თუ მის გამოყენებას მიზანშეწონილად ჩათვლის. შესაბამისად, საპროცესო კანონში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება გულისხმობს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების დაწესებას ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც იგი გამართლებულია, ხოლო არის თუ არა გამართლებული, ამის შესახებ სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.⁵⁴¹

10.4 საბანკო გარანტიიდან გამომდინარე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების სპეციფიკა

საბანკო გარანტია ხელშეკრულების მხარეთა მოთხოვნის უზრუნველყოფის ფართოდ გავრცელებული საშუალებაა. იგი უმეტესად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მიმართ კრედიტორის განსაკუთრებული ინტერესი არსებობს. ასეთად შეიძლება მიწნეული იქნეს საინვესტიციო, საერთაშორისო ნასყიდობისა თუ სამშენებლო ხელშეკრულებები. ⁵⁴² საბანკო გარანტიიდან გამომდინარე დავებზე, სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით აქტიურად გამოიყენება. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით გარანტს აეკრძალა ბენეფიციარისათვის თანხის გადახდა პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის დავის დასრულებამდე, რომელიც ეხებოდა

2. 1. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ე“–„ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანხმობა მიიღება ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
3. გადახდისუზნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან გადახდისუზნარობის (გაკოტრების, რეაბილიტაციის) საქმის წარმოების პროცესში მოვალის ინტერესებს იცავს მოვალის მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. „გადახდისუზნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი.

⁵⁴¹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 თებერვლის განჩინება, საქმე №010217716001258006

⁵⁴² ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, 19. ნაშრომი წარდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2018.

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების გადის გაგრძელებას⁵⁴³ უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში მითითებული იყო, რომ პრინციპალმა იკისრა ვალდებულება, რომელსაც ნებაყოფლობით ასრულებდა. ბენეფიციარის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის გამო, პრინციპალი აპირებდა მიემართა სასამართლოსათვის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების მოთხოვნით... ასეთ შემთხვევაში ბენეფიციარისათვის გარანტით გათვალისწინებული თანხის გადახდის აკრძალვის გამოყენებლობა, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას.⁵⁴⁴

დროებითი ღონისძიების გამოყენების პროცესში სასამართლოს მიერ გამოყენებული უნდა იქნეს „ინტერესების ბალანსის“ ტესტი. მოთხოვნის განხილვისას სასამართლოს მიერ ფასდება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: ა) კავშირი დროებითი ღონისძიებასა და ძირითად დავას შორის, ბ) დავის პერსპექტიულობა, გ) ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, რომელიც გამოიხატება ზიანის დადგომის ალბათობით. ამ საკითხის განხილვისას სასამართლოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ზიანის დადგომის ალბათობის საკითხის განსაზღვრა. სასამართლო ვალდებულია განსაზღვროს ღონისძიების გამოყენებლობით და გამოყენებით დამდგარი ზიანის თანაფარდობა. ღონისძიების გამოყენების შესახებ მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება, თუ სასამართლო დარწმუნდა, რომ ღონისძიების გამოყენებლობით დამდგარი ზიანი აღემატება მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ დამდგარ ზიანს.⁵⁴⁵

სსსკ-ს 198-ე მუხლის თანახმად საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას ა) გარანტიისათვის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხის გადახდის აკრძალვა,⁵⁴⁶ ბ) ბენეფიციარისათვის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე

⁵⁴³ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მარტის განჩინება სარჩელის აღძრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ საქმე 459049-14

⁵⁴⁴ ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, 213. ნაშრომი წარდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2018.

⁵⁴⁵ იქვე 198.

⁵⁴⁶ სსსკ-ს 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების აკრძალვა“, ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხება გადასცენ ქონება ან შეასრულოს მის მიმართ რაიმე ვალდებულება.

მოთხოვნის წარდგენის აკრძალვა, ⁵⁴⁷ გ) ფულად სახსრებზე ყადაღის დაღება.⁵⁴⁸

10.5 სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებით იძულებითი აღსრულების პროცესის შეჩერება და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა

10.5.1 ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღმგრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება

ქონების რეალიზაციის შეჩერების მოთხოვნით სასამართლოს აქტიურად მიმართავენ მოვალეები ან იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრეები. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება . . . გარდა . . . განსაკუთრებული ვითარების გამო. იძულებითი აუქციონის შეწყვეტის, შეჩერების, გადადების, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე ქ მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები: „გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას სასამართლო კონტროლის გარეშე.⁵⁴⁹

10.5.2 ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება

⁵⁴⁷ სსსკ-ს 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების აკრძალვა“

⁵⁴⁸ სსსკ-ს 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, „ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქადალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომელიც მოპასუხს ეკუთვნის, ან არის მასთან ან სხვა პირთან.“

⁵⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/2/596 გადაწყვეტილება საქმეზე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

სსსკ-ს 198-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიების გამოყენება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სსსკ-თი თუმცა, აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის.

იპოთეკის საგნის მესაკუთრეები/მოვალეები ხშირად მიმართავენ სასამართლოს და სადავოდ ხდიან ნოტარიუსის მიერ გაცემული საადსრულებო ფურცლის კანონიერებას. სასამართლო თითქმის ყველა შემთხვევაში ახდენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით ნოტარიუსის მიერ გაცემული საადსრულებო ფურცლის საფუძველზე მიმდინარე საადსრულებო პროცესის შეჩერებას.

სარჩელის აღძვრამდე მხარემ მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოითხოვა ნოტარიუსის მიერ გაცემული საადსრულებო ფურცლის საფუძველზე დანიშნული აუქციონის შეჩება და ნოტარიუსის მიერ გაცემული საადსრულებო ფურცლის ბათილობა, შემდეგი არგუმენტით, რომ საადსრულებო ფურცელში მითითებული თანხიდან მას გადახდილი ქონდა თანხის ნაწილი, თუმცა მტკიცებულების სახით არ წარუდგენია თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საადსრულებო ფურცლის გასაჩივრება არ აჩერებს აღსრულებას. მართალია ზემოაღნიშნული ნორმის დანაწესი ითვალისწინებს საადსრულებო ფურცლის გასაჩირებას და ასეთ შემთხვევაში სარჩელის წარდგენა ავტომატურად არ აჩერებს აღსრულებას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნათა ფარგლებში და საქართველო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის მიხედვით შეაჩეროს ნოტარიუსის მიერ გაცემო საადსრულებო ფურცლის მოქმედება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით. წინადმდებარებულ შემთხვევაში კანონის სხვაგვარი განმარტება საფრთხის ქვეშ დააყენებს მოსარჩელის უფლებებს, რომელიც მიუხედავად მართლმსაჯულების განხორციელებისა, ვერ ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა ეკროპული კონცენტრით გარანტირებულ ფუნდამენტალურ უფლებას საქმის სამართლიან სასამართლოზე მოსმენის თაობაზე.⁵⁵⁰

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მოპასუხებ (მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე კრედიტორმა) მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. სასამართლოს მიერ არ მოხდა უზრუნველყოფის გარანტიის დაკმაყოფილება, რადგან განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა უტყუარი მტკიცებულებები,

⁵⁵⁰ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოდეგის 2016 წლის 24 თებერვლის განჩინება, საქმე №010217716001258006.

რომლებიც პირდაპირ დაადასტურებდა ზარალის მოლოდინის გარდაუგალობას.⁵⁵¹ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია ზარალის უთუოდ მიღების მოლოდინი. რაც დიდი ალბათობით უნდა იყოს მოსალოდნელი და უტყუარად უნდა დასტურდებოდეს. მარტოდენ მითითება ანდა ირიბი მტკიცებულებების წარმოდგენა მის დასტურად ვერ გახდება საფუძველი განცხადების დაკმაყოფილების.⁵⁵²

სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას დეტალურად არ ხდება სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლების შემოწმება. კანონის ნორმა მოითხოვს, რომ მოსარჩელემ მხოლოდ მიუთითოს იმ გარემოებაზე, რაც გაართულებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. განმცხადებელს არ უვალება მტკიცების ტვირთი... დონისძიების გამოყენება/არ გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო არ ამოწმებს, რამდენად დასაბუთებულია სარჩელი, რამდენად გამომდინარეობს მის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან, ანუ დასაკმაყოფილებელია, თუ არა სარჩელი. სასამართლო ამოწმებს, მხოლოდ, რამდენად შეუწყობს ხელს უზრუნველყოფის დონისძიება მომავალი მოსარჩელისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების დაცვას შესაძლო დაბრკოლებებისაგან აღსრულების ეტაპზე.⁵⁵³

მხარე, რომელიც შეამდგომლობს სასამართლოს წინაშე ისეთი საპროცესო მოქმედების შესრულების თაობაზე, რომლითაც მოწინააღმდეგე მხარეს შეიძლება მიადგეს ზიანი, არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ მოთხოვნით. მან იმავდროულად უნდა შესთავაზოს სასამართლოს გარანტია, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს იმ ზარალის ანაზღაურებას, რაც მოწინააღმდე მხარემ შეიძლება განიცადოს ამ საპროცესო მოქმედების შესრულებით, მაგალითად – აღსრულების დროებით შეჩერებით. ამდენად, მხარე, რომელიც მოითხოვს აღსრულების შეჩერებას, ვალდებულია მიუთითოს, თუ რას სთავაზობს სასამართლოს მოწინააღმდეგე მხარის იმ ზარალის უზრუნველსაყოფად, რომელიც ამ უკანასკნელმა შესაძლებელია განიცადოს თუ მხარე ამ მოვალეობას არ ასრულებს, მისი მოთხოვნა, საპროცესო მოქმედების შესრულებაზე, სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს.⁵⁵⁴

⁵⁵¹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 მაისის განჩინება, საქმე №010217716001258006.

⁵⁵² ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 მაისის განჩინება, საქმე №010217716001258006

⁵⁵³ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის განჩინება სარჩელის აღმდეგ დონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით საქმე №820217715001105776 (სარ/უზრ-35/15)

⁵⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 იანვრის განჩინება, საქმე №ას 1514-1434-2017

10.5.3 საადსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ან რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ

სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების ეს სახე შეიძლება განიმარტოს როგორც კონკრეტული უზრუნველყოფის დონისძიება, რომელიც მხოლოდ იმ საქმეებზე გამოიყენება, რომელიც დაკავშირებულია საადსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერებასთან ისეთ საქმეებზე რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ან რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. ისევე როგორც შემდეგ თავში განხილული უზრუნველყოფის დონისძიება⁵⁵⁵ არ გამოიყენება არბირაჟში მიმდინარე დავების უზრუნველსაყოფად.⁵⁵⁶

10.6 სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადაცო აქტის მოქმედების შეჩერებას

სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადაცო აქტის მოქმედების შეჩერებას, სამოქალაქო დავებზე პრაქტიკულად არ გამოიყენება. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.⁵⁵⁷ სამართლებრივი ურთიერთობა, სადაც სადაცო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადაცო აქტი განხილება აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად. სასამართლოში აღმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს:

ა) აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან;

⁵⁵⁵ იხ. 10.6

⁵⁵⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹⁸ მუხლის მე-2 ნაწილი.

⁵⁵⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი.

- ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადგება, შესრულება ან შეწყვეტა;
- გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე;
- დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.⁵⁵⁸
- სასკ-ის 29-ე მუხლით დეტალურად გაწერილია სასამართლოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების წესი. ⁵⁵⁹ კერძო სამართლებრივ

⁵⁵⁸ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი.

⁵⁵⁹ 1. სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ: ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან; ბ) ადსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას; გ) იგი გამოიცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგრმარების დროს; დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი ადსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი ადსრულების აუცილებლობა; ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს; ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით.

3. მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი ადსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას. სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ვადა.

4. მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერება, თუ არსებობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის გადაუდებელი ადსრულების აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან (არსებით) ზიანთან ან ზღუდავს მხარის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

5. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ მხარის შუამდგომლობა შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღმვრამდეც.

6. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სამი დღის ვადაში და ერთი დღის ვადაში უგზავნის მხარეებს.

7. თუ შეჩერებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადსრულებულია, სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადსრულებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

ურთიერთობებში განხილული უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების შეუძლებობაზე უთითებს სსსკ-ის 356¹⁸ მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებისას გამორიცხავს განხახილველი სახის სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, რაც ასევე გვაძლევს ვარაუდის შესაძლებლობას რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადაცო აქტის მოქმედების შეჩერება, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება ნაკლებად გამოიყენება.

11. სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენება საქართველოს სასამართლოების მიერ სხვა ქვეყანის სასამართლოში/არბიტრაჟი მიმდინარე დაგაზე

გლობალიზაციის პირობებში ფული მოძრაობს სწრაფად და საზღვრების გარეშე. ამიტომ, ბიზნეს დავებში სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენება უცხო ქვეყნის სასამართლოში მიმდინარე პროცესის დასახმარებლად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოპასუხის ქონების შენარჩუნებასა⁵⁶⁰ და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობაში.⁵⁶¹

„უცხო ელემენტით“ დატვირთულ დავაში საქართველოს სასამართლოების მიერ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებისას, მნიშვნელოვანია მოხდეს გამიჯვნა დავა მიმდინარეობს არბიტრაჟში თუ სასამართლოში, რადგან დავის განმხილველი ორგანოს მიხედვით სამართლებრივი რეგულირება განსხვავებულია.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების უზრუნველყოფის დონისძიების გადაწყვეტილების უზრუნველყოფის გამოყენების საკითხის პრობლემატურობა განაპირობა არსებულმა სამართლებრივმა მოწესრიგებამ; მხედველობაშია, ამ მიმართულებით არსებული ნორმატიული საფუძვლები, რომლებიც პირდაპირ არ ითვალისწინებენ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების

8. ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

9. სასამართლო განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივარი.

⁵⁶⁰ Philip Jen Arentam SC, The Granting of Mareva Injunction in Support of Foreign Court Proceedings, 2016, 503.

⁵⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე ას-1303-1241-2014.

ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოფის დონისძიების ეროვნული სასამართლოს მიერ გამოყენების შესაძლებლობას.⁵⁶² სარჩელის უზრუნველყოფის ზომების საქართველოში აღსრულების საფუძვლის, სკეპტის მე-20 მუხლი აფართოებს საქართველოს სასამართლოების იურისდიქციას იმ შემთხვევამდე, როდესაც საქართველოს სასამართლოს არ გააჩნია საერთაშორისო კომპეტენცია, ანუ დავა არსებითად არ განიხილება საქართველოში მაგრამ უზრუნველყოფის საქართველოშია აღსასრულებელი.⁵⁶³ საქართველოში სარჩელის უზრუნველყოფის მიზნებისათვის, საქართველოს სასამართლოსათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, საქართველოს ფარგლებს გარეთ, დავა უცხო ქვეყნის არბიტრაჟში მიმდინარეობს თუ სასამართლოში. ამ შემთხვევაში უზრუნველყოფის ზომების შესახებ განცხადების განმხილველი სასამართლო, მხოლოდ უნდა შემოიფარგლოს დაინტერესებული მხარის მიერ მითითებული დავის ორგანოს კომპეტენტურობის ფორმალური კონტროლით. კერძოდ: წარმოდგენილი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს, რომ იმავე მხარეებს შორის არსებითი დავა ნამდვილად აღძრულია მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ ან დავის არსებითად განხილვის ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ ორგანოში.⁵⁶⁴ სკეპტის მსგავსი განმარტება ცალსახად შეესაბამება სისტემური განმარტების მეთოდს, იქიდან გამომდინარე რომ კერძო სამართლებრივი დავა მიუხედავად დავის განმხილველი ორგანოსი⁵⁶⁵ აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე. დავაში მონაწილე ორივე მხარეს აქვს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები და მტკიცებულებები.

11.1 არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში

არბიტრაჟი თანამედროვე მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ბიზნესდავების აღტერნატიული გადაწყვეტის ეფექტიანი საშუალება, რომელიც დღითიდლე იხვეწება და ვითარდება.⁵⁶⁶ საქართველოში არბიტრაჟის ინსტიტუტს არსებობის არცოუ დიდი ისტორია აქვს. პირველად მისი საკანონმდებლო დონეზე რეგულირება უკავშირდება „კერძო

⁵⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა პალატა, ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი 2017, 122.

⁵⁶³ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 აპრილის განჩინება, საქმე № 2/ბ-352-2013.

⁵⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივნისის განჩინება, საქმე №ას-538-511-2013.

⁵⁶⁵ არბიტრაჟი ან სასამართლო.

⁵⁶⁶ ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., 2012, 24.

არბიტრაჟის „შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელიც მიღებულ იქნა 1997 წელს. „კერძო არბიტრაჟის „შესახებ“ კანონმა წარმატებით ვერ იტვირთა ფუნქცია – მის საფუძველზე შექმნილიყო ეფექტიანი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმი. ⁵⁶⁷ აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა ახალი კანონის შემუშავება, რომელიც უპასუხებდა თანამედროვე საარბიტრაჟო წარმოების გამოწვევებს და ხელს შეუწყობდა არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარებას საქართველოში. ⁵⁶⁸ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის „შესახებ“ მოდელური კანონის საფუძველზე მიღებული კანონია, რომელშიც ასახულია მოდელური კანონის ძირითადი დებულებები, მათ შორის წესები საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.⁵⁶⁹

2009 წლის „არბიტრაჟის „შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი მიზანი იყო ქართული საარბიტრაჟო პრაქტიკის დაახლოება საერთაშორისო საარბიტრაჟო სტანდარტებთან.

განსხვავებით მისი წინამორბედისაგან, ახალი კანონი უფრო დეტალურად არეგულირებს, როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშორებულ მთელ რიგ საკითხებს, მათ შორის, სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებებს, ⁵⁷⁰ ვინაიდან, საარბიტრაჟო წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებები, რომლებიც მოსარჩელეს აძლევს შესაძლებლობას, მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შემთხვევაში, თავიდან აიცილოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი დაბრკოლება და თავი დაიცვას მოპასუხის არაკეთილსინდისიერი ქმედებისაგან.⁵⁷¹

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებას არათუ საქართველოში არამედ საერთაშორისო არბიტრაჟშიც დიდი ისტორია არა აქვს. გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მოდელური კანონი ამგვარად ახდენს სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებათა დეფინიციას: „სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება არის ნებისმიერი დროებითი ზომა, რომელიც შეიძლება გამოცემულ იქნას გადაწყვეტილების ან სხვა სახით, და რომლის ფუნქციაა არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, მხარისათვის ან წარმოებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება, აქტივების

⁵⁶⁷ Tsertsvadze G., Brief Commentary to the Georgian Arbitration Law, 2009, Tb., 2011, 14-19

⁵⁶⁸ ბინდერი პ.მ., „არბიტრაჟის „შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, ქურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-2/3. 182-202, იხ. მაჩაიძე ო., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, წელიწდეული 2015, თბ., 2015, 90

⁵⁶⁹ საქართველოს უზრუნველყოფის დონისძიება სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივლისის განხინება, საქმე №ას-538-511-2013

⁵⁷⁰ ჩომახიძე ნ., სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, ქურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა“, წელიწდეული, 2013, 104

⁵⁷¹ მაჩაიძე ო. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, წელიწდეული 2015, თბ., 2015, 91

და მტკიცებულებების შენარჩუნება სანამ ძირითადი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული”⁵⁷²

2009 წლის „არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოწესრიგებაში, ძირითადად, იზიარებს მოდელური კანონის რეგულირებას. ⁵⁷³ 2015 წელს „არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონში კვლავ განხორციელდა ცვლილებები, რომელთა მიზეზადაც დასახელდა საქართველოს კანონის ცალკეულ ნორმათა შეუსაბამობა „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ” UNCITRAL ⁵⁷⁴-ის მოდელურ კანონთან, ასევე, კანონში არსებულ ხარვეზთა მთელი რიგისა და მთარგმნელობითი სახიათის შეცდომების აღმოფხვრა. ⁵⁷⁵ ჩვლილებები, ასევე, შეეხო საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საკითხის აქტუალობას და ამ ინსტიტუტის მნიშვნელოვან როლს საარბიტრაჟო წარმოებაში.

შესაძლებელია გაჩნდეს კითხვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საჭიროებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, არბიტრაჟი თავისი სამართლებრივი ბუნებით დავის მოკლე დროში გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა. საარბიტრაჟო წარმოების შემცირებული ვადების მიუხედავად, საარბიტრაჟო მოპასუხეს აქვს შესაძლებლობა არაკეთილსინდისიერად ქმედების შემთხვევაში მოახდინოს მისი აქტივების შემცირება. ასევე, გარკეულ დროს მოითხოვს უკვე მიღებული საარბიტრაჟო

⁵⁷² ჩომახიძე ნ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, ქურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა”, წელიწდებული, 2013, 80 იხ. UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, Article 17, https://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998_Ebook.pdf

⁵⁷³ Tservadze G., Brief Commentary to the Georgian Arbitration Law 2009, Tb., 2011, 139

⁵⁷⁴ UNCITRAL-ის 1985 წლის (2006 წელს მიღებული ცვლილებების გათვალისწინებით) მოდელური კანონი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ, რომელიც საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი ნორმების უნიფიცირებულ კანონს წარმოადგენს. ეს კანონი მიღებულ იქნა გაეროს საერთაშორისო საგაჭრო სამართლის კომისიის მიერ, რომელთან დაკავშირებით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ყველა სახელმწიფო დადგენილი წესით მხედველობაში უნდა მიიღოს მოდელური კანონი, ვინაიდან სასურველია კანონის ერთგვაროვნება არბიტრაჟის პროცედურებთან და საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის პრაქტიკის კონკრეტულ მოთხოვნებთან მიმართებაში.“ აღსანიშნავია რომ საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობის უნიფიცირების ფორმად სპეციალურად შეირჩა მოდელური კანონი და არა კონვენცია, ვინაიდან მოდელური კანონი, კონვენციისათვის განსხვავებით, იძლევა საშუალებას მოხდეს, ერთი მხრივ, არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობის უნიფიცირება მსოფლიო დონეზე, მეორე მხრივ კი, თითოეული სახელმწიფო ინარჩუნებს კანონში მისი სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინების შესაძლებლობას. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.07.2013 წლის განჩინება №ას-538-511-2013

⁵⁷⁵ მაჩაიძე ო. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, წელიწდებული 2015, თბილისი, 2015, 91 იხ. განმარტებითი ბარათი „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტი

გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. ⁵⁷⁶ შესაბამისად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა საბოლოოდ მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსასრულებლად უდავოდ მნიშვნელოვანია.

საარბიტრაჟო გზით დავის მოგვარებისას სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებებთან მიმართებით გამოიკვეთა პრობლემა ცალკეულ საკითხთა დეტალური რეგულირების არარსებობის გამო. კერძოდ, ამგვარ პრობლემას მიაკუთვნებენ იმ გაურკვევლობას თუ ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებების გამოყენებისა მაშინ, როდესაც არბიტრაჟის ფორმირება ჯერ კიდევ არ მომხდარა. ეს პროცედურა შესაძლოა თვეები გაიწელოს, უზრუნველყოფის დონისძიების მთელი არსი ის არის, რომ მხარემ სასწრაფოდ იმოქმედოს და დროებით შეინარჩუნოს ის მდგომარეობა, რომელიც შემდგომ ხელს შეუწყობს საბოლოო შედეგის მიღწევაში.⁵⁷⁷

ასევე, პრობლემატური იქო საქართველოს კომპეტენციის დადგენა უცხო ქვეყნის არბიტრაჟში მიმდინარე დავაზე სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებისას. საჭიროა განისაზღვროს კომპეტენციის არსებობის ფარგლებში რომელმა სასამართლომ უნდა მოახდინოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა.

11.2 საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი კანონმდებლობა

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა სპეციფიურ სახეს იძენს როდესაც მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით დავის განხილველა ორგანოდ განსაზღვრულია საერთაშორისო არბიტრაჟი და საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საგანი იმყოფება საქართველოში. როგორც წესი, ძირითადი სამართალწარმოება, გარკვეული დამაკავშირებელი ფაქტორით დაკავშირებულია იმ იურისდიქციასთან, სადაც დავის არსებითად განხილვა მიმდინარეობს. თუმცა, სრულიად შესაძლებელია, რომ ქონება, რომელიც საბოლოოდ აღსრულებას უნდა დაექვემდებაროს, სხვა ქვეყანაში იყოს ⁵⁷⁸ ამ დროს მნიშვნელოვანია დადგინდეს გააჩნია თუ არა კომპეტენცია საქართველოს სააპელაციო სასამართლოებს მოახდინონ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა „არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო

⁵⁷⁶ „არბიტრაჟის შესახებ”საქართველოს კანონის 44.1 მუხლის თანახმად, საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას ხდება სააპელაციო სასამართლოს მიერ, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხდება უზენაესი სასამართლოს მიერ.

⁵⁷⁷ ჩომახიძე ნ., სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, თსუ-ს დავის აღმართების უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრი, ქურ. „დავის აღმართების უზრუნველყოფის გადაწყვეტილები”, წელიწელი, 2013, 90.

⁵⁷⁸ Philip Jen Arentam SC, The Granting of Mareva Injunction in Support of Foreign Court Proceedings, 2016, 503.

საპროცესო კოდექსის შესაბამისად. თითოეული ქვეყნის სასამართლო სისტემა თავად განსაზღვრავს და წყვეტს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის ფარგლებს.⁵⁷⁹

საერთაშორისო არბიტრაჟის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები თავმოყრილია უპირატესად საერთაშორისო ხელშეკრულებებში, კანონებში და საარბიტრაჟო რეგლამენტებში. საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, უპირველესად, აღსანიშნავია 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენცია, რომელიც საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის ქვაკუთხებით. ეს კონვენცია საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით. მითოთებული კონვენცია არ შეიცავს სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შიდა სამართლის გამოყენების ამკრძალავ ნორმებს. უფრო მეტიც, კონვენცია პირდაპირ მიუთითებს ეროვნულ სამართალზე, როცა საკითხი ეხება უცხოური და არაადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცედურას (მუხლი 3).⁵⁸⁰

საკითხი უფრო დელიკატური ხდება, როდესაც მოსარჩელე ითხოვს უზრუნველყოფის გამოყენებას მოპასუხის მიმართ და უზრუნველყოფის საგანი არის მოსარჩელისთვის ცნობილი მოპასუხის ერთადერთი ქონება. სასამართლოს პრაქტიკა მნიშვნელოვანია ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს ხდება თუ არა მოსარჩელეზე სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დაკისრებული მტკიცების ტვირთისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის – შეჯიბრებითობის პრინციპის უგულებელყოფა.

11.3 “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-73¹ მუხლის ფართო განმარტება

სკს-კ-ს მე-20 მუხლის თანხმად, სარჩელის უზრუნველყოსას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოს ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია. მოცემული ნორმა არ ეხება სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მოქმედ არბიტრაჟებში განსახილველ საქმეებს, რადგან აღნიშნული ტიპის არბიტრაჟებთან მიმართებაში მოცემული კანონი ადგენს განსხვავებულ წესს. კერძო, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73¹ მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი

⁵⁷⁹ გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, 2011, 408.

⁵⁸⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივლისის განჩინება, საქმე №ას-538-511-2013.

წესით”.⁵⁸¹ მართალია, დასახელებული ნორმაში საუბარია საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულებაზე, მაგრამ ამ ნორმის მოქმედება უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაზეც, როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარე საარბიტრაჟო დაგაში ჩართული სუბიექტები მიმართავენ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით, რადგან სწორედ იგი ადგენს საქართველოში არბიტრაჟის შექმნის, საარბიტრაჟო წარმოების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების, აგრეთვე, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წესებს.⁵⁸² შესაბამისად, საკითხის სიტყვა-სიტყვითი განმარტება არ იქნება მართებული და იგი უნდა განვიხილოთ უფრო გლობალურად – საერთაშორისო კანონმდებლობით (ნიუ – იორკისა და მოდელური კანონის) დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით.⁵⁸³

„არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში. საარბიტრაჟო განხილვის ადგილის მიუხედავად, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.⁵⁸⁴

ზემოაღნიშნული ნორმათა შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში უფლებამოსილი სასამართლოს (თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს) მიერ „არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა საარბიტრაჟო განხილვა საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს.⁵⁸⁵

11.3.1 საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფისას გამოსაყენებელი საპროცესო კანონმდებლობა

საერთაშორისო არბიტრაჟის მარეგულირებელი ნორმები მოცემულია, ასევე, საარბიტრაჟო რეგლამენტებში, ამიტომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების

⁵⁸¹ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 აპრილის განჩინება, საქმე № 2/ბ-352-2013.

⁵⁸² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივლისის განჩინება, საქმე №ას-538-511-2013.

⁵⁸³ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ოქტომბრის განჩინება, საქმე № 2/ბ—985.

⁵⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივლისის განჩინება, საქმე №ას-538-511-2013.

⁵⁸⁵ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე № 2/ბ-674-2013.

გამოყენებისას გასათვალისწინებელია ასევე, ამ რეგლამენტით დადგენილი თავისებურებები რომლებზედაც, როგორც წესი, მხარეებმა უნდა მიუთიოთ, ხოლო ასეთი მითითებების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო ხელმძღვანელობს ეროვნული სამართლით.⁵⁸⁶

ყველა ქვეყანაში მოქმედებენ ეროვნული სასამართლოები, რომლებიც ამ ქვეყნის სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ. ისინი მოწოდებელი არიან დაიცვან თავიანთი ქვეყნის ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა დარღვეული ან სადაოდ ქცეული უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები. ⁵⁸⁷ სასამართლოში ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმათოს და მოითხოვოს მოპასუხის წინააღმდეგ ზომების მიღება. თუკი სასამართლო მოპასუხის ქვეყანაშია მაშინ აღსრულების პროცედურების დაწყება უპრობლემოდ მოხდება მაშინვე, როგორც კი გადაწყვეტილება იქნება მიღებული და არავითარი დამატებითი ცნობა აღსრულება არ იქნება საჭირო.⁵⁸⁸

არბიტრაჟის გამოსაყენებელ საპროცესო სამართალთან მიმართებით თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს ე.წ. „ადგილმდებარეობის თეორიას“⁵⁸⁹, რომლის თანახმადაც არბიტრაჟი იყენებს იმ ქვეყნის საპროცესო სამართალს, რომელშიც მიმდინარეობს დავის განხილვა. შესაძლოა, პროცესუალური სამართალი განხსნავებული იყოს იმისგან, რაც დავის მატერიალურ-სამართლებრივ ასპექტებს არეგულირებს. საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათი შემთხვევები, როდესაც მხარეებმა, რომელიმე ქვეყნის საპროცესო სამართალზე მიუთიოთ, შესაბამისად, ზემოაღნიშნული თეორია აქტიურად გამოიყენება. ⁵⁹⁰ შესაბამისად, ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო ან კოლიზიურ ნორმებს.⁵⁹¹

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მართალია, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 192-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, ⁵⁹² მაგრამ ამ წესების გამოყენებისას

⁵⁸⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივლისის განჩინება, საქმე №ას-538-511-2013.

⁵⁸⁷ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ოქტომბრის განჩინება, საქმე № 2/ბ—985.

⁵⁸⁸ ჩომახიძე ნ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, ქურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა“, წელიწეული, 2013, 104.

⁵⁸⁹ Seat Theory.

⁵⁹⁰ ჩომახიძე ნ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, ქურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა“, წელიწეული, 2013, 86.

⁵⁹¹ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁵⁹² ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე № 2/ბ-674-2013.

სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო წარმოების თავისებურებები, ⁵⁹³ რადგან, უზრუნველყოფის ზომების განხორციელებაზე საქართველოს სასამართლოს იურისდიქცია, იმ შემთხვევაში, როდესაც ამ სასამართლოს არ გააჩნია მოცემულ დავაზე საერთაშორისო კომპეტენცია გამომდინარეობს, უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საერთაშორისო დოქტრინიდან, რომლის თანახმად უზრუნველყოფის ზომების განხორციელებისას, გადამწყვეტად მიიჩნევა ნივთის, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს უზრუნველყოფის ზომები, სიახლოვე სამართლებრივ სისტემასთან, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს უზრუნველყოფის ზომების მიღება და აღსრულება. ანუ იგულისხმება, რომ თვით სარჩელის უზრუნველყოფის, როგორც სამართლის ინსტიტუტის შინაარსის და მიზნების გათვალისწინებით, უზრუნველყოფის ზომები მიზანშეწონილია განხორციელდეს იმ სამართლებრივ სისტემაში სადაც ფაქტობრივად იმყოფება უზრუნველყოფის შესაძლო საგანი, რაც შესაძლებლობას იძლევა გამოირიცხოს ყოველგვარი სამართლებრივი კონფლიქტი, უზრუნველყოფის ზომების გამომტან და მათ აღმასრულებელ სამართლებრივ სისტემებს შორის.⁵⁹⁴

11.3.2 „საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის განმარტება საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე

საქართველოს იურისდიქციაში (ტერიტორიულ წყლებში) უცხო ქვეყნის დროშით მცურავი გემის მიმართ, სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით უზრუნველყოფის ზომების გამოსაყენებლად, მნიშვნელოვანია მოხდეს „საზღვაო სივრცის შესახებ“, საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის სწორი განმატება, რომლის თანახმადაც, უცხო ქვეყნის გემის მიმართ, რომელიც იმყოფება საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში შეიძლება მიღებული იქნას იძულებითი ზომები სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, რაც შესაძლებელია გამოყენებული იქნას მხოლოდ საქართველოს სასამართლოებში არსებითად განსახილველ დავებზე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი

⁵⁹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივლისის განჩინება, საქმე №ას-538-511-2013.

⁵⁹⁴ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 მაისის განჩინება, საქმე № 2/ბ-352-2013.

იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიული აქტების მიმართ. მნიშვნელოვანია მოხდეს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის გაზიარება. კერძოდ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს მიმდინარე დავაზე არ გააჩნია იურისდიქცია, უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების დოქტრინიდან გამომდინარე, უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებისას გადამწყვეტად მიიჩნევა ნივთის სიახლოვე სამართლებრივ სისტემებთან, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს უზრუნველყოფის ზომების მიღება და აღსრულება. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეში Van Uden v. Deco-line⁵⁹⁵ აღნიშნა, რომ აუცილებელია იყოს რეალური დამაკავშირებელი ფაქტორი უზრუნველყოფის ღონისძიების საგანსა და იმ სახელმწიფოს ტერიტორიას შორის, სადაც მოთხოვნილია უზრუნველყოფის ღონისძიება. ⁵⁹⁶ როგორ ჩანს, სკარ სრულად იზიარებს ზემოაღნიშნულ მიღვომას და აწესებს საქართველოსთან ამგვარი კავშირის არსებობის აუცილებლობას.

ამდენად, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლით დადგენილია სასამართლოს კომპეტენცია, გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოში არსებულ აღსასრულებელ ქონებაზე, ხოლო ამ ღონისძიების გამოყენების საპროცესო წესებს სრულად ადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.⁵⁹⁷ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გატარების აუცილებლობის შესახებ, ეკისრება განმცხადებელს, ხოლო საკითხს თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან გამომდინარე წყვეტს სასამართლო.⁵⁹⁸ ამავე დროს, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე ასევე ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები მტკიცებულებათა გამოკვლევასა და გამოყენებაზე, სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობაზე და აშ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სრულად არის მოწესრიგებული, თუ რა შემთხვევაში, რა ტიპის მტკიცებულებებზე დაყრდნობით და როგორი დასაბუთების

⁵⁹⁵ ECJ, Judgment of the 17 November 1998, Van Uden Maritime BV, trading as Van Uden Africa Line v Kommanditgesellschaft in Firma Deco-Line and Another, Case C-391/95. ECLI identifier: ECLI:EU:C:1998:543.

⁵⁹⁶ Raymond Cox, Louise Merrett, Smith Marcus Private, International Law of Reinsurance and Insurance, Informa Law, 2015, 118.

⁵⁹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის №1/22/781 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

⁵⁹⁸ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე № 2/ბ-674-2013.

არსებობისას უნდა გამოიყენოს სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება.⁵⁹⁹

11.4 საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლით დადგენილი საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია საქართველოს ფარგლებს გარეთ სასამართლოში მიმდინარე დაგაზე სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებისას

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლით დადგენილი წესი შეიძლება სამ ალტერნატიულ შემთხვევად დაიყოს:

1. დავა საქართველოს სასამართლოს განსჯადია და განიხილება საქართველოში. ასეთ შემთხვევაში ნორმა სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, განიხილოს სარჩელი უზრუნველყოფის საკითხი;
2. დავა საქართველოს სასამართლოს განსჯადია, თუმცა განიხილება უცხოეთში, რადგან უცხო ქვეყნის სასამართლოს შესაძლოა ქონდეს ალტერნატიული განსჯადობა;
3. დავა საქართველოს სასამართლოს განსჯადი არ არის, თუმცა გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება მოხდეს საქართველოში.⁶⁰⁰

ზუსტად ამ უკანასკნელი ჩანაწერის კონსტიტუციურობის საკითხი დადგა №781 კონსტიტუციური სარჩელით. შემთხვევა, როდესაც დავა საქართველოს სასამართლოების განსჯადი არ არის, თუმცა გადაწყვეტილების⁶⁰¹ აღსრულება შეიძლება მოხდეს საქართველოში, მაგალითად, თუ სადავო ქონება, რომელსაც მოსარჩელის აზრით ემუქრება საფრთხე, მდებარეობს საქართველოში,⁶⁰² ან მოპასუხეს გააჩნია საბანკო ანგარიშები საქართველოში არსებულ ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებიში. კონსტიტუციური სარჩელიდან ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო, 2016 წლის 24 მარტის განჩინებით, ყადაღა დაედო მოსარჩელის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს. აღნიშნული დონისძიება გამოყენებულ იქნა იმ დაგაზე სარჩელის უზრუნველყოფის

⁵⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის №1/22/781 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ჟიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11

⁶⁰⁰ იქვე, I-18.

⁶⁰¹ გადაწყვეტილება – უნდა განიმარტოს ფართოდ და მასში უნდა მოვიაზოთ სასამართლოს მიერ მიღებული ნებისმიერი დოკუმენტი, მათ შორის განჩინებაც იხ. Rozalinova E. Angelov A. and Georgiev I., Jurisdiction, Recognition and Enforcement of Provisional and Protective Measures (International Cooperation in Civil Matters) (2012). Revista Forumul Judecătorilor, No. 4, 2012, 90. <<https://ssrn.com/abstract=2224223>> 21.03.2018

⁶⁰² გამურელიძე ს., სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია საერთაშორისო კერძო სამართლს პროცესში, მართმსაჯულება და კანონი (N:3(30)2011, 17.

დონისძიებად, რომელიც კვიპროსის სასამართლოში მიმდინარეობდა. მოსარჩელის მტკიცებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განცხადებაში მითითებული გარემოებები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, თუმცა, რამდენადაც საქალაქო სასამართლოს ობიექტურად არ გააჩნდა მათი ნამდვილობის გადამოწმების შესაძლებლობა.⁶⁰³ სარჩელის აღდგრამდე ან სარჩელთან ერთად შუამდგომლობის წარმოდგენის შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტა ხდება მოსარჩელის მიერ ცალმხრივად მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს შესაბამისი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა უკავშირებს თუ არა იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის დადგომაც სარჩელით არის მოთხოვნილი.⁶⁰⁴

სადავო ნორმა საქართველოს სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, იმსჯელოს უცხო ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების თაობაზე. უშუალოდ ამ დონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით კი სასამართლო მსჯელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი შესაბამისი რეგულაციების გამოყენებით. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ საკუთრების უფლების შეზღუდვასთან არის დაკავშირებული, რაც, შესაბამისად, იწვევს საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას.⁶⁰⁵

სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიება თავის თავში უმეტეს შემთხვევაში მოიცავს საკუთრების უფლების შეზღუდვას, რომელიც გამართლებულია აღსრულებადი გადაწყვეტილების მიღების საჭიროებით. მართალია, სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებით ხდება საკუთრების უფლების შეზღუდვა, მაგრამ მხარეთა უფლებების დაბალანსებისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც მოპასუხე მხარს ანიჭებს უფლებამოსილებას მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაზეც სასამართლო იმსჯელებს საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.⁶⁰⁶

⁶⁰³ საქართველოს სასამართლოს მიერ დავის განხილვის შემთხვევაშიც, სასამართლო უზრუნველყოს დონისძიების გამოყენებისას განხინებას იღებს სსეს-ის 191-ე მუხლით დადგენილი წესით. სასამართლოს მიერ საქმის მასალების გადამოწმება ან სხვა მსგავსი ხასიათის ქმედება წარმოადგენს შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას.

⁶⁰⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება, საქმე №2/24072-17

⁶⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის №1/22/781 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზარალის ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგზე, I-6

⁶⁰⁶ ი. თავი 4

უცხო ქვეყანაში წარმოებულ დაგასთან მიმართებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება საქართველოს სასამართლოების მიერ ხდება საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი დაგებისთვის დადგენილი წესებით. კანონი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ზოგად საფუძველს, ხოლო სასამართლო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა ამგარი საფუძველი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას იყენებს იმ შემთხვევაში თუ მის გამოყენებას მიზანშეწონილად ჩათვლის.⁶⁰⁷

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არ არსებობს ნორმა, რომელიც საქართველოს სასამართლოს დაავალდებულებდა ეწ. „უცხო ელექტრიციით“⁶⁰⁸ დატვირთულ დავაში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას შეესწავლა საქმის მასალები, რომლებიც წარმოდგენილია ძირითად დავაში და მხოლოდ მათზე დაყრდნობით მიეღო გადაწყვეტილება. როდესაც დავა სხვა ქვეყანაში მიმდინარეობს, მოსამართლისთვის უცნობია შესაბამისი სამართალწარმოების ეტაპი, მივიდა თუ არა სასამართლო შუალედურ გადაწყვეტილებამდე, როგორ შეიძლება დასრულდეს დავა, არსებობს თუ არა სარჩელის დაკმაყოფილების ალბათობა და ა.შ. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისთვის საკმარისია მხოლოდ მტკიცებულება, რომ სხვა ქვეყანაში მხარეებს შორის არსებობს სამართლებრივი დავა.

საკონსტიტუციო სარჩელის ავტორის განმარტებით, მოსამართლე მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს სამართლებრივი დავის საფუძვლიანობა, ვინაიდან საფუძვლიანობა უნდა შეფასდეს უშუალოდ იმ კანონმდებლობასთან მიმართებით, რომელიც გამოიყენება ძირითადი დავის გადაწყვეტისთვის. საქართველოს მოსამართლე არ არის ვალდებული, დაწვრილებით იცნობდეს სხვა ქვეყნის კანონმდებლობას, რათა შეაფასოს სამართლებრივი დავის საფუძვლიანობა, თუნდაც მხოლოდ ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებით.⁶⁰⁹

11.4.1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლთან დაკავშირებით

⁶⁰⁷ ობილისის საქალაქო სასამართლის სამოქალაქო საქმეთა კოდეგიის 2016 წლის 24 მარტის განჩინება, საქმე №1288174-16

⁶⁰⁸ „საერთაშორისო ელექტრიციით“ დატვირთულ დავებთან მიმართებით სპეციალური ნორმის შემოღება, გამოიწვევს ყველა იმ ღონისძიების უგულებელყოფას, რომელიც ემსახურება საქართველოს საკანონმდებლო სივრცის ერვოკავშირის საკანონმდებლო სივრცესთან ჰარმონიზაციას

⁶⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის №1/22/781 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,” I-9

საქუთრების უფლება არააბსოლუტური უფლებაა და მასში ჩარევა შესაძლებელია ლეგიტიმური მიზნის არსებობის და მისი მიღწევის პროპორციული ქმედების არსებობის შემთხვევაში. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი ზოგადი ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც საერთაშორისო კერძო ურთერთობებში მონაწილე სუბიექტებს აძლევს შესაძლებლობას, ეფუქტურად დაიცვან საკუთარი უფლებები სასამართლოში. ეს ნორმა უზრუნველყოფს უცხო ქვეყანაში წარმოებულ დავაზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. ამრიგად, მისი ლეგიტიმური მიზანია, შექმნას სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიება, რომელიც, მხარის წარმატების შემთხვევაში, განაპირობებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისთვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებას.⁶¹⁰

კომპეტენციის დამგენ ნორმას თან ახლავს შესაბამისი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მოწესრიგებული საპროცესო გარანტიები. სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება გამოაქვს იმ შემთხვევაში, თუ გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას.⁶¹¹

სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს შესაბამის მტკიცებულებებს, რომლის წარდგენის ვალდებულებაც გააჩნია მხარეს. ამავდროულად, სასამართლო ვალდებულია, სრულყოფილად გამოიკვლიოს აღნიშნული მტკიცებულებები და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.⁶¹² მნიშვნელობა არ აქვს დავის განხილვის ადგილს და დავის განმხილველ ორგანოს. არსებითია რომ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი ადგენს მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას – განახორციელოს მსგავსი საპროცესო მოქმედება და ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსზე დაყრდნობით, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახე და მასთან დაკავშირებული პროცედურები განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით.⁶¹³

⁶¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის №1/22/781 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ I-14

⁶¹¹ ი. თავი 5

⁶¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის №1/22/781 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I-15

⁶¹³ Rozalinova E. Angelov A. and Georgiev I., Jurisdiction, Recognition and Enforcement of Provisional and Protective Measures (International Cooperation in Civil Matters) (2012). Revista Forumul Judecătorilor, No. 4, 2012, 85. <<https://ssrn.com/abstract=2224223>> 21.03.2018

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ქართული სასამართლოსთვის კომპეტენციის დამდგენი ნორმა და მისი განხორციელებისთვის საჭირო პროცედურის მარეგულირებელი წესი. სასამართლოსთვის გარკვეული კომპეტენციის მინიჭება გულისხმობს კონკრეტული სამართლებრივი შემთხვევების შეფასების უფლებამოსილებას. ამასთან, სასამართლოს მიერ განსახორციელებელი ნებისმიერი სახის ქმედებებისათვის აუცილებელია არსებობდეს ის პროცედურული წესრიგი, სამართლებრივი ჩარჩო, რომელთა დაცვითაც მოხდება ამ კომპეტენციის რეალურად რეალიზება. სასამართლოსთვის რაიმე სახის კომპეტენციის მინიჭება თავის თავში არ მოიაზრებს შესაბამისი საპროცესო დონისძიების არსებობას. ⁶¹⁴

საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. ⁶¹⁵ სამოქალაქო სასამართლოები მათ შორის განიხილავენ საქმეებს, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საწარმოები და ორგანიზაციები. ⁶¹⁶ მართალია, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის IX თავით განსაზღვრულია საპროცესო ნორმები, თუმცა ეს ნორმები წარმოადგენს სპეციალურ საპროცესო ნორმებს, რომლებიც დამახასიათებელია უშუალოდ საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისთვის. ყველა სხვა შემთხვევაში, მათ შორის უცხო ქვეყნის სასამართლოში მიმდინარე დავაზე სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებისას სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

ასევე აღსანიშნავია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცესუალური ნორმებით ხელმძღვანელობს საერთო სასამართლოები. აღნიშულიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ საქართველოს სასამართლოებში მიმდინარე ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი დავის, მათ შორის, უცხოური ელემენტის შემცველი დაგების განხილვის საპროცესო წესებს, უპირველესად, სწორედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი რეგულაციები წარმოადგენენ. ⁶¹⁷

სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების საპროცესო სამართლებრივი მოწესრიგება დადგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, ვინაიდან დამოუკიდებელი

⁶¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის №1/22/781 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

⁶¹⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁶¹⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილი.

⁶¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის №1/22/781 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გ.წ. „უცხო ელემენტებით“ დატვირთული ურთიერთობებისთვის საქართველოში არ მოქმედებს. სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებისას სასამართლომ სიღრმისეულად უნდა გამოიკვლიოს ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რომელიც წარმოადგენს უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების საფუძველს. აღნიშნული გათვალისწინებულია როგორც საპროცესო კანონმდებლობით, აგრეთვე გამომდინარეობს კანონმდებლობაში არსებული ისეთი პრინციპებიდან, როგორებიცაა შეჯიბრობითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პრინციპი და აშ.⁶¹⁸

ანალოგიური მდგომარეობაა იმ შემთხვევაშიც, თუ მხარე გამოყენებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას⁶¹⁹ და მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებას სარჩელის აღმვრამდე. ამ შემთხვევაშიც სასამართლოს მხოლოდ მხარის განცხადება და განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები აქვს. სარჩელი არის თუ არა საფუძვლიანი და დასაბუთებული ეს არ წყდება სარჩელის აღმვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების ეტაპზე, ეს საკითხი სარჩელის არსებითი განხილვის დროს გადასაწყვეტი საკითხებია.⁶²⁰

შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენება საქართველოს სასამართლოს მიერ იმ დავაზე, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს არ განსხვავდება იმ სამართლებრივი მოცემულობისგან რაც თან ახლავს საქართველოს სასამართლოში მიმდინარე დავას, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი დონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენება ემყარება

⁶¹⁸ იქვე, I-18.

⁶¹⁹ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღმვრამდე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლი.

⁶²⁰ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 მარტის განჩინება, საქმე №2/ბ-123

სასამართლოს გარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

სასამართლო განჩინებას ღებულობს მხოლოდ და მხოლოდ მხარის მიერ წარდგენილი განცხადების საფუძველზე და არა საქმის მასალების სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის შედეგად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას დეტალურად არ ხდება სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლების შემოწმება. „კანონის ნორმა მოითხოვს, რომ მოსარჩელემ მხოლოდ მიუთითოს იმ გარემოებაზე, /რაც გაართულებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. განმცხადებელს არ ევალება მტკიცების ტკირთი... ღონისძიების გამოყენება/არ გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო არ ამოწმებს, რამდენად დასაბუთებულია სარჩელი, რამდენად გამომდინარეობს მის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან, ანუ დასაკმაყოფილებელია, თუ არა სარჩელი. სასამართლო ამოწმებს, მხოლოდ, რამდენად შეუწყობს ხელს უზრუნველყოფის ღონისძიება მომავალი მოსარჩელისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების დაცვას შესაძლო დაბრკოლებებისაგან აღსრულების ეტაპზე.⁶²¹

სამოქალაქო საპროცესო სამართლში მოქმედი დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების გათვალისწინებით, სასამართლოს არ აქვს უფლება შეიჭრას მხარეთა უფლებებში და გააკეთოს მითითება ხანდაზმულობაზე თუ სხვა საკითხებზე.

⁶²¹ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის განჩინება სარჩელის აღმდებარების დონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით საქმე 820217715001105776 (სარ/უზრ-35/15)

დასკვნითი დებულებები

სადისერტაციო ნაშრომში - საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც აღსრულებადი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა - განხილული საკითხების შედეგად შესაძლებელია შემდეგი დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება:

- მტკიცებულების უზრუნველყოფა საპროცესო უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფორმაა. მტკიცებულების როლი სამოქალაქო მართლმსაჯულების განხორციელებაში მნიშვნელოვანია. სსსკ-ში მოქმედი შეჯიბრებითობის პრინციპისა და ამავე კოდექსის 102-ე მუხლის გათვალისწინებით თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებებს. იმ პირს, რომელსაც საფუძველი აქვს იფიქროს, რომ მისთვის საჭირო მტკიცებულებათა წარდგენა შემდგომში შეუძლებელი ან ძნელი გახდება, შეუძლია სთხოვოს სასამართლოს ამ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა. მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ განხინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.
ამ შემთხვევისათვის სასურველია მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე უარის თქმის განხინება სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტთან დაკავშირებული განხინებების მსგავსად გასაჩივრდეს სასამართლოში საჩივრით. კერძო საჩივრის განხივისათვის დადგენილია განსხვავებული წესი და ვადა. კერძო საჩივრის თაობაზე განხინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კერძო საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში. უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე რეაგირება უნდა მოხდეს მოკლე ვადაში, რათა არ მოხდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების განადგურება, რაც ხელს შეუშლის სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებას.
- სსსკ-ის 194-ე მუხლი ითვალისწინებს მოპასუხის შესაძლებლობას გაასაჩივროს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ხოლო 197 -ე მუხლი მოიცავს ყველა იმ განხინების გასაჩივრების შესაძლებლობას, რომელიც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტს უკავშირდება. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით სასურველია ერთ მუხლში იქნას მოქცეული სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტთან დაკავშირებული განხინებების გასაჩივრების მომწერიგებელი წესები, ვინაიდან ყველა განხინების მიმართ გასაჩივრების იგივე ვადა და წესი მოქმედებს.
- სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი

ნაწილია⁶²². მისი მიზანია სამოქალაქო დავის განხორციელებაში ხელშეწყობა და არა სამოქალაქო დავის ჩანაცვლება.⁶²³ სამოქალაქო სამართალწარმოებით უმეტესწილად ყოვნდება მოსარჩელის უფლებების რეალური დაცვა. მოპასუხის არაკეთილსინდისიერი ქმედების შედაგად მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება ადუსრულებელი დატოვოს.⁶²⁴

სასამართლოში არსებული საქმების რაოდენობიდან გამომდინარე ყოვნდება სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების მოსარჩელისათვის ჩაბარება. სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებაზე, რომლითაც უძრავ ქონებას ედება ყადაღა/აკრძალვა, სასურველია სასამართლოს მიერ ავტომარად ეცნობოს მარეგისტრებელ ორგანოს, რათა მოპასუხება არაკეთილსინდისეირად არ განკარგოს მის სახელზე რიცხული უძრავი ქონება.

- მიუხედავად იმისა რომ სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების სამართლებრივი მიზანი სულ სხვაა, სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებით გამოწვეული წესის შედეგად, შეიძლება მოპასუხება მხარემ მასზე ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს და სასამართლო დავა მოსამზადებელ ეტაპზე დასრულდეს.⁶²⁵ ასევე შეიძლება სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების შედეგად მოპასუხება მიადგეს ზიანი. მართალია კანონმდებელი ითვალისწინების საპროცესო უზრუნველყოფის საშუალებას და მოპასუხებას ანიჭებს უფლებამოსილებას მოსარჩელს მოთხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებით მიყენებული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, მაგრამ მან პირდაპირი მტკიცებულებების საშუალებით უნდა მოახდინოს ზიანის არსებობის ფაქტის დადასტურება სასამართლოს პრაქტიკით ზიანის დადასტურების გაცილებით მაღალი სტანდარტია დადგენილი მოპასუხებისთვის, ვიდრე სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენების დროს. აუცილებელია მოხდეს

⁶²² Rozalinova E. Angelov A. and Georgiev I., Jurisdiction, Recognition and Enforcement of Provisional and Protective Measures (International Cooperation in Civil Matters) (2012). Revista Forumul Judecătorilor, No. 4, 2012, 82. <<https://ssrn.com/abstract=2224223>> 25.02.2018

⁶²³ Westberg P., Interim Measures and Civil Litigation, Scandinavian Studies in Law, 539 <<http://www.scandinavianlaw.se/pdf/51-25.pdf>> 25.02.2018

⁶²⁴ Rozalinova E. Angelov A. and Georgiev I., Jurisdiction, Recognition and Enforcement of Provisional and Protective Measures (International Cooperation in Civil Matters) (2012). Revista Forumul Judecătorilor, No. 4, 2012, 82. <<https://ssrn.com/abstract=2224223>> 25.02.2018

⁶²⁵ Rozalinova E. Angelov A. and Georgiev I., Jurisdiction, Recognition and Enforcement of Provisional and Protective Measures (International Cooperation in Civil Matters) (2012). Revista Forumul Judecătorilor, No. 4, 2012, 84. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2224223>

სასამართლოს პრაქტიკის გაანალიზება, განზოგადება და ერთიან სტანდარტზე ჩამოყალიბება.

- საქართველოს სახელით გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სასამართლომ, დავისა და მისი მონაწილე სუბიექტების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა შეძლოს მის ხელთ არსებული ყველა საპროცესო-სამართლებრივი საშუალების გამოყენება. ⁶²⁶ მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობის კრედიტორის ინტერესების გათვალისწინების და მისთვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა გარეშე ხდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ნოტარიუსის მიერ გაცემული საადსრულებო ფურცლის საფუძველზე მიმდინარე იძულებითი აღსრულების შეჩერება. აღნიშნული იწვევს ერთი მხარის უფლებების გაუმართლებელ შელახვას მეორე პირის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების საფუძველზე იმ რეალობის გათვალისწინებით, როდესაც კრედიტორს კანონით დადგენილი წესით აღებული საადსრულებო ფურცელი გააჩნია. უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 იანვრის განჩინებით დაიწყო ახალი პრაქტიკის დამკვიდრება. სასურველი იქნება თუ მოხდება გერმანიის პრაქტიკის გაზიარება და რაც მთავარია ზიანის არსებობის დადგენისათვის სტანდარტების შემუშავება, ვინაიდან დღეს არსებული პრაქტიკით მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ხდება უზრუნველყოფის შებრუნების გამოყენება. მიზანშეწონილი იქნება თუ ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის სულ მცირე აღებული იქნება ის თანხა, რა თანხაზეც მიმდინარეობს იძულებითი აღსრულება.
- ყადაღადადებული ქონების ღირებულება არსებითად არ უნდა აღემატებოდეს სარჩელის ფასს. მნიშვნელოვანია მოხდეს პრაქტიკის სწორი ჩამოყალიბება ვადიანი გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას, ვინაიდან ამ დროს სარჩელის ფასი გაცილებით მეტია ვიდრე სასარჩელო მოთხოვნა. სახელმწიფო ბაჟის დაანგარიშებაც განსხვავებული წესით ხდება და სასარჩელო მოთხოვნის თანხად ემატება არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით. მსგავსი ტიპის დავებზე არსებული სარჩელის უზრუნველყოფისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს არა სასარჩელო მოთხოვნის ოდენობით, არამედ სარჩელის ფასიდან გამომდინარე.

⁶²⁶ ძლიერიშვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების ვალდებულება, სამართლის ქურნალი, №1, 2018.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

1. განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტზე <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/123193?> 24.02.2018.
2. საქართველოს კონსტიტუციის საქართველოს კონსტიტუციური კანონი N768, 24/08/1995;
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, ძალაში შესვლის თარიღი 1999 წლის 20 მაისი;
4. სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონი N1363, 29/04/1998;
5. საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონი N820, 19/12/2008;
6. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი N1280, 19/06/2009;
7. საზღვაო სივრცის შესახებ საქართველოს კანონი N1761, 24/12/1998;
8. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი N1361, 29/04/1998;
9. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონი N4522, 29/03/2007;
10. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი N577, 28/10/1994;
11. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საქართველოს კანონი N1106, 14/11/1997;
12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საქართველოს კანონი N786, 26/06/1997;
13. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი N2352, 23/07/1999;
14. საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი N1676, 24/09/2009;
15. დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი N660, 18/04/1997;
16. კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი N121, 23/02/1996;
17. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის №01 ბრძანების „სადაზღვევო რეზერვების სახეობათა განსაზღვრისა და შექმნის წესის დამტკიცების თაობაზე”;
18. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის ბრძანება №04 „სადაზღვევო რეზერვების დასაფარად დასაშენები აქტივებისა და მათი სტრუქტურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე”;
19. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 25 დეკემბრის №27

- ბრძანება „ საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ”;
20. საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებით „კომერციული ბანკების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ”;

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2010;
2. არხოშაშვილი ლ., მტკიცებულებათა უზრუნველყოფა სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით, რობაქიძის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.
3. ბოელინგი პ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, 2004;
4. დოქტ. შმიტი შ., რაჭელი პ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) 2013;
5. ბურდული ი., ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, №4(35)'12;
6. ბურდული ი., შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი: უტოპიური შეხედულება სს-იდან პარტიორის გარიცხვის შესახებ, სამართლის უურნალი № 1-2, 2010;
7. ბურდული ი., ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროცესში) ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2008, 16;
8. ბურდული ნ., წარმოადგენს თუ არა დიპლომატიური გარანტიები ეფექტურ ზომებს წამების წინააღმდეგ?, სამართლის უურნალი, №2, 2014;
9. გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო პერძო სამართალი, თბ., 2011;
10. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013;
11. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია

- სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად, 2012;
12. გაგუა ო., მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართლში – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი, 4 (27);
 13. გაგუა ო., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის ინოვაციური განაწილების თავისებურებათა ანალიზი, ჟურ. მართლმსაჯულება და კანონი, (1(24)10);
 14. გამყრელიძე ს., სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია საერთაშორისო კერძო სამართლს პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი N:3(30)2011;
 15. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართლი, მეორე გამოცემა, ბაკურ სულაკაურის გამომ., თბ., 2003.
 16. ქაუა შვილი გ., მტკიცებულების უზრუნველყოფისა და უზრუნველყოფის გარანტიის როლი საქმისწარმოებაში, სამართლის ჟურნალი №1, 2016
 17. კოპალეი შვილი გ., სხირტლაძე ნ., ქარდაგა გე., ტურაგა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2010,
 18. ლაპერძაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2016.
 19. ლილუა შვილი ბ., უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2009.
 20. ლილუა შვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლი II გამოცემა, თბ. 2005.
 21. ლილუა შვილი თ., ხრუბალი გ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, გამომ. „სამართალი”, თბ., 2007
 22. ლიპარტია ნ., საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, ნაშრომი წარდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2018
 23. მაჩაიძე ო. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების სახეები ქართულ კანონმდებლობაში, წელიწდეული 2015, თბილისი, 2015,
 24. მესხიშვილი ქ., ბაჟი მაგისტრატი მოსამართლეების განსჯად საქმეებზე, ბაჟისაგან გათავისუფლებისა და ბაჟის ოდენობის შემცირების შიდასახელმწიფოებრივი და

- საერთაშორისო სტანდარტები (სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა).
25. ცატუროვა ნ., საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, I სპეციალური გამოშვება, 2012.
 26. ცერცეაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბ., 2012;
 27. ჩომახიძე ნ., სარჩელის უზრუნველყოფის დ ნისძიებები საერთაშორისო არბიტრაჟში, თსუ-ს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა”, წელიწდეული, 2013.
 28. ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მერიდიანი, თბ., 2006.
 29. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ. 2012.
 30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოს მოსამართლეთათვის, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, დეკემბერი, 2010.
 31. შოთაძე თ., სანივთო სამართალი, თბ. 2014.
 32. ძლიერი შვილი ბ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების ვალდებულება, სამართლის ჟურნალი, №1, 2018
 33. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1973.
 34. ხოჯერია ნ., შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაო საპროცესო სამართალში; შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა, თბილისი 1999, 3 ის. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
 35. ხუცი შვილი ქ., ბოხაშვილი ბ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი 2004, 240
 36. Comparative Analysis of the Practice and Precautionary Measures Among International Human Rights Bodies, Submitted to Special Meeting of the Permanent Council of the Organization of American States by the Center for Justice and International Law (CEJIL) and Intranational Human Rights Law Clinic, University of California, Berkeley, School of Law, Berkeley, California, United States of America, December 2012.
 37. Dr Nadelhofer S., Giroud S., Enforcement of Worldwide Freezing Orders in Switzerland.
 38. Naldi G. J, Interim measures in the UN Human Rights Committee, International and Comparative Law Quarterly, 2004, 53(2)
 39. Prof. Dr. C.H. van Rhee, Civil Procedure, J.M. Smits (ed.), Elgar Encyclopedia of Comparative Law, Cheltenham etc., 2006;
 40. Trivoureas K., Questionnaire concerning provisional measures, National Report Greece, Athens,

<http://www2.ipr.uniheidelberg.de/studie/National%20Reports/Greece/Report%20Greece%20Provisional%20Measures.pdf>.

41. *Allen R. J., Stein A.*, Evidence, Probability, and the Burden of Proof, Arizona Law Review, Vol., pp 557-602, 2013;
42. *Andrews N.*, Fundamental Principles of Civil Procedure: Order Out of Chaos, 20;
43. *Berlingieri F.*, Berlingieri on Arrest of Ships Volume I, A Commentary on the 1952 Arrest Convention Sixth Edition, 2017;
44. Civil Jurisdiction and judgments Act 1982, s.25;
45. Civil Procedure in Cross-Cultural Dialogue: Eurasia Context, Conference Book, Edited by Dmitry Maleshin, Moscow 2012;
46. *De la Sierra, Susana*, Provisional Court Protection in Administrative Disputes in Europe: The Constitutional Status of Interim Measures Deriving from the Right to Effective Court Protection. A Comparative Approach. European Law Journal, Vol. 10, No. 1, January 2004.
47. *Gidi A., Hazard G. C., Sturner JR, R., Taruffo M.*, ALI/UNIDROIT Principles and Rules of Transnational Civil Procedure, UNIDROIT 2005, Study LXXVI – Doc.
48. *Gidi A.*, Notes on Criticizing the Proposed ALI/Unidroit Principles and Rules of Transnational Civil Procedure. Uniform Law Review, Vol. 6, No. 4, p. 820, 2001; U of Houston Law Center No. 2007-A-45.,
49. International Enforcement of Foreign Judgement, By B International Business Law Consortium, Editor Paul Hopkins, 2006.
50. *JUDr. Kolban P., Mgr. Babickova K., Mgr. Potucky J.*, Selected problems related to provisional measures within Brussels I bis regulation and European Court on Human Rights, THEMIS competition – 2017, 8.
51. *Koppel J. M.*, Federal Common Law and the Courts' Regulation of Pre-Litigation Preservation;
52. *Kramer, X. E.*, Provisional and Protective Measures: Article 24 Brussels Convention (= Article 31 Brussels Regulation) The Application in the Netherlands, Germany and England, May 20, 2000.
53. *Kramer X. E.*, The Dutch Kort Gedig Procedure in an International Perspective: A Comparative View on Provisional Measures and Private International Law, *Deventer: Kluwer, 2001*
54. *Kronfeld N.A.*, The Preservation and Discovery of Evidence Under Federal Rule of Civil Procedure 27, The Georgetown Law Journal, Vol. 78:593,
55. *Le Seuer A., Herberg J., English R.*, Principles of Public Law, First edition 1999;
56. *Leubsdorf J.*, Evidence Law as a System of Incentives, Research Papers Series No:065, <http://ssrn.com/abstract=1566974>.
57. *Metzger E.*, Roman Judges, Case Law, and Principles of Procedure (November 1, 2008). Law and History Review, Vol. 22, pp. 243-75, 2004;
58. *Miles, C.* Provisional Measures before International Courts and Tribunals (Cambridge Studies in International and Comparative Law). Cambridge: Cambridge University Press, 2017;

59. *Mota C. E.*, Provisional Measures in Spanish Civil Procedure, University of Valencia - Faculty of Law November 1, 2011, COMPARATIVE STUDIES ON ENFORCEMENT AND PROVISIONAL MEASURES, p. 207, R. Stürner and M. Kawano, eds., Mohr Siebeck, 2011.
60. *Olivier K., Harvey A.*, Granting Interim Relief in Support of Foreign Proceedings: The Far-Reaching Powers of English Court, The Turkish Commercial Law Review, 2015.
61. *P. S. O'Driscoll*, Performance Bonds, Bankers' Guarantees, and the Mareva Injunction, 1985.
62. *Philip Jen Arentam SC*, The Granting of Mareva Injunction in Support of Foreign Court Proceedings, 2016.
63. *Prof. Dr. C.H. van Rhee and Remme Verkek*, Civil Procedure, J.M. Smits (ed.), Elgar Encyclopedia of Comparative Law, Cheltenham etc., 2006.
64. *Raymond Cox, Louise Merrett, Smith Marcus Private*, International Law of Reinsurance and Insurance, Informa Law, 2015;
65. *Remiche A.*, Yordanova and Others v. Bulgaria: The Influence of the Social Right to Adequate Housing on the Interpretation of the Civil Right to Respect for One's Home (December 22, 2012). Human Rights Law Review, 2012, vol. 12 (4).
66. *Rozalinova E. Angelov A., Georgiev, I.*, Jurisdiction, Recognition and Enforcement of Provisional and Protective Measures (International Cooperation in Civil Matters) (2012). Revista Forumul Judecatorilor, No. 4, 2012;
67. *Rubenstein W. B.*, The Concept of Equality in Civil Procedure (August 2001). Cardozo Law Review, Vol. 23, 2002;
68. *Spencer B. A.*, The Preservation Obligation: Regulating and Sanctioning Pre-Litigation Spoliation in Federal Court, 79 Fordham L. Rev. 2005,
69. *Tsertsvadze G.*, Brief Commentary to the Georgian Arbitration Law, 2009, Tb., 2011,
70. *Westberg P.*, Interim Measures and Civil Litigation, Scandinavian Studies in Law, Scandinavian Studies in Law 1999-2012.
71. *Worster W. Th.*, Unilateral Diplomatic Assurances as an Alternative to Provisional Measures (July 17, 2015). Law and Practice of International Courts and Tribunals, V, Vol. 15, No. 3, 2016.
72. *Александр Королков Бонн*, Гражданский Процессуальный Кодекс ФРГ, Авторские права: Германский фонд международного правового сотрудничества, Бонн, ФРГ Переводчик:, ноябрь 1996.
73. *Треушников М.К.* проф., доктор юридических наук – Хрестоматия по гражданскому процессу / москва – 1996.

სასამართლო გადაწყვეტილებები

ქართული სასამართლო გადაწყვეტილებები

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 იანვრის განჩინება, საქმე №ას 1514-1434-2017;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 იანვრის განჩინება, საქმე №ას-908-874-2016;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 1-ლი თებერვლის განჩინება, საქმე №ას-108-101-2017;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 მარტის განჩინება, საქმე №ას-19-17-2017;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მარტის განჩინება, საქმე №ას-57-53-2017;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 აპრილის განჩინება, საქმე №ას-471-439-2017;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 აპრილის განჩინება, საქმე №ას-471-439-2017;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 19 მაისის განჩინება, საქმე №ას-430-402-2017.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივნისის განჩინება, საქმე №ას-829-775-2017;
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ივნისის განჩინება, საქმე №ას-638-637-2017;
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1215-1140-2015;
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-713-683-2016;
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-937-902-2016
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-958-923-2016;

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-976-940-2016;
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-5-5-2015;
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე ას-1303-1241-2014;
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინება, საქმე №ას-59-54-2015;
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განჩინება, საქმე ასN-214-201-2015;
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-901-851-2015;
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-929-879-2015;
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინება, საქმე №ას-1165-1095-2015;
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-617-587-2013;
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-1087-1037-2013;
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-738-306-2014;
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება საქმე №ას-442-418-2013;
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1-ლი ივლისის განჩინება, საქმე №ას-499-475-2013;
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1-ლი ივლისი განჩინება, საქმე №ას-484-460-2013;
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივლისის განჩინება, საქმე №ას-538-511-2013;
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 სექტემბრის განჩინება, საქმე №ას-395-374-2013;

31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-1673-1569-2012;
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ოქტომბრის განჩინება, საქმე №ას-1338-1263-2012;
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინება, საქმე №ას-832-884-2011;
34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 დეკემბრის განჩინება, საქმე №ას-1561-1561-2011;
35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 დეკემბრის განჩინება, საქმე ას-1188-1117-2011;
36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აპრილის განჩინება, საქმე №ას-258-516-08;
37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის განჩინება, საქმე ას-827-1190-06;
38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 14 იანვრის განჩინება, საქმე №ას-3/გ/884-01;
39. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ოქტომბრის განჩინება, საქმე №2/ბ-985;
40. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 მარტის განჩინება, საქმე №2/ბ-123;
41. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 მარტის განჩინება, საქმე №2/ბ-123, საქმე №030217716001216750;
42. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 მარტის განჩინება, საქმე №2/ბ-209-16;
43. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინება, საქმე №2/ბ-1037-2016;
44. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 აპრილის განჩინება, საქმე № 2/ბ-352-2013;
45. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 აპრილის განჩინება, საქმე № 2/ბ-352-2013;
46. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ივნისის განჩინება, საქმე № 2/ბ-674-2013;

47. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივნისის განჩინება, საქმე №2ბ/4062-16, საქმე №330210117001962569;
48. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 იანვრის განჩინება, საქმე №2ბ/4752-15;
49. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ოქტომბრის განჩინება, საქმე №2ბ/7216-14;
50. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 აპრილის განჩინება, საქმე №2ბ/6144-15;
51. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განჩინება, საქმე №2ბ/906-15
52. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 მაისის განჩინება, საქმე №2ბ/2074-15;
53. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 სექტემბრის განჩინება, საქმე №2ბ/2780-15, საქმე №330210114641437;
54. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 სექტემბრის საქმე №2ბ/4610-14;
55. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 სექტემბრის განჩინება, საქმე №2ბ/3425-14;
56. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინება, საქმე №2ბ/5224-14;
57. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინება №2ბ/5599-14;
58. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება, საქმე №2ბ/2567-09;
59. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 1 ოქტომბრის განჩინება, საქმე №2/2910-18;
60. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 იანვრის განჩინება, საქმე №2/36114-16;
61. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება, საქმე №2/24072-17;
62. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 9 მარტის განჩინება, საქმე №1272780-16;

63. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 მარტის განჩინება, საქმე №1288174-16;
64. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 ივლისის განჩინება, საქმე №2/3482-14;
65. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 აგვისტოს განჩინება, საქმე №2/25508-16;
66. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 აპრილის განჩინება, საქმე №2/19497-14;
67. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მარტის განჩინება სარჩელის აღდვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ საქმე 459049-14;
68. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 იანვრის განჩინება, საქმე 3-01/2016;
69. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 ოქტომბრის განჩინება, საქმე №010217716001258006;
70. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 10 მაისის განჩინება, საქმე №010217716001258006;
71. ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 აპრილის განჩინება, საქმე №1903-14;
72. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 მარტის განჩინება, საქმე №2/761-2015;
73. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინება, საქმე ს/უზრ - 34/15;
74. ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 15 იანვრის განჩინება, საქმე №030217716001216750;
75. ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 აგვისტოს განჩინება, საქმე №030210016001225833;
76. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის განჩინება სარჩელის აღდვრამდე დონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით საქმე 820217715001105776 (სარ/უზრ-35/15);

**საქართველოს
გადაწყვეტილებები:**

საკონსტიტუციო

სასამართლოს

1. საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის 1/493 გადაწყვეტილება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
2. საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის 2/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“;
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე 1/2/411, შპს "რუსენერგოსერვისი", შპს "პატარა კანი", სს "გორგოტა", გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო "ვერმერი" და შპს "ენერგია" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ;
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივნისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვერბაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკი ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის 2/3/522,553 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 14 თებერვლის 2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“;
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის 3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/6/623 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „სადაზღვევო კომპანია „უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/94 გადაწყვეტილება საქმეზე

- „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”;
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2” და „შპს ტელეკომპანია საქართველო” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
 12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/2/596 გადაწყვეტილება საქმეზე „ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”;
 13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746 შპს „ჯორჯიან მანგანეზი” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
 14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის №1/6/666 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ჯიბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”;
 15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის №1/22/781 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”;
 16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივნისის 1/14/184,228 გადაწყვეტილება საქმეზე „სააქციო საზოგადოებები – „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოაპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”;
 17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარმანენტის წინააღმდეგ”.

აშშ-ს სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. Hall v. Miller Stout, 2:2004cv00184, January 24, 2004;
1. Arizona v. California 373 U.S. 546 1963;

რეგულაციები

1. Council Regulation (EC) No 1206/2001 of 28 May 2001 on cooperation between the courts of the Member States in the taking of evidences in civil and commercial matters;
2. Council Regulation (EC) No 1393/2007 of the European Parliament and of the Council of 13 November 2007 on the service in the Member States of judicial and extrajudicial documents in civil and commercial matters (service of documents);

3. Council Regulation (EC) No 2201/2003 of 27 December 2003 on Jurisdiction and the recognition and enforcement of judgements in matrimonial matters and the matters of parental responsibility;
4. Council Regulation (EC) No 44/2001 of 22 December 2000 on Jurisdiction and the recognition and enforcement of judgements in civil and commercial matters;
5. Regulation (EC) No 1346/2000 on insolvency proceedings;
6. Regulation (EU) No 1215/2012 of the European Parliament and of the Council of 12 December 2012 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgements in civil and commercial matters.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. ECJ Judgment of 28 April 2005 St. Paul Dairy Industries NV vs. Unibel Exser BVBA, Case C-104/03, ECLI identifier: ECLI:EU:C:2005:255;
1. ECJ, Judgement of 12 July 2012, Solvay SA v Honeywell Flourine Products Europe BV, Honeywell Belgium NV, Honeywell Europe NV, c-616/10;
2. ECJ, Judgment of the Court of 27 April 1999. - Hans-Hermann Mietz v Intership Yachting Sneek BV, Case C-99/96, ECLI identifier: ECLI:EU:C:1999:202;
3. ECJ, Judgment of 27 March 1979 Jacques de Cavel vs. Luise de Cavel, Case 143/78, ECLI identifier: ECLI:EU:C:1979:83;
4. ECJ, Judgment of the 17 November 1998, Van Uden Maritime BV, trading as Van Uden Africa Line v Kommanditgesellschaft in Firma Deco-Line and Another, Case C-391/95. ECLI identifier: ECLI:EU:C:1998:543.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. Akashev v. Russia, no 30616/05, 1 June 2008;
2. Alzery v. Sweden, Comm. No. 1416/2005, UN Doc.CCPR/C/88/D /1416/2005;
3. Antonetto v. Italy, no. 15918/89, 20 July 2000;
4. აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ no. 40765/02, 28 ნოემბერი 2006;
5. დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ no. 8252/08, 12 სექტემბერი 2012;
6. Hornsby v Greece, no 18357/91, 01 April 1998;
7. Kosmidis and Kosmidou v. Greece, no. 32141/04, 8 November 2007;
8. Kryshchuk v. Ukraine no. 1811/06, 19 February 2009;
9. Mamakulov and Askarov v. Turkey, no. 46827/99, 4 February 2005;
10. Othman (2007) S.I.A.C. No. SC/15/2005;
11. Rompoti and Rompotis v. Greece, no. 14263/04, 25 January 2007;

12. Ruiz Mateos v. Spain, no. 12952/87, 23 June 1993;
13. Rustavi 2 Broadcasting Company Ltd v. Georgia, no. 16812/17;
14. Sokur v. Ukraine, no. 29439/02, 26 April 2005;
15. Yordanova v Bulgaria no. 25446/06, 24 April 2012;

ინტერნეტ რესურსები

1. http://www.law.cornell.edu/rules/frcp/rule_37;
2. http://www.echr.coe.int/Documents/FS_Interim_measures_ENG.pdf;
3. http://www.echr.coe.int/Documents/Rules_Court_ENG.pdf;
4. https://www.ecre.org/wp-content/uploads/2016/05/RULE-39-RESEARCH_FINAL.pdf
5. http://www.echr.coe.int/Documents/Rules_Court_ENG.pdf.
6. http://www.echr.coe.int/Documents/FS_Interim_measures_ENG.pdf;
7. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=21591>;
8. <https://www.unidroit.org/instruments/transnational-civil-procedure; http://echr.ketse.com/doc/14448.88-en-19931027/view/>;
9. [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":\["001-58067"\]};](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)
10. <https://legal-dictionary.thefreedictionary.com/code>;
11. <https://thelawdictionary.org/letter/c/page/92/> ;
12. <http://www2.ipr.uni-heidelberg.de/studie/National%20Reports/Greece/Report%20Greece%20Provisional%20Measures.pdf> ;
13. https://e-justice.europa.eu/content_interim_and_precautionary_measures-78-es-en.do#toc_1;
14. http://www.echr.coe.int/Documents/FS_Interim_measures_ENG.pdf ;
15. http://www.refworld.org/cases_ECHR_3ae6b6fe14.html;
16. http://www.pict-pcti.org/matrix/discussion/echr/echr_interim.htm;
17. http://www.echr.coe.int/Documents/FS_Interim_measures_ENG.pdf; http://ec.europa.eu/civiljustice/interim_measures/interim_measures_ge_en.htm;
18. [https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html#p3425](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html#p3425;);
19. https://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998_Ebook.pdf,
20. http://www.law.cornell.edu/rules/frcp/rule_27;
21. <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/123544?>;
22. www.supremecourt.ge;
23. www.matsne.gov.ge;

დადასტურება ნაშრომის ორიგინალობის შესახებ

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ჩემ
მიერ. არ გამომიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითების
გარეშე და ვაცნობიერებ სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში
ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან
აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

გულიკო კაჟაშვილი

თსუ, იურიდიული ფაკულტეტის
სამართლის სადოქტორო პროგრამის
დოქტორანტი